

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

სასამართლო პრაქტიკის კომენტარი
სამოქალაქო და საკორპორაციო
სამართალში

გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი 2003

**წინამდებარე წიგნი მომზადებულია 2001 წელს ევრაზიის ფონდის მიერ
დამტკიცებული პროექტის ფარგლებში.**

პროექტის დირექტორი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი *გიორგი ზუბუა*

პროექტის კოორდინატორი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სწავლული მდივანი
რუსუდან ბაქანიძე

რეცენზენტები: იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი *ბესარიონ ზოიძე*
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი
დოცენტი *გოჩა გოგიშვილი*

ავტორები: I ნაწილი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, მეცნიერებათა მაგისტრი მიწის მართვის სფეროში (სტოკჰოლმი, შვედეთი) *ლალი ლაზარაშვილი*

II ნაწილი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი *ჰაატა ლობჯანიძე*

III და V ნაწილები – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი *გია ლილუაშვილი*

IV ნაწილი – თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი *ეკა ზარნაძე*

მადლობას მოვახსენებთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ბატონ ლადო ჭანტურიას, საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრს ბატონ ოთარ გოგოძეს, საქართველოს საერთო სასამართლოების თავმჯდომარეებსა და სასამართლოთა პერსონალს სასამართლო პრაქტიკის გაცნობის ხელშეწყობისათვის.

© გ. ზუბუა, 2003

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2003

ISBN 99928-32-75-4

სარჩევნი

წინათქმა	7
I ნაწილი. საკუთრება	11
საკუთრების შექმნა და დაკარგვა	11
საკუთრების შექმნა უძრავ ნივთებზე	11
1. საკუთრების შექმნა ხანდაზმულობით	11
2. საკუთრების შექმნა მიწის ნაკვეთის არსებით შემაღლებულ ნაწილზე	13
საკუთრების შექმნა მოძრავ ნივთებზე	15
1. საკუთრების შექმნა ხანდაზმულობით	15
2. გადაცემა	17
3. მოძრავი ნივთის შეერთება უძრავ ნივთთან	19
4. საკუთრების შექმნა უაპროფიტო მოძრავ ნივთზე	21
სხვისი საკუთრებით შეზღუდული სარგებლობა	23
პირადი სერვიტუტი	23
საკუთრება როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება	31
II ნაწილი. ფულადი ვალდებულებები	34
1. სახელშეკრულებო პროცენტის ბათილობა ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის ბანაკვეთთან შეუსაბამობის შემთხვევაში	34
2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დასარიცხი პროცენ- ტის გამოყენების დაუშვებლობა ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების პერიოდისათვის	38

3. კანონით დასარიცხი პროცენტის სიდიდის განსაზღვრა მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების პერიოდისათვის	40
4. სახელშეკრულებო საპროცენტო ბანაკვეთის ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის ზღვრულ ბანაკვეთთან შესახებამოგის კრიტერიუმი	44
5. ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების პერიოდისათვის დასარიცხი პროცენტის როგორც მიუღებელი შემოსავლის კატეგორიად გამოყენების დაუშვებლობა	47
6. უვადოდ დადებული სესხის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტის განსაზღვრის აუცილებლობა	49
7. ფულადი ვალდებულების შეწყვეტა მოვალის მხრიდან მისი შესრულებით და არა კალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით	50
8. უსაფუძვლოდ გადახდილ თანხაზე პროცენტის დარიცხვა	54
9. ფულადი ერთეულის მსყიდველობითი უნარის შემცირების შემთხვევაში შესრულების თანხის ინდექსაციის დაუშვებლობა	57
10. ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილები- სათვის კანონით გათვალისწინებული პროცენტისა და პირბასამტხლოს ერთდროულად დარიცხვის დაუშვებლობა	59
11. პირბასამტხლოს შემცირების კრიტერიუმები	61
12. სახელშეკრულებო პროცენტის ოდენობა საბანკო კრედიტი- დან წარმოშობილ ვალდებულებებში	62
13. საბანკო კრედიტზე დასარიცხი პროცენტის განსაზღვრა კრედიტის დაბრუნების ვადის გადაცილების შემთხვევაში	67
14. საბანკო კრედიტის დაბრუნების ვადის გადაცილების შემთხვევაში კანონით დადგენილი საპრო- ცენტო ბანაკვეთის სესხის მხლოდ ძირითად თანხაზე დარიცხვის აუცილებლობა	68
15. საბანკო გარანტიით ან საქმის სხვა გარემოებებით საბანკო გარანტიის მოქმედების კონკრეტული ვადის დადგენის	

შეუქმებლობის შემთხვევაში საბანკო გარანტიის
ბათილობა 72

III ნაწილი. სახელშეკრულებო სამართალი 75

ნასყიდობა 75

იჯარა 84

IV ნაწილი. მემკვიდრეობის სამართალი 91

1. მემკვიდრეობა კანონით 91

2. მემკვიდრეობა ანდერკით 101

3. სამკვიდროს მიღება და უარი მის მიღებაზე 107

4. კრედიტორების დაკმაყოფილება მემკვიდრეთა მიერ 122

V ნაწილი. საკორპორაციო სამართალი 125

შეზღუდული კაცუნისმგებლობის საზოგადოება 125

სააქციო საზოგადოება 154

გამოყენებული ლიტერატურა საკორპორაციო

სამართალში 199

წინათქმა

თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენს წინაშეა სასამართლო პრაქტიკის პირველი კომენტარები ქართულ სამოქალაქო სამართალში. მართალია, დღემდე გამოცემულ ცალკეულ მონოგრაფიაში გვაქვს პრაქტიკის ბრწყინვალე განმარტებანი, მაგრამ ისინი მხოლოდ ფრაგმენტულ ხასიათს ატარებენ. ამ კომენტარებში ახალგაზრდა იურისტებს შეუსწავლიათ სასამართლო პრაქტიკის მდგომარეობა საქართველოს სხვადასხვა რიგონში და გარკვეული სისტემატიზებული ფორმით გაუანალიზებიათ. მასში სამოქალაქო და სამეწარმეო სამართლის მხოლოდ ცალკეული საკითხია წარმოდგენილი. ავტორების მიერ კომენტირებულ სასამართლო გადაწყვეტილებებში მხარეთა სახელები პირობითად არის მინიშნებული. კომენტარების პირველი ნაწილი შეეხება საკუთრების პრობლემებს სასამართლოების პრაქტიკაში. როგორც მისი ავტორის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ლალი ლაზარიშვილის მსჯელობიდან ჩანს, სასამართლოებს ყოველთვის სწორად არ ესმით სამოქალაქო კოდექსის ცალკეული დებულებანი. კერძოდ, ზოგიერთი სასამართლო არასწორად იყენებს საკუთრების ხანდაზმულობით შექმნის მომწესრიგებელ ნორმებს. სამწუხაროდ, სასამართლოს უძრავ ქონებაზე საკუთრების შექმნის საფუძვლად გამოუყენებია ხანდაზმულობით საკუთრების შექმნის ინსტიტუტი, ეს მაშინ, როდესაც სამოქალაქო კოდექსის 165-168-ე მუხლებით გათვალისწინებული წესით საკუთრების შექმნის ვადა ითვლება 1993 წლის 23 ივლისიდან. ასევე სასამართლოებს უჭირთ ერთმანეთისაგან გამიჯნონ სამოქალაქო კოდექსის 165-168-ე მუხლებით გათვალისწინებული წესი 158-ე მუხლში დაფიქსირებული ნორმისაგან. კომენტარებიდან ჩანს, რომ სასამართლოების პრაქტიკაში დასტურდება ცალკეული გაუგებრობანი მთავარი ნივთისა და მისი არსებითი შემადგენლის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით ასევე პრობლემას წარმოადგენს პირადი სერვიტუტის დადგენის პრაქტიკა. დღეს სერიოზულად დგას საკითხი იმის თაობაზე, პირადი სერვიტუტი მარტოოდენ მხარეთა შეთანხმებით დგინდება თუ სასამართლოსაც შეუძლია დაადგინოს იგი. კომენტარებიდან ჩანს, რომ ამ საქმეში სასამართლოების უფლებამოსილებებზე განსხვავებული მიდგომებია. ასევე სასამართლოების პრაქ-

ტიკაში აზრთა სხვადასხვაობას აქვს ადგილი ძველი და ახალი კანონების გამოყენების გამოიწვევებში.

კომენტარების სხვა ნაწილის ავტორს, სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კერძო სამართლის განყოფილების მეცნიერთანამშრომელს პაატა ლობჯანიძეს გაანალიზებული აქვს ფულადი ვალდებულებების სასამართლოების პრაქტიკა სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მუხლების მიხედვით. ვფიქრობთ, რომ ავტორი გაბედულად მსჯელობს სამოქალაქო კოდექსის 625-ე და 403-ე მუხლების თანაფარდობაზე, როცა აღნიშნავს, რომ პროცენტის განსაზღვრისას მხარეებმა მხედველობაში უნდა მიიღონ კოდექსის 625-ე მუხლის მოთხოვნები. დამაფიქრებელია კომენტატორის პოზიცია ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისას საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრასთან დაკავშირებით. კომენტატორის აზრით, არ არის სწორი, როდესაც სასამართლოების პრაქტიკაში სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის მოქმედება ვრცელდება ხელშეკრულების ვადის გასვლის პერიოდზეც. კომენტატორს ვრცლად აქვს შესწავლილი მოვალის მიერ ვადის გადაცილებისათვის კანონით დასარიცხი საპროცენტო განაკვეთის დარიცხვის პრაქტიკა. ამ პრაქტიკამ კი აჩვენა, რომ სასამართლოები სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის ნაცვლად იყენებენ 625-ე მუხლს, რაც კომენტატორის აზრით, არასწორია, ვინაიდანაც, ეს უკანასკნელი მუხლი ეხება ხელშეკრულების შესრულებისათვის მხარეთა მიერ განსაზღვრულ საპროცენტო განაკვეთს. კომენტარებში ცალკეა შესწავლილი სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის ბანკთშორისი საკრედიტო აუქციონის ზღვრულ განაკვეთთან შესაბამისობის პრაქტიკა. ავტორის აზრით, როცა არჩევანი ეხება ეროვნული ბანკისა და ბანკთშორისი საკრედიტო აუქციონის საპროცენტო განაკვეთებიდან ერთ-ერთის არჩევას, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ამ უკანასკნელს. კომენტატორის აზრით, დაუშვებელია ფულადი ვალდებულებების ვადის გადაცილებისათვის დასარიცხი საპროცენტო განაკვეთის მიუღებელ შემოსავლებად კვალიფიკაცია, რასაც ადგილი აქვს სასამართლოების პრაქტიკაში. ასევე, საინტერესო დასკვნებია გაკეთებული ფულადი ვალდებულების შეწყვეტასთან დაკავშირებით. კომენტატორის

აზრით, ფულადი ვალდებულება წყდება მოვალის მხრიდან მისი შესრულებით და არა სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლით, როგორც ამას პრაქტიკაში აქვს ადგილი. ვფიქრობთ, რომ კომენტარების ეს ნაწილი, როგორც ყველა დანარჩენი, უაღრესად მნიშვნელოვანია სწორი სასამართლო პრაქტიკის დასამკვიდრებლად.

შემდეგი ნაწილი კომენტარებისა ეხება მემკვიდრეობის სამართლის პრობლემებს სასამართლოების პრაქტიკაში. მისი ავტორია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ეკა ზარნაძე. როგორც მისი მსჯელობიდან ჩანს, სასამართლოების პრაქტიკაში ზოგჯერ ირღვევა სამოქალაქო კოდექსის 1339-ე მუხლის მოთხოვნები იმ აზრით, რომ სამკვიდროს გახსნა ხდება ისეთ ქონებაზეც, რაც არ შეიძლება შევიდეს სამკვიდრო მასაში. საინტერესო პრაქტიკაა გამოკვეთილი სასამართლოების საქმიანობაში სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლთან დაკავშირებით. კომენტატორი აღნიშნავს, რომ სამწუხაროდ, სასამართლოები სწორ გადაწყვეტილებას ღებულობენ, თუმცა რატომღაც არ უთითებენ მატერიალური სამართლის ნორმებს. სასამართლოების ამგვარ ხარვეზებზე მითითებული აქვთ ამ კომენტარის სხვა ავტორებსაც. გარკვეული პრობლემებია სასამართლოების პრაქტიკაში სხვადასხვა შეფასებითი გარემოებების განმარტებაშიც. კომენტარებიდან ჩანს, რომ სასამართლოებს არაერთგვაროვნად ესმით სამოქალაქო კოდექსის გარდამავალი ღებულებანი, კერძოდ, 1507-ე მუხლის ღებულებანი. ასევე შეცდომებია დაფიქსირებული სასამართლოების პრაქტიკაში მატერიალურ-სამართლებრივ ნორმათა გამოყენებაშიც. გარდა აღნიშნულისა, კომენტარებში მრავალი სხვა საინტერესო პრობლემა არის აღძრული.

კომენტარების საკმაოდ მოზრდილი ნაწილი ეხება სასამართლოების პრაქტიკას სამეწარმეო სამართლის დარგში. აქაც ბევრი გაუგებრობა დაუფიქსირებია კომენტარის ავტორს, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატს გია ლილუაშვილს. პირველ რიგში, ეს ეხება უფლებამოსილების საკითხს. ავტორის აზრით, სასამართლომ წილის სამართავად გადაცემა შეცდომით ჩათვალა წილის გასხვისებად. ასევე სასამართლოები გარკვეულ უზუსტობას უშვებენ პარტნიორებზე ინფორმაციის გაცემის საკითხის გადაჭრაში. კომენტატორი იძლევა

ინფორმაციის ცნებასაც. კომენტატორის აზრით, სასამართლოების პრაქტიკაში ზოგჯერ არასწორად ესმით სააქციო საზოგადოების კრების მოწვევაზე უფლებამოსილება. კერძოდ, კრება მოწვეულ იქნა არაუფლებამოსილი სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და ეს კანონიერად იქნა ცნობილი სასამართლოს მიერ. სასამართლოების პრაქტიკაში გარკვეული გაუგებრობანია საწესდებო კაპიტალთან დაკავშირებით. ეს კი გამოიხატება იმაში, რომ სასამართლოებს იჯარით აღებული ქონების საწესდებო კაპიტალში ჩადება, სწორად უცვნიათ. კომენტარებში ყურადღებაა მიქცეული სამეწარმეო საზოგადოებათა იურიდიულ მისამართზე. ავტორის აზრით, ხშირად ამ მისამართის არასწორ დეფინიციას აქვს ადგილი. სასამართლოების პრაქტიკაში გარკვეული უზუსტობანი ვლინდება საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების ჩატარებასთან დაკავშირებით. იგივე უნდა ითქვას ფილიალებთან დაკავშირებით სასამართლოების შეფასებებზე. ვერცლად არის შესწავლილი სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა. კომენტარების ამ ნაწილში სხვა მრავალი საინტერესო პრობლემაც არის აღძრული.

ჩვენ მეტს აღარ გავაგრძელებთ კომენტარებში წამოჭრილი საკითხების თაობაზე, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ახალგაზრდა იურისტ მკვლევარებს მეტად სერიოზული შრომა ჩაუტარებიათ. მათი ყურადღება, ძირითადად, გამახვილებულია სასამართლოების პრაქტიკაში არსებულ ხარვეზებზე. ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლოების საქმიანობაში არა გვაქვს სწორი პრაქტიკაც. კომენტარების სულისკვეთებიდანაც იგრძნობა, რომ ახალმა სასამართლოებმა, ძირითადად, სწორად აუღეს ალლო საკანონმდებლო ნოვაციებს, თუმცა, ბევრი საკითხი ჯერ კიდევ საჭიროებს სწორი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრებას.

ვფიქრობთ, რომ ეს კომენტარები ბევრად წაადგება როგორც თეორეტიკოსს, ისე პრაქტიკოსს იურისტებს. შეიძლება ზოგ რამეში ავტორებს არ დავეთანხმოთ, მაგრამ მათ ხომ მათი საქმე კეთილსინდისიერად შეასრულეს და ამისათვის მხოლოდ მადლობას იმსახურებენ.

იურიდიულ მეცნიერებათა
ლოქტორი, პროფესორი *ბესარიონ ზოიძე*

1 ნ ა წ ი ლ ი

ს ა კ უ თ რ ე ბ ა

საკუთრების შექმნა და დაკარგვა

სასამართლო პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ ხშირად საკუთრების შექმნა და დაკარგვა როგორც უძრავ, ისე მოძრავ ნივთზე სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება. აღნიშნული გადაწყვეტილებების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც გადაწყვეტილება გამოტანილია არა მარტო კანონის შესაბამისად, არამედ – კანონის ნორმის არასწორი შეფარდებისა და სათანადო სამართლებრივი დასაბუთების გარეშეც. ამასთან ერთად, გამოიკვეთა სხვადასხვა რიგის პრობლემა მატერიალური სამართლის ნორმის შეფარდებასთან დაკავშირებით მათ შორის მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ, სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში გადაწყვეტილებაში მითითებული არ არის მატერიალური სამართლის ნორმა, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის აუცილებელი მოთხოვნაა. ჩვენ მიერ სასამართლო პრაქტიკის მაგალითებზე დაყრდნობით შევეცდებით ზემოაღნიშნული შემთხვევებისა და პრობლემების წარმოჩენასა და გაანალიზებას.

საკუთრების შექმნა უძრავ ნივთებზე

1. საკუთრების შექმნა ხანდაზმულობით

თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ვაჟა ჩქარეულის სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხე მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიმართ, სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მინიჭების თაობაზე. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 167-ე მუხლით და მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვებას საფუძველად დაუდო მფლობელობითი ხანდაზმულობა, კერძოდ, ის გარემოება, რომ მოსარჩელე თხუთმეტ წელზე მეტხანს

უწყვეტად ფლობდა სადავო მიწის ნაკვეთს, როგორც მამაპაპისეულს (საქმე №2/1609).

დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ მსგავს დავაზე ანალოგიური გადაწყვეტილება მიღებულია სხვა შემთხვევაშიც (1998 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/1608).

ანალოგიურადაა გადაწყვეტილი საკუთრების უფლების მინიჭების საკითხი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2001 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით, რომლითაც დადგენილია თენგიზ ნათაძის მიერ საკუთრების უფლებით ბინის ფართის ფლობის ფაქტი. სასამართლომ ამ შემთხვევაშიც სამოქალაქო კოდექსის 167-ე მუხლით იხელმძღვანელა და ნათაძე მესაკუთრედ მიიჩნია იმ საფუძველით, რომ იგი ოცდაერთი წლის განმავლობაში უწყვეტად ფლობდა აღნიშნულ ბინას, რომელიც შეიძინა მხეიძისაგან სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე. მათ შორის წერილობითი ხელშეკრულება არ გაფორმებულა და ნათაძე საჯარო რეესტრში შემძენად არ დარეგისტრირებულა იმ მიზეზით, რომ მხეიძე გარდაიცვალა.¹

ზემოაღნიშნული მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ: მოცემულ შემთხვევებში დაცული არ არის სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც სამოქალაქო კოდექსის 167-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობით საკუთრების შეძენის ვადის ათვლა იწყება 1993 წლის 23 ივლისიდან, ანუ საკუთრების უფლების შესახებ საქართველოს კანონის ამოქმედების დღიდან. ე.ი. ვინაიდან უძრავ ნივთზე ხანდაზმულობით საკუთრების შეძენის ვადად სამოქალაქო კოდექსის 167-ე მუხლის თანახმად თხუთმეტი წელია განსაზღვრული, აქედან გამომდინარე, ამ ნივთზე საკუთრების შეძენის საფუძველად მფლობელობითი ხანდაზმულობა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ 2008 წლის 23 ივლისიდან.

პირველ მაგალითში, როგორც დავინახეთ, მართალია, მოსარჩელე მიწის ნაკვეთს თხუთმეტი წელზე მეტი ხანი ფლობდა, მაგრამ ეს ფაქტი მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვებისათვის საკმარისი

¹ გადაწყვეტილებაზე საქმის ნომერი მითითებული არ არის.

არ იყო. 1507-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა მიეღო მფლობელობის ხანგრძლივობა 1993 წლიდან, რაც გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის დაახლოებით 5 წელიწადს შეადგენდა. აქედან გამომდინარე, მოსარჩელის მოთხოვნა მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების დადასტურების შესახებ არ აკმაყოფილებდა სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნას ხანდაზმულობით საკუთრების შეძენისათვის საჭირო ვადის თაობაზე.

ანალოგიური შემთხვევაა ბინაზე საკუთრების დადგენის მაგალითიც. სასამართლოს ამ შემთხვევაშიც უნდა გაეთვალისწინებინა სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნა და ხანდაზმულობით საკუთრების შეძენის ვადა აეთვალა 1993 წლის 23 იელისიდან. ამასთან, მხედველობაში უნდა მიეღო საჯარო რეესტრში ბინის ფართის რეგისტრაციის საკითხიც. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კი, ისევე, როგორც პირველ მაგალითში, კანონის თანახმად, სასამართლო ამ ფართს ვერ მიაკუთვნებდა განმცხადებელს მფლობელობითი ხანდაზმულობის საფუძველზე.

2. საკუთრების შეძენა მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილზე

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილებით დადგინდა გრიგოლ კალანდაძის მიერ ფინური ტიპის სააგარაკო სახლის საკუთრების უფლებით ფლობის ფაქტი. მატერიალური სამართლის ნორმა მოსამართლეს გადაწყვეტილებაში არ გამოუყენებია. საკუთრების შეძენის ფაქტი დადგინდა იმ საფუძველით, რომ კალანდაძე ოცდაათი წელი უწყვეტად ფლობდა საკუთარი სახსრებით, უნებართვოდ აშენებულ სახლს, რომელიც არც ერთი უწყების ბალანსზე არ იყო აყვანილი, და მასზე მიწის რეფორმის კომისიის მიერ გამოყოფილი იყო ის მიწის ნაკვეთი, რომლის ფარგლებშიც ზემოაღნიშნული ფინური ტიპის სახლი იყო მოქცეული.¹

¹ გადაწყვეტილებაზე საქმის ნომერი მითითებული არ არის.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საქმეზე გამორკვეული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისა და მატერიალური სამართლის ნორმის შეფარდების გარეშე გამოტანილი, რის გამოც გადაწყვეტილება სამართლებრივად დაუსაბუთებელია.

ამასთან, სასამართლოს არ უმსჯელია ფაქტობრივი თვალსაზრისით ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, იყო თუ არა კალანდაძე იმ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, რომლის ფარგლებშიც სააგარაკო სახლი იყო მოქცეული. მართალია, სასამართლომ გამოარკვია, რომ კალანდაძეს გამოეყო მიწის ნაკვეთი, მაგრამ არ მიუთითებია, თუ რა უფლება ჰქონდა მას ამ ნაკვეთზე, რის ნათლად გამორკვევასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა სახლზე საკუთრების უფლების დადგენისათვის. სამოქალაქო კოდექსის 171-ე მუხლის თანახმად, ნივთზე საკუთრების უფლება ვრცელდება ამ ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილებზე. ამასთან, კოდექსის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილი მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილებს მიაკუთვნებს შენობა-ნაგებობებს, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მიწასთან და არ არის გამიზნული დროებითი სარგებლობისათვის. აქედან გამომდინარე, ჩვენს შემთხვევაში სააგარაკო სახლი იმ მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელი ნაწილია, რომელიც კალანდაძეს გამოეყო. ამიტომ ნაკვეთზე საკუთრების უფლების შექმნის შემთხვევაში იგი სახლზეც მოიპოვებდა ამ უფლებას, ხოლო ხანდაზმულობის საფუძველზე კალანდაძისათვის სახლზე საკუთრების უფლების მინიჭება ვერ მოხდებოდა, სამოქალაქო კოდექსის 167-ე მუხლისა და 1507-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი საამისოდ აუცილებელი პირობების არარსებობის გამო.

უნდა აღინიშნოს უძრავი ნივთის რეგისტრაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებაში მოცემული დებულების უზუსტობის თაობაზეც. მოსამართლემ მიუთითა: „მოცემული გადაწყვეტილება წარმოადგენს ოზურგეთის ტექადრიცხვის ბიუროში ხსენებული ფართის განმცხადებლის სახელზე რეგისტრაციისა და გაფორმების საფუძველს“. ტექადრიცხვის ბიუროს ნაცვლად მოსამართლეს უნდა მიეთითებინა მიწის მართვის შესაბამისი რაიონული სამსახურის ქვედან-

აყოფი — რაიონის მიწის (უძრავი ქონების) რეგისტრატურის საჯარო რეესტრი, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 1514-ე მუხლის თანახმად, მიწის ნაკვეთების ყოველი ახალი შემძენის რეგისტრაცია 1997 წლის 25 ნოემბრიდან ხდება მიწის რეგისტრაციის სამსახურის სისტემაში არსებული საადგილმამულო წიგნის (საჯარო რეესტრის) სამსახურში. ამასთან, გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის უკვე მოქმედებდა „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 14 ნოემბრის კანონი, აგრეთვე „მიწის (უძრავი ქონების) სახელმწიფო რეგისტრაციის სამსახურის ჩამოყალიბებისა და საჯარო რეესტრის (საადგილმამულო წიგნის) ფორმულარების დამტკიცების შესახებ“ მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის 1998 წლის 10 იანვრის №2-5 ბრძანება, რომელთა შესაბამისად მიწისა და სხვა უძრავი ქონების მიმართ უფლებების რეგისტრაცია ხორციელდება საჯარო რეესტრში.

საკუთრების შექმნა მოძრავ ნივთებზე

1. საკუთრების შექმნა ხანდაზმულობით

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1999 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა განმცხადებელ გიორგი მალლაკელიძის მოთხოვნა ავტომანქანა „მოსკვიჩის“ შესაკუთრედ ცნობის თაობაზე. აღნიშნული ავტომანქანა მალლაკელიძეს გადასცა სერგეი მასხულოვმა ჯერ მინდობილობით, ხოლო შემდეგ — ნასყიდობით, საკუთრებაში, ზეპირი შეთანხმების საფუძველზე. მალლაკელიძის სახელზე ავტომანქანის კანონიერად გაფორმება ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ მასხულოვმა დატოვა საქართველოს ტერიტორია. სასამართლომ აღნიშნულ ავტომანქანაზე მალლაკელიძის საკუთრების უფლების ცნობას საფუძველად დაუდო ის გარემოება, რომ იგი ცხრა წელი კეთილსინდისიერად და უწყვეტად ფლობდა ნივთს, როგორც საკუთარს და, ამდენად, აკმაყოფილებდა სამოქალაქო კოდექსის 165-ე მუხლის მოთხოვნას ნივთზე საკუთრების შესაძენად¹.

¹ საქმის ნომერი გადაწყვეტილებაზე მითითებული არ არის.

მოცემულ შემთხვევაში ავტომანქანაზე საკუთრების ხანდაზმულობით შექენა შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის 165-ე მუხლის მოთხოვნებს, ვინაიდან სახეზეა მოძრავი ნივთის კეთილსინდისიერი მფლობელობა 5 წელზე მეტი დროის განმავლობაში, უწყვეტად, როგორც საკუთარს; საკუთრების შექენა ასევე შეესაბამება 1507-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნებს, რომლის გათვალისწინებით, მფლობელობითი ხანდაზმულობის საფუძველზე მოძრავ ნივთზე საკუთრების შექენის ვადა აითვლება 1998 წლის 23 ივლისიდან. მაგრამ სასამართლოს ამ უკანასკნელ საკითხთან დაკავშირებით არ უმსჯელია. მან ყურადღება გაამახვილა ხანდაზმულობით საკუთრების შექენის ვადის ათვლაზე 1990 წლიდან, როდესაც მაღლაკელიძეს ფაქტობრივად წარმოეშვა ავტომანქანაზე მფლობელობა და არა 1993 წლის 23 ივლისიდან, როგორც ამას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-4 ნაწილი. ამის გამო გადაწყვეტილების დასაბუთებულობა არ არის სრულყოფილი.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ანალოგიურად, მხედველობაში იქნა მიღებული მფლობელობის ვადის ათვლა მფლობელობის ფაქტობრივად წარმოშობის დროიდან და არა 1993 წლის 23 ივლისიდან ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებით, რომლითაც დადგინდა ავტომანქანის მისაბმელის – კონტეინერმზიდის საკუთრების უფლებით ფლობის ფაქტი. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში არც კანონის ნორმაზე მომხდარა მითითება.¹

გამოიკვეთა სხვაგვარი შემთხვევა, როდესაც მფლობელობის ფაქტი საფუძველად დაედო ნივთზე საკუთრების უფლების დადგენას. ქუთაისის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით დადგინდა ავთანდილ სულაბერიძის საკუთრების უფლება „ტოიოტა კამრის“ მარკის ავტომანქანაზე, რომელიც მან გამოისყიდა 1990 წელს ქ. ვლადივოსტოკში ოლეგ გოლუბჩიკოვთან დადებული იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე, საიჯარო ქირით ავტომანქანის ღირებულების დაფარვის გზით. საკუთრების

¹ გადაწყვეტილებაზე საქმის ნომერი მითითებული არ არის.

ფაქტის დადგენა სულაბერიძეს ესაჭიროებოდა შს სატრანსპორტო განყოფილებაში ავტომანქანის სათანადო წესით გასაფორმებლად. სასამართლომ აღნიშნული ფაქტი დაადგინა სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლზე დაყრდნობით, ნივთის მფლობელის ამ ნივთის მე-საკუთრედ მიჩნევის პრეზუმფციის საფუძველზე (საქმე №2/1930).

ამრიგად, ნივთის მფლობელის მესაკუთრედ მიჩნევის პრეზუმფცია, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლშია განმტკიცებული, მოსამართლემ ნივთზე საკუთრების შეძენის დადასტურების პირობად მიიჩნია, მაშინ, როდესაც ამ ნორმას სხვაგვარი დატვირთვა გააჩნია. კერძოდ, იგი მიზნად ისახავს მფლობელობის დაცვასა და სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ნდობაუნარიანობის უზრუნველყოფის მეშვეობით მათ შორის ურთიერთობის გაადვილებას. მას არა აქვს საკუთრების შეძენის ფაქტის დამადასტურებელი მნიშვნელობა, რამდენადაც მფლობელობის ფაქტის უკან ყოველთვის საკუთრება არ დგას. ამიტომ, ამ თვალსაზრისით, გადაწყვეტილება არასათანადოდ არის დასაბუთებული.

განმცხადებლის მიერ ავტომანქანის საკუთრების უფლებით ფლობის ფაქტის დადგენა შეიძლებოდა დაფუძნებოდა ხანდაზმულობით საკუთრების შეძენას, საამისოდ აუცილებელი პირობების არსებობის შემთხვევაში.

2. გ ა დ ა ც ე მ ა

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1999 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ფირმა „ჯისის“ წარმომადგენლის შალვა გუბელაძის მოთხოვნა, დადგინდა ფირმის ყოფილი პარტნიორის – აკაკი ბუაძის მიერ ფირმის ბალანსზე რიცხული და ფირმის ლიკვიდაციის შედეგად მისთვის გადაცემული სატვირთო ავტომანქანის საკუთრების უფლებით ფლობის ფაქტი. სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ფირმის წევრთა საერთო კრების დადგენილების საფუძველზე „მოხდა ამ ფირმის რეორგანიზაცია – იგი გაუქმდა და მისი საწესდებო ფონდი განაწილდა

წევრებზე თანაბრად, ხოლო ფირმის ბალანსზე რიცხული სატვირთო ავტომანქანა გადაეცა ფირმის ერთ-ერთ წევრს – ბუაძეს საკუთრებაში“. ბუაძემ ჩაიბარა ავტომანქანის ტექნიკური დოკუმენტაცია და შეუდგა მის ფლობას, მაგრამ საგზაო პოლიციის ორგანომ კრების ოქმი არ მიიჩნია ბუაძის მიერ ავტომანქანაზე საკუთრების შეძენის დამადასტურებელ საბუთად და ავტომანქანის გადაფორმებაზე უარი უთხრა. მატერიალური სამართლის კონკრეტულ ნორმაზე სასამართლოს არ მიუთითებია.¹

აღნიშნული გადაწყვეტილების ირგვლივ არაერთი შენიშვნა შეიძლება გაკეთდეს როგორც მატერიალური სამართლის ნორმებთან, ისე საპროცესო სამართლის ნორმებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება გამოტანილია არასათანადო განმცხადებლის მიერ შეტანილი განცხადების საფუძველზე და დადგენილია იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი დაინტერესებული პირის მიერ ამ ფაქტის დამადასტურებელი საბუთის ხელთ ქონის მიუხედავად. ამასთან ერთად, მოცემულ მაგალითში სასამართლოს არ გამოურკვევია და არ დაუზუსტებია გადაწყვეტილების გამოტანისათვის როგორც ფაქტობრივი, ისე მატერიალური სამართლის თვალსაზრისით მნიშვნელობის მქონე რიგი საკითხი. კერძოდ, სასამართლოს არ გამოურკვევია, თუ რა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა ჰქონდა ფირმა „ჯისის“; სასამართლოს ასევე ყურადღება არ მიუქცევია იმ გარემოებისათვის, რომ რეორგანიზაცია და გაუქმება (ლიკვიდაცია) არის არა იდენტური, არამედ სხვადასხვა სამართლებრივი მოვლენა, რომელსაც განსხვავებული სამართლებრივი შედეგები უკავშირდება და ა.შ.

სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის თანახმად, მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი. მოცემულ შემთხვევაში ირკვევა, რომ საზოგადოება „ჯისი“ იყო სატვირთო ავტომანქანის მესაკუთრე და ეს ავტომანქანა აყვანილი ჰყავდა თავის ბალანსზე. საზოგადოების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით მოხდა

¹ გადაწყვეტილებაზე საქმის ნომერი მითითებული არ არის.

საზოგადოების დარჩენილი ქონების განაწილება პარტნიორთა შორის საერთო კრების მიერ, რომელიც უფლებამოსილი იყო მოეხდინა ასეთი განაწილება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის თანახმად. საერთო კრების ოქმის დადგენილების შესაბამისად, ბუაძეს საკუთრებაში გადაეცა ავტომანქანა, რომელიც მან, საქმის მასალების მიხედვით, პირდაპირ მფლობელობაში ჩაიბარა. ე.ი. ბუაძეს ავტომანქანა საკუთრებაში გადაეცა ნამდვილი უფლების საფუძველზე, რაც აკმაყოფილებდა სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლით გათვალისწინებულ მოძრავ ნივთზე საკუთრების შექმნის პირობას და რასაც ადასტურებდა საერთო კრების ოქმი. ამიტომ სასამართლოს ამ შემთხვევაში უნდა ემსჯელა, საკმარისი საბუთი იყო თუ არა ბუაძის მიერ ავტომანქანაზე საკუთრების შექმნის დასადასტურებლად აღნიშნული ოქმი და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავად აღარ დაედგინა ეს ფაქტი ბუაძის მიერ სათანადო საბუთის ხელთ ქონის გამო.

3. მოძრავი ნივთის შეერთება უძრავ ნივთთან

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2000 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილებით დადგინდა საკუთრების უფლებით გივი მიშველაძის მიერ შენობის ფლობის ფაქტი. მატერიალური სამართლის ნორმა სასამართლოს არ გამოუყენებია. სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ აღნიშნული შენობა, რომელსაც მიშველაძე ოცდაათი წლის განმავლობაში ფლობდა, აშენდა მისი მასალით, სატრანსპორტო-საექსპლუატაციო საწარმოსათვის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე, ამ საწარმოს ადმინისტრაციის თანხმობით. მიუხედავად იმისა, რომ მიშველაძემ შენობა ააშენა საწარმოსათვის, შენობა არ აღრიცხულა საწარმოს ბალანსზე. გარკვეული დროის შემდეგ მოხდა ზემოაღნიშნული საწარმოს ლიკვიდაცია, ხოლო საწარმოს დარჩენილი ქონება აღრიცხვა მუნიციპალიტეტის ბალანსზე. მიშველაძის მიერ აგებული შენობა მუნიციპალიტეტის ბალანსზე არც ამ შემთხვევაში აყვანილა (საქმე №2/1207).

საკუთარი მასალით სხვის მიწაზე აგებული შენობის საკუთრების საკითხი მსგავსად არის გადაწყვეტილი ზუგდიდის რაიონული

სასამართლოს 1999 წლის 10 მარტისა და ამავე სასამართლოს 2000 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებებით (საქმეები №2/151, №2/210). ამ შემთხვევებშიც სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოებები, რომ შენობები აშენებული იყო განმცხადებლების ხარჯებით, არ იყო აყვანილი რომელიმე უწყების ბალანსზე და განმცხადებლები მათ წლების განმავლობაში ფლობდნენ. ივარაუდება, რომ მიწა, რომელზეც შენობები აიგო, სახელმწიფო საკუთრებაშია. სასამართლოს მატერიალური სამართლის ნორმაზე არც ამ შემთხვევებში მიუთითებია.

ზემოაღნიშნულ მაგალითებში სასამართლომ შენობებზე საკუთრების საკითხი მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების საკითხის გათვალისწინების გარეშე გადაწყვიტა, რაც მოცემულ შემთხვევებში აუცილებლად უნდა ყოფილიყო მხედველობაში მიღებული, ვინაიდან დადგენილია საკუთრების ფაქტი ისეთ შენობებზე, რომლებიც აშენებულია ერთი პირის მასალით და წარმოადგენს სხვა პირის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს. როგორც დავინახეთ, ამ შენობების მესაკუთრეებად სასამართლომ მასალის მესაკუთრეები ცნო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასამართლომ არ გაითვალისწინა სამოქალაქო კოდექსის 193-ე მუხლის მოთხოვნა, რომლის თანახმად, თუ მოძრავი ნივთი ისეა მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული, რომ იგი მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილი გახდა, მაშინ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე იმავდროულად ზდება ამ ნივთის მესაკუთრეც. ასევე არ არის გათვალისწინებული სამოქალაქო კოდექსის 171-ე მუხლის დებულება იმის თაობაზე, რომ ნივთზე საკუთრების უფლება ვრცელდება ამ ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილებზეც. ე.ი. კანონის თანახმად, მოცემულ შემთხვევებში შენობებზე საკუთრება შეიძინა მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ და არა მასალის მესაკუთრემ, როგორც სასამართლომ გადაწყვიტა.

ამასთან, შენობაზე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის საკუთრების უფლების ცნობის შემთხვევაში გასათვალისწინებელი იქნებოდა მიწის მესაკუთრის უსაფუძვლოდ გამდიდრების საკითხიც და მას უნდა

დაპკისრებოდა აშენებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება. თუმცა აქვე მხედველობაშია მისაღები, არსებობდა თუ არა შშენებლობაზე მიწის მესაკუთრის თანხმობა.

4. საკუთრების შექმნა უპატრონო მოძრავ ნივთზე

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1999 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ქ. ქუთაისის მერიის საფინანსო სამმართველოს განცხადება „მერსედეს ბენცი-600“ მარკის ავტომანქანის უპატრონოდ ცნობისა და მერიის საკუთრებაში მისი გადაცემის თაობაზე. აღნიშნული ავტომანქანა შს სამმართველოს თანამშრომლების მიერ ამოღებული იყო მერაბ თევზაძის ეზოდან, სადაც ის შესაკეთებლად იყო დატოვებული ემზარ შავლიაშვილის მიერ. დადგინდა, რომ შავლიაშვილი არ იყო ავტომანქანის მესაკუთრე და იძებნებოდა ჩადენილი დანაშაულისათვის, ხოლო ავტომანქანის მესაკუთრე ვერ დადგინდა. ამის გამო შს ორგანომ მიმართა ქალაქის მერიას ავტომანქანის, როგორც უპატრონო ქონების, ბალანსზე აყვანის შესახებ. მერიამ, თავის მხრივ, სასამართლო წესით მოითხოვა ავტომანქანაზე საკუთრების უფლების მინიჭება, რაც დაკმაყოფილდა (საქმე №2/1862).

მოცემული მაგალითის ანალოგიურად ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1999 წლის 16 ნოემბრის, 1999 წლის 11 ნოემბრის, 1999 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებებით დაკმაყოფილდა ქალაქის მერიის საფინანსო სამმართველოს განცხადებები „კადილაკ-ქარავანის“, „ფოლცვაგენის“, „კაზ-2106-ის“ მარკის ავტომანქანების უპატრონოდ ცნობისა და მერიის საკუთრებაში მათი გადაცემის თაობაზე (საქმეები №2/2040, №1862).¹

მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები გამოტანილია კანონის ნორმის არასწორი განმარტების საფუძველზე. კერძოდ, ჩვენი აზრით, არასწორად არის გაგებული უპატრონო ნივთის ცნება.

¹ 1999 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე საქმის ნომერი მოითხოვებული არ არის.

სამოქალაქო კოდექსის 190-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოძრავი ნივთი უპატრონოდ ითვლება, თუკი უწინდელი მესაკუთრე საკუთრებაზე უარის თქმის მიზნით ნივთის მფლობელობას მიატოვებს. ზემოაღნიშნულ შემთხვევებში ყურადღება არ მიექცა იმ გარემოებას, რომ ავტომანქანა არ არის ისეთი ნივთი, რომლის მფლობელობასაც ჩვენს სინამდვილეში მესაკუთრე თავისი ნებით მიატოვებს. ეს კი, თავის მხრივ, ნივთის უპატრონოდ ცნობას სადავოდ ხდის.

მოყვანილ არგუმენტაციასთან დაკავშირებით ურიგო არ იქნება მოვიხმოთ სამართლებრივ ლიტერატურაში ტრადიციულად დამკვიდრებული შეხედულება იმის თაობაზე, თუ რომელი ნივთები მიეკუთვნება უპატრონო ნივთს. რომის სამართალში ასეთად მიიჩნეოდა დაუფლებას დაქვემდებარებული ნივთი, რომელსაც არ ჰყავდა მესაკუთრე, მაგალითად, როგორც იყო გარეული ცხოველები, ფრინველები, თევზები მდინარესა და ტბებში და ა.შ. და ნივთი, რომელზეც მესაკუთრე უარს აცხადებდა, როგორც იყო ძველი, გადაგდებული ნივთები. თუ რომელი მიეკუთვნებოდა ამ უკანასკნელს, ამის თაობაზე არსებობდა შემდეგი პრეზუმფცია: თუკი პირი იპოვნიდა ძველ ან უვარგის ნივთს, შეეძლო ჩათევალა, რომ იგი მესაკუთრემ გადააგდო, ხოლო მეტნაკლებად ფასეული ნივთის პოვნის დროს ივარაუდებოდა, რომ ნივთი გადაგდებული კი არ იყო, არამედ — დაკარგული.¹ თანამედროვე კანონმდებლობები ამ საკითხში, ისევე, როგორც კერძო სამართლის მთელ რიგ კონცეპტუალურ საკითხებზე, რომის სამართლისეულ მიდგომას იზიარებენ.²

ნივთის მესაკუთრის ვინაობის დაუდგენლობა ასევე არ უნდა იყოს ამოსავალი უპატრონოდ ნივთის ცნობისათვის. ის გარემოება, რომ ნივთის მესაკუთრე ვერ მოიძებნა, არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ მესაკუთრემ უარი თქვა ამ ნივთზე და ეს ფაქტი არ შეიძლება ნივთის უპატრონოდ აღიარების საფუძველი გახდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, სასამართლოს არ უნდა ეცნო ავტომანქანა უპატრონო ნივთად.

¹ И. Б. Новицкий, Римское гражданское право, М., 1994, гл. 95-96.

² Гражданское и торговое право капиталистических государств, М., 1983, гл. 247.

სსპისი საკუთრებით შეზღუდული სარგებლობა

სხვისი საკუთრებით შეზღუდული სარგებლობა თანამედროვე ქართული სამოქალაქო სამართლისათვის ახალი ინსტიტუტია. სასამართლო პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ამ ინსტიტუტის რიგი ნორმების პრაქტიკაში გამოყენება გაძნელდა, რომელთა შორისაც ყურადღებას შევაჩერებთ პირად სერვიტუტზე. აღნიშნულ საკითხზე, ცალკეულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით, განვიხილავთ და გავაანალიზებთ ცალკეულ შემთხვევებს.

პირადი სერვიტუტი

თბილისის კრწანისი-მაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 25 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ირმა გიორგაძის სასარჩელო მოთხოვნა და განქორწინებული მეუღლის – ნოდარ იაშვილის კუთვნილი ბინიდან მცირეწლოვან შვილებთან ერთად სარგებლობის უფლებით გამოეყო საცხოვრებელი ფართი. გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ გიორგაძეს საკუთარი ბინა არ გააჩნდა და შვილებთან ერთად ცხოვრობდა მშობლების კუთვნილ ბინაში, სადაც განიცდიდა დიდ სიციწროვეს. ანალოგიურად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 1999 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ნინო შავაძის სასარჩელო მოთხოვნა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მოსარჩელეს მცირეწლოვან შვილთან ერთად სარგებლობის უფლებით ფართი გამოეყო ყოფილი მამამთილის კუთვნილი ბინიდან, სადაც ქორწინების პერიოდში ცხოვრობდა.

მსგავსი დავების ანალოგიურად გადაწყვეტის ფაქტები გვხვდება ბათუმის საქალაქო სასამართლოს 1999 წლის 27 ოქტომბრის, 1999 წლის 5 ნოემბრის, 1999 წლის 23 ივნისის, 1999 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებებში (საქმები №2-1411, №2-1423, №2-858; ბოლო საქმის ნომერი გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული) და ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №2/357), სადაც სასამართლო აკმაყოფილებს რძალსა და მის მცირეწლოვან შვილს მამამთილის

კუთვნილი ბინის ფართით, სარგებლობის უფლებით. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ზოგ შემთხვევაში რძალი ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში იმყოფება მეუღლესთან (ბათუმის საქალაქო სასამართლოს 1999 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება), ზოგ შემთხვევაში კი იგი რეგისტრირებულ ქორწინებაშია, მაგრამ აქვთ ოჯახური უთანხმოება (ბათუმის საქალაქო სასამართლოს 1999 წლის 5 ნოემბრის, 1999 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებები და ა.შ).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი: გადაწყვეტილებებიდან არ ჩანს, თუ რომელი სარგებლობის უფლებით გადაეცემა მოსარჩელეს სხვისი ნივთი, რაც ბუნდოვანს ხდის მოსარგებლის სამართლებრივ სტატუსს, მის უფლება-მოვალეობებს შესაკუთრის მიმართ ან, პირიქით. ამასთან ერთად, არც ერთ ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში მითითებული არ არის, მატერიალური სამართლის რომელი ნორმის საფუძველზე გადაწყდა დავა. საყურადღებოა ისიც, რომ არც დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში აღნიშნული, სარჩელში მითითებული გარემოებები მატერიალური სამართლის რომელი ნორმის საფუძველზე ამართლებს იურიდიულად სასარჩელო მოთხოვნას. აქედან გამომდინარე, უდავოა, რომ მოსამართლეთა დასკვნებს: „მიმაჩნია, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს“... „სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელესა და მის შვილს უფლება აქვთ იცხოვრონ სადავო სახლში“... „სასამართლო თვლის, რომ სარჩელი საფუძველიანია და უნდა დაკმაყოფილდეს“... და ა.შ. აკლია სასამართლოს მიერ საქმის გარემოებების კანონის შესაბამისად შეფასების დამაჯერებლობა.

რამდენადაც ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებებში მითითებული სარგებლობის უფლების სამართლებრივი ბუნებისა და მატერიალური სამართლის შესაბამისი ნორმის გამოყენების საკითხები მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, ამიტომ მათ ერთობლიობაში განვიხილავთ.

ჩვენ მიერ ზემოთ მითითებულ მაგალითებში მზარეებს შორის სამართლებრივი ურთიერთობა ჯერ კიდევ ახალი სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდეა წარმოშობილი. ამასთან, ისინი წარმოშობილ-

ია სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების გამო ძალადაკარგული ნორმატიული აქტის – ძველი საბინაო კოდექსის საფუძველზე. ამიტომ სასამართლოს სათანადო კანონის გამოყენების საკითხის გადასაწყვეტად, პირველ რიგში, სამართლის ნორმის დროში მოქმედების საკითხი უნდა გამოერკვია, რასაც ზემოაღნიშნულ შემთხვევებში ადგილი არ ჰქონია.

სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების გამო ძალადაკარგული ნორმატიული აქტების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება ძალადაკარგული ნორმატიული აქტები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ურთიერთობის მონაწილეებს სურთ ერთმანეთს შორის ურთიერთობა ახალი კოდექსით მოაწესრიგონ, ან, თუ სამოქალაქო კოდექსი უძრავი ნივთების შესახებ ახალ წესებს ითვალისწინებს. ამიტომ მოსამართლეს, კანონის თანახმად, მხარეებისათვის უნდა ეკითხა, სურდათ თუ არა სადავო ურთიერთობაში ახალი კანონის გამოყენება, რისთვისაც საჭირო იყო ორივე მხარის თანხმობა.¹ თუკი მხარეები სადავო ურთიერთობის მოსაწესრიგებლად ძველ კანონს აირჩევდნენ, ასეთ შემთხვევაში გამოყენებული უნდა ყოფილიყო ძველი საბინაო კოდექსი, კერძოდ, მისი 141-ე მუხლი, რომლის შესაბამისადაც, საცხოვრებელი სახლის მესაკუთრის ოჯახის წევრებს, რომლებიც მან ჩაისახლა კუთვნილ სახლში, ჰქონდათ მესაკუთრის თანაბრად სახლით სარგებლობის უფლება, თუ ჩასახლებისას არ ყოფილა დათქმული სხვა რამ და ეს უფლება შენარჩუნებას ექვემდებარებოდა მესაკუთრესთან ოჯახური ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც.

აქედან გამომდინარე, ზემოთ წარმოდგენილი გადაწყვეტილებები გამოტანილია ძველი საბინაო კოდექსის შესაბამისად.

რაც შეეხება ახალი კანონის გამოყენების საკითხს, ამისათვის, პირველ რიგში, სარგებლობის ზემოაღნიშნული უფლების სამართლებრივი ბუნება უნდა გამოვარკვიოთ.

1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსი არ იცნობდა სხვის ნივთზე უფლებების ძირძველ ინსტიტუტს. აღნიშნული კოდექსი მესაკუთრის უფლებამოსილებათა ტრიადიდან განყენებულად

¹ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბ., 2000, გვ. 536.

წარმოდგენილ სარგებლობაზე დამყარებულ ურთიერთობას რაიმე კონკრეტული სახელით არ მოიხსენიებდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობას ჰქონდა ადგილი. ძველი საბინაო კოდექსის ზემოხსენებული მუხლი ასევე არ აზუსტებდა, თუ, სახელდობრ, რა უფლება იგულისხმებოდა საცხოვრებელი სადგომით აღნიშნული სარგებლობის ფაქტის მიღმა.

ახალმა სამოქალაქო კოდექსმა სახელდებით და ამომწურავად განსაზღვრა სარგებლობის სანივთო-სამართლებრივი უფლებები – საკუთრება, სერვიტუტი, უზუფრუქტი, აღნაგობა. ეს უკანასკნელი სამი უფლება გულისხმობს არა საკუთარი, არამედ სხვისი ნივთით სარგებლობას. რაც შეეხება სარგებლობის ვალდებულებით-სამართლებრივ უფლებებს, ისინი შეიძლება დადგინდეს როგორც კანონით (ქირავნობა, იჯარა და სხვ.), ისე მხარეთა მიერ, ხელშეკრულების დადების საფუძველზე. ზემოაღნიშნული უფლებების სამართლებრივი ბუნება, ისევე როგორც მათი მოქმედების ფარგლები, განსხვავებულია. შესაბამისად, განსხვავებულია ამ უფლებათა მქონე პირის (მოსარგებლის) სამართლებრივი სტატუსი და უფლება-მოვალეობანი. ამიტომ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას, სარგებლობის ფაქტს საფუძველად უდევს სანივთო-სამართლებრივი თუ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა.

ჩვენ მიერ მითითებულ მაგალითებში მოსარჩელე მოითხოვს სხვა პირის საკუთრებაში (ყოფილი მეუღლის, მამამთილის) არსებული ბინის ნაწილის მისთვის სარგებლობაში გადაცემას. ასეთი გადაცემა მესაკუთრის მიერ თავისი საკუთრებით თავისუფალი სარგებლობის უფლებას აბრკოლებს. მაშასადამე, ადგილი აქვს მოსარჩელის მიერ სხვისი საკუთრებით ისეთ სარგებლობას, რაც მესაკუთრის საკუთრების უფლების შეზღუდვას იწვევს. რიგ შემთხვევაში ამას მესაკუთრე ეთანხმება (სარჩელის ცნობის შემთხვევაში), რიგ შემთხვევაში კი საკუთრების შეზღუდვა მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ დგინდება. ამგვარი ურთიერთობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ორგვარი ბუნებით შეიძლება ხასიათდებოდეს: სანივთო და ვალდებულებით-სამართლებრივით.

თუ გადავხედავთ აბსოლუტური და რელატიური უფლებების შესახებ სამართლებრივ შეხედულებებს, ამკარაა, რომ მოცემულ ურთიერთობას ჩვენს შემთხვევაში სანიუთო-სამართლებრივი ხასიათი უფრო მიესადაგება. ამ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას მოცემულ შემთხვევაში გვაძლევს ნიუთისადმი უფლებრივი მიმართების ხასიათი და შინაარსი. აქ ადგილი აქვს ისეთ სადავო ურთიერთობას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ნიუთით ხანგრძლივი და გარანტირებული სარგებლობა, მხარეთა შორის ურთიერთობისაგან დამოუკიდებლად. ამდენად, აქ ადგილი აქვს მოთხოვნას ნიუთზე ისეთი უფლების მოპოვების თაობაზე, რომელიც სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე, უფლებებზე უფრო ძლიერი და გარანტირებულია. ამასთან ერთად, ნიუთზე პირის ასეთი უფლებამოსილება მოცემულ შემთხვევებში მესაკუთრის ნების გარეშეც შეიძლება დადგინდეს. მაშასადამე, ადგილი აქვს არა სახელშეკრულებო, არამედ სხვაგვარ ურთიერთობას, რომელიც თავისი ბუნებიდან გამომდინარე, სანიუთო ხასიათისაა და რომელსაც სხვისი საკუთრებით შეზღუდული სარგებლობის სერვიტუტული უფლების — პირადი სერვიტუტის სამართლებრივი ბუნება მიესადაგება. სამოქალაქო კოდექსის 253-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ასეთი უფლებით ამა თუ იმ პირის სასარგებლოდ შეიძლება დაიტვირთოს უძრავი ნიუთი იმგვარად, რომ უფლებამოსილ პირს მესაკუთრის გამორიცხვით შეეძლოს შენობა ან ამ შენობის ნაწილი თავისთვის ან ოჯახისთვის გამოიყენოს ბინად. ასეთი უფლება, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სხვა პირებს არ გადაეცემა. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება ამგვარი ურთიერთობის პირად სერვიტუტად მიჩნევის თაობაზე¹.

ასევე პირადი სერვიტუტის შემთხვევად უნდა განვიხილოთ საანდერძო დანაკისრის საფუძველზე საცხოვრებელი სადგომით სამისდლეშო სარგებლობა, რაც სამოქალაქო კოდექსის 1385-1386-ე მუხლებით არის მოწესრიგებული. პირად სერვიტუტად უნდა მივიჩნიოთ ძველი საბინაო კოდექსის ზემოხსენებული 141-ე მუხლით გათვალისწინებული სარგებლობის უფლებაც, რომელიც მესაკუთრესთან ოჯახ-

¹ ბ. ზოიძე, სანიუთო სამართალი, თბ., 1999, გვ.6.

ური ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ სადგომით სარგებლობას გულისხმობს.

ბინადრობის უფლების მსგავს პირად სერვიტუტს იცნობს ევროპის ბევრი ქვეყნის კანონმდებლობა. საგულისხმოა, რომ რუსეთის ფედერაციის მოქმედ სამოქალაქო კოდექსში შენარჩუნებულია ძველი საბინაო კოდექსის 141-ე მუხლის მსგავსი დანაწესი ოჯახის წევრების მიერ მესაკუთრის ბინით სარგებლობის თაობაზე, რომელიც სანივთო სამართლის ნაწილშია მოთავსებული. სამართლებრივ ლიტერატურაში კი სარგებლობის ასეთ უფლებას სერვიტუტის ტიპის უფლებას მიაკუთვნებენ¹.

მართლაც, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში სხვისი ბინით სარგებლობის საკითხი ძირითადად გადაწყვეტილია ერთგვაროვნად, ზემოაღნიშნული მაგალითების მსგავსად, მაგრამ სასამართლო პრაქტიკის მასალების კვლევისას აღმოჩნდა შემთხვევაც, როდესაც მოსამართლემ პირად სერვიტუტზე მიუთითა. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოტანილია თელავის რაიონული სასამართლოს მიერ 2000 წლის 3 მაისს. გადაწყვეტილებით დედამთილ-მამამთილს უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნაზე ერთად ცხოვრების შეუძლებლობის გამო მათი კუთვნილი ბინიდან რძლის გამოსახლების შესახებ. სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილზე დაყრდნობით მართებულად მიიჩნია, რომ ძველი საბინაო კოდექსის თანახმად მოპასუხეს მოპოვებული ჰქონდა საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება, ვინაიდან სადავო ბინაში, როგორც ოჯახის წევრი, ცხოვრობდა 1990 წლიდან. ამასთან ერთად, სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 253-ე მუხლი და მიიჩნია, რომ „მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე გვაქვს პირად სერვიტუტთან“ (საქმე №2-111).

გადაწყვეტილება მოსარჩელების მიერ სააპელაციო წესით გასაჩივრდა თბილისის საოლქო სასამართლოში. აპელანტები ითხოვდნენ გადაწყვეტილების გაუქმებასა და ხელახლა განსახილველად საქმის იმავე სასამართლოში დაბრუნებას. სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2000 წლის 29 სე-

¹ У. Маттеи, Е.А. Суханов, Основные положения права собственности. М., 1999, с. 322.

ქტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელი დარჩა თელავის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 253-ე მუხლი პირადი სერვიტუტის შესახებ. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, „პირველი ინსტანციის სასამართლოს სხვისი საკუთრებით შეზღუდულ სარგებლობაზე მაშინ შეეძლო მიეთითებინა, თუ ეს მოხდებოდა მხარეთა ნების გათვალისწინებითა და სურვილით, ანუ პირადი სერვიტუტის გამოყენება მაშინ იქნებოდა მართებული, თუ აპელანტები ამის შესახებ თავიანთ ნებას გამოხატავდნენ, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ამიტომ სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აპელანტების საკუთრება პირადი სერვიტუტით ვერ იქნებოდა შეზღუდული, რადგან კანონმდებლობა არ ითვალისწინებს უძრავი ქონების იძულებით სერვიტუტს“ (საქმე №04ბ-298-2000).

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული მსჯელობა მნიშვნელოვან პრაქტიკულ საკითხს ეხება: შეიძლება თუ არა პირადი სერვიტუტის დადგენა მესაკუთრის სურვილის საწინააღმდეგოდ, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელია პირადი სერვიტუტის სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით. იგი სანივთო უფლებაა, ე.ი. აბსოლუტური უფლება. ვალდებულებით-სამართლებრივი ანუ შეფარდებითი უფლებებისაგან განსხვავებით, აბსოლუტური უფლებების შინაარსი ძირითადად კანონის ნორმატიული ნებით განისაზღვრება. ამიტომ არის, რომ სანივთო უფლებათა წრე „numerus clausus“ პრინციპითაა შემოფარგლული, ხოლო ვალდებულებით-სამართლებრივი უფლებების რაოდენობა არ არის შეზღუდული. ვალდებულებით სამართალში მოქმედებს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი. ამიტომ მხარეები თავისუფლად განსაზღვრავენ დადონ თუ არა ესა თუ ის ხელშეკრულება. სანივთო სამართალში კი, სადაც ძირითადად კანონის ნორმატიული ნება ბატონობს, სახელშეკრულებო თავისუფლება სერიოზული შეზღუდვებით ხასიათდება¹. ამიტომ ამ უფლებების

¹ ბ. ზოიძე, სანივთო სამართალი, თბ., 1999. გვ.6.

დადგენა შესაძლებელია მხარის ნების გარეშეც, მხოლოდ აუცილებლობით გამოწვეულ, განსაკუთრებულ შემთხვევებში.

ქართული სამართლებრივი ლიტერატურა შესაძლებლად მიიჩნევს პირადი სერვიტუტის დადგენას სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე¹. საყურადღებოა, რომ ევროპის ქვეყნების, მაგალითად, გერმანიის სამართალი იცნობს სერვიტუტული უფლებების (საჭირო გზის უფლების), სასამართლოს მიერ დადგენის შესაძლებლობას².

ამდენად, ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილებით პირადი სერვიტუტის დადგენა სააპელაციო პალატას შესაძლებლად უნდა მიეჩნია.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ რძალი, ჩვეულებრივ, დედამთილ-მამამთილის კუთვნილ ბინაში ცხოვრობს ოჯახის წევრის ისეთივე უფლებით, როგორც მისი მეუღლე ცხოვრობს მშობლების სახლში. საკითხი კი პირადი სერვიტუტის დადგენის შესახებ შეიძლება დააყენოს ერთ-ერთმა მხარემ.

სასამართლო პრაქტიკაში სხვისი სახლით სარგებლობის უფლებით დატვირთვა პირადი სერვიტუტის ყველაზე გავრცელებული შემთხვევაა. თუმცა სასამართლო პრაქტიკა ასევე იცნობს შემთხვევას, როდესაც სარგებლობით იტვირთება სხვისი მიწის ნაკვეთი. მაგალითად, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით განქორწინებული მეუღლის საკუთრებაში არსებული ბინიდან ცოლს საცხოვრებელ ფართთან ერთად გამოეყო მიწის ნაკვეთი საბოსტნე დანიშნულებით (საქმის ნომერი არ არის მითითებული).

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ პირადი სერვიტუტის დადგენა სასამართლოს მიერ უნდა მოხდეს მხოლოდ აუცილებლობით გამოწვეულ განსაკუთრებულ შემთხვევაში, ამასთან, როგორც შესაკუთრის პირობებისა და შესაძლებლობების, ისე იმ გარემოების გათვალისწინებით, აქვს თუ არა სხვა საცხოვრებელი ფართობი პირს, რომელსაც პირადი სერვიტუტი უნდა დაუდგინდეს.

¹ ბ. ზოიძე, სანიუთო სამართალი, თბ., 1999, გვ.179.

² ლ. კანტურია, უძრავი ნივთების საკუთრება, მეორე გამოცემა, თბ., 2001, გვ. 201

საკუთრება როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება

გირავნობა. იპოთეკა

გირავნობისა და იპოთეკის თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილებების შესწავლამ გვიჩვენა, რომ საერთო სასამართლოებში ამ საქმეთა გადაწყვეტის სწორი პრაქტიკაა დამკვიდრებული. ძირითადად გავრცელებულია დავები მოთხოვნის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული სახლის (მისი ნაწილის) რეალიზაციის თაობაზე. ამ შემთხვევაში სასამართლოები სწორად ხელმძღვანელობენ სამოქალაქო კოდექსის 286-ე, მე-400, 300-301-ე მუხლებით (ბორჯომის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №2/360, თელავის რაიონული სასამართლოს 1999 წლის გადაწყვეტილება საქმეზე №2/52, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2000 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2000 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №2-161, ქუთაისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება, თელავის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 31 ოქტომბრის №2/306 გადაწყვეტილება). მაგრამ ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლამდე დადებული უძრავი ქონების გირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავების გადაწყვეტისას ზოგჯერ არასწორად არის გამოყენებული კანონის ნორმა, თუმცა გადაწყვეტილება კანონის შესაბამისადაა გამოტანილი. კერძოდ, გირავნობით დატვირთული ბინის აუქციონზე გაყიდვის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებისას მოსამართლე ზოგიერთ შემთხვევაში ხელმძღვანელობს გირავნობის თაობაზე სამოქალაქო კოდექსის 272-ე, 274-ე, 278-ე მუხლებით. ვინაიდან უძრავი ქონების გირავნობის ძველ სამართლებრივ ურთიერთობას დღეს შეესაბამება იპოთეკა, ამიტომ ზემოაღნიშნულ შემთხვევებში გამოყენებული უნდა ყოფილიყო იპოთეკის და არა გირავნობის ნორმები. აქვე აღსანიშნავია, რომ არცთუ იშვიათად სასამართლოების გადასაწყვეტია ახალი კოდექსის ამოქმედების შემდეგ დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავები, სადაც გირავნობის საგანი უძრავი ნივთია. თუ

როგორ უნდა მოხდეს ასეთი ხელშეკრულების გაგება, ამის თაობაზე კარგად განმარტა უზენაესმა სასამართლომ 2001 წლის 28 თებერვლის №3კ-150 განჩინებაში: „სადავო ხელშეკრულებიდან ირკვევა, რომ გ.ბ.-შვილმა მისი კუთვნილი უძრავი ნივთი, საცხოვრებელი სახლი გამოიყენა (დატვირთა) მის მიერ აღებული ვალის დაფარვის უზრუნველსაყოფად ისე, რომ კრედიტორს მიეცა უფლება, მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთიდან. ეს არის იპოთეკის არსებითი პირობები. სადავო გარიგების შინაარსიდან ირკვევა, რომ ეს არის იპოთეკის ხელშეკრულება და მისი არსი არ შეიძლება დადგინდეს მართოდენ მისი სათაურის სიტყვასიტყვითი აზრიდან. ამ შემთხვევაში ზუსტად დგინდება გარიგების შინაარსი. გარიგება არ არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არც გარეგნული გამოხატვიდან, არც სხვა გარემოებებიდან არ შეიძლება ზუსტად დადგინდეს გარიგების შინაარსი (სამოქალაქო კოდექსის 53-ე მუხლი)“.

გამოიკვეთა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მოსამართლე არ უთითებს კანონს, თუმცა დავას სწორად წყვეტს. განსაკუთრებით ხშირია ასეთი მაგალითები დაუსწრებელ გადაწყვეტილებებში, როდესაც სარჩელი კმაყოფილდება მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო (თელავის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №2/143, ამავე სასამართლოს 2000 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/281, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2000 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/1197). ასეთ გადაწყვეტილებაში მართებულია მითითებულ იქნეს მატერიალური სამართლის ნორმაზეც, რომლის საფუძველზეც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად სასამართლომ უნდა ჩათვალოს, რომ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

არის შემთხვევაც, როდესაც კრედიტორის განცხადების საფუძველზე გამოტანილია გადაწყვეტილება იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შესახებ, მაგრამ არ არის მითითებული, რა ფორმით განხორციელდეს რეალიზაცია. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში რეალიზაცია უნდა მოხდეს აუქციონზე იძულებითი გაყიდვის გზით, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის პირველი ნაწი-

ლის თანახმად, აუქციონისაგან განსხვავებული რეალიზაციის სხვა ფორმის დადგენა სასამართლოს შეუძლია მესაკუთრისა და კრედიტორის ერთობლივი განცხადებით. იპოთეკის საგნის რეალიზაციის ასეთი „სხვა ფორმის“ მაგალითი, რომელიც სასამართლო პრაქტიკაში აღმოჩნდა, არის კრედიტორისა და მოვალის მორიგება იმგვარად, რომ მოვალე გაქვითავს კრედიტორთან ვალდებულებას ისე, რომ კრედიტორი ხდება იპოთეკის საგნის მესაკუთრე, ხოლო მოვალე თავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან (ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/145). ასეთივე „სხვა ფორმა“ აგრეთვე იპოთეკარისათვის ნივთის მიყიდვა (ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2000 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №2/193).

გამოიკვეთა შემთხვევაც, როდესაც მოსამართლე სასამართლო პრაქტიკაში ამკვიდრებს ახალ ტერმინს. კერძოდ, იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის აღსანიშნავად გამოყენებულია „იპოთეკური ვალი“. მაგალითად, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2000 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში (საქმე №2/1215) აღნიშნულია: „ა.-ს სარჩელი ლ.-ს მიმართ დაკმაყოფილდეს. განხორციელდეს იპოთეკით დატვირთული საცხოვრებელი სახლის გამოყოფილი ნაწილის, მდებარე ქუთაისში... რეალიზაცია, ხოლო რეალიზაციის შედეგად ამოღებული სახსრებით დაკმაყოფილდეს იპოთეკური ვალი“.

სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლამდე დადებული უძრავი ქონების გირაუნობის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავებზე გამოყენებულია სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის 6-წლიანი ვადა, როგორც ეს ახალი სამოქალაქო კოდექსით არის გათვალისწინებული¹ (ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2000 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2000 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №2-146, ამავე სასამართლოს 2000 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №2-2, 2000 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №2-23).

¹ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მეხუთე. თბ.. 2000. გვ. 537-538.

II ნაწილი

ფულადი ვალდებულებები

1. სასაქონლო პროცენტის ბათილობა ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის ბანაკვითთან შეუსაბამობის შემთხვევაში

თანამედროვე ქართული სასამართლო პრაქტიკა გამოიჩინა იმ მიდგომათა მრავალფეროვნებით, რომელიც სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოიყენება სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხით სარგებლობისათვის გადასახდელი პროცენტის ოდენობის განსაზღვრისას. კერძოდ, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ხშირ შემთხვევაში სათანადო ყურადღება არ ექცევა ან გარკვეულწილად არასწორად განიმარტება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მოთხოვნები, რომელიც გარკვეულ ჩარჩოებში აქცევს ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა მიერ სესხით სარგებლობისათვის გადასახდელი პროცენტის ოდენობის განსაზღვრას. ამასთან, აღნიშნული მუხლის განმარტებისას ხშირ შემთხვევაში არ ხდება იმ სამართლებრივი განსხვავებების დაფიქსირება, რაც დამახასიათებელია ამ მუხლით რეგულირების სფეროსა და სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლით მოწესრიგებულ ურთიერთობებს შორის. არადა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე და 403-ე მუხლები თავისი სამოქალაქო-სამართლებრივი დატვირთვით წარმოადგენს აბსოლუტურად განსხვავებულ სამართლებრივ ნორმებს, რაც გამორიცხავს მათ იდენტურ გამოყენებას. ამიტომ ამ ნორმების ერთმანეთისაგან გამიჯვნა და კონკრეტული სამართალურთიერთობის სწორი კვალიფიკაცია თანამედროვე სასამართლო პრაქტიკის ერთ-ერთი სერიოზული და მნიშვნელოვანი პრობლემაა. აღნიშნულის თაობაზე განვიხილოთ ზოგიერთი მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან, რაც შეგვიქმნის უფრო ნათელ წარმოდგენას რეალურად არსებულ ვითარებაზე და, ამასთან, გამოვყოთ ის ძირითადი დებულებები, რომელიც განაზოგადებს კონკრეტული სახის სამართალურთიერთობებს.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 2 თებერვლის

გადაწყვეტილებით (საქმე №2/455) დაკმაყოფილდა მოსარჩელე მამია გიორგობიანის სასარჩელო განცხადება მოპასუხე დოდო ჭანიას მიმართ სესხის ძირითადი თანხისა და პროცენტის სახით 800 ლარის დაკისრების თაობაზე.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. კერძოდ, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მოსარჩელემ მოპასუხეს სესხად მისცა 200 ლარი ყოველთვიური 20% სარგებლის გადახდით. მოპასუხემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულა მხოლოდ ნაწილობრივ, რის გამოც მოსარჩელემ სარჩელით მიმართა სასამართლოს სესხის ძირითადი თანხისა და გადაუხდელი პროცენტის ანაზღაურების მოთხოვნით. ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა ისე, რომ არც იმსჯელა სესხის პროცენტის ოდენობისა და მისი დარიცხვის სამართლიანობაზე. კერძოდ, სასამართლომ უხეშად დაარღვია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მოთხოვნები, რომლის თანახმად, მართალია, სესხისათვის მხარეებმა შეიძლება გაითვალისწინონ პროცენტი, მაგრამ ის გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნული ბანკის ან ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ წესის დარღვევით მხარეთა მიერ პროცენტის შესახებ დადებული შეთანხმება ბათილია.

სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის განაკვეთი სესხით სარგებლობის პერიოდისათვის შეადგენდა საშუალოდ ყოველთვიურად 2.8%-ს. ეს კი ვერ ჩაითვლება გონივრულ შესაბამისობაში იმ საპროცენტო განაკვეთთან – 20%-თან, რაც მხარეთა მიერ დაფიქსირებული იყო სესხის ხელშეკრულებაში. ამიტომ სესხის ხელშეკრულება პროცენტის შეთანხმების ნაწილში სასამართლოს უნდა ჩაეთვალა ბათილად და მისი ოდენობა მოეყვანა გონივრულ შესაბამისობაში ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის ზღვრულ განაკვეთთან მიმართებაში.

მოცემული მაგალითის ანალოგიურად ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე №2/79-2001) დაკმაყოფილდა მოსარჩელე ბადრი უგულავას სარჩე-

ლი მოპასუხეების – მერაბ შონიასა და ლალი კარტოზიას მიმართ სესხის ძირითადი თანხისა და პროცენტის სახით 16300 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე, იმ განსხვავებით, რომ სასამართლოს მიერ მოპასუხეების გამოუცხადებლობის გამო გამოტანილ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

რიონული სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილებაც ხასიათდება მსგავსი სამართლებრივი ხარვეზით. კერძოდ, დავის საგანს წარმოადგენდა სესხის ძირითადი თანხის – 5000 აშშ დოლარისა და სესხის სარგებლობისთვის ყოველთვიური 20% -ის სახით 11300 აშშ დოლარის ანაზღაურება. მოპასუხეების გამოუცხადებლობის გამო სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის სრულად დაკმაყოფილების თაობაზე, რაც მოცემულ შემთხვევაში მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს. მართალია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც სასამართლო უწყება ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული გარემოებები დამტკიცებულად ითვლება, მაგრამ ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად სარჩელი დაკმაყოფილდება, თუ მასში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, რასაც ჩვენს შემთხვევაში არ ჰქონია ადგილი. მხარეთა მიერ სესხის ხელშეკრულებისთვის გათვალისწინებული ყოველთვიური 20%-იანი განაკვეთი ვერ ჩაითვლებოდა როგორც გონივრულ შესაბამისობაში არსებული ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონზე დადგენილი განაკვეთის ზღვრულ ოდენობასთან და ამიტომ მოპასუხეების გამოუცხადებლობის მიუხედავად, სასამართლოს მთავარ სხდომაზე ნაწილობრივ უარი უნდა ეთქვა მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე პროცენტის მოთხოვნის ნაწილში.

სასამართლო პრაქტიკის ზემოთ აღნიშნული მაგალითების განხილვისას ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ პრაქტიკაში სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის გამოყენების შემთხვევაში ლოგიკურად ისმის კითხვა: თუ მხარეთა შეთანხმება პროცენტის გან-

საზღვრის ნაწილში სასამართლოს მიერ ჩაითვლება ბათილად, უნდა მოხდეს კი სესხის ძირითად თანხაზე რაიმე პროცენტის დარიცხვა, ანუ როგორ უნდა განიმარტოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მეორე წინადადება, რომელიც შეუსაბამოდ მაღალი პროცენტის შესახებ შეთანხმების ბათილობას ეხება. ხომ არ ნიშნავს აღნიშნული, რომ პროცენტის ნაწილში მხარეთა შეთანხმების ბათილობის შემთხვევაში არ უნდა მოხდეს სესხის ძირითად თანხაზე საერთოდ პროცენტის დარიცხვა. რა თქმა უნდა, არა. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტის შემცირების აუცილებლობას საქართველოს ეროვნული, ბანკის ან ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონზე დადგენილ ზღვრულ განაკვეთთან გონივრულ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით და არა საერთოდ პროცენტზე უარის თქმას. სასამართლოს მიერ სესხის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დასარიცხი პროცენტის ოდენობის შემცირება ვერ ჩაითვლება როგორც შეუსაბამო 625-ე მუხლის დისპოზიციასთან, რადგან სასამართლოს მიერ შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთის შემცირება ამავე დროს ნიშნავს საპროცენტო განაკვეთზე მხარეთა შეთანხმების ბათილობას, რასაც კიდევაც ითვალისწინებს 625-ე მუხლი. რაც შეეხება სასამართლოს მიერ თავისი ინიციატივით საპროცენტო განაკვეთის შემცირებას, აღნიშნული უნდა ჩაითვალოს მისაღებად, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, კერძოდ, პროცენტზე საერთოდ უარის თქმა, აშკარად იქნება კრედიტორის ინტერესების შელახვა, რაც მიუღებელია სამოქალაქო ბრუნვის ძირითადი პრინციპის – სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს ორივე შემთხვევაში უნდა გაეთვალისწინებინა სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მოთხოვნები და შეემცირებინა მოვალეზე დაკისრებული პროცენტის ოდენობა გონივრულ ფარგლებამდე.

2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დასარიცხი პროცენტის გამოყენების დაუშვებლობა ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების პერიოდისათვის

ქ. თბილისის ისან-სამგორის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №2/1044) დაკმაყოფილდა მოსარჩელე თამაზ ხვედელიძის სარჩელი მოპასუხეების იამზე და ეთერ ბერულავებისა და ემზარ პაპავას მიმართ სესხის ძირითადი თანხის 1500 აშშ დოლარისა და ყოველთვიური პროცენტის სახით 2250 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე.

ქ. თბილისის ისან-სამგორის რაიონული სასამართლოს მიერ აღნიშნული გადაწყვეტილება გამოტანილია კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით. კერძოდ, როგორც საქმის გარემოებებიდან ირკვევა, მოსარჩელესა და მოპასუხეებს შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება ექვსი თვის ვადით სესხით სარგებლობისათვის ყოველთვიური 10%-ის დარიცხვით. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ მოპასუხეების მიერ სესხის თანხა არ იქნა დაბრუნებული, რის გამოც კრედიტორმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხეების მხრიდან როგორც ძირითადი თანხის, ასევე სესხის სარგებლობის მთელი პერიოდისათვის (17 თვე) შესაბამისი პროცენტის ანაზღაურება, რაც სასამართლოს მიერ სრულად დაკმაყოფილდა. შედეგად სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო კოდექსის როგორც 625-ე, ასევე 403-ე მუხლების მოთხოვნები. კერძოდ, დააკისრა რა მოვალეს ყოველთვიური პროცენტის სახით 2250 აშშ დოლარის ანაზღაურება, სასამართლომ არავითარი დასაბუთება და სამართლებრივი შეფასება არ მისცა თვით პროცენტის ყოველთვიურ ოდენობას და მის შესაბამისობას ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის ზღვრულ ოდენობასთან. აქედან გამომდინარე, პროცენტის შეთანხმების ნაწილში სესხის ხელშეკრულების ბათილობისა და მისი ოდენობის შემცირების ნაცვლად სასამართლომ სრულად გაიზიარა მოსარჩელის მოთხოვნები, და ეს მაშინ, როდესაც აშკარაა სახელშეკრულებო პროცენტის განაკვეთის შეუსაბამობა ბანკთაშორისი საკრედი-

ტო აუქციონის განაკვეთის ოდენობასთან, რომელიც ხელშეკრულების მოქმედების პერიოდისათვის საშუალოდ თვეში შეადგენდა 3%-ს. ამასთან, სასამართლომ სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის მოქმედება გაავრცელა ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ პერიოდზეც, რაც სამართლებრივი თვალსაზრისით დაუშვებელია. სესხის ხელშეკრულების ბუნებიდან გამომდინარე, ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა მიერ შეთანხმებული კონკრეტული საპროცენტო განაკვეთი გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების დროის პერიოდისათვის. მას შემდეგ კი, რაც მოვალის მხრიდან ადგილი ექნება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტს, რაც გამოიხატება სესხის თანხის დაბრუნების ვადის გადაცილებაში, სესხის ძირითად თანხას მოყოლებული ვალდებულების დარღვევის დროის მომენტიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის შესაბამისად დაერიცხება მხოლოდ კანონით განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთი და არა მხარეთა მიერ სესხით სარგებლობისათვის ხელშეკრულებით შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთი. ამიტომ ისან-სამგორის რაიონულ სასამართლოს აღნიშნული კონკრეტული დავის გადაწყვეტისას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ჯერ ბათილად უნდა ეცნო ხელშეკრულების მონაწილეთა მიერ შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთი და მოეყვანა იგი გონივრულ შესაბამისობაში ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის ზღვრულ ოდენობასთან და მხოლოდ ამის შემდეგ სესხის ძირითად თანხაზე ვალდებულების დარღვევის მომენტიდან უნდა დაერიცხა არა მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ან თუნდაც უკვე შემცირებული და ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის ზღვრულ ოდენობასთან გონივრულ შესაბამისობაში მოყვანილი განაკვეთი, არამედ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად კანონით განსაზღვრული საპროცენტო სარგებელი.

3. კანონით დასარიცხი პროცენტის სიდიდის ბანსაზღვრა მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების პერიოდისათვის

ქ. თბილისის ისან-სამგორის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით (საქმე №2/385) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოსარჩელე როინ ნიჟარაძის სასარჩელო განცხადება მოპასუხე ვალერი ბარამიძის მიმართ სესხის ძირითადი თანხის 900 აშშ დოლარისა და დასარიცხი პროცენტის 1260 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე. რაიონული სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხის მიერ აპელაციის წესით გასაჩივრდა თბილისის საოლქო სასამართლოში, რომლის 2000 წლის 18 ივლისის განჩინებით რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. საოლქო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხე მხარემ საქართველოს უზენაეს სასამართლოში შეიტანა საკასაციო საჩივარი, რის საფუძველზეც გაუქმდა საოლქო სასამართლოს განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. კერძოდ, როინ ნიჟარაძის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მოპასუხეს – ვალერი ბარამიძეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სესხის ძირითადი თანხის 900 აშშ დოლარისა და პროცენტის 356,58 აშშ დოლარის ანაზღაურება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს. როგორც საქმის გარემოებებიდან ირკვევა, მხარეებს შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება, რომლის თანახმად მოსარჩელემ მოპასუხეს ერთი თვის ვადით სესხად მისცა 900 აშშ დოლარი თვიური 10%-იანი სარგებლის დარიცხვით. მოპასუხის მიერ სესხის დაბრუნების ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს, რომელმაც დააკმაყოფილა რა მისი მოთხოვნა სესხის ძირითადი თანხის სახით 900 აშშ დოლარის მოპასუხეზე დაკისრების ნაწილში, პროცენტის ნაწილში მხარეთა შეთანხმებული 10%-იანი განაკვეთი შეამცირა 6%-მდე, რადგან როგორც გადაწყვეტილებაშია აღნიშნული, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სესხისათვის დადგენილი ზღვრული განაკვეთი შეადგენდა 6%-ს, თუმცა

გაურკვეველია ეროვნული ბანკის რომელ განაკვეთზეა სასამართლოს მხრიდან საუბარი, რომლის გათვალისწინებით რაიონულმა სასამართლომ მოპასუხეს პროცენტის სახით დააკისრა 756 აშშ დოლარის გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილება გაუქმდა უზენაესი სასამართლოს ახალი გადაწყვეტილებით, რომელმაც იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მოთხოვნებით აღნიშნა, რომ 1999 წელს ბანკათშორისი საკრედიტო აუქციონზე დადგენილი განაკვეთის ზღვრული ოდენობა 30-დღიან სესხებზე შეედგენდა წლიურ 34%-ს ანუ ყოველთვიურ 2,83%-ს, რის გამოც რაიონული სასამართლოს მიერ მოპასუხეზე დაკისრებული ყოველთვიური 6%-იანი განაკვეთი ვერ ჩაითვლებოდა გონივრულ შესაბამისობაში ბანკათშორისი საკრედიტო აუქციონზე დადგენილი განაკვეთის ზღვრულ ოდენობასთან. ამიტომ ვალერი ბარამიძეს პროცენტის სახით დაეკისრა სრულ 14 თვეზე 900 აშშ დოლარის ყოველთვიური 2,83%-ის ანაზღაურება, რაც ჯამში შეადგენდა 356,58 აშშ დოლარს.

უზენაესმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მოთხოვნები, რაც სამართლებრივი თვალსაზრისით მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება გავიზიაროთ. კერძოდ, პირველ რიგში, უნდა მომხდარიყო მხარეზე დასარიცხი ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთის ღირებულების დადგენა ორი სახის კატეგორიად. პირველ კატეგორიაში შედის ის საპროცენტო განაკვეთი, რომელიც სესხის ძირითად თანხას უნდა დაერიცხოს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, რომლის ბანკათშორისი საკრედიტო აუქციონის ზღვრულ ოდენობასთან გონივრულ შესაბამისობაზეა საუბარი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლში; ხოლო მეორე კატეგორიაში შედის ის საპროცენტო განაკვეთი, რომლის ოდენობაზეც საუბარია სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლში. ეს უკანასკნელი სესხის ძირითად თანხას დაერიცხება ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების მომენტიდან ფაქტობრივად თანხის დაბრუნების მომენტამდე. აქედან გამომდინარე, უზენაეს სასამართლოს 625-ე მუხლის მოთხოვნები უნდა გამოეყენებინა სესხის ხელშეკრულების მოქმედების ერთთვიანი პერიოდის მიმართ, რის შემდეგაც უნდა დაყრდნობოდა 403-ე

მუხლის მოთხოვნებს. სასამართლომ კი ჯერ 625-ე მუხლის მოთხოვნები მიუსადაგა ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემდგომ პერიოდს, რასაც მოცემული ნორმა არ ითვალისწინებს და მეორე, დაეყრდნო რა აღნიშნულ ნორმას, არასწორად განმარტა მისი მოთხოვნები თვით პროცენტის ოდენობის დადგენის კუთხით, როდესაც ყოველგვარი რაოდენობრივი ცვლილების გარეშე პირდაპირ გამოიყენა ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის განაკვეთი, მაშინ, როდესაც კანონმდებელი საუბრობს ყოველთვიური პროცენტის გონივრულ შესაბამისობაზე და არა მყარ საპროცენტო განაკვეთზე. ამასთან, სწორად გამოიყენა რა ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის განაკვეთი ვადაგადაცილების მთელ დარჩენილ 13-თვიან პერიოდზე, აღნიშნულის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა ისევ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე და არა 403-ე მუხლი. ანუ ფაქტობრივად სასამართლოს მიერ არ იქნა დაფიქსირებული ის სამართლებრივი განსხვავება, რომელიც საფუძვლად უდევს, ერთი მხრივ, სახელშეკრულებო და, მეორე მხრივ, კანონით განსაზღვრული პროცენტების ბუნებას, რის გამოც აღნიშნული გადაწყვეტილება იურიდიული თვალსაზრისით არასწორია.

ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე № 2/132) დაკმაყოფილდა მოსარჩელე დიმიტრი კახიანის სარჩელი მოპასუხე მანანა ქარუმიძის მიმართ სესხის ძირითადი თანხის 2000 აშშ დოლარისა და ყოველთვიური პროცენტის 1000 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე.

სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება საკითხის გადაჭრის მატერიალური თვალსაზრისით არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს. კერძოდ, როგორც საქმის გარემოებებიდან ირკვევა, მხარეებს შორის 1997 წლის 22 ოქტომბერს ხუთი თვის ვადით დაიდო სესხის ხელშეკრულება ყოველგვარი პროცენტის დარიცხვის გარეშე. ხელშეკრულების მოქმედების ვადა მოვალის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობის გამო გაგრძელებულ იქნა 1998 წლის 25 სექტემბრამდე სესხით სარგებლობისათვის უკვე ყოველთვიური 7,5%-ის გადახდის პირობით. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრ-

ძელების მიუხედავად, მოვალემ სესხის დაბრუნების ვალდებულება არ შეასრულა, რის გამოც კრედიტორმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სესხის ძირითადი თანხის 2000 აშშ დოლარისა და პროცენტის 1000 აშშ დოლარის ანაზღაურება, რაც სასამართლოს მიერ სრულად დაკმაყოფილდა.

როგორც სასამართლოს გადაწყვეტილებაშია აღნიშნული, მხარეზე პროცენტის დაკისრების მოსამართლის ძირითად არგუმენტს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლი, რომლის გამოყენება მოცემულ შემთხვევაში მიუღებელია, რადგან მოსარჩელის მოთხოვნა ეხება მოპასუხე მხარეზე არა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დასარიცხი პროცენტის ოდენობას, არამედ პროცენტს დასარიცხს სწორედ მოვალის მიერ შესრულების ვადის გადაცილების პერიოდისათვის, რომლის დროსაც პროცენტის დარიცხვის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი. ამასთან, ვერ დავეთანხმებით მოსამართლის შეფასებას დასარიცხი პროცენტის განაკვეთის განსაზღვრაში. კერძოდ, როგორც გადაწყვეტილებაშია მითითებული, 1998-2000 წლებში ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონზე დაფიქსირებული თვიური საპროცენტო განაკვეთი საშუალოდ შეადგენდა 3%-ს. ამიტომ სასამართლოს აზრით, ვალის გადახდის ვადის გადაცილების დროისათვის გადასახდელი პროცენტის ოდენობა ზიანის ასანაზღაურებლად თვიური 2%-ის ოდენობით იყო გონივრულ შესაბამისობაში ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობასთან

სასამართლოს აღნიშნული შეფასება არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. აღნიშნულის საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს მოვალის მიერ ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევებისათვის დასარიცხი პროცენტის რაიმე გონივრულ შესაბამისობას ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის განაკვეთის ზღვრულ ოდენობასთან. მსგავსი სამართალურთიერთობის მარეგულირებელი 403-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს ასეთ შემთხვევებში სესხის ძირითად თანხაზე კანონით განსაზღვრული პროცენტის დარიცხვის აუცილებლობაზე, თუმცა არც სამოქალაქო კოდექსსა და არც სხვა საკანონმდებლო

აქტებში: კანონმდებელი არ აფიქსირებს თუ რა პროცენტზეა საუბარი. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზის შევსებაზე სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის ანალოგიურად, ამ შემთხვევაშიც, გამოყენებულ უნდა იქნეს ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონზე დადგენილი განაკვეთები იმ განსხვავებით, რომ თუ 625-ე მუხლში საუბარია სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის განაკვეთთან გონივრულ შესაბამისობაზე, ანუ ფაქტობრივად შედარებით უფრო მაღალ საპროცენტო განაკვეთზე, მოვალის მიერ სესხის დაბრუნების ვადის გადაცილების შემთხვევაში პირდაპირ უნდა იქნეს გამოყენებული ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის განაკვეთები, რაც სულაც არ ნიშნავს კრედიტორის ინტრესების შელახვას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული სამართალურთიერთობა არ წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის რეგულირების სფეროს, რის გამოც საუბარი დასარიცხი პროცენტის რაიმე გონივრულ შესაბამისობაზე ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონზე დადგენილი განაკვეთის ზღვრულ ოდენობასთან სამართლებრივად უსაფუძვლო და მიუღებელია.

4. სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის ზღვრულ განაკვეთთან შეუსაბამობის კრიტერიუმი

როგორც უკვე აღინიშნა, სასამართლო პრაქტიკაში ხშირად დგება სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დასარიცხი პროცენტის ოდენობის შემცირების აუცილებლობა გონივრულ შესაბამისობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის ან ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონზე დადგენილი განაკვეთის ზღვრულ ოდენობასთან მიმართებაში. ელემენტარულად დაისმის კითხვა, თუ რა კრიტერიუმებით სარგებლობენ სასამართლო ორგანოები სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთების შემცირებისას და როგორ უნდა განიმარტოს ტერმინი „გონივრული შესაბამისობა“. ნიშნავს კი ის სახელშეკრულებო პროცენტის ოდენობის შემცირებას ეროვნული ბანკის ან ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონზე

დადგენილი განაკვეთის ზღვრულ ოდენობაზე უფრო დაბლა ან, პირიქით, სახელშეკრულებო პროცენტის ოდენობა უნდა დარჩეს როგორც გარკვეულწილად უფრო მაღალი, ვიდრე ეროვნული ბანკისა თუ ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის ზღვრული განაკვეთი. განვიხილოთ პრაქტიკული მაგალითი.

ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (საქმე №2/1550) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოსარჩელე რაისა ზვადაგიანის სარჩელი მოპასუხე ნორა ასლამაზიშვილის მიმართ სესხის ძირითადი თანხის 2000 აშშ დოლარისა და ყოველთვიური პროცენტის სახით 1200 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე. ყოველთვიური პროცენტის ოდენობა შეადგენდა 5%-ს. სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა სესხის ძირითადი თანხის ნაწილში – სრულად, ხოლო პროცენტის ნაწილში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. კერძოდ, 1200 აშშ დოლარის ნაცვლად მოპასუხეს დაეკისრა 200 აშშ დოლარის გადახდა, რის ძირითად არგუმენტად მითითებულ იქნა მოპასუხის მძიმე ქონებრივი მდგომარეობა. ამის გათვალისწინებით სასამართლოს მიერ ყოველთვიური 5%-იანი საპროცენტო განაკვეთი ჩაითვალა როგორც შეუსაბამო ეროვნული ბანკის განაკვეთთან, რომელიც მოცემული პერიოდისათვის შეადგენდა წლიურ 8%-ს.

სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება არ შესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს. კერძოდ, მოსამართლის მიერ სესხის პროცენტის შეუსაბამისობის კრიტერიუმად მითითებულია მოპასუხე მხარის მძიმე ქონებრივი მდგომარეობა, რაც ვერ იქნება გაზიარებული. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ მხარე ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, მის მიმართ გამოიყენება კანონით განსაზღვრული სამოქალაქო პასუხისმგებლობის ფორმები. აღნიშნული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი მოცემულია სამოქალაქო კოდექსის შესაბამის თავში. სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარის მძიმე ქონებრივი მდგომარეობა არ წარმოადგენს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლების საფუძველს. ანალოგიურად აღნიშნული ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება იმ გარემოებად, რის საფუძ-

ველზეც შესაძლებელია ვილაპარაკოთ სახელშეკრულებო პროცენტის შეუსაბამობაზე ეროვნული ბანკის ან ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე დადგენილ ზღვრულ განაკვეთთან მიმართებაში. ასეთი შეუსაბამობის კრიტერიუმს წარმოადგენს მხოლოდ სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის არაერთმაგი გადაჭარბება ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე დადგენილ ზღვრულ განაკვეთზე. ამასთან, შემცირებული საპროცენტო განაკვეთის ოდენობა უნდა აღემატებოდეს საკრედიტო აუქციონზე დაფიქსირებულ განაკვეთს, მაგრამ, ვფიქრობთ, არა უმეტეს 1.5-ჯერ. აღნიშნული დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს ზოგადად ის ეკონომიკური როლი, რომელსაც ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონი ასრულებს მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაში და, რაც მთავარია, საპროცენტო განაკვეთების სიდიდის განსაზღვრაში. საქმე იმაში გახლავთ, რომ ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე ფორმირდება ის პირველადი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც წარმოადგენს კომერციული ბანკების მხრიდან აუქციონზე მიღებული თანხების სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტებზე შემდგომი განაწილების ანუ სესხად გაცემის საფუძველს. ამიტომ აბსოლუტურად მისაღები და საფუძვლიანია, რომ სახელშეკრულებო პროცენტი აჭარბებდეს ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე დადგენილ ზღვრულ განაკვეთის ოდენობას მაქსიმუმ 1.5 კოეფიციენტის ფარგლებში, რაც სახელშეკრულებო განაკვეთს გარკვეულ შესაბამისობაში მოიყვანს მის საბაზრო ოდენობასთან.

ამასთან, აღნიშნულ სასამართლო გადაწყვეტილებაში გამოჩნდა ის ხარვეზი, რომელიც დამახასიათებელია სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის განმარტებისათვის. კერძოდ, საქმე ეხება იმ გარემოებას, რომ ნორმაში მითითებული, ერთი მხრივ, ეროვნული ბანკისა და, მეორე მხრივ, ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის განაკვეთების ოდენობა, დროის ერთსა და იმავე პერიოდისათვის მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. განსხვავება გამოიხატება მათი როგორც ეკონომიკურ კატეგორიების არსში, ისევე ციფრობრივ სიდიდეში. თუ მაგალითისათვის ავიღებთ ეროვნული ბანკის განაკვეთს სამთავრობო სესხებისათვის, რომლის სიდიდეც გამოყენებულია მოსამართლის მიერ ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილებ-

ის გამოტანისას, ის აშკარად ნაკლებია ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე დროის იმავე პერიოდისათვის დაფიქსირებულ განაკვეთთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე, რადგანაც 625-ე მუხლი იძლევა განაკვეთის არჩევის შესაძლებლობას, სასამართლომ უპირატესობა უნდა მიანიჭოს ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის საპროცენტო განაკვეთს. აღნიშნული მოსაზრება ეფუძნება იმ გარემოებას, რომ თვით ამ განაკვეთების ეკონომიკური შინაარსიდან გამომდინარე, ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე დაფიქსირებული განაკვეთის ზღვრული ოდენობა უფრო ახლოსაა სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტებს შორის კომერციულ ურთიერთობებში გამოყენებულ საბაზრო განაკვეთთან და უფრო ზუსტად ასახავს კაპიტალის გამოყენებისათვის გადასახდელი საზღაურის ოდენობას დროის კონკრეტული პერიოდისათვის, ვიდრე ეროვნული ბანკის განაკვეთი, რომელიც აშკარად დაბალია საბაზრო განაკვეთთან მიმართებაში. ანუ ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის განაკვეთის გამოყენებით უფრო დაცულია კრედიტორის ინტერესები, რადგან სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის მასთან გონივრულ შესაბამისობაში მოყვანით, ვიღებთ არსებული ურთიერთობის უფრო რეალურ სურათს. ამიტომ სასამართლოს მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის განაკვეთის გამოყენებამ მოცემულ შემთხვევაში აშკარად შელახა კრედიტორის ინტერესები და საქმის გადაწყვეტა უნდა მომხდარიყო დროის იმავე პერიოდისათვის ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე დაფიქსირებული განაკვეთის ოდენობის მიხედვით.

5. ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების ამერიკისაშორის დასარიცხი პროცენტის რობორტ მიუღებელი შემოსავლის კატეგორიად გამოყენების დაუშვებლობა

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (საქმე №2/224) დაკმაყოფილდა ნანა ქორიძის სასარჩელო მოთხოვნა მანონი სიჭინავას მიმართ სესხის ძირითადი თანხის სახით 3000 აშშ დოლარისა და მიუღებელი შემოსავლის

სახით 240 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სწორია რა საქმის გადაწყვეტის ფაქტობრივი კუთხით, არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს სამართლებრივი თვალსაზრისით.

კერძოდ, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მხარეებს შორის წერილობითი ფორმით დადებულ იქნა სესხის ხელშეკრულება ყოველგვარი პროცენტის დარიცხვის გარეშე. მას შემდეგ, რაც მოვალემ არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, კრედიტორმა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა როგორც სესხის ძირითადი თანხის სახით 3000 აშშ დოლარის, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, მიუღებელი შემოსავლის სახით 240 აშშ დოლარის დაბრუნება, რაც სასამართლოს მიერ სრულად იქნა გაზიარებული. მიუღებელი შემოსავლის გაანგარიშებას საფუძველად დაედო სესხის დაბრუნების ვადის გადაცილების პერიოდისათვის არსებული ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის განაკვეთის საშუალო ოდენობა, რაც არ შეესაბამება მიუღებელი შემოსავლის, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი ინსტიტუტის არსსა და ბუნებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, მიუღებელი შემოსავალი ეს არის სავარაუდო შემოსავალი, რომელსაც მხარე მიიღებდა მოვალის მხრიდან ვალდებულების ჯეროვანი შესრულების შედეგად ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის პირობებში. დაისმის კითხვა: შეიძლება თუ არა ჩაითვალოს სესხის დაბრუნების ვადის გადაცილებისათვის დასარიცხი პროცენტი მიუღებელ შემოსავლად. ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას, პირველ რიგში, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის გარემოებები, რომლებიც მეტნაკლებად დაადასტურებენ კრედიტორის მიერ მიუღებელი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას, რაც არ არის პირდაპირ კავშირში საბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე დადგენილი განაკვეთის ოდენობასთან. გამომდინარე იმ გარემოებებიდან, რომ საქმე გვაქვს სესხის დაბრუნების ვადის გადაცილებასთან, სასამართლოს უნდა გამოეყენებინა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის

1-ლი პუნქტი, რომლის თანახმად მოვალე, რომელიც გადააცილებს ფულადი თანხის გადახდის ვადას, ვალდებულია გადაცილების დროისათვის გადაიხადოს კანონით განსაზღვრული პროცენტი, თუკი კრედიტორს სხვა საფუძვლებიდან გამოდინარე, უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია. ანუ კანონმდებელი პირდაპირ მიუთითებს ფულადი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ვადაგადაცილებული პერიოდისათვის როგორც მინიმუმ კანონით განსაზღვრული პროცენტის გადახდის აუცილებლობაზე, რადგან დამატებით არსებობს სხვა სამოქალაქო-სამართლებრივი ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ასეთ ვითარებაში კრედიტორის ინტერესების სრულ დაცვას. ამიტომ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სწორია ფაქტობრივი თვალსაზრისით, თუმცა სამართლებრივი კუთხით გარკვეული ხარვეზით ხასიათდება.

6. უვადოდ დადებული სმსხის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტის განსაზღვრის აუცილებლობა

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2000 წლის 8 მარტის გადაწყვეტილებით (საქმე №2/111) დაკმაყოფილდა სერგო ჭრელაშვილის სარჩელი მოპასუხე მარიამ გეგიძის მიმართ სესხის ძირითადი თანხისა და დასარიცხი პროცენტის დაკისრების თაობაზე.

როგორც საქმის გარემოებებიდან ირკვევა, სერგო ჭრელაშვილსა და მარიამ გეგიძეს შორის 1998 წლის 19 მარტს დაიდო სესხის ხელშეკრულება ყოველთვიური 10%-იანი სარგებლის გადახდით. ხელშეკრულების მოქმედების ვადა მხარეთა მიერ არ იყო განსაზღვრული. მიუხედავად შეთანხმებისა, რომელიც გულისხმობდა მოვალის – მარიამ გეგიძის მიერ პროცენტის ყოველთვიურ გადახდას, აღნიშნული ვალდებულება მოპასუხის მხრიდან არ იქნა შესრულებული, რის გაძლაც კრედიტორმა სარჩელით მიმართა სასამართლოს ვალის ძირითადი ნაწილისა და პროცენტის დაბრუნების მოთხოვნით, რაც სრულად დაკმაყოფილდა.

სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს. კერძოდ, სასამართლო არავითარ სამართლებრივ

შეფასებას არ აძლევს მოსარჩელის მოთხოვნას ყოველთვიური პროცენტის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში, არ ადგენს თუ რამდენად შეესაბამება მხარეთა მიერ სესხისათვის შეთხმებული საპროცენტო განაკვეთი ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის განაკვეთის ზღვრულ ოდენობას, არ მიჯნავს ერთმანეთისაგან პროცენტს, დასარიცხს სესხის ძირითად თანხაზე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და პროცენტს დასარიცხს სესხის ძირითად თანხაზე ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების მომენტიდან. აქედან გამომდინარე, სასამართლო არ ადგენს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტს, რაც წარმოადგენს არსებული დავის სწორად გადაჭრის ერთ-ერთ უმთავრეს პირობას. ასეთ მომენტად კი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 626-ე მუხლის თანახმად ჩაითვლება კრედიტორის მიმართვიდან სამთვიანი ვადის გასვლის მომენტი, ხოლო თუ საქმის გარემოებებიდან აშკარად ჩანს მოვალის ქონებრივი მდგომარეობის არსებითი გაუარესების ფაქტი, 627-ე მუხლის შესაბამისად უშუალოდ მიმართვის მომენტი. სასამართლომ არც ერთ ამ გარემოებას არ მიაქცია ყურადღება. არადა სწორედ ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან მოვალის მიერ ვადაგადაცილების თანხას 403-ე მუხლის მიხედვით უნდა ღარიცხვოდა კანონით გათვალისწინებული და არა მხარეთა მიერ შეთანხმებული 10%-იანი საპროცენტო განაკვეთი. ამიტომ მოსამართლის დასკვნა, რომ ვალის დაუბრუნებლობის გამო მოსარჩელეს უფლება აქვს მოითხოვოს სესხის დაბრუნება შეთანხმებული პროცენტით შესრულების ვადის გადაცილების მთელი პერიოდისათვის, უსაფუძვლო და მიუღებელია.

7. ფულადი ვალდებულების შეფყვება მოვალის მხრიდან მისი შესრულებით და არა ქალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით

ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდა რაიონული სასამართლოს 2000 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით (საქმე № 2/748) უარი ეთქვა შპს „მაგას“ სარჩელს მოპასუხე სახელმწიფო კომპანია „საბოს“ მიმართ სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობით

მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე. კრწანისი-მთაწმინდა კრწანისის რაიონული სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს და სამართლებრივი თვალსაზრისით მცდარია.

კერძოდ, როგორც საქმის გარემოებებიდან ირკვევა, შპს „მაგასა“ და სახალხო კომპანია „საბოს“ შორის 1998 წლის 22 იანვარს დაიდო საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად სახალხო კომპანია „საბომ“ მოსარჩელისაგან შეიძინა 14000 ლარის ღირებულების სამეურნეო საქონელი. შეძენილი საქონლის ღირებულების ანაზღაურება მყიდველის მხრიდან უნდა მომხდარიყო საქონლის მიღებიდან ორი კვირის ვადაში, რაც არ შესრულებულა. არაერთი გაფრთხილების შემდეგ შპს „მაგამ“ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა საქონლის აუნაზღაურებელი ღირებულების – 10146 ლარის მოპასუხეზე დაკისრება, რაც სასამართლოს მხრიდან სრულად დაკმაყოფილდა. სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, მოპასუხის მხრიდან გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის გამო, დაიწყო მისი იძულებითი წესით აღსრულება, რაც დროის გარკვეული პერიოდის გასვლასთან იყო დაკავშირებული. მას შემდეგ, რაც სასამართლო გადაწყვეტილება სისრულეში იქნა მოყვანილი, შპს „მაგამ“ კვლავ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე გასული დროის პერიოდისათვის მოპასუხისაგან ზიანის სახით შესაბამისი პროცენტის ანაზღაურება, რის დაკმაყოფილებაზე კრწანისი-მთაწმინდა კრწანისის რაიონულმა სასამართლომ მოსარჩელეს უარი განუცხადა. სასამართლომ ძირითად არგუმენტად მოიტანა ორი გარემოება: პირველი – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის თანახმად გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველით და მეორე, სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა არ წარმოადგენს მოვალეზე დამატებით ზიანის სახით რაიმე პროცენტის დაკისრების საფუძველს.

სასამართლოს არც ერთი ამ არგუმენტთაგანი ვერ იქნება გა-

ზიარებული. ვერ დავეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ თითქოს მხარის სარჩელი თავისი იურიდიული არსით ემყარებოდეს იმავე საფუძველს, რაც უკვე ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებული მისი მოთხოვნა. საფუძველს ამ შემთხვევაში წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლი, რომელიც პირდაპირ მიუთითებს, რომ ვალდებულებითი ურთიერთობები წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით, ანუ კანონმდებელი პირდაპირ მიუთითებს, რომ მოვალის მხრიდან კრედიტორის მიმართ არსებული ვალდებულება შეწყდება მხოლოდ სათანადო შესრულების განხორციელებით. აქედან გამომდინარე, მანამ, სანამ სასამართლოს გადაწყვეტილებით კრედიტორის ინტერესები არ იქნება სრულად დაკმაყოფილებული, მას უფლება აქვს მოითხოვოს იმავე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის საფუძველზე შესრულების ვადის გადაცილების სრული პერიოდისათვის კანონით გათვალისწინებული პროცენტის ანაზღაურება. ეს დრო უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ პერიოდს დაწყებული ვადის გადაცილებიდან ფაქტობრივად სარჩელის წარდგენის მომენტამდე, არამედ დროის სრულ პერიოდს ფაქტობრივად კრედიტორისათვის მისი კუთვნილი თანხის დაბრუნებამდე. ამიტომ სასამართლოს დასკვნა, რომ თითქოს სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა არ წარმოადგენს მოვალეზე დამატებითი სანქციების დაკისრების საფუძველს, მიუღებელია და არ უნდა იქნეს გაზიარებული. ანუ 403-ე მუხლით გათვალისწინებული კანონით დადგენილი პროცენტის დარიცხვა უნდა მოხდეს ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილების მომენტიდან თანხის ფაქტობრივი დაბრუნების მომენტამდე, რისი მოთხოვნის კანონიერი უფლება კრედიტორს სრულად გააჩნია.

ზემოთ მითითებულ მაგალითში აღნიშნული სამართლებრივი დარღვევის მსგავს შემთხვევას ადგილი ჰქონდა ბათუმის საქალაქო სასამართლოშიც. კერძოდ, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2000 წლის 15 აგვისტოს გადაწყვეტილებით* უარი ეთქვა შპს „ჰერას“ სარჩელს მოპასუხე ქ. ბათუმის მერიის მიმართ სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მხარეებს შორის დაღე-

ბული ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე მოსარჩელემ შეასრულა 21000 ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოები, რაც მოპასუხის მიერ არ იქნა სრულად ანაზღაურებული. აღნიშნულის გამო შპს „ჰერამ“ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა კუთვნილი ძირითადი თანხის 14162 ლარისა და პირგასამტეხლოს 1126 ლარის სახით მთლიანობაში 15288 ლარის ანაზღაურება, რაც სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა. სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ დაიწყო მისი იძულების წესით აღსრულება. გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის შემდგომ შპს „ჰერამ“ კვლავ მიმართა სარჩელით სასამართლოს და მოითხოვა მერიაზე სასამართლოში სარჩელის შეტანის მომენტიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე გასული დროის მიხედვით დამატებით პირგასამტეხლოს სახით 2092 ლარის ანაზღაურება, რაც სასამართლოს მხრიდან არ იქნა დაკმაყოფილებული. სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ძირითად საფუძველად მიუთითა ის გარემოება, რომ მხარეთა ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლო არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ ურთიერთობათა მიმართ, რომლებიც დაკავშირებულია სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან. ამასთან, გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ უკვე არსებობს ვალის ძირითად ნაწილთან დაკავშირებით ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, სახელშეკრულებო ვალდებულება შეწყვეტილად უნდა ჩაითვალოს.

სასამართლოს აღნიშნული არგუმენტი ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც ზემოთ მითითებულ მაგალითში, ვერ იქნება გაზიარებული. პირგასამტეხლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად ეს არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელსაც იხდის მოვალე ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში. მოცემულ განსახილველ შემთხვევაში პირგასამტეხლო წარმოადგენდა საურავს. რომელიც ვალდებულების დამრღვევ მხარეს უნდა გადაეხადა ვალდებულების შესრულების ვალის დარღვევის შემთხვევაში და მას გააჩნდა ძირითადი თანხის მიმართ არა მყარი, არამედ პროგრესირებადი ხასიათი (0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე). ანუ მისი დარიცხვა

წყდებოდა რა ვალდებულების დარღვევის მომენტიდან, გრძელდებოდა ვალდებულების შესრულების მომენტამდე. სასამართლოს დასკვნა, რომ, თითქოს, სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლით სახელშეკრულებო ვალდებულება შეწყვეტილად უნდა ჩაითვალოს, უსაფუძვლოა, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, სამოქალაქო კანონმდებლობაში ამომწურავადაა ჩამოთვლილი ვალდებულების შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლები. კერძოდ, ესენია: ვალდებულების შეწყვეტა შესრულებით, დეკონირებით, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით, ვალის პატიებით, ცალკეულ შემთხვევებში კრედიტორის გარდაცვალებითა და იურიდიული პირის ლიკვიდაციით. ე.ი. სამოქალაქო კანონმდებლობა არ იცნობს ვალდებულების შეწყვეტის შესაძლებლობას სასამართლო გადაწყვეტილებით. გადაწყვეტილება შეიძლება მხოლოდ ადასტურებდეს ვალდებულების არსებობა-არარსებობის ფაქტს, რასაც საფუძვლად უდევს სწორედ ხსენებული გარემოებები. ხოლო, რადგან სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლითა და სააღსრულებო ფურცლის გაცემით ფულადი ვალდებულება არ შეწყვეტილა, ისევე როგორც არ შეწყვეტილა მოვალის მხრიდან მისი დარღვევა უშუალოდ გადაწყვეტილების აღსრულების მომენტამდე, მოსარჩელის მოთხოვნა პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე ამ შემთხვევაში აბსოლუტურად სამართლიანი და კანონიერია. მისი დარიცხვა უნდა მომხდარიყო გადაწყვეტილების აღსრულების მომენტამდე შეთანხმებული განაკვეთის მიხედვით, თუ არ არსებობდა სასამართლოს მხრიდან მისი შემცირების რაიმე საფუძველი.

8. უსაფუძვლოდ გადახდილ თანხაზე პროცენტის დარიცხვა

ქ. თბილისის ისან-სამგორის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით* დაკმაყოფილდა თემურ ხარაძის სარჩელი იოსებ ბერაიას მიმართ უსაფუძვლოდ გადახდილი თანხის დაბრუნების თაობაზე. ისან-სამგორის რაიონული სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება მთლიანობაში არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

როგორც საქმის გარემოებებიდან ირკვევა, თემურ ხარაძესა და იოსებ ბერაიას შორის 2000 წლის 3 აპრილს დაიდო საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება. აღნიშნული ბინა ირიცხებოდა მოპასუხის – იოსებ ბერაიას სახელზე, რაც დასტურდებოდა ქ. თბილისის საჯარო რეესტრის ამონაწერით. დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მოსარჩელემ მოპასუხეს გადაუხადა 10000 აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხა ლარებში. თუმცა, როგორც შემდეგში გაირკვა, ბინა რიცხული იოსებ ბერაიას სახელზე აღარ წარმოადგენდა ამ უკანასკნელის საკუთრებას. კერძოდ, თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი იოსებ ბერაიასა და მოქ. ასლან დევიძეს შორის 1999 წლის 4 ივნისის სადავო ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება, როგორც მოჩვენებით დადებული გარიგება და ბინა კვლავ უნდა აღრიცხულიყო ასლან დევიძის სახელზე, რაც 2000 წლის 3 აპრილისათვის ჯერაც არ იყო სისრულეში მოყვანილი. ანუ სადავო ბინა კვლავაც ირიცხებოდა იოსებ ბერაიას სახელზე. აღნიშნული გარემოებების გარკვევის შემდეგ თემურ ხარაძემ აღძრა სარჩელი იოსებ ბერაიას მიმართ და მოითხოვა მისთვის გადახდილი 10000 აშშ დოლარისა და პროცენტის სახით 1200 აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხის ლარებში ანაზღაურება. მოსარჩელის მოთხოვნა სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა როგორც ძირითადი თანხის, ასევე პროცენტის ნაწილში, რაც სამართლებრივი თვალსაზრისით ხასიათდება გარკვეული ხარვეზით. სასამართლომ სწორად იმსჯელა რა გადახდილი თანხის მოსარჩელისათვის დაბრუნების საფუძველზე, პროცენტის დაკისრების ნაწილში დაეყრდნო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მოთხოვნებს და მიუთითა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხეზე უსაფუძვლოდ გადახდილი თანხით ორი თვის მანძილზე სარგებლობისათვის პროცენტის სახით 1200 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე სამართლიანია, რადგან ყოველთვიური 6% გონივრულ შესაბამისობაში იყო ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის ზღვრულ განაკვეთთან. სასამართლოს აღნიშნული დასკვნა, იურიდიული თვალსაზრისით, მცდარია. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე გვაქვს მოპასუხის უსაფუძვლო გამდიდრებასთან, რაც

იმას ნიშნავს, რომ მხარეს არ გააჩნია მისთვის გადახდილი თანხის შენარჩუნების სამართლებრივი საფუძველი მასსა და მოსარჩელეს შორის დადებული გარიგების ბათილობის გამო. ამიტომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის გამოყენება მოცემული სამართალურთიერთობის დასარეგულირებლად მიუღებელია, რადგან ეს უკანასკნელი აწესრიგებს მხოლოდ სესხის ხელშეკრულების მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს სესხის პროცენტის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში, ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში სასესხო ურთიერთობებს კი მხარეებს შორის ამ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია, რაც გამორიცხავს აღნიშნული მუხლის გამოყენების შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 981.2-ე მუხლის მოთხოვნებით, რომლის თანახმად მიმღების მიერ ფულად ვალზე გადახდილ უნდა იქნეს პროცენტი. ანუ 981.1-ე მუხლის შესაბამისად, თუ მიმღებმა იცოდა ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო მისთვის უცნობი იყო სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა და ამის შესახებ მოგვიანებით შეიტყობს, მას ეკისრება პასუხისმგებლობა სწორედ 981.2-ე მუხლის მოთხოვნების მიხედვით, რაც გულისხმობს უსაფუძვლოდ მიღებულ თანხაზე პროცენტის გადახდის ვალდებულებას. განსახილველ მაგალითში მოპასუხისათვის თავიდანვე იყო ცნობილი ასეთი ხარვეზის არსებობის თაობაზე. მან იცოდა, რომ საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ის აღარ ითვლებოდა სადავო ბინის მესაკუთრედ და ამიტომ ის ვალდებულია მოსარჩელის მიერ მისთვის თანხის გადაცემის მომენტიდან გადაიხადოს შესაბამისი პროცენტი. ამასთან, ისმის კითხვა, თუ რა პროცენტზეა ამ შემთხვევაში საუბარი და რა კრიტერიუმით უნდა მოხდეს მისი ოდენობის გაანგარიშება. რადგან კანონმდებელი არ მიუთითებს პირდაპირ მის ოდენობაზე და გაანგარიშების კრიტერიუმებზე, ვფიქრობ, გამოყენებულ უნდა იქნეს უშუალოდ ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის ზღვრული განაკვეთი შესაბამის პერიოდზე სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის მოთხოვნების ანალოგიურად, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის გამოყენება მსგავსი სამართალურთიერთობების მონაწესრიგებლად, მიუღებელია და არ უნდა იქნეს გაზიარებული.

9. ფულადი ერთეულის მსყიდველობითი უნარის შემცირების შემთხვევაში შესრულების თანხის ინდემსაციის დაუშვებლობა

ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე №2/26-2000) დაკმაყოფილდა შპს „ესტას“ სარჩელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე. სასამართლოს მიერ სრულად დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა როგორც ძირითადი თანხის, ასევე ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების პერიოდისათვის შესაბამისი პროცენტისა და მიუღებელი შემოსავლის სახით მოპასუხეზე 125132 ლარის დაკისრების თაობაზე.

სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს. კერძოდ, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, 1999 წლის 15 ივლისს შპს „ესტასა“ და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის დაიდო საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც შპს „ესტამ“ თავდაცვის სამინისტროს მიაწოდა 105930 ლარის ღირებულების პროდუქცია. ხელშეკრულების პირობების თანახმად მოპასუხეს საქონლის ღირებულება უნდა აენაზღაურებინა მისი მიღებიდან 30 საბანკო დღის განმავლობაში. რეალურად, მოპასუხის მიერ გადახდილ იქნა მხოლოდ 18000 ლარი, ხოლო საქონლის ღირებულების დარჩენილი ნაწილი – 87930 ლარი დარჩა აუნაზღაურებელი. აღნიშნულის გამო შპს „ესტამ“ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ძირითადი თანხის აუნაზღაურებელი ნაწილის – 87930 ლარის გადახდა ლარის აშშ დოლართან მიმართებაში არსებული კურსის გათვალისწინებით, რაც მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ცნობის თანახმად შეადგენდა 93980 ლარს. ასევე მხარემ მოითხოვა ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების დროისათვის კანონით გათვალისწინებული პროცენტის სახით 8390 ლარისა და მიუღებელი შემოსავლის სახით 22762 ლარის ანაზღაურება, რაც სასამართლოს მიერ სრულად დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილების გამოტანისას საქართველოს

თავდაცვის სამინისტროზე 87930 ლარის დაკისრებაზე სასამართლოს ძირითად არგუმენტს წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლი. კერძოდ, როგორც გადაწყვეტილებაშია აღნიშნული: „თუ გადახდის ვადის დადგომამდე გაიზარდა ან შემცირდა ფულის ერთეული, მოვალე ვალდებულია გადაიხადოს იმ კურსით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს. აქედან გამომდინარე, სარჩელის ეს მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს“. ანუ, როგორც ვხედავთ, აშკარაა სასამართლოს მხრიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის არასწორი განმარტება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლი ამკვიდრებს სამართალურთიერთობაში ნომინალიზმის პრინციპს, რომელიც გულისხმობს, რომ ხელშეკრულების მხარე, რომელსაც ეკისრება ფულადი ვალდებულების შესრულების განხორციელება, ვალდებულია მეორე მხარეს გადასცეს ვალდებულებაში აღნიშნული ფულადი ნიშნების, როგორც ასეთის რაოდენობა და არა ვალდებულების წარმოშობის მომენტში იმავე ფულადი ნიშნების რაოდენობაში გამოხატული მსყიდველობითუნარიანობა. ანუ, თუ ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, ხელშეკრულების ერთი მხარე ვალდებულია განხორციელოს მეორე მხარის სასარგებლოდ გარკვეული ფულადი თანხის გადახდა, ვალდებულების წარმოშობიდან ფულადი თანხის გადახდის მომენტამდე ფულადი ერთეულის მსყიდველობითუნარიანობაში განხორციელებული ცვლილება ვერ მოახდენს გავლენას შესრულების ნომინალურ გამოხატულებაზე. ამასთან, აქ საუბარია იმ ვალდებულებებზე, რომელთა შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა და მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. განსაკუთრებით აღნიშნული მუხლი ეხება გრძელვადიან ურთიერთობებს, სადაც ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს უხდება პერიოდული გადახდების განხორციელება მეორე მხარის მიერ განხორციელებული შესრულების სანაცვლოდ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული სამართალურთიერთობა არ წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის რეგულირების სფეროს და ხსენებული მუხლი არც უნდა ყოფილიყო გამოყენებული მით უმეტეს მისი არასწორი განმარტებით.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს უარი უნდა ეთქვა შპს „ექსტას“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე ლარის მსყიდველობითი უნარის შემოწმებით გამოწვეული სხვაობის დაკისრების ნაწილში.

10. ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის კანონით გათვალისწინებული პროცენტისა და პირგასამტეხლოს ერთდროულად დარიცხვის დაუშვებლობა

ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდა რაიონული სასამართლოს 2000 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილებით* დაკმაყოფილდა სს „მადის“ სარჩელი სს „აინის“ მიმართ დავალიანების თანხის ანაზღაურების თაობაზე. კრწანისი-მთაწმინდა კრწანისის რაიონული სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, 1998-1999 წლებში სს „მადისა“ და სს „აინის“ შორის დაიდო საქონლის ნასყიდობის რამდენიმე ხელშეკრულება, რომლის თანახმად მოსარჩელემ მოპასუხეს განვადების პირობით ნაწილ-ნაწილ მიაწოდა 34100 ლარის ღირებულების საოფისე ტექნიკა. მყიდველის მიერ მიღებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება უნდა მომხდარიყო საქონლის ყოველი პარტიის მიღებიდან ერთი თვის ვადაში. ამასთან, მხარეებმა ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადების დარღვევისათვის გაითვალისწინეს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების თანხის 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. სს „აინის“ მხრიდან ნაკისრი ვალდებულება არ იქნა შესრულებული, რის გამოც სს „მადმა“ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხეზე დავალიანების ძირითადი თანხის სახით 11469 ლარის და პირგასამტეხლოსა და პროცენტის სახით 4056 ლარის დაკისრება. მოსარჩელის მოთხოვნა სასამართლოს მხრიდან სრულად დაკმაყოფილდა და მოპასუხეს სს „მადის“ მიმართ დაევალა 15525 ლარის გადახდა. სასამართლომ აღნიშნული

გადაწყვეტილების საფუძველად მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე და 625-ე მუხლების მოთხოვნები, რაც ნაწილობრივ ვერ იქნა გაზიარებული. განსხვავებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლისაგან, რომლის გამოყენება ამ შემთხვევაში აბსოლუტურად მართებულია, კოდექსის 625-ე მუხლის გამოყენება მოვალის მხრიდან ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების პერიოდისათვის პროცენტის დაკისრების დასაბუთებისათვის, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, სრულიად უსაფუძვლოა. ამიტომ სასამართლოს არ უნდა ეხელმძღვანელა აღნიშნული მუხლის მოთხოვნებით, რაც, ერთი შეხედვით, გვაფიქრებინებს, რომ პროცენტის დარიცხვის სამართლებრივ საფუძველს მოცემულ სამართალურთიერთობაში წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი, რომლის მოთხოვნათა შესაბამისად უნდა მომხდარიყო გადასახდელი პროცენტის გაანგარიშება ვადაგადაცილების პერიოდზე. მაგრამ აქვე დაისმის კითხვა: შეიძლება თუ არა მოვალეს ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში ერთდროულად დაეკისროს როგორც პირგასამტეხლოს, ასევე ვადაგადაცილებისთვის 403-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტის ანაზღაურება? როგორც პირგასამტეხლო, ასევე ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის პროცენტი წარმოადგენს სამოქალაქო პასუხისმგებლობის ფორმებს, რომელთაგან პირგასამტეხლო ძირითადში სახელშეკრულებო ხასიათისაა, ხოლო ვადაგადაცილებისათვის პროცენტი – არასახელშეკრულებო. ამასთან, ორივე მათგანი დაერიცხება ძირითადი ვალდებულების შეუსრულებელ თანხას ობიექტური ზიანის ფაქტის არსებობის მიუხედავად, ანუ არ საჭიროებს კრედიტორის მხრიდან მისთვის ზიანის მიყენების მტკიცების აუცილებლობას. ასეთ პირობებში ვთვლით, რომ სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ორი დამოუკიდებელი ზომის გამოყენება ერთი და იმავე სამოქალაქო ვალდებულების დარღვევისათვის, მიუღებელია. მხარემ თავად უნდა აირჩიოს სამოქალაქო პასუხისმგებლობის ის ზომა, რომლის დაკისრებასაც ის აპირებს მოვალეზე ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით მოცემულ შემთხ-

კევაში კრწანისი-მთაწმინდა რაიონულ სასამართლოს ნაწილობრივ უნდა დაექმაცოფილებინა სარჩელი და მოვალეზე უნდა დაეკისრებინა ძირითად თანხასთან ერთად პირგასამტეხლოს ან პროცენტის ანაზღაურება.

11. პირგასამტეხლოს შემცირების კრიტიკრიშმები

ქ. თბილისის ისან-სამგორის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა შპს „თავი 95“-ის სარჩელი ინდივიდუალური საწარმო „დ. ცარციძის“ მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულებით მიწოდებული საქონლის ღირებულების ნაწილის – 42940 ლარისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების ვადაში შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს თანხის – 8070 ლარის ანაზღაურების თაობაზე. სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა ძირითადი ვალის – 42940 ლარის მოპასუხეზე დაკისრების ნაწილში სრულად იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა შემცირებულ იქნა 4000 ლარამდე. სასამართლომ გაითვალისწინა მოპასუხის მძიმე ფინანსური მდგომარეობა, რაც გამოწვეული იყო, თავის მხრივ, თვით ინდივიდუალური საწარმო „დ. ცარციძის“ მიმართ ზოგიერთი საწარმოსა და საბიუჯეტო ორგანიზაციის მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობით. ამიტომ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლით, მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლო სასამართლომ მიიჩნია შეუსაბამოდ – მაღალ პირგასამტეხლოდ და შეამცირა მისი ოდენობა 4000 ლარამდე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ კანონის დარღვევითაა გამოტანილი. კერძოდ, სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი, რომლის თანახმად „სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო“. ანუ სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს მოსარჩელე მხარის მიერ მოთხოვნილი შეუსაბამოდ მაღალი

პირგასამტეხლო. მაგრამ, ამავე დროს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მხარის მძიმე ფინანსური მდგომარეობა წარმოადგენს პირგასამტეხლოს შემცირების ერთ-ერთ ასეთ გარემოებას. მოცემულ საქმეში აშკარაა პირგასამტეხლოს ოდენობის შესაბამისობა სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობასთან. ამიტომ, ის გარემოება, რომ მოპასუხეს მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო არ შეეძლო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება, ვერ ჩაითვლება ამ შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს შემცირების საფუძვლად. პირგასამტეხლოს შეუსაბამობის კრიტერიუმებად ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ისეთი გარემოებები, როგორცაა: ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი, პირგასამტეხლოს თანხის მნიშვნელოვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანზე, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა და სხვა.

12. სახელშეკრულებო პროცენტის ოდენობა საბანკო კრედიტიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1999 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №3კ/199) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სააქციო საზოგადოების კომერციული ბანკი „რ-ნ“-ის სარჩელი სააქციო საზოგადოება „ქ-ის მ-ი ქ-ნ“-ის მიმართ საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე სესხის ძირითადი თანხისა და პროცენტის დაკისრების თაობაზე. ქუთაისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სააქციო საზოგადოება „ქ-ის მ-ი ქ-ნ“-ის სააპელაციო საჩივარი, გაუქმნდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და სააქციო საზოგადოება კომერციული ბანკი „რ-ის“ სარჩელს უარი ეთქვა უსაფუძვლობისა და მოთხოვნის დაუსაბუთებლობის გამო. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით გაუქმდა ქუთაისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება და სააქციო საზოგადოების კო-

მერციული ბანკის „რ-ნ“-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 1996-1998 წლებში დაიდო რამდენიმე საკრედიტო ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულებიდან უკანასკნელი დადებულ იქნა 1998 წლის 14 იანვარს ოთხი თვის ვადით. მოცემული ხელშეკრულების პირობების თანახმად მოვალე – სააქციო საზოგადოება „ქ-ის მ-ი ქ-ა“ ვალდებული იყო სესხით სარგებლობის პერიოდში ანუ ოთხი თვის განმავლობაში გადაეხადა სს კომერციული ბანკი „რ-ი“-სათვის სესხით სარგებლობის ყოველთვიური 8%. მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო კრედიტორმა მოითხოვა როგორც სესხის ძირითადი თანხის, ასევე სესხით სარგებლობისათვის სრული ფაქტობრივი პერიოდისათვის შეთანხმებული ყოველთვიური 8%-იანი სარგებლის ანაზღაურება. სს კომერციული ბანკი „რ-ნ“-ის აღნიშნული მოთხოვნა სესხით სარგებლობისათვის პროცენტის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

კერძოდ, როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაშია აღნიშნული, სესხის ხელშეკრულების მხარეთა მიერ სესხით სარგებლობისათვის შეთანხმებული ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მოთხოვნებს, რადგან იგი გონივრულ შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო საქართველოს ეროვნული ბანკის ან ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობასთან. აღნიშნული პერიოდისათვის ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე დადგენილი საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 3%-ს, რის გამოც პალატამ მიზანშეწონილად ჩათვალა აღნიშნულ სესხზე სარგებლის განაკვეთად განსაზღვრულიყო 3% და მისი გათვალისწინებით მომხდარიყო სესხის ფაქტობრივი სარგებლობის დროის მიხედვით საბოლოოდ გადასახდელი პროცენტის გაანგარიშება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დასაბუთებას ვერ დავეთანხმებით. პალატის მიერ საბანკო კრედიტის და, რაც მთავარია,

ყოველთვიური პროცენტის ოდენობის გაანგარიშებისას დაშვებული იქნა ზოგიერთი სამართლებრივი შეცდომა. კერძოდ, უპირველეს ყოვლისა, სასამართლომ არასწორი განმარტება მისცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მოთხოვნებს, რომელიც მიუთითებს, რომ სესხისათვის მხარეთა მიერ გათვალისწინებული ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი უნდა იყოს გონივრულ შესაბამისობაში ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენილი საპროცენტო განაკვეთის ზღვრულ ოდენობასთან და არა აღნიშნული განაკვეთის იდენტური. სასამართლომ ცნო რა ბათილად მხრეთა შეთანხმება სარგებლის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში, მშრალად პირდაპირ გამოიყენა ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე დაფიქსირებული სასესხო განაკვეთი, რითაც აშკარად შელახა კრედიტორის – სააქციო საზოგადოება კომერციული ბანკი „რ-ნ“-ის ინტერესები, რადგან ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები ყოველთვის ნაკლებია საბაზრო ურთიერთობათა სუბიექტებს, პირველ რიგში, კომერციულ ბანკებსა და სამეწარმეო იურიდიულ პირებს შორის საკრედიტო რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული საპროცენტო განაკვეთების ოდენობაზე. მართალია, ხშირად თავისუფალ ბაზარზე მის სუბიექტებს შორის საკრედიტო რესურსების მიმოქცევისას ადგილი აქვს აშკარად მაღალი საპროცენტო განაკვეთების გამოყენებას, რის წინააღმდეგაც მიმართულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მოთხოვნები, მაგრამ ამ ურთიერთობების მოწესრიგებისას ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის განაკვეთების პირდაპირი გამოყენებით ვიღებთ სრულიად საპირისპირო სურათს, როდესაც ილახება კრედიტორის ინტერესები. ამიტომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის პრაქტიკული გამოყენების შემთხვევაში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ კანონმდებელი მოითხოვს მოვალესა და კრედიტორს შორის დადებული სესხის ხელშეკრულების საპროცენტო განაკვეთის არაიდენტურ, არამედ მხოლოდ გონივრულ შესაბამისობას ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონის განაკვეთის ზღვრულ ოდენობასთან, რაც ნიშნავს იმას, რომ მხარეთა შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთი

უნდა აღმატებოდეს ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონის განაკვეთის ზღვრულ ოდენობას, რის გარეშეც აზრი ეკარგება თვით საბანკო კრედიტის დანიშნულებას. ამასთან, უზენაესმა სასამართლომ შემცირებული 3 %-ანი განაკვეთი გამოიყენა როგორც უშუალოდ ხელშეკრულების მოქმედების, ასევე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების პერიოდისათვის. ანუ სასამართლომ ფაქტობრივად ერთმანეთისაგან არ გამოიჯნა დროის ის პერიოდები, როდესაც მხარის მიერ კრედიტის თანხის გამოყენებას ჰქონდა შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი და დროის ის პერიოდი, როდესაც მხარის მიერ კრედიტით სარგებლობა მოკლებული იყო ასეთ საფუძველს. სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მოთხოვნები კი არ მოიცავს და არ არეგულირებს სესხის ხელშეკრულების მხარეთა შორის იმ ურთიერთობებს, რომლებიც მათ შორის წარმოიშობა მოვალის მიერ კრედიტის თანხის დაბრუნების ვადის გადაცილების შემთხვევაში. ამიტომ ასეთი ურთიერთობების მოწესრიგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მეშვეობით მიუღებელია, რადგან პროცენტი, რომელიც სესხის თანხას ერიცხება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და პროცენტი, რომელიც დავალიანების თანხას ერიცხება ვადის გადაცილების პერიოდისათვის, განსხვავებული შინაარსის მატარებელია. სწორედ აღნიშნულს ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 869-ე მუხლი, რომლის თანახმად, თუ მსესხებელი აყოვნებს გადახდას, რაც მას ევალებოდა საბანკო კრედიტის ხელშეკრულების საფუძველზე, დავალიანების თანხას უნდა დაერიცხოს ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონის შესაბამისი პერიოდისათვის ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის 3%-ის ოდენობით გადიდებული თანხა. ანუ თუ სესხის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდისათვის სასამართლოს უნდა გამოეყენებინა ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის განაკვეთის ზღვრულ ოდენობასთან გონივრულ შესაბამისობაში არსებული განაკვეთი, ვადის გადაცილების მომენტიდან მოყოლებული ვადის გადაცილების მთელ პერიოდზე გამოყენებული უნდა ყოფილიყო ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონზე დაფიქსირებული განაკვეთის ზღვრული ოდენობის 3% -ით გადიდებული განაკვეთი ანუ 6%. ეს

კი მიუთითებს იმ გარემოებებზე, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში გარკვეულად შეილახა კრედიტორის ინტერესები. ამასთან, 869-ე მუხლით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთის დარიცხვა დავალიანების თანხაზე უნდა მოხდეს სესხის ფაქტობრივად დაბრუნების მომენტამდე, რადგან თვით საქმის სასამართლო ინსტანციებში განხილვის პერიოდი წარმოადგენს მოვალის მიერ სესხის დაბრუნების ვადის გადაცილების პერიოდს და გულისხმობს მოვალის მხრიდან კრედიტორის თანხით უკანონო სარგებლობას.

სასამართლო პრაქტიკის აღნიშნული მაგალითის განხილვისას დაისმის საინტერესო კითხვა. კერძოდ, რამდენად მართებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მოთხოვნების გავრცელება საბანკო კრედიტიდან გამომდინარე ურთიერთობების დასარეგულირებლად და რა სამართლებრივი საფუძველი გააჩნია ასეთ მიდგომას. ვფიქრობთ, რომ ის მოთხოვნები, რომელიც კანონმდებელმა დააწესა 625-ე მუხლის შინაარსის გადმოცემისას, უნდა გავრცელდეს საბანკო კრედიტიდან წარმოშობილ ურთიერთობებზეც. საბანკო კრედიტის ხელშეკრულება თავისი სამართლებრივი შინაარსით წარმოადგენს იმავე სესხის ხელშეკრულებას, გარკვეულწილად ამ ხელშეკრულების ერთ-ერთ სახეს, რომლის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია კრედიტორის როლში საბანკო დაწესებულების არსებობა და მისი სასყიდლიანობა. ის გარემოება, რომ საბანკო კრედიტის ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე აუცილებლად კონკრეტული საბანკო დაწესებულებაა და ხელშეკრულებას გააჩნია სასყიდლიანი ხასიათი, ვერ ჩაითვლება იმის საფუძველად, რომ საბანკო კრედიტიდან გამომდინარე ურთიერთობები მოწესრიგდეს სხვა სამართლებრივი მექანიზმების მეშვეობით, ვიდრე ზოგადად სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობები. ამიტომ უზენაესი სასამართლოს პოზიცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მოთხოვნების საბანკო კრედიტიდან წარმოშობილი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად გამოყენების თაობაზე მისაღები და სამართლებრივად დასაბუთებულია.

13. საბანკო კრედიტზე დასარტყხი პროცენტის ბანსაზღვრა კრედიტის დაბრუნების ვადის ბადაცილების შემთხვევაში

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2000 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილებით (საქმე №2-671) დაკმაყოფილდა სს „ა-კ“-ის აჭარის რეგიონული ფილიალის სარჩელი მოპასუხე ლ.დ.-ის მიმართ თანხის დაკისრებისა და სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული ბინის აუქციონზე გაყიდვის შესახებ.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, 1999 წლის 2 სექტემბერს სს „ა-კ“-ის აჭარის რეგიონული ფილიალიდან მოპასუხის სასარგებლოდ გაიცა საბანკო კრედიტი 4500 აშშ დოლარის ოდენობით სამი თვის ვადით წლიური 60%-ის სარგებლის დარიცხვით, ხოლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წლიური 84%-ის დანამატი. სესხის დაფარვის ვადად განისაზღვრა 1999 წლის 2 დეკემბერი. მიუხედავად ნაკისრი ვალდებულებისა, მოპასუხემ მხოლოდ ნაწილობრივ დაფარა ბანკის მიმართ რიცხული დავალიანების თანხა, რის გამოც მოსარჩელემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სარჩელის შეტანის დღისათვის, კერძოდ, 2000 წლის 30 მაისის მდგომარეობით ლ. დ.-ზე 5967 აშშ დოლარის დაკისრება. აღნიშნული თანხიდან სესხის ძირითადი თანხა შეადგენდა 3700 აშშ დოლარს, ვადიანი პროცენტი 675 აშშ დოლარს, ხოლო ვადაგადაცილებული პროცენტი 1592 აშშ დოლარს. მოსარჩელის მოთხოვნა სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა და ლ. დ.-ეს ბანკიდან აღებული კრედიტის ანგარიშში დაეკისრა 5967 აშშ დოლარის ანაზღაურება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილება არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს. კერძოდ, სასამართლომ არ მისცა არავითარი სამართლებრივი შეფასება მოსარჩელის მოთხოვნას მოპასუხეზე ვადაგადაცილების პროცენტის სახით 1592 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე. ყურადღება არ მიაქცია და ფაქტიურად არ გაარკვია ის გარემოება, რომ ხომ არ ჰქონდა ადგილი მხარეთა მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადაგადაცილების

პროცენტის ოდენობის შეუსაბამობას კანონმდებლობის მოთხოვნებთან. არადა აშკარაა, რომ სასამართლოს მიერ მოპასუხეზე ვადაგადაცილების პრიცენტის სახით 1592 აშშ დოლარის დაკისრებით დაირღვა კანონის მოთხოვნები. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსი იმპერატიულად განსაზღვრავს საბანკო კრედიტის დაბრუნების ვადის გადაცილების შემთხვევაში დავალიანების თანხაზე დასარიცხი პროცენტის ოდენობას. სამოქალაქო კოდექსის 869-ე მუხლის თანახმად, როგორც ზემოთ ხსენებულ მაგალითში იყო აღნიშნული, დავალიანების თანხას უნდა დარიცხვოდა ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე შესაბამისი პერიოდისათვის დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის 3% -ის ოდენობით გადიდებული თანხა და არა მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ვადაგადაცილების პროცენტი წლიური 84%-ის ოდენობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბათუმის საქალაქო სასამართლოს სს „ა-კ“-ის აჭარის რეგიონული ფილიალის მოთხოვნა ვადაგადაცილების პროცენტის სახით მოპასუხეზე 1592 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე უნდა დაექმყოფილებინა მხოლოდ ნაწილობრივ სამოქალაქო კოდექსის 869-ე მუხლით განსაზღვრული კანონით დადგენილი საპროცენტო განაკვეთის ფარგლებში.

**14. საბანკო კრედიტის დაბრუნების ვადის
გადაცილების შემთხვევაში კანონით დადგენილი
საპროცენტო განაკვეთის სესხის მხოლოდ
ძირითად თანხაზე დარიცხვის აუცილებლობა**

ქ. თბილისის ვაკე-საბურთლოს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით (საქმე №2/92) დაკმაყოფილდა სს „ს-ს ს-ო ბ-კ“-ის სარჩელი მოპასუხეების დ. ბ-ისა და შპს ტელეკომპანია „ი-ა ტვ“-ს მიმართ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის დაკისრების თაობაზე.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, 1998 წლის 24 სექტემბერს სს „ს-ს ს-ო ბ-კ“-სა და დ. ბ-მეს შორის დაიდო №235 საკრედიტო ხელშეკრულება თანხით 140000 ლარი. ხელშეკრულება დადებულ იქნა 9 თვის ვადით, ხოლო კრედიტით სარგებლო-

ბისთვის გადასახდელი ყოველთვიური სარგებელი შეადგენდა 2%-ს. ამასთან, მსესხებელი ვალდებული იყო ყოველთვიურად გადაეხადა დარიცხული პროცენტი. მოვალის მხრიდან სესხის დაბრუნების უზრუნველყოფის მიზნით შპს ტელეკომპანია „ი-ა ტვ“-ს მიერ გაიცა საგარანტიო წერილი. დ. ბ-ემ საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა, რის გამოც სს „ს-ს ს-ო ბ-კ“-მა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხეებზე სესხის ძირითადი თანხის – 140000 ლარის, სესხზე დარიცხული პროცენტის – 4062 ლარის, ინფლაციით გამოწვეული სხვაობის – 7486 ლარისა და ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 869-ე მუხლის საფუძველზე ბანკისთვის მიყენებული ზარალის მთელი თანხიდან – 217929 ლარიდან ვადაგადაცილების პერიოდისათვის პროცენტის სახით 12220 ლარი. სულ მთლიანობაში 230133 ლარი. მოსარჩელის აღნიშნული მოთხოვნა სასამართლომ სრულად გაიზიარა და სს „ს-ს ს-ო ბ-კ“-ის სასარგებლოდ მოპასუხეებს დაეკისრათ 230133 ლარის ანაზღაურება.

ქ. თბილისის ვაკე-საბურთლოს რაიონული სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს. კერძოდ, ვერ იქნება გაზიარებული სასამართლოს დასკვნა მოპასუხეებზე ინფლაციით გამოწვეული სხვაობის – 74867 ლარისა და ვადაგადაცილების პროცენტის სახით 12220 ლარის დაკისრებისათვის შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის თაობაზე. კერძოდ, ინფლაციით გამოწვეული სხვაობის მოპასუხეებზე დაკისრების ძირითად არგუმენტად სასამართლოს მიერ მოყვანილ იქნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლი, რომლის მიხედვით სასამართლომ დაადგინა, რომ, რადგან ქვეყანაში ადგილი ჰქონდა ეროვნული ფულადი ერთეულის – ლარის კურსის შემცირებას უცხო ქვეყნების ფულად ერთეულებთან მიმართებაში, ანუ ინფლაციას, მოვალის მხრიდან სესხის თანხა ანაზღაურებელი უნდა იყოს ინფლაციით გამოწვეული სხვაობის გათვალისწინებით, რასაც, სასამართლომ აზრით, კიდევაც გულისხმობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის აღნიშნუ-

ლი განმარტება მიუღებელია და არ შეესაბამება მის მიერ რეგულირებული ურთიერთობების შინაარსს. კერძოდ, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, 389-ე მუხლი არ არეგულირებს მხარეთა შორის იმ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში. ამასთან, ვერ დავეთანხმებით სასამართლოს გადაწყვეტილებას მოპასუხეებზე ვადაგადაცილების პროცენტის სახით 12220 ლარის დაკისრების თაობაზე. აღნიშნული თანხის დაკისრების საფუძველად სასამართლოს მიერ მოყვანილ იქნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 869-ე მუხლი, რაც სამართლებრივად სწორი და მისაღებია. სასამართლოს მიერვე სწორად იქნა განსაზღვრული დასარიცხი პროცენტის ოდენობაც, მაგრამ ვერ იქნება გაზიარებული უკვე დადგენილი პროცენტის დარიცხვის წესი, კერძოდ, კანონით დადგენილი საპროცენტო განაკვეთის დარიცხვა დავალიანების მთლიან თანხაზე, რომელიც მოიცავდა სესხის როგორც ძირითად თანხას, ასევე ყოველთვიურ პროცენტსა და ინფლაციით გამოწვეულ სხვაობასაც. ის გარემოებები, თუ რატომ არ უნდა დაკმაყოფილებულიყო მოსარჩელის მოთხოვნა ინფლაციით გამოწვეული სხვაობის ანაზღაურების ნაწილში, ჩვენ მიერ უკვე აღინიშნა და ამიტომ ლოგიკურად ვადაგადაცილების კანონით დადგენილი პროცენტი არც ამ თანხას არ შეიძლებოდა დარიცხვოდა. მაგრამ საქმე იმაში გახლავთ, რომ ვადაგადაცილების კანონით დადგენილი პროცენტი არ შეიძლება დაერიცხოს ერთდროულად სესხის როგორც ძირითად თანხას, ასევე ყოველთვიური პროცენტის თანხასაც. რას ემყარება აღნიშნული დასკვნა.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, თანხის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში კანონით დადგენილი პროცენტის დარიცხვის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 869-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ადგილი აქვს მსესხებლის მიერ თანხის გადახდის დაყოვნებას, დავალიანების თანხას უნდა დაერიცხოს ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის შესაბამისი პერიოდისათვის დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის 3%-ის ოდენობით გადიდებული თანხა. ანუ მოცემულ ნორმაში მითითებულია, რომ პროცენტის დარიცხვა უნდა მოხდეს დავალიანების თანხ-

აზე. ისმის კითხვა, რა იგულისხმება დავალიანების თანხის ქვეშ, სესხის მხოლოდ ძირითადი თუ მასთან ერთად სახელშეკრულებო პროცენტისა თანხაც. ვფიქრობთ, რომ დავალიანების თანხის ქვეშ იგულისხმება სესხის მხოლოდ ძირითადი და არა რაიმე პროცენტი-სა თუ პირგასამტეხლოს თანხა. აღნიშნული დასკვნის გამოტანის საფუძველს იძლევა როგორც თვით მოქმედი კანონმდებლობა, ასევე პროცენტის როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი ინსტიტუტის არსი. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად დაუშვებელია პროცენტიდან პროცენტის გადახ-და. ანუ კანონმდებელი პირდაპირ კრძალავს სესხის თანხაზე დარ-იცხულ პროცენტზე დამატებით პროცენტის დარიცხვას. აქედან გამომდინარე, თუ დავალიანების თანხის ქვეშ ვიგულისხმებთ სესხის როგორც ძირითად, ასევე სახელშეკრულებო პროცენტის თანხასაც, ადგილი ექნება უკვე დარიცხული პროცენტის თანხიდან დამატებით პროცენტის გადახდას. ამასთან, ვადაგადაცილების პროცენტის სესხის მხოლოდ ძირითად თანხაზე დარიცხვა სამართლებრივად საფუძე-ლიანია იმ კუთხითაც, რომ ზოგადად პროცენტი, როგორც სამართ-ლებრივი ინსტიტუტი, წარმოადგენს გარკვეულ კომპენსაციას სესხ-ით სარგებლობისათვის, ანუ კაპიტალის გამოყენებისათვის. სესხის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ასეთ კომპენსაცია-საფა-სურს წარმოადგენს სახელშეკრულებო განაკვეთი, ხოლო ხელშეკ-რულების შეწყვეტის ანუ ვალდებულების შესრულების ვადის გადა-ცილებისას – სწორედ კანონით განსაზღვრული საპროცენტო გა-ნაკვეთი. აქედან გამომდინარე, ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს კრედიტორის ინტერესების დაცვასა და მისი კაპიტალით სარგე-ბლობისათვის შესაბამის კომპენსაციას.

ამიტომ ვაკე-საბურთლოს რაიონულ სასამართლოს სს „ს-ს ს-ო ბ-კ“-ის სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხეებზე ვადაგადაცილების პროცენტის დაკისრების ნაწილში უნდა დაეკმაყოფილებინა ნაწი-ლობრივ, ხოლო ინფლაციით გამოწვეული სხვაობის ნაწილში კი საერთოდ უარი უნდა ეთქვა მის დაკმაყოფილებაზე.

15. საბანკო გარანტიით ან საქმის სხვა გარემოებაებით საბანკო გარანტიის მოქმედების კონკრეტული ვადის დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში საბანკო გარანტიის ბათილობა

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით (საქმე №3კ-62-01) დაკმაყოფილდა კორპორაცია „დ-უ“-ს სარჩელი მოპასუხე საქციო საზოგადოება კომერციული ბანკი „ა-ის გ-ი“-ს მიმართ საბანკო გარანტიით ნაკისრი საგარანტიო ვალდებულების თანხის – 224280 აშშ დოლარის ანაზღაურების თაობაზე. რაიონული სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება შემდგომში გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილებით და კორპორაცია „დ-უ“-ს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. თავის მხრივ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით გაუქმებულ იქნა თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება და კორპორაცია „დ-უ“-ს სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება თავისი არსით არ გამომდინარეობს კანონმდებლობის მოთხოვნებიდან და სამართლებრივი თვალსაზრისით მცდარია. კერძოდ, როგორც საქმის გარემოებიდან ირკვევა, 1998 წლის 29 აპრილს სს „ე-კ“-მა (შემდგომში სს კომერციული ბანკი „ა-ის გ-ა“) შპს „ე-ს“-ის (პრინციპალი) თხოვნით კორპორაცია „დ-უ“-ს (ბენეფიციარი) სახელზე გასცა საბანკო გარანტია 47–2. საბანკო გარანტიის თანხა შეადგენდა 178000 აშშ დოლარს. ამასთან, საგარანტიო წერილით გარანტი კისრულობდა ვალდებულებას პრინციპალის მხრიდან ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში გადაეხადა ჯარიმა ძირითადი თანხის წლიური 24%-ის ანგარიშიდან გამომდინარე. გარანტის მიერ თანხის გადახდა უნდა მომხდარიყო ბენეფიციარის მხრიდან მოთხოვნის წარდგენიდან 3 დღის ვადაში. საგარანტიო წერილში გარანტიის მოქმედების ვადა არ იყო აღნიშნული.

შპს „ე-ს“-ის მხრიდან თანხის გადაუხდელობის გამო კორპორაცია „დ-უ“-მ თანხის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართა გარანტს, მაგრამ ამ უკანასკნელმა 1999 წლის 27 დეკემბერს უარი განაცხადა გარანტიით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. შექმნილ ვითარებაში ბენეფიციარმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ძირითადი თანხის – 178000 აშშ დოლარისა და ჯარიმის – წლიური 24%-ის 13 თვის – 46280 შშ დოლარის გარანტზე დაკისრება, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ სრულად დაკმაყოფილდა.

როგორც უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაშია აღნიშნული, „1998 წლის 29 აპრილის საბანკო გარანტია გაცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 879-ე და 884-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით. გარანტმა იკისრა ვალდებულება მოსარჩელი-სათვის (ბენეფიციარი) 178000 აშშ დოლარისა და ამ თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში წლიური 24%-ის სარგებლის დარიცხვის ფარგლებში თანხის გადახდის თაობაზე. საგარანტიო წერილით გარანტიის მოქმედების ვადად განისაზღვრა მასში მითითებული თანხის სრულად გადახდის დრო. საქმის მასალებით დადგენილი არ არის საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი თანხების გადახდა, რის გამოც სამოქალაქო კოდექსის 889-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტით გარანტიის ვადა არ შეწყვეტილა და გარანტმა გარანტიით ნაკისრი ვალდებულება უნდა შეასრულოს სამოქალაქო კოდექსის 888-ე მუხლის თანახმად“.

უზენაესი სასამართლოს დასაბუთებას ვერ დავეთანხმებით. კერძოდ, სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ანალიზიდან გამომდინარე, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ უზენაესი სასამართლოს აზრით, შესაძლებელია გარანტიის მოქმედების ვადად განისაზღვროს თვით გარანტის მხრიდან გარანტიაში მითითებული თანხის სრულად გადახდის დრო. ე.ი. შესაძლებელია უვადო საბანკო გარანტიის გაცემა და ამიტომ საბანკო გარანტიაში გარანტიის მოქმედების კონკრეტული ვადის არარსებობა არ წარმოადგენს მისი ბათილობის საფუძველს. სასამართლოს აღნიშნული დასკვნა ეწინააღმდეგება საბანკო გარანტიის როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი ინ-

სტიტუტის არსსა და ბუნებას. გარანტიის მოქმედების კონკრეტული ვადა წარმოადგენს საბანკო გარანტიის აუცილებელ და არსებით პირობას, რაზეც პირდაპირ მიუთითებს კანონმდებელი სამოქალაქო კოდექსის 885-ე და 889-ე მუხლებში. კერძოდ, 885-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბენეფიციარის მოთხოვნა უნდა წარედგინოს გარანტს გარანტიით განსაზღვრული იმ ვადის დამთავრებამდე, რა ვადითაც იგი გაიცა. ცხადია, მოცემული ნორმა პირდაპირ განსაზღვრავს ბენეფიციარის მიერ თავისი მოთხოვნის გარანტიით განსაზღვრულ მხოლოდ კონკრეტულ ვადაში წარდგენის აუცილებლობას და გამორიცხავს ასეთი მოთხოვნის უვადოდ თვით გარანტის მხრიდან რაიმე ქმედებასთან კავშირში გამოყენების შესაძლებლობას. აღნიშნულს ადასტურებს სამოქალაქო კოდექსის 889-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტიც, რომლის თანახმად გარანტიაში მითითებულ ვადის გასვლა წარმოადგენს ბენეფიციარის მიმართ გარანტის ვალდებულების შეწყვეტის დამოუკიდებელ საფუძველს. ანუ, სამოქალაქო კოდექსის 889-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით გარანტიაში მითითებული ვადის გასვლა ისეთ გარემოებებთან ერთად, როგორცაა ბენეფიციარისათვის გარანტიით განსაზღვრული თანხის გადახდა და ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე უარის თქმა და მათი გარანტისათვის დაბრუნება მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობით განიხილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე აშკარაა, რომ საბანკო გარანტიის მოქმედების კონკრეტული ვადა წარმოადგენს საბანკო გარანტიის ნამდვილობის არსებით პირობას, რის გამოც მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად საგარანტიო ვალდებულება წარმოშობილად ვერ ჩაითვლება და საქართველოს უზენაეს სასამართლოს კორპორაცია „დ-უ“-სათვის უარი უნდა ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

III ნაწილი

სახელმწიფო სამართალი

ნასყიდობა

თბილისის საოლქო სასამართლოს
გადაწყვეტილება

საქმე №02ა/64

თბილისი

7 თებერვალი

მოსარჩელე: შპს „მაკლერი“

მოპასუხე: ს/ს „ბენზინი“

სასარჩელო მოთხოვნა: მოპასუხემ აუნაზღაუროს მოსარჩელეს
დავალიანება 538 602 16 ლარი

გადაწყვეტილების შინაარსი

მოსარჩელემ 2000 წლის 20 აპრილს განცხადებით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს და მოპასუხისგან მოითხოვა ხელშეკრულებით მიყენებული ზარალის – 538 602,16 ლარის ანაზღაურება მოსარჩელემ აღნიშნა, რომ:

1998 წლის 28 აპრილს მასსა და მოპასუხეს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენდა საავტომობილო რუმინული ბენზინის სინჯი №92.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო, რომ მოპასუხეს საქონლის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში მთლიანად უნდა გადაეხადა საქონლის ღირებულება, კერძოდ, 319 128 ლარი.

მოპასუხემ გადაიხადა მხოლოდ შესყიდული თანხის ნაწილი – 106 800 ლარი.

მოპასუხეს დარჩა გადასახდელი 212 328 ლარი.

ნასყიდობის ხელშეკრულების 6.6 პუნქტის მიხედვით გათვალისწინებული იყო პირგასამტეხლოს გადახდა სახელშეკრულებო ღირებულების 0.1% საქონლის მიღებიდან 30 კალენდალური დღის გასვლის შემდეგ, ყოველ გადაცემულ დღეზე. მოსარჩელის დაანგარიშებით საჯარიმო თანხამ შეადგინა 223 270 ლარი.

მოსარჩელემ სარჩელში აღნიშნა, რომ გარიგების მომენტში ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში, ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ცნობის შესაბამისად შეადგენდა 1, 335 პუნქტს, ხოლო სარჩელის შეტანის მომენტისათვის 1, 982 პუნქტს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე თვლის, რომ დოლარისა და ლარის ცვალებადობით გამოწვეულმა ზარალმა შეადგინა 102 903 74 ლარი.

სულ მოსარჩელე ითხოვს: ძირითადი დავალიანების სახით 212 647 42 ლარის გადახდას, პირგასამტეხლოს სახით 223 370 ლარის ანაზღაურებასა და მიწოდებული საწვავის ღირებულების გადაუხდელობით მიყენებული ზიანის სახით ვალუტის ინფლაციის გათვალისწინებით 102 903 70 ლარის ანაზღაურებას.

მთლიანად მოსარჩელე მოპასუხისგან ითხოვს 538 602 16 ლარს.

მოპასუხემ ნაწილობრივ ცნო სარჩელი, კერძოდ, იგი თვლის, რომ გადასახადი აქვს დავალიანების სახით 212 647 42 ლარი, ხოლო, პირგასამტეხლოს სახით მთლიანი ღირებულების 319 128 ლარის 0,1 %, ანუ ერთი დღის თანხა 319 ლარი.

რაც შეეხება ლარის ინფლაციას, მოპასუხე თვლის, რომ 1998 წლის აპრილიდან 2000 წლის მაისამდე ლარის კურსი და ვალუტა არ შეცვლილა და ამიტომ ინფლაცია არ უნდა იქნეს გათვალისწინებული.

სასამართლოს მიაჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის ნორმათა გათვალისწინებით მოსარჩელის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ დავალიანების არსებობა დადგენილად მიიჩნია

ნასყიდობის ხელშეკრულებისა და მოპასუხის აღიარების საფუძველზე.

ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება მოსარჩელემ შეასრულა ჯეროვნად, რაც შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლს, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნა, რომ მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი, მოპასუხემ მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა, კერძოდ, ნაცვლად 315 128 ლარისა, გადახადა 106 800 ლარი.

სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას, ამიტომაც მოპასუხეს გადასახადი დარჩა 212 328 42 ლარი. აღნიშნული დავალიანება დადასტურდა 2000 წლის 6 აპრილს გაფორმებული შედარების აქტით და მოპასუხის ზეპირი აღიარებით სასამართლოს მთავარ სხდომაზე.

ხელშეკრულების 6.6 პუნქტით მხარეებმა ვალდებულების შესრულების ან არაჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად გაითვალისწინეს დამატებითი საშუალება პირგასამტეხლოს სახით.

სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი იმის შესახებ, რომ ხელშეკრულების 6.6 მუხლით პირგასამტეხლო ვალდებულების დამრღვევი პირის მიერ გადახდილ უნდა იქნეს სახელეშეკრულებო ღირებულების 0.1% ყოველ გადაცილებულ ხელშეკრულების გათვალისწინებით ვადის გასვლის დღიდან, დაწყებული საჭონლის მიღებიდან 30 კალენდალური დღის გასვლის შემდეგ, 223 370 ლარის ოდენობით.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მტკიცება იმის თაობაზე, რომ პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთი დღისათვის. მოპასუხე აღნიშნულს ასაბუთებს იმით, რომ ხელშეკრულების 6.6. პუნქტის ბოლო წინადადებით „არა უმეტეს 0,1%-ისა“ დადგენილია პირგასამტეხლოს გადახდა მხოლოდ ერთი გადაცილებული დღისათვის და არა ყოველი გადაცილებული დღისათვის.

სასამართლო თავისი აზრის გამოხატვისას დაეყრდნო სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლს, კერძოდ, „ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მართოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან“.

აღნიშნული ნორმა გულისხმობს ხელშეკრულების მონაწილეთა ნამდვილი ნების დადგენას, ანუ იმის გარკვევას, შეეძლო თუ არა ნების მიმღებს გამოვლენილი ნება ისევე გაეგო, როგორც ეს ნების გამოვლენმა იგულისხმა.

წარმოდგენილი ხელშეკრულების მიხედვით, ნების გამოვლენა-ცა და ნების მიმღებიც საქმიანი წრეების ერთსა და იმავე ჯგუფს განეკუთვნებიან, რომლებიც კერძო სამართალურთიერთობებს სხვა პირებთან, კანონით დადგენილი წესების გარდა, სამოქალაქო კოდექსის 339-ე მუხლის თანახმად, ახორციელებენ სავაჭრო ჩვეულებებისა და ტრადიციების გათვალისწინებით. დამკვიდრებული ტრადიციების მიხედვით პირგასამტეხლოს გადახდევინებას სამართალურთიერთობის სუბიექტები უმეტესად ახორციელებენ მოთხოვნის წარმოშობიდან ყოველ გადაცილებულ დღეზე გათვალისწინებით.

სასამართლო კოლეგია კონკრეტულ ხელშეკრულებაში ურთიერთგამომრიცხველი გამონათქვამებიდან სამოქალაქო კოდექსის 338-ე მუხლის თანახმად, უპირატესობას ანიჭებს გამონათქვამს: „ყოველ გადაცილებულ დღეზე“, რადგანაც ის უფრო შეესატყვისება ხელშეკრულების ნ.ნ. პუნქტით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს შინაარსს. პირგასამტეხლოს ინსტიტუტის დანიშნულება კი ის არის, რომ დავალიანების მქონე პირი აიძულოს ჯეროვნად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება. წინააღმდეგ შემთხვევაში კი ის დაჯარიმდება დავალიანების სრულ დაფარვამდე.

საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის საფუძველზე, მიზანშეწონილად მიიჩნია პირგასამტეხლოს თანხის – 223 370 ლარის შემცირება 111 685 ლარის ოდენობამდე.

შემცირების საფუძველად სასამართლო მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელის მხრიდან ადგილი ჰქონდა პირგასამტეხლოს თანხის ხელოვნურად გაზრდას.

სამოქალაქო კოდექსის მე-8.3 მუხლის თანახმად სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად, ჯეროვნად, მართლზომიერად, კანონისა და ზნეობის ნორმების დაცვით განახორციელონ თავიანთი უფლებები.

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით, მოსარჩელემ დავალიანების დაფარვის მოთხოვნით, წერილობით მიმართა მოპასუხეს მხოლოდ 1998 წლის 13 აგვისტოს და ორი წლის შემდეგ, 2000 წლის 6 აპრილს.

სასამართლოს აზრით, მოსარჩელეს ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის წარმოშობის დღიდან, ორი წლის მანძილზე ყოველთვის შეეძლო დავალიანების გადახდევინების სასამართლოს საშუალებით მოთხოვნა, მაგრამ ზემოთ აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, შეეძლო მოპასუხისათვის აღნიშნული მოთხოვნით მიემართა რამდენიმე თვის შემდეგ და ორი წლის განმავლობაში არ გაეზარდა პირგასამტეხლოსთვის დაწესებული თანხის ოდენობა.

მოსარჩელემ სასამართლოს ვერ წარუდგინა წერილობითი მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ მოპასუხის მხრიდან ადგილი ჰქონდა თანხის გადახდის შეპირებებს.

რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას ლარის ინფლაციით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, სასამართლომ იგი არ გაიზიარა.

სასამართლო თვლის, რომ სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლი ითვალისწინებს ფულის ნიშნების ნომინალური ღირებულების ცვლილებების დროს ფულის კურსის შეცვლას და არა ფულის სავალუტო კურსის ცვლილებას. ფულის ერთეულის გაზრდის ან შემცირებისას იცვლება ფულის ნიშნების ნომინალური ღირებულება და მიმოქცევაში შემოდის ახალი ბანკნოტი.

„ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილია, რომ საქართველოს ფულის ერთეულია ლარი. ლარი ერთადერთი საგადამხდელი საშუალებაა. იგივეა დადგენილი საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 16 სექტემბრის №363 ბრძანებულებით.

აღნიშნული ნორმების მიღების შემდეგ საქართველოში ფულის ერთეული არ გაზრდილა, არ შემცირებულა და არც ვალუტა შეცვლილა, რის გამოც სასამართლოს არა აქვს საფუძველი გამოიყენოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლი.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა სსკ-ის მე-8, 52-ე, 338-ე, 339-ე, 417-ე, 420-ე მუხლებით, მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

1. დაკმაყოფილდეს შპს „მაკლერის“ სარჩელი ნაწილობრივ.
2. დაეკისროს მოპასუხეს — ს/ს „ბენზინს“ 324 013 42 ლარის ანაზღაურება შპს „მაკლერის“ სასარგებლოდ.

გადაწყვეტილების კომენტარი

როგორც გადაწყვეტილების შინაარსიდან ჩანს, სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხის მიმართ 538 602 16 ლარის ანაზღაურების თაობაზე შეამცირა 324 013 42 ლარამდე.

მოსარჩელის მოთხოვნა, ანუ 538 602 16 ლარის გადახდა, მოპასუხის მიერ ეყრდნობოდა შემდეგ გარემოებებს:

1. მოპასუხემ არ გადაუხადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ნაწილი — 212 328 40 ლარი.

2. ნასყიდობის ხელშეკრულების 6.6. პუნქტით გათვალისწინებული იყო საკონტრაქტო ღირებულების 0,1% ყოველ გადაცილებულ დღეზე, რომელიც აითვლებოდა საქონლის მიღებიდან 30 კალენდარული დღის გასვლის შემდეგ.

მოცემული პუნქტიდან გამომდინარე, პირგასამტეხლომ შეადგინა 223 270 ლარი.

3. აღნიშნულ თანხებს, მოსარჩელის აზრით, დაემატა ლარის ინფლაციაც, 102 903 74 ლარი.

რამდენად დასაბუთებული და სწორია სასამართლოს გადაწყვეტილება? ვფიქრობ, რომ გადაწყვეტილება სწორად ასახავს სამოქალაქო კოდექსით დამკვიდრებულ კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვას. ამასთან ერთად, სასამართლომ მოსარჩელის ზემოთ დასახელებულ შესაძებ მოთხოვნას სწორად დაუპირისპირა სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლი.

სასამართლოს გადაწყვეტილება მიმაჩნია, რომ კარგად არის დასაბუთებული, რაც გამოიხატება შემდეგში:

1. სასამართლომ დამტკიცებულად მიიჩნია, რომ მოპასუხემ ნაცვლად 315 128 ლარისა, გადაიხადა 106 800 ლარი, ამიტომაც მოპასუხეს გადასახადი დარჩა 212 328 ლარი. აღნიშნული დაეალიანება დასტურდება 2000 წლის 6 აპრილს გაფორმებული შედარების აქტითა და მოპასუხის ზეპირი აღიარებით სასამართლოს მთავარ სხდომაზე, რაც აბსოლუტურად საკმარისია იმისათვის, რომ მოპასუხეს დაეკისროს 212 328 ლარის გადახდა.

2. რაც შეეხება მოპასუხის დასაბუთებას, რომ პირგასამტეხლო 0,1 %-ით გათვალისწინებული იყო ერთი დღისათვის, რა თქმა უნდა, ხელშეკრულების 6.6 პუნქტის არასწორ განმარტებას წარმოადგენს, რაც სასამართლომაც არ გაიზიარა და თავისი შეხედულება შემდეგი მუხლების მითითებით ჩამოაყალიბა:

— სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლით ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან.

— 339-ე მუხლით, ხელშეკრულების მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები.

აღნიშნულ მუხლზე დაყრდნობით სასამართლომ სწორად განმარტა, რომ ხელშეკრულებაში პირგასამტეხლო 0,1%-ის გამოყენება ტრადიციულად უკავშირდება ყოველდღიურ გადაცილებას, მანამ, სანამ მოვალე არ გადაიხდის ან კრედიტორი სასამართლოს წესით არ მოითხოვს თანხის მიღებას.

— 338-ე მუხლით, ხელშეკრულებაში ურთიერთგამომრიცხველი გამონათქვამების დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ გამონათქვამებს, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება ხელშეკრულების შინაარსს.

პრინციპში, გადაწყვეტილებიდან არ ჩანს თუ რა ურთიერთგამომრიცხველი გამონათქვამები იყო ხელშეკრულებაში, მაგრამ სასამართლომ 338-ე მუხლი მაინც გამოიყენა, თუმცა შეეძლო არ გამოეყენებინა.

რა არის საერთოდ პირგასამტეხლოს მიზანი?

პირგასამტეხლოს მიზანია თანხის გადაუხდელობისათვის ხე-

ლშეკრულების მხარის „დასჯა“ ანუ პირგასამტეხლო აფრთხილებს მოვალეს, რომ თუ თანხას არ გადაიხდის, უფრო უარეს დღეში აღმოჩნდება, ვიდრე შეიძლება აღმოჩნდეს დაზარალებული მხარე.

თუ ჩავთვლიდით, რომ 0,1% მხოლოდ ერთი დღისთვის იყო გათვლილი, მაშინ დარჩენილი თანხის ანუ 212 328 ლარის 0,1% იქნებოდა დაახლოებით 319 ლარი. რაც, რა თქმა უნდა, ხელშეკრულების დამრღვევისათვის დასჯის ფორმად არ გამოდგებოდა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხელშეკრულების მხარეები 319 ლარს, როგორც ჯარიმას, ასეთი დიდი ოდენობის თანხის – 212 328 ლარის გადაუხდელობასთან დაკავშირებით არ გაითვალისწინებდნენ.

სასამართლო კოლეგიამ კარგად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი, რომელშიც მითითებულია, რომ: სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები.

აღნიშნულ მუხლზე დაყრდნობით სასამართლომ საინტერესოდ განმარტა, რომ, მართალია, მოსარჩელეს კანონით მინიჭებული ჰქონდა სასამართლოში სასარჩელის შეტანის სამწლიანი ვადა, მაგრამ მან ეს ვადა არ გამოიყენა მანამ, სანამ მოპასუხე მხარეს არ დაუგროვდა დიდი ოდენობით ჯარიმა.

მოსარჩელემ დავალიანების გადახდის თაობაზე მოპასუხე მეორედ მხოლოდ ორი წლის შემდეგ გააფრთხილა, მაშინ, როდესაც მას შეეძლო იგი უფრო ადრე გაეფრთხილებინა და მიემართა სასამართლოსათვის.

მოსარჩელის ქცევამ გამოიწვია ის, რომ ორ წელზე მეტი ხნის მანძილზე მოპასუხის პირგასამტეხლომ შეადგინა 223 370 ლარი, რაც ძირითად დავალიანებაზე – 212 328 42 ლარზე მეტს შეადგენს.

ამიტომაც სასამართლომ სწორად ჩათვალა, რომ ადგილი ჰქონდა უფლების არაკეთილსინდისიერად განხორციელებას და შეუმცირა საჯარიმო თანხა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სასამართლომ ყურადღება მიაქცია ხომ არ ჰქონდა ადგილი თანხის გადახდის დაპირებებს მოპასუხის

მხრიდან. საქმე იმაშია, რომ თუ მოპასუხე წლების მანძილზე ჰპირდებოდა თანხის გადახდას მოსარჩელეს, ისიც ამ დაპირებების შესრულებას დაელოდებოდა. ასეთ შემთხვევაში საჯარიმო თანხის გაზრდა შეიძლება გამართლებული ყოფილიყო, რადგანაც დაპირებები იმის მაჩვენებელი იქნებოდა, რომ მოპასუხე ცდილობს დროის გარკვეულ მონაკვეთში, იძულებითი აღსრულების გარეშე გადაიხადოს დავალიანება. მაგრამ თუ ეს დაპირებებიც გონივრულ ვადას გადასცილდებოდა, მაშინ მოსარჩელე იძულებული იქნებოდა სასამართლოსთვის მიემართა და მისი მოთხოვნა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეიძლება გამართლებული ყოფილიყო.

საქმის მასალების საფუძველზე სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე არ ჰპირდებოდა მოსარჩელეს თანხის გადახდას, ამიტომ მას შეეძლო ადრევე მიემართა სასამართლოსათვის და არ დალოდებოდა საჯარიმო თანხის დიდი ოდენობით გაზრდას.

რაც შეეხება ლარის ინფლაციასთან დაკავშირებით მოსარჩელის მოთხოვნას, აქ უნდა ითქვას, რომ, საერთოდ, ხელშეკრულების მხარემ უნდა გადაიხადოს ის თანხა, რაზედაც არსებობს შეთანხმება. ლარის ინფლაციასთან დაკავშირებით 389-ე მუხლი არ გამოიყენება, ამიტომ სწორად უნდა იქნეს შეფასებული სასამართლოს მიერ აღნიშნული მუხლის განმარტება და იმაზე მითითება, რომ ლარის ინფლაციასთან დაკავშირებით მოცემული მუხლი არ გამოიყენება.

ბოლოს გვინდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ზემოთ დასახელებული თანხების ჯამში სასამართლომ მცირე შეცდომა დაუშვა, კერძოდ, 212 328 42 + 223 270 + 102 903 74 ლარი არის არა 538 602 16 ლარი, არამედ 538 502 14 ლარი.

აღსანიშნავია, რომ საოლქო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა საქართველოს უზენაესმა სასამართლომაც.

ი ჯ ა რ ა

გადაწყვეტილება

საქმე № 867
2000 წ.

ქუთაისი

მოსარჩელე: სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს
ქუთაისის სამმართველო

მოპასუხე: გ. სიღამონიძე

გადაწყვეტილების შინაარსი

მოსარჩელის მიერ 1998 წლის 20 ივნისს ჩატარებულ კონკურსში მოპასუხემ მოიპოვა იჯარის უფლება ქუთაისის ავტოქარხნის №12-ში მდებარე 60 კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართზე.

მოიჯარეს უნდა უზრუნველყო 15 კალენდალური დღის ვადაში საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება და მისი ნოტარიული დამოწმება, მაგრამ მიუხედავად მოსარჩელის მიერ მოპასუხის არაერთგზის წერილობითი გაფრთხილებისა, მოპასუხემ არ მოახდინა საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება.

მოსარჩელემ 2000 წლის მარტის ბრძანებით გააუქმა 1998 წლის 20 ივნისის კონკურსის შედეგები მოპასუხისათვის არასაცხოვრებელი ფართის იჯარით გადაცემის შესახებ. ამასთან, მოიჯარეს აღნიშნული ფართის ფაქტობრივი ფლობისათვის 2000 წლის მარტის მდგომარეობით დაერიცხა საიჯარო ქირის დავალიანება 445,85 აშშ დოლარის ოდენობით.

მოსარჩელემ გაგზავნა შეტყობინება ფართის განთავისუფლებისა და საიჯარო ქირის გადახდის შესახებ, მაგრამ მოპასუხემ მოთხოვნა არ შეასრულა.

სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი

გადაწყვეტილება:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებისა და 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად სარჩელი დაკმაყოფილდეს, კერძოდ:

1. არასაცხოვრებელი ფართი გამოთავისუფლდეს და დაუბრუნდეს მის მესაკუთრეს—მოსარჩელეს.

2. მოპასუხეს გადახდეს მოსარჩელის სასარგებლოდ არასაცხოვრებელი ფართის საიჯარო ქირის დავალიანება 336, 94 აშშ დოლარის კურსით ეროვნულ ვალუტაში.

სასამართლოს გადაწყვეტილება, კერძოდ, საიჯარო ქირის დაკისრებასთან დაკავშირებით იურიდიულად არ არის სწორი შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ გამოიყენა მუხლები, რომელთა შინაარსიც შემდეგში გამოიხატება, კერძოდ, მუხლი 172-ე:

1. მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

2. თუ საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა ხდება ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელისშემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით.

567-ე მუხლის 1-ლი ნაწილი:

„თუ დამქირავებელი ქირავნობის ურთიერთობის დამთავრების შემდეგ უკან არ აბრუნებს გაქირავებულ ნივთს, მაშინ გამქირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს დაყოვნების განმავლობაში დადგენილი ქირის გადახდა, როგორც ზიანის ანაზღაურება“.

მსგავს საკითხს არეგულირებს 581-ე მუხლიც, რომელიც უშუალოდ საიჯარო ურთიერთობას ეხება, მაგრამ სასამართლოს არ გამოუყენებია, კერძოდ:

„თუ მოიჯარე საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდეგ არ დააბრუნებს იჯარით აღებულ ქონებას, მაშინ მეიჯარეს შეუძლია მოითხოვოს დათქმული საიჯარო ქირის გადახდა ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის; მეიჯარეს შეუძლია მოითხოვოს სხვა სახის ზიანის ანაზღაურებაც.“

ამრიგად, ორივე მუხლის შინაარსი თითქმის იდენტურია. მაგრამ სასამართლოს რომ 581-ე მუხლიც გამოეყენებინა, გადაწყვეტილება იურიდიულად მაინც არ იქნებოდა სწორი, რადგანაც საიჯარო ქირის გადახდის მოთხოვნა მოიჯარეს წარმოეშობა მას შემდეგ, როდესაც დადებულია საიჯარო ხელშეკრულება.

ზემოთ მოცემული გადაწყვეტილების შინაარსიდან კი ჩანს, რომ საიჯარო ხელშეკრულება არ დადებულა. ასეთი დასკვნის საფუძველს გვაძლევს შემდეგი ანალიზი:

იჯარის ხელშეკრულება ორმხრივი, სასყიდლიანი ანუ საპასუხო დაკმაყოფილების მქონე და კონსენსუალური ხელშეკრულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ იჯარის ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები დადგენილი ფორმით მიაღწევენ შეთანხმებას. ასეთ დროს მნიშვნელობა არა აქვს თუ როდის მოხდება ნივთის გადაცემა.

სამოქალაქო კოდექსის 581-591-ე მუხლები უშუალოდ არეგულირებს იჯარასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, კერძოდ, 581-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად:

„იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძლოლის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ფულით, ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საიჯარო ქირის განსაზღვრის სხვა საშუალებებზედაც“.

ამრიგად, საიჯარო ურთიერთობა შემდეგ ნიშნებს მოიცავს:

- ა. ხელშეკრულებას;
- ბ. განსაზღვრული ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემას;
- გ. მეიჯარის მხრიდან საიჯარო დროის განმავლობაში ნაყოფის; მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფას;
- დ. დათქმული საიჯარო ქირის გადახდას.

აღნიშნული ნიშნები წარმოიშობა, როდესაც დაიდება საიჯარო ხელშეკრულება. დაიღო კი საიჯარო ხელშეკრულება მეიჯარესა და მოიჯარეს შორის?

ამ კითხვაზე პასუხს გაგვცემს იჯარის ხელშეკრულების ფორმის შესახებ ქვევით გაკეთებული ანალიზი, კერძოდ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 581-ე და 591-ე მუხლები არ უთითებენ, თუ რა შემთხვევაში და რა ფორმით უნდა დაიდოს საიჯარო ხელშეკრულება, არც იმას უთითებს, თუ ვინ შეიძლება იყოს ხელშეკრულების სუბიექტი. სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლი მხოლოდ მეიჯარესა და მოიჯარეს მოიხსენიებს, როგორც ხელშეკრულების მხარეებს. იქიდან გამომდინარე, რომ სამოქალაქო კოდექსი არეგულირებს კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებს, ამიტომ მეიჯარისა და მოიჯარის სტატუსით შეიძლება მონაწილეობდნენ კერძო სამართლის სუბიექტები – ფიზიკური და იურიდიული პირები. ეს წესი გამოიყენება როგორც სამეწარმეო, ასევე არასამეწარმეო, საქართველოსა თუ სხვა ქვეყნის პირების მიმართ (სამ. კოდ. მე-8.1. მუხ.).

სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძო-სამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან ასევე წესრიგდება სამოქალაქო კანონებით, თუკი ეს ურთიერთობები სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლით (სამ. კოდ. მე-8. მე-2. მუხ.).

სახელმწიფო სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი. სახელმწიფოს უფლებამოსილებებს ამ დროს ახორციელებენ მისი

ორგანოები – სამინისტროები, სახელმწიფოს დეპარტამენტები და ა.შ. – ისე, რომ ისინი არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს (სამ. კოდ. 24.4. მუხლი).

ამრიგად, როგორც სამოქალაქო სამართლის ნორმებიდან ირკვევა, მეიჯარისა და მოიჯარის სტატუსით შეიძლება მონაწილეობდნენ ფიზიკური პირები, იურიდიული პირები, მათ შორის სახელმწიფოც.

სახელმწიფო თავისი ქონების იჯარით გაცემას ახორციელებს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და მისი ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით.

ახლა, რაც შეეხება უშალოდ იჯარის ხელშეკრულების ფორმას. სამოქალაქო კოდექსი არ მიუთითებს იჯარის ხელშეკრულების განსაზღვრულ ფორმაზე, ამიტომაც იგი შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით, მაგრამ ჩვენს შემთხვევასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია სამოქალაქო კოდექსის 68-ე მუხლი, კერძოდ:

„გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. თუ ასეთი ფორმა არ არის დაწესებული, მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ იგი“.

ამავე კოდექსის 69-ე მუხლი უთითებს ფორმის სახეებზე, კერძოდ, შეიძლება არსებობდეს მარტივი წერილობითი ფორმა, როდესაც მხოლოდ ნების გამომვლენის ხელმოწერაც საკმარისია, და შეიძლება არსებობდეს ნოტარიულად დასამოწმებელი ფორმა, მაგალითად, ბინის შესყიდვის შემთხვევაში.

თუ სამოქალაქო კოდექსის ნორმებში არ არის მითითებული სპეციალური ფორმა, მაშინ გამოიყენება ზეპირი ან მხარეთა შეთანხმებით დადგენილი ფორმა, მაგრამ, როგორც გადაწყვეტილების შინაარსიდან ირკვევა, მხარეები შეთანხმდნენ, რომ იჯარის წერილობით ხელშეკრულებას 15 კალენდალურ დღეში მხარე – მოპასუხე, ხელს მოაწერდა და დაამოწმებდა ნოტარიულად.

ამრიგად, აღნიშნული შეთანხმება აბსოლუტურად თავსდება სამოქალაქო კოდექსის 68-ე მუხლში, კერძოდ, მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების ფორმაზე.

მაგრამ, აქვე გასათვალისწინებელია, აგრეთვე ზოგადი ადმინის-

ტრაციული კოდექსის ნორმებიც, რომელიც უთითებს, რომ თუ გარიგების ერთი მხარე სახელმწიფოა, ამიტომ გარიგება „ადმინისტრაციული გარიგების“ სახეს ღებულობს და იგი წერილობით უნდა დაიდოს. აღნიშნული წესი მოცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შემდეგ მუხლებში:

მუხლი მე-2, ნაწილი 1-ლი, პუნქტი „ზ“ – ადმინისტრაციული გარიგება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებაა.

ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტით – ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

ამავე კოდექსის 69-ე მუხლით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული გარიგება შეიძლება დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით.

განხორციელდა თუ არა მოპასუხესა და მოსარჩელეს შორის მიღწეული შეთანხმება?

გადაწყვეტილების შინაარსიდან ირკვევა, რომ მოპასუხემ არც 15 კალენდალური დღის განმავლობაში და არც შემდგომ პერიოდში არ გააფორმა და არ დაამოწმა იჯარის ხელშეკრულება. აქედან გამომდინარე, არც საიჯარო ურთიერთობა წარმოშობილა. თუ საიჯარო ურთიერთობა არ წარმოშობილა, მაშინ არც საიჯარო ქირის მოთხოვნის უფლება დგება.

გაკეთებული ანალიზი, მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ქუთაისის სამმართველოს ჰქონდა უფლება მხოლოდ 172-ე მუხლის საფუძველზე მოეთხოვა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და ამით მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

ამრიგად, ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასა-

მართლოს გადაწყვეტილება საიჯარო ქირის გადახდის შესახებ არ მიმაჩნია იურიდიულად გამართლებულად.

თუმცა უნდა აღინიშნოს, შემდეგი: მოპასუხეს ხელი რომ მოეწერა ხელშეკრულებაზე, მაშინ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნა – ხელშეკრულების მხოლოდ წერილობით ფორმაზე – შესრულდებოდა, ხოლო მოსარჩელეს აღარ ექნებოდა უფლება მოეთხოვა ხელშეკრულების მოშლა იმ საფუძველზე, რომ მოპასუხემ არ შეასრულა შეთანხმება ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმების შესახებ. რადგანაც მოპასუხეს შესრულებული ექნებოდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნა, რომელიც მხოლოდ გარიგების მარტივ წერილობით ფორმაზე უთითებს.

სამწუხაროდ, გადაწყვეტილებიდან არ ჩანს ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერა თუ არა მოპასუხემ. მაგრამ, რადგანაც სასამართლო აღნიშნავს, რომ „არ მოახდინა ხელშეკრულების გაფორმება და მისი ნოტარიული დამოწმება“, ამიტომ უნდა ვიგულისხმოთ, რომ მოპასუხემ ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერა.

მემკვიდრეობის სამართალი

1. მემკვიდრეობა კანონით

ანდერძით მემკვიდრეობისას პირი თვითონ ასახელებს მემკვიდრეებს, კანონით მემკვიდრეობისას კი ამ უკანასკნელთა წრეს კანონმდებელი განსაზღვრავს. ანდერძის არარსებობისას იმის დადგენა, თუ ვინ უნდა იყოს გარდაცვლილის ქონების მესაკუთრე, დიდ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ ცხადყო, რომ რიგ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილებები აღნიშნულ საკითხზე არ არის გამოტანილი კანონის შესაბამისად:

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ 2000 წლის 13 დეკემბერს განიხილა დავით დოლიძის მოთხოვნა ამავე წლის მაისში გარდაცვლილი გიორგი ბერაძის ბინაზე მემკვიდრედ ცნობის შესახებ. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელი წარმოადგენდა გიორგი ბერაძის გარდაცვლილი (1986 წელს) მეუღლის შვილს პირველი ქორწინებიდან. იგი მცირე ასაკიდანვე (12 წლიდან) ცხოვრობდა აღნიშნულ ბინაში და მამინაცვალთან ჰქონდა მამაშვილური ურთიერთობა. სასამართლომ ასევე გამოარკვია, რომ ბინა, განმცხადებლის დედასთან ქორწინებამდეც, ბერაძის საკუთრებას წარმოადგენდა და ამ უკანასკნელის ერთდერთ ნათესავს — მამიდაშვილის შვილს — მასზე პრეტენზია არ ჰქონდა. სასამართლომ დააკმაყოფილა დავით დოლიძის მოთხოვნა და ცნო იგი გიორგი ბერაძის ბინაზე მემკვიდრედ (საქმე №2/1986).

სასამართლომ განმცხადებლის მოთხოვნა დააკმაყოფილა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლზე მითითებით, რაც, ჩვენი აზრით, ბუნდოვანს ხდის საქმის გადაწყვეტის მატერიალურ საფუძველს. მოცემული მუხლი აწესრიგებს სამკვიდრო ვადის გაგრძელების საკითხს. ვადა კი შეიძლება გაუგრძელდეს (მისი საპატიო მიზეზით გადაცილებისას) პირს, რომელსაც მემკვიდრეობის უფლება ვადის განმავლობაში აქვს. ჩვენს შემთხვევაში მამკვიდრებელს ანდერძი არ დაუტოვებია, ამიტომ მისი ქონების იურიდიული ბედი

კანონისძიერი მემკვიდრეობის წესით უნდა განსაზღვრულიყო. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს კანონით მემკვიდრეთა ხუთ რიგს. კერძოდ, პირველ რიგს მიეკუთვნებიან გარდაცვლილის შვილი, ნაშვილები, მეუღლე და მშობლები (შვილიშვილები, შვილიშვილის შვილები და მათი შვილები – წარმომადგენლობის უფლებით), მეორე რიგს მიუკუთვნებიან გარდაცვლილის დები და ძმები (დისწულები, ძმისწულეები და მათი შვილები – წარმომადგენლობის უფლებით), მესამე რიგს – ბებია და ბაბუა (თუ ისინი ცოცხლები არ არიან, მათი – მშობლები), მეოთხე რიგს – ბიძები, მამიდები, დეიდები, მეხუთეს – დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები (მათი შვილები – წარმომადგენლობის უფლებით) (1336-ე მუხლი). ამრიგად, კანონისძიერ მემკვიდრეებად მიიჩნევიან გარდაცვლილის სისხლით ნათესაეები, განმცხადებელი კი ზემოთ აღნიშნულ მაგალითში, ასეთს არ წარმოადგენდა. ერთადერთი პირი, რომელსაც კანონმდებელი, როგორც არა სისხლით ნათესავს, მეუღლის გარდა, ანიჭებს მემკვიდრეობის უფლებას, არის ნაშვილები (მშვილებელი). მართალია, მოცემული საქმის გადაწყვეტისას მოსამართლემ დადგენილად ცნო ის ფაქტობრივი გარემოებანი, რომ დავით დოლიძე 12 წლის ასაკიდან იზრდებოდა გიორგი ბერაძის ოჯახში და მათ შორის არსებობდა მამაშვილური ურთიერთობა, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის საკმარისი პირის მემკვიდრედ აღიარებისათვის. ამისათვის აუცილებელია იგი კანონით დადგენილი წესით იქნეს ცნობილი ნაშვილებად. სამოქალაქო კოდექსის 1242-ე მუხლის მიხედვით კი შვილად აყვანა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. „შვილების სხვა რომელიმე წესზე კანონი არ მიუთითებს, ამიტომ აღსაზრდელად ბავშვის ოჯახში მიღების სხვა ფორმები აღმზრდელსა და ბავშვს შორის არ წარმოშობს შვილებისა და მშობლებისათვის კანონით დადგენილ სამართლებრივ კავშირებს, და, ცხადია, არც ურთიერთმემკვიდრეობის უფლებას“¹. ზემოაღნიშნულ მაგალითში ბერაძის მიერ დავით დოლიძის შვილად აყვანის თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილებას ადგილი არ ჰქონია. ამდენად, განმცხადებელი ვერ ჩაითვლებოდა გარდაცვ-

¹ იხ. ზ. ახელქიანი. მემკვიდრეობის სამართალი, გამოცემლობა „სამართალი“, თბ., 1997, გვ. 6.

ლილის კანონისმიერ შემკვიდრედ, რის გამოც სასამართლო გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი.

სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო დავით დოლიძის მიმართ 1426-ე მუხლის გამოყენების შესახებ ემსჯელა, თუ ეს უკანასკნელი სასამართლოსგან ჯერ სამოქალაქო კოდექსის 1240-ე მუხლის საფუძველზე აღმზრდელის გარდაცვალების შემდეგ შვილად აყვანის თაობაზე იურიდიული ფაქტის დადგენას მოითხოვდა¹, შემდეგ კი საერთო საფუძველზე წარმოადგენდა სარჩელს სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების შესახებ.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ 2001 წლის 8 მაისს განიხილა მედეა თაბუკაშვილის განცხადება შემკვიდრობის მიღების ფაქტის დადგენის თაობაზე. სამკვიდრო ქონებას შეადგენდა ბინა, რომელიც ირიცხებოდა გიორგი ლაბაძის სახელზე. გიორგი ლაბაძე გარდაიცვალა 1999 წელს, მისი ვაჟი კი, რომელიც იყო განმცხადებლის მეუღლე – 1998 წელს. სასამართლომ დააკმაყოფილა მედეა თაბუკაშვილის მოთხოვნა იურიდიული ფაქტის დადგენის თაობაზე და ცნო იგი შემკვიდრედ და მესაკუთრედ გიორგი ლაბაძის ქონებაზე (საქმე №2/1084).

აღნიშნული გადაწყვეტილებაც კანონის დარღვევითაა გამოტანილი, რადგან სასამართლომ განმცხადებელი მამამთილის კანონისმიერ შემკვიდრედ ცნო. რძალს კანონით შემკვიდრეთა არც ერთი რიგი არ ითვალისწინებს.

როგორც აღვნიშნეთ, კანონმდებლობა კანონისმიერ შემკვიდრეობის სისხლით ნათესაობის პრინციპიდან ორ გამონაკლისს იცნობს – შვილობილი (მშვილუბელი) და მეუღლე, რომლებიც შემკვიდრეთა პირველ რიგს განეკუთვნებიან. ცოცხლად დარჩენილი მეუღლე კანონით

¹ სამოქალაქო კოდექსის 1240-ე მუხლი ითვალისწინებს აღმზრდელის გარდაცვალებისას შვილად აყვანის ფაქტის დადასტურების შესაძლებლობას სასამართლო წესით ამასთან, განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომელიც საფუძველად უნდა დაედოს სასამართლოს გადაწყვეტილებას აღნიშნული იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ. ესენია: 1. აღმზრდელის ოჯახში არასრულწლოვანი ბავშვის შვილად მიღება, რაც დასტურდება ოჯახის წევრებისა და სხვა ნათესაუბების მიერ; 2. მშვილუბლის მიერ სასამართლოში შვილად აყვანის შესახებ განცხადების სიცოცხლეშივე შეტანა. იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესხეთე, გამომცემლობა „სამართალი“, 2000. გვ. 246.

მემკვიდრეა გარდაცვლილი მეუღლის შემდეგ, თუ ის დაქორწინებული იყო მასთან და ქორწინება გაგრძელდა მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან მეუღლეთა ურთიერთმემკვიდრეობის საკითხის შესახებ:

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 2000 წლის 3 აგვისტოს განიხილა მედეა და ირინა ჯოხაძეების სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხის სახელზე გაცემულ სამემკვიდრეო მოწმობაში ცვლილების შეტანისა და მემკვიდრეებად ცნობის თაობაზე. სასამართლომ გამოარკვია, რომ მამკვიდრებელს დარჩა მეუღლე, მედეა ჯოხაძე, რომელთანაც ქორწინებაში იმყოფებოდა 1959 წლიდან, ქალიშვილი ირინა ჯოხაძე და ვაჟი გიორგი ჯოხაძე. ამ უკანასკნელმა დედისა და დის თანხმობის გარეშე აიღო სამკვიდრო მოწმობა მამის სახელზე რიცხულ სახლზე, რომელიც აშენებული იყო 1980 წელს. სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 1339-ე მუხლზე მითითებით დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა და სამკვიდრო ქონებად გამოაცხადა სახლის 1/2 ნაწილი, რომელზეც თანაბარი წილის უფლებით მემკვიდრეებად ცნო როგორც მეუღლე, ისე შვილები (საქმე №2/1192).

სასამართლომ სწორად გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ სადავო სახლი აშენებული იყო მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში. მეუღლეთა ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება კი, თუ საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მათ საერთო საკუთრებას წარმოადგენს (სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლი), ამიტომ სამოქალაქო კოდექსის 1339-ე მუხლის მიხედვით, ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში, აღნიშნული ქონების ნახევარი ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს ეკუთვნის, მაგრამ არა როგორც მემკვიდრეს, არამედ როგორც თანამესაკუთრეს. ქონების აღნიშნული ნაწილი სამკვიდროში არ შედის და მას ცოცხლად დარჩენილი მეუღლის მემკვიდრეობის უფლება არ ეხება. იგი სხვა პირველი რიგის მემკვიდრეებთან ერთად თანაბარი წილის უფლებით მოიწვევა მემკვიდრედ საერთო ქონების მეორე ნახევარზე, რომელიც მეუღლეთა თანაზიარი საკუთრებიდან გარდაცვლილი მეუღ-

¹ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, გამომცემლობა „სამართალი“, 2000 წ. გვ. 396-397.

ლის წილს შეადგენდა, და ამ უკანასკნელის სხვა ქონებაზე, რომელიც ინდივიდუალური საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა.¹

სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ ცხადყო, რომ ზოგჯერ ადგილი აქვს თანასაკუთრების წილზე ცოცხლად დარჩენილი მეუღლის უფლების უგულებელყოფას:

ბათუმის საქალაქო სასამართლოში 1999 წლის 4 აგვისტოს სარჩელი აღძრეს ვალერი და გულიკო მახარაძეებმა დედინაცვალის – ნათელა გიორგაძის წინააღმდეგ გარდაცვლილი მამის ბინიდან სამემკვიდრეო წილის რეალურად გამოყოფისა და მოპასუხისათვის კუთვნილი წილის კომპენსაციის შესახებ. თავის მხრივ, მოპასუხემ შეგებებული სარჩელით მოითხოვა ბინის ნაწილის საკუთრებაში გადაცემა იმ საფუძველით, რომ იგი იყო აღნიშნული ბინის თანამესაკუთრე და ამავე დროს გარდაცვლილის პირველი რიგის მემკვიდრე. სასამართლომ გამოარკვია, რომ მამკვიდრებული და მოპასუხე იმყოფებოდნენ ქორწინებაში 1984 წლიდან, 1987 წლიდან კი ცხოვრობდნენ სადავო ბინაში, რომლის პრივატიზება მამკვიდრებლის სახელზე განხორციელდა 1993 წელს. ნათელა გიორგაძე აღნიშნულ ბინაში ჩაწერილი არ ყოფილა. სამკვიდროს დამტოვებელი გარდაიცვალა 1995 წელს. საქმეზე დანიშნულმა საინჟინრო-ტექნიკურმა ექსპერტიზამ აჩვენა, რომ ბინის რეალური გაყოფა იზოლირებულ ნაწილებად შეუძლებელი იყო ტექნიკური თვალსაზრისით სასამართლომ 2000 წლის 29 თებერვალის გადაწყვეტილებით ძირითადი და შეგებებული სასარჩელო მოთხოვნები არ დააკმაყოფილა უსაფუძველობისა და ტექნიკური შეუძლებლობის გამო სამოქალაქო კოდექსის 1454-ე, 1457-ე და 1459-ე მუხლებზე მითითებით¹ (საქმე №2/98).

აღნიშნული გადაწყვეტილება ნაწილობრივ შეცვალა აჭარის ა/რ

¹ სამოქალაქო კოდექსის 1454-ე მუხლი – „სამკვიდროდან წილის გამოყოფა ნატურით“ – აღგენს თითოეული მემკვიდრის უფლებას მოითხოვოს თავისი წილის გამოყოფა ნატურით ქონებიდან, თუ ამგვარი გამოყოფა შესაძლებელია ან თუ აკრძალული არ არის კანონით; 1457-ე მუხლი – „სამკვიდროს გადასვლა ერთ თანამემკვიდრეზე“ – უშუაღებს თანამემკვიდრების თანხმობით სამკვიდროს გადასვლას ერთერთ თანამემკვიდრეზე, რომელიც მოვალეა სხვა თანამემკვიდრებს მისცეს კომპენსაცია; 1459-ე მუხლი – „წილობრივი საკუთრება განუყოფელ ქონებაზე“ – კრძალავს ისეთი ქონების გაყოფას, რომლის გაყოფაც გამოიწვევს მისი სამეურნეო დანიშნულების მოშლას ან შესუსტებას, თუ მემკვიდრეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატამ 2000 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით, რომლითაც გარდაცვლილის მეუღლეს უარი ეთქვა სადავო ბინის თანამესაკუთრედ ცნობაზე. აღნიშნული ბინის 1/2 ნაწილის მესაკუთრედ სასამართლომ ცნო ვალერი მახარაძე (როგორც პრივატიზაციის დროს ბინაში ჩაწერილი დამქირავებლის ოჯახის წევრი), მეორე ნახევარზე კი თანაბარი წილის უფლებით მემკვიდრეებად გამოაცხადა გარდაცვლილის მეუღლე და შვილები (საქმე №22-64).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ 2000 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით გააუქმა ა/რ უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება და სამოქალაქო კოდექსის 1158-ე და 1136-ე მუხლების საფუძველზე გარდაცვლილის მეუღლე აღიარა სადავო ბინის თანამესაკუთრედ და სამკვიდრო ქონებად გამოაცხადა ბინის 1/2 ნაწილი, რომელზეც თანაბარი წილის უფლებით მემკვიდრეებად ცნო გარდაცვლილის მეუღლე და შვილები (საქმე №3 კ/510).

როგორც საქალაქო, ისე სააპელაციო სასამართლომ უგულებელყო მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებაზე. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს მამკვიდრებელთან „ერთობლივი ცხოვრებით ამ ბინაზე მოპოვებული არ ჰქონდა საკუთრების უფლება, როგორც მეუღლეს“ და მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ „როდესაც ამ ბინის შესყიდვა მოხდა (1993 წლის 2 თებერვალს გაფორმდა პრივატიზაციის ხელშეკრულება), გიორგაძეს მაშინ რაიმე პრეტენზია არ გამოუთქვამს, რომ შესყიდვის პროცესში მას მონაწილეობა არ მიუღია, რითაც იგი თანამესაკუთრის უფლებას მოიპოვებდა“. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107-ე დადგენილებით, რომლის მიხედვითაც ბინის მესაკუთრედ ითვლებოდა ის პირი, ვის სახელზეც ბინა იყო პრივატიზებული და გააკეთა მითითება აგრეთვე იმჟამად (სამკვიდროს გახსნის დროს) მოქმედ საბინაო კოდექსის 57-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც საცხოვრებელ სადგომში შესახლების ერთადერთ საფუძველს წარმოადგენდა ორდერი, სადავო ბინაზე გაცემულ ორდერში კი გარდაცვლილის მეუღლე ჩაწერილი არ ყოფილა.

„საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილების მიხედვით, პრივატიზაციისას ბინის მესაკუთრე ხდებოდა პირი, ვის სახელზეც ხორციელდებოდა რეგისტრაცია, მასთან ერთად მცხოვრები სრულწლოვანი ოჯახის წევრები, რომელთა თანხმობაც აუცილებელი იყო დამქირავებლის სახელზე პრივატიზაციისათვის, იძენდნენ ბინით სარგებლობის უფლებას.¹ გამონაკლისს წარმოადგენდა მეუღლე. იგი პრივატიზებული ბინის თანამესაკუთრე ხდებოდა იმჟამად მოქმედი საქორწინო და საოჯახო კოდექსის (1970 წლის 18 ივნისის) 21-ე მუხლის საფუძველზე. ამ მუხლის მიხედვით, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენდა მათ თანასაკუთრებას.² ამრიგად, როგორც ახალი, ისე ძველი სამოქალაქო კანონმდებლობით გიორგაძე იყო სადავო ბინის თანამესაკუთრე და უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ კანონიერად გააუქმა სააპელაციო გადაწყვეტილება. ვფიქრობთ, კარგი იქნებოდა, საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლთან – „მეუღლეთა თანასაკუთრება“ – ერთად გაეკეთებინა მითითება 1339-ე მუხლზეც – „ცოცხლად დარჩენილი მეუღლის უფლება თანასაკუთრების წილზე“.

სასამართლო გადაწყვეტილებათა შესწავლამ გამოავლინა, რომ პრივატიზებულ ბინებზე მემკვიდრეობის შესახებ საქმეთა განხილვასთან დაკავშირებით არაერთგვაროვან პრაქტიკას აქვს ადგილი. განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან:

2000 წლის 24 აპრილს ბათუმის საქალაქო სასამართლოში სარჩელი აღძრა მზია მურვანიძემ თავისი ძმის გოჩა მურვანიძის წინააღმდეგ და მოითხოვა გარდაცვლილი დედის სახელზე რეგისტრი-

¹ ბინის პრივატიზაციის აღნიშნული წესი შეიცვალა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 5 აგვისტოს №520-ე დადგენილებით „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო, საზოგადოებრივი და საბინაო-სამშენებლო კომპერატივების საბინაო ფონდის პრივატიზების დაქარების ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილებით გაუქმდა ბინის პრივატიზაციისათვის ოჯახის სრულწლოვანი წევრების თანხმობის აუცილებლობა.

² პრივატიზებულ ბინაზე მეუღლეთა თანასაკუთრების საკითხის შესახებ დაწერილებით იხ. ჩიკვაშვილი.შ., საოჯახო სამართალი, გამომცემლობა „კველი“, თბ., 1998 2. გვ. 72-76.

რებული ბინიდან წილის გამოყოფა. სასამართლომ გამოარკვია, რომ ბინის პრივატიზაცია ლალი მურვანიძის სახელზე განხორციელდა მოსარჩელის წერილობითი თანხმობით 1998 წელს. თავად მოსარჩელე აღნიშნულ ბინაში ჩაწერილი იყო და ცხოვრობდა დედასთან ერთად 1985 წლიდან. 1999 წელს ლალი მურვანიძე გარდაიცვალა. ამ უკანასკნელმა ბინა ანდერძით დაუტოვა თავის ვაჟს – გოჩა მურვანიძეს, რომლის სახელზეც ნოტარიუსმა გასცა სამკვიდრო მოწმობა ბინის 3/4 ნაწილზე, ხოლო სამკვიდრო ქონების დანარჩენ 1/4 ნაწილზე, როგორც მზია მურვანიძის სავალდებულო წილზე, საკითხი დატოვა ღიად. მოსარჩელემ მოითხოვა მისი, როგორც პრივატიზაციის მონაწილის, საკუთრების უფლების ცნობა ბინის 1/2 ნაწილზე და სამკვიდრო ქონებად ბინის მეორე ნახევრის გამოცხადება. სასამართლომ არ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოების გამო (საქმე №2/565).

აღნიშნული გადაწყვეტილება გააუქმა ა/რ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების სააპელაციო პალატამ 2000 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილებით და ცნო მზია მურვანიძის საკუთრების უფლება სადავო ბინის 1/2 ნაწილზე (საქმე №2/15).

პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა: „ვინაიდან 1998 წლის 12 ივნისს მოსარჩელემ თანხმობა განუცხადა აწ გარდაცვლილ დედას – ლალი მურვანიძეს – პრივატიზაციაზე, მაშინ, როცა კანონით თანხმობა სავალდებულო არ იყო და აღნიშნული თანხმობა მხოლოდ პირის მიერ თავის წილზე უარის თქმისათვის იყო საჭირო, ამიტომ მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლოა და უნდა ეთქვას უარი“. როგორც ვხედავთ, გარდაცვლილის სახელზე პრივატიზაციის თაობაზე მოსარჩელის მიერ გაცემული თანხმობა მოსამართლემ განიხილა როგორც მისი უარი თანასაკუთრებაზე. მართალია, იმჟამად მოქმედი საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 5 აგვისტოს №520-ე დადგენილება დამქირავებლის სახელზე ბინის პრივატიზაციისას მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრების თანხმობას არ ითხოვდა, მაგრამ ამგვარი თანხმობის გაცემა არ ნიშნავს თანასაკუთრებაზე უარის თქმას, თუკი მასში

წილის დათმობის შესახებ არაფერია ნათქვამი. მზია მურვანიძემ თანხმობა გასცა მხოლოდ დედის სახელზე ბინის რეგისტრაციაზე. ამდენად, რადგანაც მოსარჩელე 1985 წლიდან ჩაწერილი იყო და ცხოვრობდა სადავო ბინაში, მას მოპოვებული ჰქონდა საცხოვრებელ ფართობზე უფლება. „საბინაო ფონდის პრიატიზაციის შესახებ“ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1996 წლის 2 აპრილის №1 დადგენილების მიხედვით, პრიატიზებულ ბინაზე საკუთრების უფლება აქვს ყველა იმ პირს, რომელსაც საცხოვრებელ ფართობზე უფლება მოპოვებული ჰქონდა ბინის პრიატიზაციის მომენტიდან.¹

როგორც სასამართლო პრაქტიკამ გვიჩვენა, არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა სამკვიდროს მიკუთვნების თაობაზე სასამართლოს მიმართავენ პირები, რომლებიც გარდაცვლილ პირთან ნათესაური სიახლოვის მიხედვით მოქმედი კანონმდებლობით მემკვიდრეთა მესამე, მეოთხე, მეხუთე რიგს მიეკუთვნებიან.

თბილისის კრწანისი- მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში 1998 წლის აგვისტოში სარჩელი აღძრა ლეილა ნინიძემ და ითხოვა გარდაცვლილი ძმიშვილის – ირაკლი ტაბიძის კუთვნილ ბინაზე მემკვიდრედ ცნობა და აღნიშნული ბინიდან მოპასუხის გამოსახლება. მოსარჩელემ ურთიერთობის მოწესრიგება ითხოვა ახალი სამოქალაქო კოდექსით და სარჩელს საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ მემკვიდრებელს ეკუთვნოდა მამიდად და, შესაბამისად, წარმოადგენდა მეოთხე რიგის მემკვიდრეს, მოპასუხე კი გარდაცვლილს ბიძაშვილის შვილად ერგებოდა და, შესაბამისად, მეხუთე რიგის მემკვიდრეს წარმოადგენდა. სასამართლომ 1998 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით ლეილა ნინიძეს უარი უთხრა სარჩელის დაკმაყოფილებაზე (საქმე №2/1396).

¹ პრიატიზაციის შესახებ კანონმდებლობის სწორად გამოყენებისა და ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით, 1996 წლის 2 აპრილის №1 დადგენილებით „საბინაო ფონდის პრიატიზაციის შესახებ“ უზენაესი სასამართლოს პლენუმმა განუმარტა სასამართლოებს, რომ „საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 5 აგვისტოს №520-ე დადგენილებამ გააუქმა ბინების პრიატიზაციისათვის ოჯახის სრულწლოვანი წევრების თანხმობის აუცილებლობა, მიუხედავად ამისა, პრიატიზებულ ბინებზე საკუთრების უფლება აქვს ყველა იმ პირს, რომელსაც საცხოვრებელ ფართობზე უფლება მოპოვებული აქვს ბინის პრიატიზაციის დროისათვის“.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რომლის მიხედვითაც „სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების გამო ძალადაკარგული ნორმატიული აქტების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება ეს ნორმატიული აქტები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ურთიერთობის მონაწილეებს სურთ ერთმანეთს შორის ურთიერთობა ამ კოდექსით მოაწესრიგონ“. მოცემულ შემთხვევაში მამკვიდრებელი გარდაიცვალა, და შესაბამისად, სამკვიდრო გაიხსნა 1997 წლის 10 აგვისტოს, 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის მოქმედების დროს. ამ აქტის 544-ე მუხლის თანახმად, მამიდა არ მიეკუთვნებოდა კანონით მემკვიდრეთა წრეს, შესაბამისად, მოსარჩელის მიმართ მემკვიდრეობითი ურთიერთობა იმჟამად მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე არ წარმოიშობოდა. ახალი სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლამდე წარმოშობილი ურთიერთობა მხარეთა სურვილით ამ კოდექსით მოწესრიგდება მხოლოდ მაშინ, როცა მოცემული ურთიერთობა არსებობდა სამართლებრივი თვალსაზრისით ძველი ნორმატიული აქტის მიხედვითაც.

როგორც აღვნიშნეთ, სამოქალაქო კოდექსით დადგენილი კანონისმიერ მემკვიდრეთა წრე საკმაოდ ფართოა. ამ თვალსაზრისით ახალი სამოქალაქო კოდექსი განსხვავდება 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსისაგან, რომელიც კანონით მემკვიდრეთა მხოლოდ ორ რიგს იცნობდა.¹ ამიტომ გარდაცვლილის ნათესავებისათვის მემკვიდრეობითი ურთიერთობის მოწესრიგება ახალი სამოქალაქო ნორმებით ამ კუთხით უფრო მომგებიანია.

¹ 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 544-ე მუხლის მიხედვით კანონისმიერ მემკვიდრეებად ითვლებოდნენ: პირველ რიგში, გარდაცვლილის შვილები (შვილობილი), მუდლუ და შშობლები (შშვილებლები), (შვილიშვილები და შვილიშვილის შვილები – წარმომადგენლობის უფლებით); მეორე რიგში, გარდაცვლილის და-ძმები, ბებია და ბაბუა (დისწულები და ძმისწულები – წარმომადგენლობის უფლებით). კანონისმიერ მემკვიდრეთა წრეს მიეკუთვნებოდნენ არაშრომისუნარიანი პირები, რომლებიც სამკვიდროს დამტოვებლის კმაყოფაზე იყვნენ არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში მის სიკვდილამდე. ისინი მემკვიდრეობას იღებდნენ იმ რიგის მემკვიდრეების თანაწილად, რომლებიც მოწვეულნი იყვნენ მემკვიდრეებად. იხ. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსი, გამოცემულია „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1985.

2. მემკვიდრეობა ანდერძით

ფიზიკურ პირს შეუძლია სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს როგორც მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც (სამოქალაქო კოდექსის 1344-ე მუხლი). ანდერძი ძალას იძენს მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ, ამიტომ მამკვიდრებლის ინტერესებიდან გამომდინარე, ანდერძის ნამდვილობისათვის აუცილებელია მისი ფორმა აკმაყოფილებდეს კანონის მოთხოვნებს. ერთ-ერთ ასეთ მოთხოვნას წარმოადგენს ანდერძის ხელმოწერა თავად მამკვიდრებლის მიერ. სამოქალაქო კოდექსის 1360-ე მუხლის თანახმად, თუ მოანდერძე რაიმე მიზეზით თვითონ ვერ მოაწერს ანდერძს ხელს, შეიძლება მისი თხოვნით ხელი მოაწეროს სხვა პირმა. ამასთან, უნდა აღინიშნოს მიზეზი, რის გამოც მოანდერძემ ვერ შეძლო ანდერძზე ხელის მოწერა. სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ზოგჯერ ადგილი აქვს ანდერძზე სხვა პირის მიერ ხელმოწერის წესის უკულებელობას:

1998 წლის 5 მაისს ზუგდიდის სასამართლოს სარჩელით მიმართა ვენერა ჯანჯალიამ და მოითხოვა რუსუდან ჯანჯალიას სახელზე შედგენილი ანდერძის ბათილად ცნობა. სასამართლომ გამოარკვია, რომ სადავო ანდერძი შეადგინა ნოტარიუსმა 1997 წლის 5 სექტემბერს მამკვიდრებლის სახლში და მასზე მოანდერძის თხოვნითა და მოწმეთა თანდასწრებით ხელი მოაწერა ნიკო კალანდიამ. მოანდერძე გარდაიცვალა 1997 წლის 23 სექტემბერს. საქმეზე მოწმის სახით დაკითხულმა ექიმმა განაცხადა, რომ მამკვიდრებელი ანდერძის შედგენის დროს იყო „სრულ ჭკუაზე“, სალად აზროვნებდა და აზრებს სრულყოფილად აყალიბებდა, მაგრამ ფიზიკური სისუსტის გამო ჰქონდა ზედა კიდურების კანკალი. სხვა მოწმეთა ჩვენებებისა და ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ 1998 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა არ დააკმაყოფილა უსაფუძვლობის გამო (საქმე №2/131).

მოცემული გადაწყვეტილება გასაჩივრდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, რომელმაც 1998 წლის 7 ივლისის განჩინებით იგი უცვლელი დატოვა (№321).

ზუგდიდის სასამართლოს არ აღუნიშნავს, მატერიალური სამართლის რომელი ნორმის საფუძველზე გადაწყვიტა მან დავა, უზენაესმა სასამართლომ კი გააკეთა მითითება სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წ.) 546-ე მუხლზე „მემკვიდრეობა ანდერძით“, რომელიც ანდერძით მემკვიდრეობის ზოგად წესს განსაზღვრავს. ამასთან, სასამართლოებმა საქმის განხილვის დროს არ გაამაზვილეს ყურადღება იმ ფაქტზე, რომ არ იყო დაცული ანდერძზე ხელის მოწერის წესი, რაც ანდერძის ნამდვილობის ერთ-ერთი პირობაა. სამოქალაქო კოდექსის 1360-ე მუხლის, ისევე როგორც ადრე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის 551-ე მუხლის თანახმად, ანდერძზე ხელის მოწერა არამოანდერძის მიერ დაიშვება მხოლოდ შემდეგი პირობების დაცვით: 1. ამ ამოქმედებას უნდა ესწრებოდეს ნოტარიუსი, და 2. უნდა აღინიშნოს მიზეზი, რის გამოც ვერ შეძლო მამკვიდრებელმა ხელის მოწერა. მოცემულ შემთხვევაში კი ასეთი მიზეზი ანდერძში აღნიშნული არ ყოფილა (ანდერძი თან ერთვოდა საქმის მასალებს და მოცემულ დარღვევაზე მიუთითებდა მხარე როგორც სარჩელში, ისე საკასაციო საჩივარში). ამდენად, ჩვენი აზრით, სასამართლოს ანდერძი ბათილად უნდა ეცნო ფორმის დაუცველობის გამო.

ანდერძით მემკვიდრეთა არჩევის თავისუფლება იზღუდება კანონით განსაზღვრულ პირთა წრით, რომელთაც ანდერძის შინაარსის მიუხედავად, უფლება აქვთ მიიღონ წილი მამკვიდრებლის ქონებიდან. სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლი ადრე მოქმედი კანონმდებლობისაგან განსხვავებით, სავალდებულო წილის მიღების უფლებას ანიჭებს მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს მათი სრულწლოვანების მიუხედავად.¹ სასამართლო გადაწყვეტილებათა შესაწავლამ გვიჩვენა, რომ სავალდებულო წილის მიკუთვნების შესახებ დავები ხშირია და ამ საკითხის შესახებ

¹ 1997 წლის 25 ნოემბრამდე, სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლამდე, მოქმედი წესის მიხედვით, სავალდებულო წილზე უფლება აქონდათ მხოლოდ არასრულწლოვან და შრომისუნარიანი შვილებს, შრომისუნარიანი მეუღლეს, მშობლებსა და მამკვიდრებლის რჩენაზე მყოფ სხვა მემკვიდრეებს. მათი სავალდებულო წილი კი შეადგენდა იმ წილის ორ მესამედს, რასაც თითოეული მათგანი კანონისმიერ მემკვიდრეობის დროს მიიღებდა. იხ. 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 547-ე მუხლი.

სწორი სასამართლო პრაქტიკაა დამკვიდრებული. თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ მაგალითი თელავის რაიონული სასამართლოს პრაქტიკიდან:

2000 წლის 12 სექტემბერს თელავის რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა ავთანდილ ბეჟანიშვილმა და მოითხოვა ცისანა ბეჟანიშვილის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობის გაუქმება. სასამართლომ გამოარკვია, რომ მხარეები დაძმანი იყვნენ, რომელთაგან მოსარჩელეს დედამ 1997 წლის 29 მაისს შედგენილი ანდერძით დაუტოვა კუთვნილი საცხოვრებელი სახლი.

მოანდერძე გარდაიცვალა 1999 წლის 8 ივლისს. 2000 წლის 17 იანვარს სანოტარო ორგანოს მიერ მოპასუხის სახელზე გაიცა კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა აღნიშნული სახლის 1/2 ნაწილზე. 2000 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და დაევალა სანოტარო ორგანოს 2000 წლის 17 იანვარს გაცემულ სამკვიდრო მოწმობაში ცვლილების შეტანა იმდაგვარად, რომ მოპასუხე ცნობილი ყოფილიყო მემკვიდრედ სადავო სახლის 1/4 ნაწილში (საქმე №2/396).

სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1344-ე და 1371-ე მუხლებით და, ვინაიდან მამკვიდრებელს ჰყავდა ორი პირველი რიგის მემკვიდრე, ანდერძის „გარეთ დარჩენილ“ შვილს (მოპასუხეს) მიაკუთვნა იმ ქონების ნახევარი, რასაც იგი მიიღებდა კანონით მემკვიდრეობის შემთხვევაში.

2000 წლის 19 სექტემბერს თელავის რაიონულ სასამართლოში მევლულ მარტიაშვილმა და შურა ხითარიშვილმა აღძრეს სარჩელი გარდაცვლილი ნათელა მარტიაშვილის ქონებიდან სარჩოს მიკუთვნებისა და მისი უკანასკნელი ავადმყოფობის დროს მოვლითა და მკურნალობით გამოწვეული დანახარჯების ანაზღაურების შესახებ. მევლულ მარტიაშვილი იყო მამკვიდრებლის ერთადერთი შვილი, რომელიც, როგორც მეორე ჯგუფის ინვალიდი, იმყოფებოდა დედის კმაყოფაზე. შურა ხითარიშვილი კი მამკვიდრებლის დას წარმოადგენდა. ნათელა მარტიაშვილმა 1999 წლის 15 სექტემბერს შეადგინა ანდერძი, რომლითაც მთელი თავისი ქონება დაუტოვა ძმისშვილს – მოპასუხეს. იმავე წლის 18 სექტემბერს ნათელა მარტიაშვილი გარდაიცვალა.

მეკლუდ მარტიაშვილმა, როგორც მამკვიდრებლის კმაყოფაზე მყოფ-
მა არაშრომისუნარიანმა პირმა, ითხოვა სარჩო სამკვიდროდან იმ
წილის გაუთვალისწინებლად, რაც დედის ქონებიდან სავალდებულო
წილის სახით უნდა მიჰკუთვნებოდა. შურა ხითარიშვილმა მოითხოვა
მამკვიდრებლის უკანასკნელი მოვლითა და მკურნალობით გამოწვეული
დანახარჯების ანაზღაურება იმ ქონებიდან, რასაც მოპასუხე მიიღებ-
და, როგორც ანდერძით მემკვიდრე (2/401. №74). სარჩელი არსები-
თად არ განხილულა და მხარეებს ეთხოვათ სამკვიდრო ქონების
დაზუსტება.

მიუხედავად იმისა, რომ სარჩელის თაობაზე გადაწყვეტილება
სასამართლოს მიერ გამოტანილი არ ყოფილა, ვფიქრობთ, მასზე
მსჯელობა საინტერესო უნდა იყოს იმ კუთხით, ეკუთვნის, თუ არა
სავალდებულო წილის მიძღვება მემკვიდრეს სარჩო სამკვიდროდან,
თუ იგი შრომისუნარობის გამო მამკვიდრებლის კმაყოფაზე იმყო-
ფებოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კანონმდებელმა სამკვიდროდან სავალ-
დებულო წილის მიღების უფლება მიანიჭა გარკვეული კატეგორიის
მემკვიდრეებს მათი შრომისუნარიანობის მიუხედავად, არაშრომისუ-
ნარიან პირთა უფლებები მემკვიდრეობისას კი ცალკე მუხლით
გათვალისწინა: 1338-ე მუხლის მიხედვით „არაშრომისუნარიან პირებს,
რომლებიც მამკვიდრებლის კმაყოფაზე იყვნენ და დამოუკიდებლად
თავის შენახვა არ შეუძლიათ, თუ მათ შესახებ ანდერძში მითითებუ-
ლი არ არის, უფლება აქვთ მოითხოვონ სარჩო (აღიშენი) სამკვიდროდან.
თანხის ოდენობა, რაც გადახდით უნდა იქნეს სარ-
ჩოს სახით, შეიძლება შემცირდეს სამკვიდროს აქტივის მოცულობის
გათვალისწინებით“. ვინაიდან კანონმდებელმა ცალკე გაითვალისწი-
ნა არაშრომისუნარიან პირთა უფლებები და ცალკე განსაზღვრა იმ
პირთა წრე, რომლებსაც უფლება აქვთ სავალდებულო წილზე, უნდა
ვივარაუდოთ, რომ მამკვიდრებლის რჩენაზე მყოფ არაშრომისუნარი-
ან შვილს, მშობელსა და მეუღლეს, თუ ისინი არ არიან ანდერძში
გათვალისწინებული, შეუძლიათ მიიღონ სამკვიდროდან ან სარჩო,
ან სავალდებულო წილი. ამგვარი მოსაზრება გამოთქმულია ქართულ
იურიდიულ მეცნიერებაშიც: ზ.ახვლედიანი აღნიშნავდა: „რჩენაზე

მყოფი პირი შეიძლება საერთოდ მემკვიდრე იყოს, მაგრამ არა იმ რიგის, რომელიც სამკვიდროს მისაღებადაა მოწვეული“.¹ შ. ჩიკვაშვილიც ხაზს უსვამს, რომ „პირის უფლება, მოითხოვის სარჩო (ალიმენტი) სამკვიდროდან, თავის მხრივ, გამორიცხავს სამკვიდრო ქონების მიღებაზე მემკვიდრეობის უფლებას“.²

რაც შეეხება მეორე მოსარჩელის მოთხოვნას, უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებელი ყველა მემკვიდრეს აკისრებს მამკვიდრებლის ვალებისათვის პასუხისმგებლობას თავისი წილის პროპორციულად, მათ შორის სავალდებულო წილის მიმღებ პირებსაც (სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლი).

სასამართლო პრაქტიკაში ხშირია დავები, როდესაც ანდერძის გაუქმების მოთხოვნას ადგილი აქვს იმ საფუძველით, რომ საანდერძო განკარგულებანი გაუგებარია ან ეწინააღმდეგება ერთმანეთს. გამოირკვა, რომ ასეთი დავების გადაწყვეტისას სასამართლოები სწორად ხელმძღვანელობენ სამოქალაქო კოდექსის 1398-1409-ე მუხლებით (ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2000 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/1390, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 1999 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე №3კ-18 და სხვ). თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან.

თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს 1999 წლის სექტემბერში სარჩელით მიმართა ნანა თაბაგარმა და მოითხოვა მემკვიდრედ ცნობა და მოპასუხის სახელზე შედგენილი ანდერძის ბათილობა. სასამართლომ გამოარკვია, რომ 1992 წელს მამკვიდრებელმა შეადგინა და ნოტარიალურად დაამოწმა ანდერძი, რომელშიც თავის მემკვიდრედ დაასახელა მოპასუხე კოტე უბილავა. სამკვიდროს დამტოვებელმა 1998 წელს შეადგინა კიდევ ერთი ანდერძი, რომლითაც მთელი თავისი ქონება დაუტოვა მოსარჩელეს. ეს უკანასკნელი ანდერძი სანოტარო წესით დადასტურებული არ ყოფილა. სასამართლომ 1999

¹ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, გვ. 396.

² იხ. ჩიკვაშვილი შ., მემკვიდრეობის სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2000. გვ. 129.

წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილებით უარი უთხრა მოსარჩელეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე სამოქალაქო კოდექსის 1401-ე მუხლზე მითითებით (საქმე №2/58).

აღნიშნულ მაგალითში სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1401-ე მუხლით, რომლის თანახმად, „თუ პირმა რამდენიმე ანდერძი შეადგინა, რომელთაგან ერთ-ერთი შედგენილია სანოტარო ფორმით, დანარჩენი კი – არა, უპირატესობა სანოტარო ფორმით შედგენილ ანდერძს ენიჭება“.

მართალია, კანონმდებელმა აღიარა ანდერძის ორი სახე: სანოტარო წესით დადასტურებული ანდერძი და ანდერძი, სანოტარო დადასტურების გარეშე (შინაურული ანდერძი), მაგრამ გაითვალისწინა ასევე მათი „კოლიზიის“ საკითხი და უპირატესობა სანოტარო ანდერძს მიანიჭა.

1997 წლის 22 აპრილს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სანოტარო მოქმედების გაუქმების მოთხოვნით მიმართა გულიკო შანიძემ. სასამართლომ გამოარკვია, რომ გარდაცვლილმა გიორგი მახარაძემ 1997 წლის 5 მარტს მოსარჩელის სახელზე შეადგინა ანდერძი და დაამოწმა სანოტარო წესით. იმავე წლის 18 მარტს მან ანდერძის გაუქმების მოთხოვნით მიმართა ნოტარიუსს. ანდერძის გაუქმებიდან მესამე დღეს გიორგი მახარაძე გარდაიცვალა. მოსარჩელემ მოითხოვა უკანასკნელი სანოტარო მოქმედების გაუქმება და, შესაბამისად, გიორგი მახარაძის მემკვიდრედ ცნობა. 1997 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით სასამართლომ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა იმ საფუძველით, რომ ანდერძის გაუქმების დროს მამკვიდრებელი თავს ცუდად გრძნობდა და მოცემული სანოტარო მოქმედება მასზე „გარკვეული ზემოქმედების“ შედეგი იყო (საქმე №2/432). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1997 წლის 21 აგვისტოს დადგენილებით გააუქმა ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილება და ხელახალი განხილვისათვის გადასცა იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომლის 1998 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა 1997 წლის 18 მარტის სანოტარო მოქმედების გაუქმებაზე (საქმე №2/154).

ბათუმის სასამართლოს 1998 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება კანონის შესაბამისად არის გამოტანილი, მაგრამ მასში არ არის მითითება სათანადო მატერიალურ-სამართლებრივ ნორმაზე. კერძოდ, მოსამართლეს უნდა მიეთითებინა სამოქალაქო კოდექსის 1398-ე მუხლზე ან 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 553-ე მუხლზე, რომლებიც აღგენენ ანდერძის გაუქმების ან შეცვლის შესაძლებლობას სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანის გზით.

3. სამკვიდროს მიღება და უარი მის მიღებაზე

სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრება რომ გახდეს, მან იგი უნდა მიიღოს. სამკვიდროს მიღების წესი ერთნაირია როგორც კანონით, ისე ანდერძით მემკვიდრეობის დროს. სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც მემკვიდრე კანონით დადგენილ ვადაში შეიტანს შესაბამის განცხადებას სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში, ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას (სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლი). სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ ცხადყო, რომ მემკვიდრეობის შესახებ გადაწყვეტილებათა დიდი ნაწილი სწორედ სამკვიდროს მიღების საკითხებს ეხება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2001 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ციური წეროძის სასარჩელო მოთხოვნა სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების თაობაზე. მამკვიდრებელი წარმოადგენდა მოსარჩელის მშობელს. სამკვიდრო ქონებას კი შეადგენდა ბინა, სადაც მოსარჩელე ცხოვრობდა როგორც მამკვიდრებლის სიცოცხლეში, ისე მისი გარდაცვალების შემდეგ. სამკვიდროს დამტოვებელი გარდაიცვალა 1968 წელს. მოსარჩელემ კი სამკვიდრო მოწმობის მისაღებად 2000 წლის იანვარში მიმართა სანოტარო ორგანოს და მიიღო უარი ხანდაზმულობის გასვლაზე მითითებით. სასამართლომ სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ექვსთვიანი ვადის გაშვება მოსარჩელეს ჩაუთვალა საპატიოდ და გაუგრძელა იგი სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლზე მითითებით (საქმე №2/129).

ჩვენი აზრით, არ არის სწორი მოცემული გადაწყვეტილების

მატერიალური საფუძველი. სასამართლოს სადავოდ არ გაუხდია ის ფაქტი, რომ მოსარჩელე მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ ცხოვრობდა სამკვიდრო ბინაში, გადაწყვეტილებაში აღინიშნა კიდევაც: „დაკრძალვის შემდეგ მოსარჩელე კვლავაც აგრძელებდა დედის სახლში ცხოვრებას, რითაც მან ფაქტიურად მიიღო სამკვიდრო ქონება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლით“. ვფიქრობთ, ვინაიდან მემკვიდრემ სამკვიდრო მიიღო მისი ფაქტობრივი დაუფლებით, აღარ არსებობს მისი მიღებისათვის ვადის გაგრძელების საჭიროება. სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების ანუ საიოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლის გამოყენების საკითხი უნდა დაისვას მაშინ, როცა კანონით ან ანდერძით მემკვიდრე არ შეასრულებს 1421-ე მუხლით – „სამკვიდროს მიღება“, – გათვალისწინებულ ერთ-ერთ მოქმედებას, კერძოდ, არ შეიტანს განცხადებას სანოტარო ორგანოში, ან არ შეუდგება სამკვიდროს ფაქტობრივ ფლობას (მართვას).

მოცემული საქმის ანალოგიურად ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა ვალერი გეგენავას მოთხოვნა სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების შესახებ. სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ვ. გეგენავა მშობლების გარდაცვალების შემდეგ „ფაქტიურად ფლობს აღნიშნულ სახლს და გადასახადებსაც იხდის“ და სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლზე მითითებით სამკვიდროს მიღების გაშვებული ვადა ჩაუთვალა საპატიოდ და მიაკუთვნა გარდაცვლილი მამის დანაშთი ქონება (საქმე №2-396). ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაშიც მემკვიდრეს 1421-ე მუხლის მიხედვით სამკვიდრო მიღებული ჰქონდა ფაქტობრივი დაუფლებით და აღარ არსებობდა მისი მიღებისათვის ვადის გაგრძელების საჭიროება. იგივე შენიშვნა შეიძლება გამოითქვას ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2000 წლის 25 სექტემბერის გადაწყვეტილების მიმართ, რომლითაც დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა მემკვიდრეობის აღდგენისა და გაშვებული სამემკვიდრეო ვადის გაგრძელების შესახებ. მოცემულ შემთხვევაშიც, სასამართლომ დადგენილად ცნო გარემოება, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ მოსარჩელე სარგებლობდა სამკვიდრო

სახლით, იხდიდა სხვადასხვა საყოფაცხოვრებო გადასახადს (ბინის ქირა, წყლის გადასახადი) და მიიჩნია, რომ „ასეთ შემთხვევაში თანახმად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 პუნქტისა, მოსარჩელე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ფლობასა და მართვას, რაც მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. ასეთ შემთხვევაში გაშვებული ექვსთვიანი სამემკვიდრეო ვადა უნდა გაუგრძელდეს“ (საქმე №2.983).

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2000 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილებით ასევე განისაზღვრა, რომ „ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელე ფლობდა და სარგებლობდა სადავო სახლთმფლობელობით, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მას სამკვიდრო მიღებული აქვს და რადგანაც ის ფლობდა და სარგებლობდა, მის მიერ საპატიოდ იქნა გაშვებული სარჩელის აღძვრის ვადა, რაც უნდა აღუდგეს“ (საქმე №2/831).

ზემოაღნიშნული მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პრაქტიკაში რიგ შემთხვევებში არ ხდება სამოქალაქო კოდექსის 1421-ე და 1426-ე მუხლებით მოწესრიგებული ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი განსხვავებების გათვალისწინება. 1421-ე მუხლი განსაზღვრავს, თუ რა ითვლება სამკვიდროს მიღებად, კერძოდ, მოცემული ნორმის მიხედვით, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას, ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს იგი. სამკვიდროს მისაღებად საჭირო აღნიშნული მოქმედებები შესრულებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. 1426-ე მუხლი კი ადგენს სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გაგრძელების წესს იმ შემთხვევაში, როცა პირმა ვერ მოახერხა 1421-ე მუხლში მითითებული ერთ-ერთი მოქმედების შესრულება მაინც. 1421-ე მუხლის მიხედვით, თუ კანონით ან ანდერძით მემკვიდრე ფაქტობრივად ფლობს სამკვიდროს ან მართავს მას,

“კ” უკვე პირია, რომელმაც სამკვიდრო მიიღო და ნოტარიუსმა უნდა გასცეს სამკვიდრო მოწმობა, თუ სამკვიდროს გახსნის დღიდან გასულია ექვსი თვე (სამკვიდროს მოწმობის გაცემის ვადა განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსის 1500-ე მუხლით). სამკვიდროს მიღების ფაქტი უნდა დაადგინოს სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის საფუძველზე იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ფლობის ან მართვის მტკიცებულება საეჭვოა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ მოცემული იურიდიული ფაქტის დადგენის დროს, სასამართლოები არ მიუთითებენ მატერიალური სამართლის რომელი ნორმის საფუძველზე გადაწყვეტეს საკითხი:

ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ღია კოპლატაძის მოთხოვნა იურიდიული ფაქტის დადგენის თაობაზე. სასამართლომ გამოარკვია, რომ 1998 წლის 19 აგვისტოს შედგენილი ანდერძით დედამთილმა მთელი თავისი ქონება დაუტოვა განმცხადებელს. მონადერძე გარდაიცვალა 1999 წლის 20 ნოემბერს. მის კუთვნილ ქონებას გარდაცვალების შემდეგ უვლიდა და პატრონობდა ღია კოპლატაძე, რაც დადასტურებული იყო ბორჯომის რაიონის სადაბო საკრებულოს მიერ გაცემული ცნობით №333. აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით, სასამართლომ განმცხადებლის მიერ სამკვიდრო მიღებულად მიიჩნია (საქმე №2/398).

სასამართლომ სწორად გადაწყვიტა სამკვიდროს მიღების ფაქტის დადგენის საკითხი, მაგრამ არ მიუთითებია სამოქალაქო კანონმდებლობის რომელი ნორმით იხელმძღვანელა. ასევე არ არის აღნიშნული საქმის გადაწყვეტის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი იმავე სასამართლოს 2000 წლის 22 ნოემბერის გადაწყვეტილებაში. თუმცა ამ შემთხვევაშიც, სასამართლომ ფაქტობრივად სწორად გადაწყვიტა განმცხადებლის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტის აღიარების საკითხი ამ უკანასკნელის მიერ მამკვიდრებლის ქონების ფლობისა და მართვის გათვალისწინებით (საქმე №2/447).

სამკვიდრო ქონების ფაქტობრივ ფლობად და მართვად, და შესაბამისად, სამკვიდროს მიღებად სასამართლოები მიიჩნევენ მემკვიდრეთა ცხოვრებას მამკვიდრებლის ბინაში, მათ მიერ ქონებასთან

დაკავშირებული სხვადასხვა გადასახადის გადახდას (წყლის, ბინის, მიწის გადასახადი), მემკვიდრის მიერ თავის საცხოვრებელ ბინაში მამკვიდრებლის ცალკეული ნივთების გადატანას და სხვ. (მაგ. იხ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1999 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/2283; იმავე სასამართლოს 2000 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე №2/1192; თბილისის ისან-სამგორის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 18 ნოემბერის გადაწყვეტილება საქმეზე №2/1902; იმავე სასამართლოს 1999 წლის 15 დეკემბერის გადაწყვეტილება საქმეზე №2/1942 და სხვ). საგულისხმოა, რომ ასეთივე თვალსაზრისია მოცემულ საკითხზე ქართულ იურიდიულ მეცნიერებაშიც.¹

კანონით დადგენილი ექვსთვიანი ვადის გასვლის შემდეგ პირს შეუძლია სამკვიდრო მიიღოს სასამართლოსათვის მიმართვის გზით, ან ამგვარი მიმართვის გარეშე, თუ თანახმა იქნება სამკვიდროს მიმღები ყველა მემკვიდრე. სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლის თანახმად, სასამართლო სამკვიდროს მიღების ვადას გააგრძელებს, თუ მისი გადაცილების მიზეზებს საპატიოდ მიიჩნევს. აღნიშნული საპატიო მიზეზების ჩამოთვლას კანონი არ ახდენს, ამიტომ ეს საკითხი სამოსამართლო სამართლის გადასაწყვეტია კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების, სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნების გათვალისწინებით. საყურადღებოა, თუ რომელ გარემოებებს მიიჩნევს სასამართლო პრაქტიკა საპატიო გარემოებებად, რომელთაც საფუძვლად უდებს გაშვებული სამკვიდრო ვადის აღდგენას.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2001 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მურთაზ მიქაბერიძის მოთხოვნა სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების შესახებ. სასამართლომ გამოარკვია, რომ მამის გარდაცვალების ღრიოსათვის (1994 წელს) მოსარჩელე სწავლობდა რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში. სწავლის დამთავრების შემდეგ კი იქვე გააგრძელა

¹ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეხუთე, გვ. 467-468. ჩიკვაშვილი შ. მემკვიდრეობის სამართალი, გამოქვეყნდა „მერიდიანი“, 2000. გვ. 155-156, ახელუღიანი ზ. მემკვიდრეობის სამართალი, გვ. 52.

მუშაობა. სამკვიდროს მიღების თაობაზე სანოტარო ორგანოს მან მიმართა 2000 წელს. გადაწყვეტილებაში აღნიშნა: „იმის გამო, რომ მ.მიქაბერიძის მიერ სამემკვიდრო ვადის გაშვება გამოწვეული იყო რუსეთში სწავლასა და მუშაობასთან დაკავშირებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ იგი საპატიო მიზეზით არის გაშვებული და უნდა გაგრძელდეს“ (საქმე №2/36).

ბორჯომის რაიონულმა სასამართლომ 2000 წლის 25 სექტემბერის გადაწყვეტილებით სამკვიდროს ვადის გაშვების საპატიო მიზეზად მიიჩნია მემკვიდრის მძიმე მატერიალური მდგომარეობა (სამკვიდრო გაიხსნა 1999 წლის იანვარს) (საქმე №2/392).

ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2001 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით ვადის გაშვება საპატიოდ ჩათვალა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მემკვიდრე სამკვიდროს გახსნის დროს (1998 წლის 2 ნოემბერი) იმყოფებოდა თავისუფლების აღკვეთის ადგილას (საქმე №2/356).

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა კანონისმიერი მემკვიდრის მოთხოვნა სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების შესახებ. სასამართლომ მხედველობაში მიიღო წლების განმავლობაში მემკვიდრის ცხოვრება საქართველოს ფარგლებს გარეთ (ქ. მოსკოვი) და მისი მძიმე მატერიალური და სამსახურებრივი მდგომარეობა (საქმე №2/1278).

თითქმის რვა წლის განმავლობაში მემკვიდრის საზღვარგარეთ სამკურნალოდ ყოფნა საპატიო მიზეზად მიიჩნია თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ 2000 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე №2/749).

საპატიო მიზეზად თვლიან ზოგჯერ სასამართლოები მემკვიდრეთა დატვირთვას თავიანთი პირადი ოჯახური პრობლემებით (ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №2/125), ანდერძის არსებობის არცოდნას (ბათუმის საქალაქო სასამართლოს 1999 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება, საქმის ნომერი გადაწყვეტილებაზე არ არის აღნიშნული) და სხვ.

სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გაგრძელებას ადგილი

აქვს მისი, როგორც რამდენიმე თვით, ისე რამდენიმე წლით გადაცილების შემთხვევაში.

სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც სასამართლო სამკვიდროს მიღების ვადის გადაცილების მიზეზების საპატიოდ მიჩნევის დროს, აგრძელებს მას 3 თვით.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2001 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა კანონისმიერი მემკვიდრის სასარჩელო მოთხოვნა და დაადგინა: „მოსარჩელეს საპატიოდ ჩათვალოს მისი აწ გარდაცვლილი დედის დანაშთი ქონების... სამკვიდროს სახით მიღების კანონით დადგენილი ვადის გაშვების მიზეზი და სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა გაუგრძელდეს 3 თვით ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან“ (საქმე №2/129).

ასევე სამი თვით გაუგრძელა სამკვიდროს მიღების ვადა პირველი რიგის მემკვიდრეს თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ 2000 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე №2/749).

ჩვენი აზრით, ბუნდოვანია აღნიშნულ გადაწყვეტილებებში მითითებული დამატებითი ვადის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი. კანონმდებელი სამკვიდროს მიღების სპეციალურ ვადას, რომელიც სამ თვეს შეადგენს, ითვალისწინებს იმ მემკვიდრეებისათვის, რომელთა მიერ სამკვიდროს მიღების უფლება იმ შემთხვევაში წარმოიშობა, როცა წინა რიგის მემკვიდრეები სამკვიდროს არ მიიღებენ და მისაღებად დადგენილი ექვსთვიანი ვადის დარჩენილი ნაწილი სამ თვეზე ნაკლებია (სამოქალაქო კოდექსის 1425-ე მუხლი). ზემოაღნიშნულ ორივე მაგალითში კი სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელებას ითხოვდა პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრე და სხვა მემკვიდრეთა მიერ სამკვიდროს მიღებაზე უარეს ადგილი ჰქონია.

როგორც გადაწყვეტილებათა შესწავლამ გვიჩვენა, სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელებაზე უარის თქმა იშვიათია სასამართლოთა პრაქტიკაში. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ ერთ-ერთ მაგალითს:

თელავის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით მოსარჩელე ნანა ანდრიაძეს გაუგრძელდა სამკვიდროს მიღების ვადა და გაუქმდა ზაქრო ანდრიაძეზე გაცემუ-

ლი კანონისმიერი მემკვიდრეობის მოწმობა. სასამართლომ გამოარკვია, რომ მამკვიდრებელი გარდაიცვალა 1994 წლის 17 თებერვალს. მან 1990 წელს შედგენილი ანდერძით მთელი კუთვნილი ქონება თანასწორად უანდერძა შვილებს: ნანა და ზაქრო ანდრიაძეებს. ამ უკანასკნელმა დის თანხმობის გარეშე კანონისმიერი მემკვიდრეობის მოწმობით ქონება მიიღო 1997 წლის თებერვალში. სასამართლომ საქმის გადაწყვეტისას მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ მოსარჩელეს ჰყავდა მძიმედ დაავადებული ორი ვაჟიშვილი (უფროსი პირველი ჯგუფის ინვალიდი იყო დაბადებიდანვე და მუდმივ ყურადღებას მოითხოვდა, ხოლო უმცროსი შიზოფრენიით დაავადდა იმ წელს, როცა მამკვიდრებელი გარდაიცვალა) და მას, როგორც ანდერძით მემკვიდრეს, სამკვიდროს მიღების ვადა საპატიო მიზეზით გადაცილებულად ჩაუთვალა (საქმე №2/6).

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ 2000 წლის 30 ივნისს გააუქმა აღნიშნული გადაწყვეტილება და ნანა ანდრიაძეს უარი უთხრა სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელებაზე. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შვილების ინვალიდობა არ წარმოადგენდა სამკვიდროს მიღების ვადის ოთხი წლით გადაცილების საპატიოდ ცნობის საფუძველს, მით უფრო, რომ მოცემული ოთხი წლის განმავლობაში მისი შვილების ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა (საქმე №04^ბ-212). სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება 2001 წლის 7 მარტის განჩინებით უცვლელი დატოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ (საქმე №3კ/849).

ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2000 წლის 16 მარტის გადაწყვეტილებით უარი უთხრა მერაბ ბარამიძეს სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელებისა და ბაბუის კუთვნილი საცხოვრებელი სახლის ნაწილზე მემკვიდრედ ცნობის შესახებ. სასამართლომ გამოარკვია, რომ მოსარჩელეს ბაბუა, დავით მურვანიძე გარდაიცვალა 1952 წელს. მას დარჩა ოთხი შვილი: 1. თამარ მურვანიძე, რომელსაც პირველი რიგის მემკვიდრე არ დარჩენია და გარდაიცვალა 1983 წელს. 2. ვალერი მურვანიძე, რომელსაც ასევე პირველი რიგის

მემკვიდრე არ დარჩენია, გარდაიცვალა 1991 წელს. 3. ზურაბ მურვანიძე, რომელიც გარდაიცვალა 1990 წელს და დარჩა შვილი გიორგი მურვანიძე. 4. თამილა მურვანიძე, მოსარჩელის დედა, რომელიც გარდაიცვალა 1996 წელს. 1996 წლის 22 მარტს სადავო სახლზე კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა აიღო გიორგი მურვანიძემ. მოსარჩელე მოითხოვდა აღნიშნულ სამკვიდრო მოწმობაში ცვლილების შეტანასა და სამკვიდროს მიღების ვადის გადაცილების საპატიოდ ცნობას იმაზე მითითებით, რომ 1993-1997 წლებში იმყოფებოდა საზღვარგარეთ, ხოლო დედამისი ხშირად ავადმყოფობდა, რის გამოც ვერ შეძლო მემკვიდრეობის უფლების განხორციელება. სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 1424-ე და 1426-ე მუხლზე მითითებით სარჩელი არ დააკმაყოფილა (საქმე №2/312).

აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ 2000 წლის 29 მაისის განჩინებით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დატოვა უცვლელი. სააპელაციო ინსტანციამაც მიიჩნია, რომ მერაბ ბარამიძემ, აპელანტმა, ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ მან და დედამ სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა საპატიო მიზეზით გაუშვეს (საქმე №22/78).

აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატაში, რომელმაც 2000 წლის 17 ნოემბერის განჩინებით სამოქალაქო კოდექსის 1430-ე მუხლზე მითითებით საკასაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა (საქმე №3კ, 526).

ზემოაღნიშნული საქმის გადაწყვეტისას საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა მერაბ ბარამიძის მოთხოვნაზე უარი დაასაბუთეს სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლით, რაც ვფიქრობთ, მართებული არ არის. პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა: „სასამართლოს სადაოდ არ მიაჩნია, რომ მოსარჩელე არის მემკვიდრე, მაგრამ გაშვებული აქვს სამკვიდროს მიღების ვადა“. ჩვენი აზრით, მოსარჩელე დავით მურვანიძისა და დედის, თამარ მურვანიძის, მემკვიდრეს არ წარმოადგენდა. დავით მურვანიძე-

ის პირველი რიგის, ხოლო თამარ მურვანიძის მეორე რიგის მემკვიდრე იყო მოსარჩელის დედა და არა თავად მოსარჩელე. სასამართლომ დაადგინა, რომ თამილა მურვანიძეს არც მამისა (1952 წ.) და არც დის (1983 წ.) გარდაცვალების შემდეგ კანონით დადგენილ ექვსი თვის ვადაში სამკვიდრო არ მიუღია (სანოტარო ორგანოსათვის განცხადებით არ მიუძღარათეს და არც ფაქტობრივად დაუფლებია სამკვიდრო ქონებას). 1430-ე მუხლის თანახმად, მემკვიდრის უფლება, მიიღოს წილი სამკვიდრო ქონებიდან, მის მემკვიდრეებზე მაშინ გადადის, როცა იგი სამკვიდროს გახსნის შემდეგ, მაგრამ სამკვიდროს მიღებამდე გარდაიცვალა (მემკვიდრეობითი ტრანსმისია). აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, „როცა მემკვიდრემ ვერ მოასწრო სამკვიდროს მიღება დადგენილ ვადაში“!

ამრიგად, საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებს სარჩელზე უარი უნდა ეთქვათ არა იმ საფუძველით, რომ მოსარჩელემ გადააცივლა სამკვიდროს მიღების ვადა და ვერ წარადგინა მისი საპატიო მიზეზით გადაცილების მტკიცებულებანი, არამედ იმაზე მითითებით, რომ მოსარჩელეს საერთოდ არ ჰქონდა სამკვიდროს მიღების უფლება 1430-ე მუხლიდან გამომდინარე.

1426-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ვადის გასვლის შემდეგ სამკვიდრო შეიძლება მიღებულ იქნეს სასამართლოსათვის მიმართვის გარეშეც, თუ თანახმა იქნება სამკვიდროს მიმღები ყველა მემკვიდრე. ამ საკითხთან მიმართებაში საინტერესოა შემდეგი მაგალითი უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ 2001 წლის 14 მარტის განჩინებით არ დაკამყოფილა სენაკის გამგეობის თავმჯდომარის საკასაციო საჩივარი და ქუთაისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა. კასატორი ითხოვდა ივანე ხარაძეზე გაცემული კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობის გაუქმებასა და ქონების ბეითალმანად გამოცხადებას. სენაკის გამგეობა სანოტარო მოქმედების გაუქმების მოთხოვნას საფუძველად უღებდა იმ გარემოებას, რომ ივ. ხარაძემ დაარღვია სამოქალაქო სამართლის

¹ იხ. ახელდინი ზ., მემკვიდრეობის სამართალი, გვ 53.

კოდექსის (1964 წ.) 556-ე მუხლით დადგენილი სამკვიდროს მიღების ვადა, რომლის აღდგენის უფლებაც 557-ე მუხლის მიხედვით მხოლოდ სასამართლოს ჰქონდა. ივ. ხარაძემ კი სამკვიდრო მოწმობა მიიღო სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე. უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ „სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წ.) 557-ე მუხლი, რომლის თანახმად, სამკვიდრო შეიძლება მიღებულ იქნეს ექვსთვიანი ვადის გასვლის შემდეგ სასამართლოსათვის მიმართვის გარეშეც, თუ ამაზე თანახმა იქნება სამკვიდროს მიმღები ყველა დანარჩენი მემკვიდრე. რადგანაც ივ. ხარაძე იყო გარდაცვლილი პირის ერთადერთი მემკვიდრე, ამიტომ მას არავის თანხმობა არ სჭირდებოდა, რათა სამკვიდროს გახსნიდან, თუნდაც 6 თვის გასვლის შემდეგ სასამართლოსათვის მიუმართავადაც მიეღო გარდაცვლილი დედის დანაშთი ქონება“ (საქმე №3კ/794).

მართალია, ზემოაღნიშნულ განჩინებაში საუბარია 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 556-ე და 557-ე მუხლებზე, მაგრამ ანალოგიურადაა მოწესრიგებული საკითხი ამჟამად მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1421-ე და 1426-ე მუხლებით. მოცემული განჩინება საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ უზენაესმა სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია ვადის გასვლის შემდეგ სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე სამკვიდროს მიღება არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა თანახმაა სამკვიდროს მიმღები ყველა მემკვიდრე, არამედ მაშინაც, როცა მემკვიდრე ერთადერთია.

შეიძლება აღინიშნოს, რომ სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების შესახებ საქმეთა მიმართ, მოსამართლეები ზოგჯერ ზერელე დამოკიდებულებას იჩენენ, რაც იმაში ვლინდება, რომ ხშირად არ მიუთითებენ მატერიალური სამართლის რომელი ნორმის საფუძველზე გააგრძელეს კანონით დადგენილი სამკვიდროს მიღების ვადა მაგალითად, თბილისის დიდუბის რაიონის 1998 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე 2/692; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/260 ამავე სასამართლოს 1998 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/226. აღსანიშნავია, რომ არის შემთხვევები, როცა სასა-

მართლოები სამკვიდროს მიღების ვადას განმცხადებლებს უგრძელე-
ბენ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის გზით, მა-
გალითად, თბილისის ისან-სამგორის რაიონული სასამართლოს 2001
წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №2/860, თბილისის
დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 23 მაი-
სის გადაწყვეტილება საქმეზე №2/1278, თბილისის კრწანისი-მთაწ-
მინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 11 თებერვლის გადა-
წყვეტილება საქმეზე, №2/749 სამკვიდროს მიღების ვადის გაგრ-
ძელება არ წარმოადგენს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტს,
ამიტომ ეს საკითხი განიხილება არა უდავო წარმოების წესით,
არამედ საერთო სასარჩელო წესით (დანარჩენი მემკვიდრეების ან
საფინანსო ორგანოების ჩაბმით).¹

სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა განმცხადე-
ბელი არ წარმოადგენს გარდაცვლილი პირის ერთადერთ მემკვი-
დრეს. ამ დროს სამკვიდროს მიღების ფაქტის დადგენის ან სამკვიდროს
მიღების ვადის გაგრძელების საკითხი სხვა მემკვიდრის მიერ თავის
წილ სამკვიდროზე უართანაა დაკავშირებული. სამკვიდროს მიღება-
ზე უარი მემკვიდრის უფლებაა და იგი ხორციელდება კანონით
დადგენილი წესით. პრაქტიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ზოგიერთ
შემთხვევაში ადგილი აქვს სასამართლოთა მხრიდან სამკვიდროს
მიღებაზე უარის მომწესრიგებელი ნორმების მოთხოვნათა უგულებე-
ლყოფას:

თბილისის ისან-სამგორის რაიონულ სასამართლოს იურიდიული
ფაქტის დადგენის, აგრეთვე სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელებ-
ისა და მემკვიდრედ ცნობის შესახებ მოთხოვნით მიმართა ინგა
ბერაძემ. სასამართლომ გამოარკვია, რომ მამკვიდრებელი ლიანა ბე-
რაძე გარდაიცვალა 2000 წლის 19 თებერვალს და დარჩა ორი
შვილი: გიორგი ბერაძე, რომელიც ცხოვრობდა რუსეთში, და ინგა
ბერაძე, რომელიც დაეუფლა სამკვიდრო ქონებას დედის გარდაცვალებ-
ის შემდეგ. განმცხადებელმა ვერ შეძლო სამკვიდროს სათანადო
წესით გაფორმება, იმ მიზეზით, რომ გარდაცვალების მოწმობაში

¹ საკითხები, რომელსაც სასამართლო განიხილავს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების
დადგენით მითითებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლში.

ბერაძის ნაცვლად შეცდომით ეწერა ბერიძე. სასამართლომ 2001 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილებით დაადგინა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი იმის თაობაზე, რომ 2001 წლის 21 თებერვალს რეგისტრირებული გარდაცვალების მოწმობა №... ლიანა ბერიძის სახელზე ეკუთვნის განმცხადებლის დედას – ლიანა ბერაძეს, ინგა ბერაძეს გაუგრძელა სამკვიდროს მიღების ვადა და ცნო იგი მემკვიდრედ დედის დანაშთ ქონებაზე (საქმე №2/860-01).

ზემოაღნიშნულ მაგალითში სასამართლომ ისე ცნო ინგა ბერაძე დედის კუთვნილ მთელ ქონებაზე მემკვიდრედ და მესაკუთრედ, რომ არ მოუთხოვია პირველი რიგის კიდევ ერთი მემკვიდრის გიორგი ბერაძის – სათანადო წესით გაფორმებული უარი თავის წილ სამკვიდროზე. ამდენად, სასამართლოს მიერ დარღვეულ იქნა სამოქალაქო კოდექსის 1434-ე მუხლის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ „უარის თქმა სამკვიდროს მიღებაზე უნდა გაფორმდეს სანოტარო ორგანოში“.

2000 წლის 23 თებერვალს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მემკვიდრეობის აღდგენის მოთხოვნით მიმართეს მერაბ და თამაზ დევიძეებმა. სასამართლომ გამოარკვია, რომ სამკვიდრო ქონებას წარმოადგენდა სახლი, რომელიც ირიცხებოდა ნიკოლოზ დევიძის, შურა დევიძისა და გაიანე ხუციბერიძის სახელზე. ნიკოლოზ დევიძე წარმოადგენდა მერაბ და თამაზ დევიძეების მამას და გარდაიცვალა 1968 წელს, შურა მხეიძე იყო მოსარჩელების და. იგი გარდაიცვალა 1989 წელს და დარჩა ერთადერთი შვილი ვახტანგ მხეიძე. გაიანე ხუციბერიძე კი მერაბ და თამაზ დევიძეებს ერგებოდა დეიდად. იგი გარდაიცვალა 1975 წელს და დისშვილების გარდა სხვა მემკვიდრე არ დარჩენია. დადგენილ იქნა, რომ მერაბ და თამაზ დევიძეები, როგორც მამკვიდრებლების სიცოცხელში, ისე მათი გარდაცვალების შედეგ ცხოვრობდნენ სადავო სახლში. მათ სასამართლოში წარმოადგინეს სათანადო წესით გაფორმებული საბუთი თავიანთ წილ სამკვიდროზე უარის შესახებ ირაკლი თამაზის ძე დევიძის სასარგებლოდ და მოითხოვეს მემკვიდრეობის აღდგენა და სადავო სახლზე მემკვიდრედ ირაკლი თამაზის ძე დევიძის ცნობა. ამ უკანასკნელის სასარგებლოდ თავის წილ სამკვიდროზე უარი განაცხადა ვახტანგ

მხეიძემატ. სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 1336-ე, 1421-ე და 1439-ე მუხლებზე მითითებით სამკვიდრო სახლზე მემკვიდრედ ცნო ირაკლი თამაზის ძე დევიძე (საქმე №2/406).

მოცემული საქმის გადაწყვეტისას სასამართლომ სწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლი, როცა მოსარჩელეთა ცხოვრება სამკვიდრო სახლში საფუძველად დაუდო მათ მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტის ცნობას, მაგრამ ვფიქრობთ, არასწორადაა გამოყენებული 1439-ე მუხლი, რითაც დარღვეულია სხვა პირთა სასარგებლოდ სამკვიდროზე უარის თქმის წესი. სასამართლომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა: „საქმეზე წარმოდგენილი დაბადების მოწმობის ასლით დასტურდება, რომ ირაკლი თამაზის ძე დევიძე არის თამაზ ნიკოლოზის ძე დევიძის შვილი, ე.ი. არის მეორე რიგის მემკვიდრე. თანახმად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1439-ე მუხლისა, მემკვიდრეს შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე სხვა პირთა სასარგებლოდ კანონით ან ანდერძით მემკვიდრეთა რიცხვიდან“. მართალია, 1439-ე მუხლი მემკვიდრეს ანიჭებს უფლებას უარი თქვას სამკვიდროზე სხვა მემკვიდრეთა სასარგებლოდ, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში თვითონ ირაკლი თამაზის ძე დევიძე არ იყო არც ანდერძით და არც კანონით მემკვიდრე. როგორც გადაწყვეტილებაშია მითითებული იგი წარმოადგენდა ერთ-ერთი მოსარჩელის შვილს ანუ ერთ-ერთი მამკვიდრებლის – ნიკოლოზ დევიძის – შვილიშვილს. მეორე მამკვიდრებელს – შურა დევიძეს – იგი ერგებოდა ძმისშვილად, ხოლო მესამე მამკვიდრებელს – გაიანე ხუციბერიძეს – დის შვილიშვილად. სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის მიხედვით მეორე რიგის მემკვიდრეებს წარმოადგენენ მამკვიდრებლის დები და ძმები, ხოლო თუ ისინი ცოცხალები არ არიან, დისწულები და ძმისწულები. რაც შეეხება შვილიშვილებს, ისინი პირველი რიგის მემკვიდრეთა კატეგორიას განეკუთვნებიან და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, თამაზ ნიკოლოზის ძე დევიძე საქმის განხილვის დროს ცოცხალი იყო.

სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო სამოქალაქო კოდექსის

1443-ე მუხლის მოთხოვნაც, რომლის მიხედვითაც, „სამკვიდროზე უარის თქმა შვილიშვილის სასარგებლოდ, დასაშვებია, თუ სამკვიდროს გახსნის დღისათვის ცოცხალი აღარ არის მისი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო ან თუ შვილიშვილი ანდერძით მემკვიდრეა“¹. მოცემული ნორმის მიხედვითაც მოსარჩელების უარი სამკვიდროზე ირაკლი დევიძის სასარგებლოდ არამართლზომიერია.

არ არის ასევე სამართლებრივი თვალსაზრისით სწორი შურა დევიძის (მეორე მამკვიდრებლის ანუ მოსარჩელეთა დის) შვილის, ვახტანგ მხეიძის, უარი სამკვიდროზე ირაკლი დევიძის სასარგებლოდ. ეს უკანასკნელი წარმოადგენდა მამკვიდრებელი შურა დევიძის ძმისშვილს. მართალია, სამოქალაქო კოდექსის 1443-ე მუხლში საუბარია სამკვიდროზე უარის თქმის დაუშვებლობაზე მხოლოდ შვილიშვილის სასარგებლოდ, როცა ცოცხალია მისი მშობელი, მაგრამ 1336-ე მუხლის თანახმად დისწულები და ძმისწულები, როგორც შვილიშვილები სამკვიდროს ღებულობენ წარმომადგენლობის უფლებით.¹ ამიტომ 1443-ე მუხლში მოცემული წესი, ვფიქრობთ, ვრცელდება დისწულებზე და ძმისწულებზეც, ანუ ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ სამკვიდროზე უარის თქმა დასაშვებია, თუ სამკვიდროს გახსნის დღისათვის ცოცხალი არ არის მათი მშობელი ან თუ ისინი ანდერძით მემკვიდრეები არიან. ამრიგად, სასამართლოს გადაწყვეტილება სამკვიდრო სახლზე ირაკლი დევიძის მესაკუთრედ და მემკვიდრედ ცნობის ნაწილში, არ შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის 1336-ე და 1443-ე მუხლის მოთხოვნებს.

ჩვენი აზრით, სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლიდან გამომდინარე სიცხადისათვის უმჯობესი იქნებოდა 1443-ე მუხლის ჩამოყალიბება შემდეგი რედაქციით: „სამკვიდროზე უარის თქმა იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც მემკვიდრეობას ღებულობს წარმომადგენლობის უფლებით, დასაშვებია, თუ სამკვიდროს გახსნის დღისათვის ცოცხალი აღარ არის მისი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, ან თუ იგი ანდერძით მემკვიდრეა“.

¹ წარმომადგენლობის უფლებით მემკვიდრეობის თაობაზე იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეხუთე, გვ. 393-394.

4. კრედიტორების დაკმაყოფილება მემკვიდრეთა მიერ

მემკვიდრეები, რომლებმაც სამკვიდრო მიიღეს, ვალდებული არიან მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები სამკვიდროდან მიღებული წილის პროპორციულად. პრაქტიკაში კრედიტორთა მოთხოვნები უმეტესად ეხება იმ დანახარჯების ანაზღაურებას, რომელიც გამოწვეული იყო მამკვიდრებლის უკანასკნელი ავადმყოფობის დროს მისი მოვლა-მკურნალობითა და დაკრძალვით.

ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს 2000 წლის 17 ივლისის ძმის დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნით მიმართა ოთარ რუხაძემ. სასამართლომ გამოარკვია, რომ გარდაცვლილს ჰყავდა მეუღლე და შვილი, რომლებიც ჯერ კიდევ მამკვიდრებლის სიცოცხლეში გადავიდნენ საცხოვრებლად რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთ ქალაქში. ისინი ივანე რუხაძის დაკრძალვას არ დასწრებიან, არც სასამართლო პროცესზე გამოცხადებულან. მიცვალებულს მოუარა მოსარჩელემ, გაიღო დაკრძალვის, ქელების, ორმოცის ხარჯები, რამაც შეადგინა 4298 ლარი. 2000 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილებით სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და გარდაცვლილის ქონება, რომელიც შედგებოდა საცხოვრებელი სახლისაგან და რომლის ღირებულებაც შეადგენდა 5482 ლარს, საკუთრების უფლებით გადასცა მოსარჩელეს მის მიერ გაწეული 4298 ლარის ოდენობის ხარჯების ანგარიშში, ხოლო სხვაობის – 1184 ლარის კომპენსაციის მოთხოვნის უფლება მიანიჭა მოპასუხეს (საქმის ნომერი გადაწყვეტილებაზე აღნიშნული არ არის).

სასამართლომ მართებულად აღიარა მოსარჩელე მამკვიდრებლის კრედიტორად, რადგან პირს, რომელმაც დაკრძალა ეს უკანასკნელი, უფლება აქვს მიიღოს დანახარჯების ანაზღაურება გარდაცვლილის მემკვიდრეებისაგან, მაგრამ მან არასწორად მიუთითა მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა. გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „სამოქალაქო კოდექსის 1488-ე მუხლის თანახმად, მამკვიდრებლის კრედიტორებმა ექვსი თვის განმავლობაში იმ დღიდან, რაც მათთვის ცნო-

ბილი გახდა სამკვიდროს გახსნის შესახებ, უნდა წარუდგინონ მოთხოვნა მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო მოთხოვნის ვადის დადგომის მიუხედავად. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, გასულია კრედიტორის მხრიდან მოთხოვნის წარდგენის ექვსთვიანი ვადა, მაგრამ მემკვიდრეებს მიღებული არა აქვთ სამკვიდრო და გამომდინარე აქედან, მოსარჩელეს მოთხოვნის უფლება დაკარგული არა აქვს¹. ჩვენი აზრით, მოსამართლეს უნდა მიეთითებინა სამოქალაქო კოდექსის 1489-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც 1488-ე მუხლით დადგენილი ექვსთვიანი ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება იმ დანახარჯების მოთხოვნებზე, რომელიც გამოწვეული იყო მამკვიდრებლის უკანასკნელი ავადმყოფობის დროს მოვლითა და მკურნალობით, ხელფასის გასტუმრებით, დაკრძალვით, სამკვიდროს დაცვითა და მართვით. მათ მიმართ გამოიყენება ხანდაზმულობის საერთო ვადები. ამასთანავე, სასამართლომ დაკრძალვაზე გაწეულ ხარჯებში გაითვალისწინა ქელეხისა და ორმოცის ხარჯებიც, რაც არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. კანონი ითვალისწინებს დაკრძალვასთან და არა დაკრძალვის შემდეგ ტრადიციულ რიტუალებთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას. როგორც ზ.ახვლედიანი აღნიშნავდა, „დაკრძალვის ხარჯები არ გულისხმობს სხვადასხვა „თანხმლებ“ ხარჯებს. მაგალითად, მოსაგონარ სადილზე გაწეულ ხარჯებს და სხვ“¹. სასამართლოს ორმოცისა და ქელეხის ხარჯების ნაცვლად, შეეძლო დაედგინა სამკვიდროს დაცვითა და მართვით გამოწვეული ხარჯების ანაზღაურება, რადგან მოსარჩელე ფლობდა და უვლიდა ძმის სახლს. მაგრამ მას ამგვარი მოთხოვნა სასამართლოს წინაშე არ დაუყენებია. ამ უკანასკნელს კი საპროცესო ნორმების თანახმად, არა აქვს უფლება მიაკუთვნოს მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი ვიდრე მოითხოვა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი).

ანალოგიური საკითხი სწორად გადაწყვიტა თელავის რაიონულმა სასამართლომ 2000 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებით, რომლითაც დაკმაყოფილდა კრედიტორის მოთხოვნა იმ დანახარჯების ანაზღაურების შესახებ, რომელიც გამოწვეული იყო მამკვი-

¹ იხ. ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, გამომცემლობა თბ., გვ. 58.

დრებლის უკანასკნელი ავადმყოფობის დროს მოვლით, მკურნალობითა და დაკრძალვით, ხოლო ორმოცისა და ქელების ხარჯების ანაზღაურების ნაწილში მოსარჩელეს ეთქვა უარი (საქმე №2/86).

მამკვიდრებლის კრედიტორების დაკმაყოფილების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებების შესწავლამ დაგვანახა, რომ საერთო სასამართლოებში ამ საქმეთა გადაწყვეტის სწორი პრაქტიკაა დამკვიდრებული (მაგალითად, იხ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1999 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე №2/90; ამავე სასამართლოს 2000 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/918 და სხვ).

V ნაწილი

საკორპორაციო სამართალი

უმჯობესებული კანონმდებლობის საზოგადოება

თბილისის საოლქო სასამართლოს
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქმე №02ბ—498 თბილისი

28 ივნისი, 2000 წ.

აპელანტი: 1996 წლის ოქტომბერში რეგისტრირებული შპს
„გალაკტიკა“

განჩინების მოკლე შინაარსი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა სააპელაციო პალატამ განიხილა შპს „გალაკტიკას“ დირექტორის ზ. გრიგოლიას სააპელაციო საჩივარი თბილისის ისან-სამგორის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებაზე, უკანონო მფლობელობიდან თბილისში, კახეთის გზატკეცილის მე-8 ლეგიონის მიმდებარე ტერიტორიაზე ავტოგასამართი სადგურის გამოთხოვისა და მასზე საკუთრების უფლებების ხელშეშლის აღკვეთის შესახებ.

სასამართლომ გამოარკვია

შპს „გალაკტიკას“ დირექტორმა ზ. გრიგოლიამ სარჩელი შეიტანა სასამართლოში 1997 წლის 10 თებერვალს რეგისტრაციაში გატარებული შპს „გალაკტიკას“ მიმართ თბილისში, კახეთის გზატ-

კეცილზე, მე-8 ლეგიონის მიმდებარედ არსებული ავტოგასამართი სადგურის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვისა და მასზე საკუთრების უფლების ხელშეშლის მოთხოვნით.

ზ. გრიგოლიამ სარჩელში მიუთითა, რომ 1992 წელს მან რეგისტრაციაში გაატარა შპს „გალაკტიკა“, 1994 წლის აგვისტოში ისინი რაიონის განკარგულებით შპს „გალაკტიკას“ ნება დაერთო მე-8 ლეგიონის მიმდებარე ტერიტორიაზე განეთავსებინა ბენზინის სარეალიზაციო მოძრავი ცისტერნა. 1995 წლის 4 ივლისს შპს „გალაკტიკასა“ და თბილისის მერიის მიწის რესურსების სამმართველოს შორის გაფორმდა ხელშეკრულება მიწის ნაკვეთის იჯარით აღების შესახებ. იქ აშენდა ავტოგასამართი სადგური. 1996 წელს ზ. გრიგოლიამ შპს „გალაკტიკა“ ხელშეკრულებას გაატარა რეგისტრაციაში. ამის შემდეგ ის დააპატიმრეს. განთავისუფლების შემდეგ გაიგო, რომ ბენზინგასამართ სადგურში მომუშავე პირებს 1997 წელს რეგისტრაციაში გაუტარებიათ ახალი შპს იმავე სახელწოდებით „გალაკტიკა“ და მიუთვისებიათ მისი, შპს „გალაკტიკას“ კუთვნილი ქონება—ავტოგასამართი სადგური.

მოპასუხემ განმარტა, რომ ავტოგასამართი სადგური 1995-1996 წლებში აშენებულია მათი შენატანებით, პარტნიორთა გადაწყვეტილებით ზ. გრიგოლიას დაპატიმრებასთან დაკავშირებით აირჩიეს ახალი დირექტორი, ხოლო ზ. გრიგოლიას ნაცვლად, ვინაიდან ის დაპატიმრებული იყო, პარტნიორად მიიღეს მისი შვილი ლ. გრიგოლია იმავე 25% წილის უფლებით.

მოპასუხემ აგრეთვე მიუთითა, რომ საზოგადოებაში შემოსული ახალი პარტნიორების — დვალიშვილებისა და წურწუმიას ნაცვლად, შპს „გალაკტიკას“ ხელახალ რეგისტრაციისას დამფუძნებლებად გატარდნენ ზ. გრიგოლიას ოჯახის წევრები.

პალატამ არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი შემდეგი გარემოებების გამო:

1. „1996 წლის 7 ოქტომბერს შპს „გალაკტიკას“ საწესდებო კაპიტალია ქონება, რომლის ღირებულებაც შეფასებულია 1000 აშშ დოლარად“.

2. აუდიტორიულ საკონსულტაციო კორპორაციის ინტერ-აუდიტის 09.09. 1996 წლის №1/429 აქტის მიხედვით 1996 წელს რეგისტრირებულ შპს „გალაკტიკას“ პარტნიორები არიან ზ. გრიგოლია, ნ. გრიგოლია და შვილი ლ. გრიგოლია. საზოგადოებაში მათ შეიტანეს არა სადავო ავტოგასამართი სადგურის ქონება, არამედ მათი კუთვნილი საოჯახო ნივთები.

3. პალატამ განიხილაში მიუთითა, აგრეთვე, რომ: „ შპს, როგორც კაპიტალური საზოგადოება, მეწარმეთა შესახებ კანონის 44-ე მუხლის თანახმად, საზოგადოების ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს მთელი თავის ქონებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში ზ. გრიგოლიას მონაწილეობით დაფუძნებული შპს „გალაკტიკა“ საზოგადოების ვალდებულებისათვის პასუხს აგებს ზემოთ მითითებული საწესდებო კაპიტალით და სხვა ქონება, სამეწარმეო რეესტრისა და საბალანსო მონაცემებით, მას არ გააჩნია. ამასთან, საზოგადოების მისამართად მითითებულია პირადი ბინის მისამართი ვაზისუბნის დასახლებაში და არა 1997 წლის თებერვალს რეგისტრირებული „გალაკტიკას“ მისამართი, ხოლო ანგარიშსწორების ანგარიში სხვაა, ვიდრე თავდაპირველად რეგისტრირებული „გალაკტიკასი“.

4. პალატამ ჩათვალა აგრეთვე, რომ აპელანტმა თავად არ ცნო ავტოგასამართი სადგურის მოწყობილობები თავის საკუთრებად, რადგანაც იგი არ შეიტანა საწესდებო კაპიტალში.

5. პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტის მოთხოვნას არა აქვს იურიდიული საფუძველი, ვინაიდან უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის უფლება როგორც ძველი (146-ე მუხლი), ასევე ახალი სამოქალაქო კოდექსის 170-ე და 172-ე მუხლებით, გააჩნია მხოლოდ მესაკუთრეს.

სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის მიხედვით კი, უძრავ ნივთებზე საკუთრებისა და სხვა სანივთო უფლებები შეიტანება საჯარო რეესტრში, ხოლო 312-ე მუხლის თანახმად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმცია. მოცემულ შემთხვევაში კი სადავო ავტოგასამართი სადგური საჯარო რეესტრში გატარებულია 1997 წლის 10 თებერვალს რეგ-

ისტორიებულ შპს „გალაკტიკას“ სახელზე და მის საწესდებო კაპიტალშიც სწორედ აღნიშნული ქონება არის შეტანილი და მის მესაკუთრეს დვალისშვილები, წურწუშია და ლ. გრიგოლიას მიერ რეგისტრირებული შპს „გალაკტიკა“ წარმოადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე პალატამ დაადგინა, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

განჩინების კომენტარი

როგორც განჩინების შინაარსიდან ირკვევა, სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას მნიშვნელობა მიანიჭა შემდეგ ფაქტებს:

1. 1996 წელს რეგისტრირებულმა შპს „გალაკტიკამ“ საწესდებო კაპიტალში შეიტანა არა სადავო ავტოგასამართი სადგური, არამედ კუთვნილი საოჯახო ნივთები, რითაც თავად აპელანტმა არ ჩათვალა აღნიშნული სადგური თავის საკუთრებად.

2. საზოგადოების მისამართად მითითებულია პირადი ბინის მისამართი ვაზისუბნის დასახლებაში და არა 1997 წლის თებერვალს რეგისტრირებული „გალაკტიკას“ მისამართი.

3. 1996 წელს რეგისტრირებული „გალაკტიკას“ ანგარიშსწორების ანგარიში სხვაა, ვიდრე, თავდაპირველი „გალაკტიკასი“.

4. ავტოგასამართი სადგური 1997 წლის 10 თებერვალს გატარებულია რეგისტრაციის საჯარო რეესტრში 1997 წლის შპს „გალაკტიკას“ სახელზე.

5. რადგანაც ავტოგასამართი სადგური 1997 წელს რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში და შეტანილია საწესდებო კაპიტალში, ამიტომ 1997 წელს რეგისტრირებული შპს „გალაკტიკა“ წარმოადგენს მის მესაკუთრეს.

სასამართლოს გადაწყვეტილების ზემოთ დასახელებული პირველი სამი საფუძვლი არ მიმჩნია იურიდიულად გამართლებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

1. მეწარმეთა შესახებ კანონის მე-3.3. მუხლის თანახმად: „სა-

ზოგადობის დაფუძნებისას ან საწესდებო კაპიტალის გაზრდისას, შესატანი შეიძლება დათქმულ იქნეს და შესრულდეს ნებისმიერი ვალუტით. საზოგადოების საბუღალტრო წიგნებში თანხა აღინიშნება ეროვნული ვალუტით. შესატანი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს, აგრეთვე სხვა ქონებრივი და არაქონებრივი ობიექტების სახით“.

დასახელებული ნორმა იმაზე მიუთითებს, რომ დამფუძნებელს შეუძლია საწესდებო კაპიტალში შეიტანოს ნებისმიერი ნივთი, რომელიც სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენება, ამასთან, ნივთი უნდა იყოს დამფუძნებლის საკუთრებაში ან მასზე უნდა იყოს მესაკუთრის თანხმობა.

სამწუხაროდ, საოლქო სასამართლომ არავითარი იურიდიული მნიშვნელობა არ მიანიჭა იმ ფაქტს, რომ მიწა, რომელზეც აშენდა ავტოგასამართი სადგური, იჯარით ჰქონდა აღებული 1993 წელს რეგისტრირებულ შპს „გალაკტიკას“, და რომ მისი მესაკუთრე იყო სახელმწიფო, თბილისის მერიის სახით. ამიტომაც, ავტოგასამართი სადგური არ წარმოადგენს შპს „გალაკტიკას“ საკუთრებას.

ამრიგად, ზ. გრიგოლია იურიდიულად სწორად მოიქცა, როდესაც 1996 წელს ხელმეორედ რეგისტრაციისას შპს „გალაკტიკას“ საწესდებო კაპიტალში არ შეიტანა ავტოგასამართი სადგური, რადგან იგი მის საკუთრებას არ წარმოადგენდა და ამიტომ არ ჰქონდა შპს „გალაკტიკას“ სახელზე მისი გასხვისების უფლება.

2. საოლქო სასამართლომ აღნიშნა, რომ 1996 წელს შპს „გალაკტიკას“ მისამართად მითითებული აქვს პირადი ბინის მისამართი ვაზისუბნის დასახლებაში (გულისხმობს ზ. გრიგოლიას ბინის მისამართს) და არა 1997 წლის თებერვალს რეგისტრირებული „გალაკტიკას“ მისამართი.

საოლქო სასამართლოს ასეთი შეხედულებაც იურიდიულად გაუმართლებელია.

მეწარმეთა შესახებ კანონის მე-5.4. მუხლით: განცხადება უნდა შეიცავდეს:

5.4.1. პუნქტით: ყველა საწარმოსათვის:

- ა) საფირმო სახელწოდებას (ფირმას);
- ბ) ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას;

გ) ადგილსამყოფელს (იურიდიულ მისამართს).

ამრიგად, დასახელებული ნორმა არ მოითხოვს, რომ იურიდიული მისამართი იყოს ის ადგილი, სადაც უშუალოდ ხორციელდება საწამოს საქმიანობა.

გარდა ამისა, „ მე-8 ლეგიონის მიმდებარე ტერიტორია“ ეს არ არის იურიდიული მისამართი, იგი ზოგადი ხასიათის ტერმინია.

„იურიდიული მისამართი“ ეს არის განსაზღვრულ ფარგლებში ტერიტორიის ინდივიდუალიზება, რომელიც სახელმწიფოს მიერ არის აღიარებული, რეგისტრირებული და აქვს იურიდიული ძალა.

„იურიდიული მისამართი“ ქალაქებში ქუჩითა და შესაბამისი ნომრით უნდა გამოიხატოს და თანაც იგი სახელმწიფოს მიერ უნდა იქნეს იურიდიულად დადასტურებული. ამის ერთ-ერთი მიზანი არის ის, რომ ფოსტამ, საგადასახადომ და სხვა ორგანომ ან პირმა, ზუსტად იცოდეს სად მივიდეს, სად გააგზავნოს წერილი და ა.შ.

როდესაც იურიდიულ მისამართად მითითებულია „მე-8 ლეგიონის მიმდებარე ტერიტორია“, ამ ტერიტორიის ფართი დაახლოებით 10 000 კვ. მეტრზე მეტია, სად ეძებოს დაინტერესებულმა პირმა ამ მისამართზე მითითებული საზოგადოება?

ამიტომაც, ზ. გრიგოლია სწორად მოიქცა, როდესაც შპს „გალაქტიკას“ მისამართად მიუთითა თავისი ბინის მისამართი და არა „ მე-8 ლეგიონის მიმდებარე ტერიტორია“.

3. ის, რომ 1996 წელს რეგისტრირებულ შპს „გალაქტიკას“ ანგარიშსწორების ანგარიში სხვა აქვს, ვიდრე ჰქონდა 1993 წლის შპს „გალაქტიკას“, ხოლო 1997 წელს რეგისტრირებულ შპს „გალაქტიკას“ სწორედ ძველი „გალაქტიკას“ ანგარიშსწორების ანგარიში აქვს, ასეთი არგუმენტი სრულებით არ წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ 1997 წელს რეგისტრირებული შპს „გალაქტიკა“ ვალდართო 1993 წელს რეგისტრირებულ შპს „გალაქტიკას“ სამართალმემკვიდრედ.

გარდა აღნიშნულისა, სასამართლოს არ გამოურკვევია რის საფუძველზე მიიღეს დვალიშვილებმა და წურწუმიამ 1993 წლის შპს „გალაქტიკას“ ანგარიშსწორების ანგარიში.

4. საოლქო სასამართლო აღნიშნავს, რომ ავტოგასამარტი სადგური გატარებულია საჯარო რეესტრში 1997 წლის შპს „გალაკტიკას“ სახელზე.

სასამართლო არ უთითებს არც დოკუმენტს, რომელსაც იგი ეყრდნობა და არც იმ საქმის ფურცლის ნომერს, რომლითაც ეს დოკუმენტი აღინიშნება.

„საჯარო რეესტრის“ ინსტიტუტი პირველად შემოღებულ იქნა სამოქალაქო კოდექსის მიერ 1997 წლის 25 ნოემბრიდან და რეგულირდება 311-315-ე მუხლებით. იგი დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია.

1997 წლის 10 თებერვალს კი მოქმედებდა ძველი, 1964 წელს მიღებული სამოქალაქო კოდექსი, რომელიც არ ითვალისწინებდა ასეთ ინსტიტუტს.

ამრიგად, სასამართლომ შეცდომა დაუშვა, როდესაც ჩათვალა, რომ ავტოგასამართი სადგური საჯარო რეესტრშია რეგისტრირებული 1997 წლის თებერვალში, რადგანაც ამ დროს საჯარო რეესტრი არ არსებობდა.

როგორც განჩინების კომენტარიდან ირკვევა, საოლქო სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 170-ე, 172-ე, 183-ე და 312-ე მუხლები, რადგანაც 170-ე და 172-ე მუხლები ეხება საკუთრების უფლების შინაარსს და საერთო საკუთრებას— იჯარით აღებულ ქონებაზე კი მოიჯარეს არა აქვს საკუთრების უფლება.

183-ე მუხლი ეხება უძრავ ნივთზე (ჩვენს კაზუსში — ავტოგასამართ სადგურზე) საკუთრების შეძენის საფუძველს, კერძოდ, სანოტარო წესით დამოწმებულ საბუთს და შეძენის რეგისტრაციას საჯარო რეესტრში. 1997 წლის 25 ნოემბრამდე საჯარო რეესტრის ინსტიტუტს ჩვენი კანონმდებლობა არ იცნობდა. ამიტომაც 183-ე მუხლი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არც ერთი შპს „გალაკტიკას“ მიმართ.

312-ე მუხლი ეხება საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობასა და სისრულის პრეზუმციას. როგორც აღვნიშნეთ, 1997 წლის

25 ნოემბრამდე საჯარო რეესტრის სამსახური არ არსებობდა, ამიტომაც სასამართლოს მიერ 312-ე მუხლის გამოყენება არ შეიძლებოდა.

სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილი, 160-ე და 164-ე მუხლები, შემდეგ გარემოებათა გამო:

1. 155-ე მუხლის 1-ლი ნაწილი მიუთითებს, რომ მფლობელობა წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნების მოპოვებით. ჩვენ კაზუსში კი 1993 წლის შპს „გალაკტიკა“ მიწის იჯარის ხელშეკრულება გააფორმა თბილისის მერიასთან და ნების თავისუფალი გამოვლენით გახდა მიწის ნაკვეთის მფლობელი, მაგრამ არა მესაკუთრე, არამედ მოიჯარე.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილით: თუ პირი ნივთს ფლობს იმ სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრული ვადით ანიჭებს მას ნივთის ფლობის უფლებას... მაშინ ეს პირი ითვლება პირდაპირ მფლობელად.“

მოცემული ნაწილი ეხება 1993 წელს რეგისტრირებულ შპს „გალაკტიკას“, რადგანაც მასთან იყო დადებული საიჯარო ხელშეკრულება.

2. 160-ე მუხლის თანახმად: „თუ კეთილსინდისიერ მფლობელს ჩამოერთმევა მფლობელობა, მას სამი წლის განმავლობაში შეუძლია ახალ მფლობელს ნივთის უკან დაბრუნება მოსთხოვოს...“

არაკეთილსინდისიერი მფლობელი შეიძლება აღმოჩნდეს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი.

ზემოთ გაკეთებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ავტოგასამართი სადგურის არაკეთილსინდისიერი მფლობელი აღმოჩნდა 1997 წლის თებერვალში რეგისტრირებული შპს „გალაკტიკა“, ხოლო კეთილსინდისიერი მფლობელი კი 1993 წელს რეგისტრირებული შპს „გალაკტიკა“.

3. 164-ე მუხლის თანახმად: „არაკეთილსინდისიერმა მფლობელმა უფლებამოსილ პირს უნდა დაუბრუნოს როგორც ნივთი, ასევე მიღებული სარგებელი, ნივთის ან უფლების ნაყოფი...“

გადაწყვეტილება

საქმე № 2/158

16 თებერვალი, 2000წ. თბილისი

მოსარჩელე: შპს „გალაკტიკა“, დირექტორი ზურაბ გრიგოლია, იურიდიული მისამართი: თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, კორპუსი 10. ბ. 5.

მოპასუხე: შპს „გალაკტიკა“, დირექტორი მერაბ დვალისვილი, იურიდიული მისამართი: თბილისი, კახეთის გზატკეცილი, მე-8 ლეგიონის მიმდებარე ტერიტორია.

სარჩელი ეხება ავტოგასამართ სადგურზე მოპასუხე მხარის საქმიანობის აკრძალვასა და მათ გამოსახლებას.

გადაწყვეტილების მოკლე შინაარსი

1992 წელს ზ. გრიგოლიამ, ნ. მარგიანმა და ო. კობახიძემ დააფუძნეს მცირე საწარმო „გალაკტიკა“, დირექტორად დაინიშნა ზ. გრიგოლია.

1993 წელს ზემოთ აღნიშნულმა დამფუძნებლებმა მცირე საწარმო „გალაკტიკა“ გარდაქმნეს შპს „გალაკტიკად“ და გაათარეს რეგისტრაციაში.

1994 წელს ისნის რაიონის გამგეობის განკარგულებით დაკმაყოფილდა შპს „გალაკტიკას“ (დირექტორი – ზ. გრიგოლია) თხოვნა და ნება დაერთო კახეთის გზატკეცილზე, მე-8 ლეგიონის მიმდებარე ტერიტორიაზე განეთავსებინა ბენზინის სარეალიზაციო მოძრავი ცისტერნა, როგორც დროებითი ღონისძიება.

1995 წლის 4 ივლისს შპს „გალაკტიკასა“ და თბილისის მერიის მიწის რესურსების სამმართველოს შორის გაფორმდა ხელშეკრულება ზემოთ აღნიშნული მიწის ნაკვეთის იჯარით აღების შესახებ, სადაც დამტკიცებული პროექტით უნდა აშენებულიყო ავტოგასამართი სადგური.

1995 წლის 15 სექტემბერს მოწვეულ იქნა პარტნიორთა კრება.

ნ. მარგიანმა და ო. კობახიძემ უსახსრობის გამო უარი თქვეს მშენებლობაში მონაწილეობაზე. ზ. გრიგოლიამ კრებაზე გამოთქვა აზრი, რომ „ახალ წევრებად მიღებულიყვნენ მ. დვალიშვილი, ნ. დვალიშვილი და ლ. წურწუშია, რომლებიც შემოიტანდნენ მშენებლობისათვის საპაიო შენატანებს“.

დვალიშვილებმა და წურწუშიამ მართლაც შეიტანეს საპაიო შენატანი სადგურის მშენებლობისათვის.

1996 წლის 1 მარტს შედგა დამფუძნებელთა კრება, სადაც დადგინდა, რომ დვალიშვილები და წურწუშია სადგურის ასამუშავეებლად და საწვავის შემოსატანად გაიღებდნენ გარკვეული ოდენობის თანხას.

მეწარმეთა შესახებ კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, ზ. გრიგოლიამ 1996 წლის ოქტომბერში ხელმეორედ გაატარა რეგისტრაციაში შპს „გალაკტიკა“. დამფუძნებლები გახდნენ ზ. გრიგოლია, შვილი – ლ. გრიგოლია და მეუღლე – ნ. გრიგოლია.

1996 წლის ნოემბრიდან 1997 წლის მაისამდე ზ. გრიგოლია დაპატიმრებული იყო, რის გამოც მან ვერ მოასწრო საგადასახადო ინსპექციაში გაეტარებინა შპს „გალაკტიკა“.

1997 წლის იანვარში იმის გამო, რომ ავტოგასამართი სადგურის მშენებლობაში მიიღეს მონაწილეობა და თავს დამფუძნებლებად თვლიდნენ, დვალიშვილებმა და წურწუშიამ მოიწვიეს კრება და გადააყენეს პრეზიდენტობიდან ზ. გრიგოლია. ამავე წლის თებერვალში გაატარეს რეგისტრაციაში ახალი საზოგადოება შპს-ს ფორმით და უწოდეს „გალაკტიკა“. დამფუძნებლად შევიდნენ დვალიშვილები და წურწუშია, აგრეთვე დამფუძნებლად შეიყვანეს ზ. გრიგოლიას შვილი – ლ. გრიგოლია.

საქართველოს ერთ-ერთ ბანკში მიიღეს 1993 წელს დაფუძნებული შპს „გალაკტიკას“ ანგარიშსწორების ანგარიში.

1997 წლის მაისში ზ. გრიგოლია გაათავისუფლეს პატიმრობიდან.

ამ საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

1. 1992 წლის 24 სექტემბერს რეგისტრირებული შპს „გალაკტიკას“ სამართალმემკვიდრედ უნდა ჩაითვალოს 1997 წლის 10 თებერვალს რეგისტრირებული შპს „გალაკტიკა“ ანუ მოპასუხე ორგანიზაცია. მათ აქვთ იგივე ანგარიში ბანკში, ამ ანგარიშზე წარმოებს დღესაც ყველა ფინანსური ოპერაციები. ნაწილობრივ შეცვლილია მხოლოდ დამფუძნებელთა ვინაობა და რაოდენობა.

2. მოსარჩელეს არ გააჩნია ანგარიში ბანკში და არ აწარმოებს ვალდებულებით ურთიერთობებს სახელმწიფოსთან საგადასახადო სამსახურის მეშვეობით. იგი მხოლოდ ქაღალდზე არსებული იურიდიული პირია.

3. კახეთის გზატკეცილის მე-8 ლეგიონის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ავტოგასამართი სადგური წარმოადგენს მოპასუხის საკუთრებას, რომლის ღირებულების 2/3 გადახდილი აქვთ დეალიშვილებსა და წურწუმიას, შპს-ს დამფუძნებლებს, ხოლო 1/4 ზ. გრიგოლიას, რომლის ნაცვლადაც მისი შვილია დამფუძნებლად შესული.

აქედან გამომდინარე, სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 170-ე, 171-ე და მეწარმეთა შესახებ კანონის მე-5, 44-50-მუხლებით და სარჩელი არ დააკმაყოფილა.

გადაწყვეტილების კომენტარი

I. როგორც გადაწყვეტილებიდან ჩანს, სასამართლომ მოპასუხე მხარე – 1997 წლის თებერვალში რეგისტრირებული შპს „გალაკტიკა“, მიიჩნია 1992 წლის 24 სექტემბერს რეგისტრირებული შპს „გალაკტიკას“ სამართალმემკვიდრედ, რადგანაც:

1. მას აქვს იგივე ანგარიში ბანკში და ამ ანგარიშზე წარმოებს დღესაც ყველა ფინანსური ოპერაცია.

2. ნაწილობრივ შეცვლილია მხოლოდ დამფუძნებელთა ვინაობა და რაოდენობა.

3. მოსარჩელეს არ გააჩნია ანგარიში ბანკში და არ აწარმოებს ვალდებულებით ურთიერთობებს სახელმწიფოსთან საგადასახადო სამსახურის მეშვეობით. იგი მხოლოდ ქალაქში არსებული იურიდიული პირია.

4. კახეთის გზატკეცილის, მე-8 ლეგიონის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ავტოგასამართი სადგური წარმოადგენს მოპასუხის საკუთრებას, რომლის ღირებულების 2/3 გადახდილი აქვთ დეალიშვილებსა და წურწუმიას, შპს-ს დამფუძნებლებს, ხოლო 1/4 ზ. გრიგოლიას, რომლის ნაცვლადაც მისი შვილია დამფუძნებლად შესული.

სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება არ არის იურიდიულად დასაბუთებული. იგი რამდენიმე მთავარ კითხვას ბადებს, რომელზეც მოსამართლეს არა აქვს გაცემული პასუხი, კერძოდ:

ა) რის საფუძველზე მიიღო „1997 წლის“ შპს „გალაკტიკამ“ 1992 წლის შპს „გალაკტიკას“ ანგარიშსწორების ანგარიში?

ბ) რას გულისხმობს სიტყვებში: „ნაწილობრივ შეცვლილია მხოლოდ დამფუძნებელთა ვინაობა და რაოდენობა“.

გ) რატომ წარმოადგენს მე-8 ლეგიონის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ავტოგასამართი სადგური მოპასუხის საკუთრებას? ის ხომ იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთზე აშენდა.

დ) მოპასუხე მხარის დამფუძნებლები 1992-1996 წლებში იყვნენ თუ არა გამგეობაში ან სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულები?

ე) ავტოგასამართი სადგური მოპასუხე მხარემ 1997 წელს გაატარა თუ არა საჯარო რეესტრის რეგისტრაციაში შპს „გალაკტიკას“ სახელზე?

ვ) რატომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 170-ე და 171-ე მუხლებით და მეწარმეთა შესახებ კანონის მე-5 და 44-50-ე მუხლებით? კერძოდ, მე-5 მუხლის რომელი პუნქტით და 44-50-ე მუხლებიდან რომელი მუხლით ან ნაწილით?

II. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ საჭიროა გაირკვეს, თუ ვინ ითვლება საწარმოს დამფუძნებლად მეწარმეთა შესახებ კანონის თანახმად და რა მნიშვნელობა აქვს

საწარმოს რეგისტრაციას სამეწარმეო რეესტრში, აგრეთვე, იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთზე მოიჯარის მიერ აშენებული ნაგებობა ჩაითვლება თუ არა მის საკუთრებად?

საწარმოს დამფუძნებელი (პარტნიორი)

1. აღსანიშნავია, რომ არც გადაწყვეტილების შინაარსიდან არ ჩანს, რომ დვალიშვილები და წურწუშია იყვნენ გამგეობაში ან სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულები.

ამიტომ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ისინი სასამართლომ დამფუძნებლებად მიიჩნია იმიტომ, რომ მათ მიიღეს ავტოგასამართი სადგურის მშენებლობაში მონაწილეობა.

ცხადია, რომ სასამართლოს არასწორად ესმის პარტნიორის იურიდიულ ბუნება, კერძოდ, თუ რა მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს პირი იმისათვის, რომ იგი პარტნიორად ჩაითვალოს. ამ საკითხის გასარკვევად უნდა მივმართოდ მეწარმეთა შესახებ კანონს.

აღნიშნული კანონიდან მივუთითებთ რამდენიმე მუხლს, რომელიც ნათლად დაგვანახებს „პარტნიორის“ ცნების შინაარსს, კერძოდ:

2.5-ე მუხლით: „ საწარმოს რეგისტრაცია სავალდებულოა. საწარმო, როგორც ამ კანონით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობათა სუბიექტი, წარმოიშობა მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

თუ რეგისტრაციამდე საზოგადოების სახელით რაიმე მოქმედება განხორციელდა, ამ მოქმედების შემსრულებლები და დაფუძნებლები პასუხს აგებენ პერსონალურად, როგორც სოლიდალური მოვალეები ამ მოქმედებიდან წარმოშობილი ყველა ვალდებულებისათვის. ეს პასუხისმგებლობა ძალაში რჩება საზოგადოების რეგისტრაციის შემდეგაც.“

2.7 მუხლით: „... საზოგადოების დაფუძნებისას წესდებას ხელს აწერენ საზოგადოების დამფუძნებელი მონაწილენი – დამფუძნებელი პარტნიორები...“

5.1 მუხლით: „ რეესტრში რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება აქვს ერთ-ერთ პარტნიორს“.

5.2. მუხლით: „ ინდივიდუალური მეწარმე ან პარტნიორები, . . . ვალდებული არიან ხელი მოაწერონ საზოგადოების განცხადებას რეგისტრაციის შესახებ.“

5.4 მუხლით: „ განცხადება უნდა შეიცავდეს 5.4.1. (ვ) „ინდივიდუალური მეწარმის ან ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის (კო-ოპერატივის შემთხვევაში – არანაკლებ ორის) სახელს, გვარს, დაბადების ადგილსა და თარიღს, პროფესიასა და საცხოვრებელ ადგილს; ხოლო თუ დამფუძნებელი იურიდიული პირია, მის საფირმო სახელწოდებასა და რეგისტრაციის მონაცემებს...“

როგორც ზემოთ დასახელებული ნორმებიდან ჩანს, პარტნიორად ჩაითვლება მხოლოდ ის პირი, რომელიც რეგისტრირებულია სასამართლოს სამეწარმეო რეესტრში. რეგისტრაციას აქვს გადამწყვეტი იურიდიული ფაქტის მნიშვნელობა, ამიტომ მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული პირი ითვლება ისეთ პარტნიორად, რომელზედაც ვრცელდება კანონი მეწარმეთა შესახებ. .

ამრიგად, 1997 წლის თებერვლამდე შპს „გალაკტიკას“ დამფუძნებლად ვერ ჩაითვლებიან დვალიშვილი და წურწუშია, რადგან ისინი, როგორც გადაწყვეტილებიდან ჩანს, არ არიან რეგისტრირებულები არც გამგეობაში და არც სამეწარმეო რეესტრში. ხოლო ის, რომ მათ მიიღეს 1995 წლის შპს „გალაკტიკას“ მფლობელობაში არსებული ავტოგასამართ სადგურის მშენებლობაში მონაწილეობა, ეს მათ არ ანიჭებს დამფუძნებლის (პარტნიორის) სტატუსს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, რადგანაც დვალიშვილები და წურწუშია არ ჩაითვლებიან 1995-1996 წლებში რეგისტრირებული შპს „გალაკტიკას“ პარტნიორებად, ამიტომ, მათ არ ჰქონდათ არავითარი უფლება, ჯერ ერთი, 1997 წლის იანვარში გადაეყენებინათ დამფუძნებლობიდან და დირექტორობიდან 1995-1996 წლებში არსებული შპს „გალაკტიკას“ დირექტორი ზ. გრიგოლია, რომელიც სამეწარმეო რეესტრშიც რეგისტრირებული იყო პარტნიორად.

და მეორე, ასევე არ ჰქონდათ იმის უფლება, რომ 1997 წლის თებერვალში მათ მიერ შექმნილ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისათვის დაერქმიათ „გალაკტიკა“ და ამ სახელით სამი-

წარმო რეესტრში გაეტარებინათ რეგისტრაციაში, რადგანაც უკვე სამეწარმეო რეესტრში 1996 წლის ოქტომბერში, რეგისტრირებული იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გალაქტიკა“. ამიტომ დაირღვა: მეწარმეთა შესახებ კანონის 6.1 და 6.7 მუხლები. მათი ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ არ შეიძლება არსებობდეს ორი ერთნაირი სახელის მქონე საწარმო. ამასვე მიუთითებს მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარებიც, კერძოდ, მოსალოდნელი სასამართლოს შეცდომის თავიდან ასაცილებლად ყოველი ახალი ფირმა უნდა შეიცავდეს მკაფიო განსხვავებებს ყველა იმ ფირმებისაგან, რომლებიც რეგისტრირებულია მოცემულ სასამართლოში.

III. საწარმოს რეგისტრაცია

მეწარმეთა შესახებ კანონის 2.5-ე მუხლით: „საწარმოს რეგისტრაცია სავალდებულოა. საწარმო, როგორც ამ კანონით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობათა სუბიექტი, წარმოიშობა მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან“.

ამდენად, საწარმო იმისათვის, რომ მოქმედებდეს მეწარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებული ფუნქციებით, უნდა გატარდეს რეგისტრაციაში სამეწარმეო რეესტრში, წინააღმდეგ შემთხვევაში, მაგალითად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არ იქნება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მთელი იმ შინაარსითა და ფუნქციებით რაც ასახულია ზემოთ დასახელებულ კანონში.

ამავე კანონის 4.1-ე მუხლით: „*საწარმოს რეგისტრაციას ახორციელებს სასამართლო სამეწარმეო რეესტრში სათანადო ჩანაწერებით*“.

ამრიგად, სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაცია წარმოშობს მეწარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებულ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას. თუ საწარმო სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ არ გატარდება საგადასახადო ორგანოში, ეს მას ხელს არ უშლის შეინარჩუნოს ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი

ფორმა. რასაც ითვალისწინებს მეწარმეთა შესახებ კანონი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული მითითება იმის შესახებ, რომ შპს „გალაქტიკა“ (1996) არის მხოლოდ ქაღალდზე არსებული იურიდიული პირი იმის გამო, რომ არ გააჩნია ანგარიში ბანკში და არ აწარმოებს ვალდებულებით ურთიერთობებს სახელმწიფოსთან საგადასახადო სამსახურის მეშვეობით – სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული საწარმოს არასწორი იურიდიული შეფასებაა.

IV. იყო თუ არა მოპასუხის საკუთრება ავტოგასამართი სადგური?

სასამართლომ არასწორი დასკვნა გააკეთა, აგრეთვე, როდესაც ჩათვალა, რომ ავტოგასამართი სადგური წარმოადგენდა მოპასუხის საკუთრებას, რადგანაც მისი ღირებულების 2/3 გადახდილი ჰქონდათ დვალიშვილებსა და წურწუმიას.

გადაწყვეტილებიდან არ ჩანს: ა) ავტოგასამართი სადგური მოპასუხის საწესდებო კაპიტალში არის თუ არა შეტანილი; ბ) გატარებულია თუ არა სამეწარმეო რეესტრში; გ) რეგისტრირებულია თუ არა საჯარო რეესტრში მოპასუხის სახელზე.

ამიტომაც ჩვენი ანალიზი მხოლოდ გადაწყვეტილებაში მოყვანილ ფაქტებსა და მოსამართლის დასკვნაზეა აგებული.

მოსამართლე კი თვლის, რომ ავტოგასამართი სადგური მოპასუხის საკუთრებას წარმოადგენს, რადგან დვალიშვილებმა და წურწუმიამ გაიღეს მნიშვნელოვანი წვლილი მის ასაშენებლად.

ასეთ დასკვნას ვერ დავეთანხმები შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმე ისაა, რომ, როგორც გადაწყვეტილებიდან ირკვევა, 1995 წლის 4 ივლისს შპს „გალაქტიკამ“ იჯარის ხელშეკრულება გააფორმა თბილისის მერიის მიწის რესურსების სამმართველოსთან. მის მიერ იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთზე უნდა აშენებულიყო დამტკიცებული პროექტით ავტოგასამართი სადგური.

ისმის კითხვა: საიჯარო ვადის გასვლის შემდეგ უნდა დაბრუნებოდა თუ არა მეიჯარეს მიწის ნაკვეთი? რა თქმა უნდა, მიწის

ნაკვეთი, რომელიც დროებით სარგებლობაში ჰქონდა გადაცემული მოიჯარეს, მეიჯარეს დაუბრუნდებოდა სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 564-ე მუხლით.

სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: იჯარის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები, თუ 581-606-ე მუხლებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული“.

სამოქალაქო კოდექსის 564-ე მუხლის თანახმად კი: „ნივთის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისას დამქირავებელი მოვალეა დაუბრუნოს დამქირავებელს ნივთი იმ მდგომარეობაში, რომელიც მისგან მიიღო, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით, ან იმ მდგომარეობაში, რაც ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული“.

ავტოგასამართი სადგურიც, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის თანახმად, მიწის არსებით შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, მეიჯარეს უნდა დაბრუნებოდა.

თუ მეიჯარეს უნდა დაბრუნებოდა ავტოგასამართი სადგური, მაშინ ვერც მოსარჩელე და ვერც მოპასუხე ვერ იქნებოდა მისი მესაკუთრე. მით უმეტეს, რომ ავტოგასამართი სადგური არ ყოფილა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული.

სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის 1-ლი ნაწილით: „უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.“

ამავე კოდექსის 311-ე მუხლის 1-ლი ნაწილით კი რეესტრში შეიტანება უძრავ ნივთებზე საკუთრებისა და სხვა სანივთო უფლებები.

ამრიგად, საჯარო რეესტრში რეგისტრაცია წარმოშობს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებას, რაც მოპასუხეებს არ გაუკეთებიათ.

\\ სასამართლომ გამოიყენა ის მუხლები, რომლებიც არ უნდა გამოეყენებინა

სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 170-ე და 171-ე მუხლებზე, რომლებიც ეხება საკუთრების უფლებას.

როგორც ზემოთ გაკეთებული იურიდიული ანალიზიდან ჩანს, ავტოგასამართი სადგური არ შეიძლებოდა ყოფილიყო მოპასუხის საკუთრებაში (ისევე როგორც მოსარჩელის საკუთრებაში), რადგანაც მიწა და მისი შემადგენელი ნაწილი – ავტოგასამართი სადგური, მერიისაგან იჯარით ჰქონდა გადაცემული მოსარჩელეს.

ამდენად, სასამართლომ არსწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 170-ე და 171-ე მუხლები.

სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში დაეყრდნო, აგრეთვე, მეწარმეთა შესახებ კანონის მე-5, 44-50-ე მუხლებს. დასახელებული მუხლები მოიცავენ სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებულ განსხვავებულ წესებს, კერძოდ, მე-5 მუხლი მოიცავს ცხრა პუნქტსა და რამდენიმე ქვეპუნტს, ამიტომ გაურკვეველია მოსამართლე რომელ პუნქტს ან ქვეპუნქტს გულისხმობს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მუხლი არავითარ კავშირში არ არის მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან.

ასევე საჭიროებს დაზუსტებას 44-50-ე მუხლების მითითება. მოცემული მუხლები მეწარმეთა შესახებ კანონის კერძო ნაწილში მთლიანად მოიცავს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მარეგულირებელ ძირითად წესებს, ამიტომ გაუგებარია მოსამართლე კონკრეტულად რომელ მუხლს გულისხმობს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილება არასწორია. სასამართლოს 1996 წლის ოქტომბერში რეგისტრირებული შპს „გალაკტიკა“ უნდა ელიარებინა 1992-1995 წლების შპს „გალაკტიკას“ უფლებამონაცვლედ, რადგანაც:

1. 1992-1996 წლებში შპს „გალაკტიკას“ დამფუძნებლად ითვლება ზ. გრიგოლია.

2. 1992-1993 წლებში დაფუძნებული შპს „გალაკტიკა“ ხელმე-

ორედ გატარდა სამეწარმეო რეესტრში 1996 წლის ოქტომბერს.

3. 1993 წელს რეგისტრირებულ შპს „გალაქტიკას“ ჰქონდა იჯაროს ადებული მიწის ნაკვეთი

გარდა აღნიშნულისა, სასამართლომ გამოიყენა ის მუხლები, რომლებიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა ის მუხლები, რომლებიც უნდა გამოეყენებინა, მაგალითად, მეწარმეთა შესახებ კანონის 6.1 და 6.7. 2.5 მუხლები, სამოქალაქო კოდექსის 183-ე და 164-ე მუხლები, რომლებიც ეხება არაკეთილსინდისიერი მფლობელის მოვალეობას ნივთის დაბრუნების თაობაზე, აგრეთვე 311-ე, 564-ე და 581-ე მუხლები.

გადაწყვეტილება

საქმე № 2/1713, თბილისი

2000 წ. 27 დეკემბერი

მოსარჩელე: შპს „ტრანსპორტი“

მოპასუხე: დავით ცერცვაძე და ნოდარ მირცხულავა

სასარჩელო მოთხოვნა: დ. ცერცვაძისა და ნ. მირცხულავას შპს-
„ტრანსპორტიდან“ გარიცხვის შესახებ.

გადაწყვეტილების შინაარსი

2000 წლის 13 ნოემბერს შედგა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ტრანსპორტის“ პარტნიორთა რიგგარეშე კრება. პარტნიორთა კრებამ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 47.3 მუხლის „ლ“ პუნქტის, საზოგადოების წესდების 6.2.5 და 7.2.5 მუხლებით გათვალისწინებული უფლებამოსილების შესაბამისად დ. ცერცვაძე და ნ. მირცხულავა გარიცხა საზოგადოების პარტნიორთა რიგებიდან. კრებამ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო შემდეგი:

1. ცერცვაძემ და მირცხულავამ დაარღვიეს საზოგადოების წესდების 6.2.1; 6.2.2; 6.2.3 და 6.2.10 მუხლებით გათვალისწინებული პარტნიორთა უფლებები და თვითნებურად მოახდინეს საზოგადოებაში წილების გასხვისება, კერძოდ, 2000 წლის 9 აგვისტოს პარტნიორების თანხმობის გარეშე, ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობით ვინმე კ. სტურუას გადასცეს საზოგადოებაში წილების მართვის უფლება.

როგორც მინდობილობის შინაარსიდან ირკვევა, კ. სტურუას მიეცა უფლება წარმოედგინა ცერცვაძისა და მირცხულავას ინტერესები ყველა სახელმწიფო, ადმინისტრაციულ და კერძო სტრუქტურაში შპს „ტრანსპორტი“ მათი კუთვნილი წილის მართვასთან დაკავშირებით და, ამასთან, განეხორციელებინა ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა გაიცა ერთი წლის ვადით.

იქიდან გამომდინარე, რომ მინდობილ საკუთრებაში წილის გადაცემა უთანაბრდება წილის გასხვისებას, ამიტომ პარტნიორებს უნდა გამოეყენებინა წილის გასხვისებასთან დაკავშირებული ნორმები, მაგრამ მოპასუხებმა ეს არ გააკეთეს. მათ პარტნიორთა თანხმობის გარეშე კ. სტურუას გადასცეს საზოგადოებაში წილების მართვის უფლება. ამით დაირღვა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 46.4 მუხლის მოთხოვნა.

2. მოპასუხებმა კ. სტურუას გადასცეს რა ინფორმაცია საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის, შემოსავლების, გასავლებისა და კრედიტორების შესახებ და დაავალეს რა მას საზოგადოების საფინანსო მდგომარეობის შემოწმება, ფაქტობრივად გათქვეს საზოგადოების კომერციული საიდუმლოება, რითაც დაარღვიეს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული კონფიდენციალობის პრინციპი.

3. მოპასუხეები პარტნიორების თანხმობის გარეშე იმავე საქმიანობას მისდევდნენ სხვა საზოგადოებაში, რასაც შპს „ტრანსპორტში“, კერძოდ, შპს „ლოგოს“ დირექტორია დ. ცერცვაძე, ხოლო ნ. მირცხაულავა ამავე საზოგადოების კომერციული დირექტორი. მათი ამ საქმიანობით დაირღვა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.6 მუხლი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება:

დაკმაყოფილდეს შპს „ტრანსპორტის“ სასარჩელო მოთხოვნა და მოპასუხეები გარიცხულ იქნენ საზოგადოებიდან.

გადაწყვეტილების კომენტარი

სასამართლოს გადაწყვეტილება არ მიმართავს სწორად და დასაბუთებულად შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ მოპასუხეების გარიცხვის მოტივად მიიჩნია შემდეგი ფაქტორები: 1. მოპასუხეების მიერ სხვისთვის წილის გადაცემა პარტნიორთა თანხმობის გარეშე. 2. წილის მიმღებისათვის კონფიდენციალური ინფორმაციის გადაცემა. 3. კონკურენციის გაწევა.

პირველ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა მოპასუხეების მიერ წილის გადაცემას სტურუასთვის. კერძოდ, სასამართლომ ჩათვალა, რომ წილის რწმუნებულებით გადაცემა მინდობილ საკუთრებაში გასხვისებას უთანაბრდება და ამიტომ მოპასუხეებს თანხმობა უნდა მიუღოთ პარტნიორებისგან.

რამდენად სწორია სასამართლოს ასეთი იურიდიული შეფასება? ამ კითხვაზე რომ გაიცეს ზუსტი პასუხი, საჭიროა გავაანალიზოთ მინდობილი საკუთრებისა და რწმუნებულების იურიდიული ბუნება.

როგორც სამოქალაქო კოდექსის 724-ე მუხლიდან ირკვევა, მინდობილ საკუთრებაში ორი მხარე მონაწილეობს, კერძოდ, საკუთრების მიმნდობი და მინდობილი მესაკუთრე, ორივე მხარეს შეიძლება მოიაზრებოდეს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი. საინტერესოა ტერმინი „მინდობილი მესაკუთრე“ – როგორც დასახელებული მუხლის შინაარსი გვიჩვენებს, ეს არის პირი, რომელიც ღებულობს მისთვის გადაცემულ ქონებას და მართავს მას. სიტყვა „მართვაში“ უნდა ვიგულისხმოთ ფლობაც, სარგებლობაცა და განკარგვაც თუკი იგი შეესაბამება მიმნდობის ინტერესებს. იქიდან გამომდინარე, რომ მინდობილი მესაკუთრე საკუთრების ინსტიტუტისთვის დამახასიათებელ სამივე ელემენტს მოიცავს, ამიტომ იგი როგორც მესაკუთრე ისე მოიხსენიება, მაგრამ, რადგანაც ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლება მიანიჭა კანონიერმა მესაკუთრემ, რომელიც მას ენდობა, ამიტომ ქონების მიმღებს უწოდეს მინდობილი მესაკუთრე ანუ პირი, რომელსაც ქონება მიანდვეს, როგორც მესაკუთრეს.

თავისი შინაარსით 724-ე მუხლი ჰგავს წარმომადგენლობით ინსტიტუტს, მაგრამ, როდესაც გავეცნობით სამოქალაქო კოდექსის 725-ე მუხლს, დავინახავთ, რომ წარმომადგენლობასა და მინდობილ საკუთრებას შორის განსხვავებაა.

725-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მინდობილი მესაკუთრე მოვალეა მართოს მინდობილი საკუთრება თავისი სახელით, მაგრამ საკუთრების მიმნდობის რისკითა და ზარჯით.

მოცემული მუხლის შინაარსი უთითებს მის განმასხვავებელ ნიშანს მინდობილობისგან ანუ დავალების ხელშეკრულებისგან, კერძოდ, ეს განსხვავება გამოიხატება იმაში, რომ მინდობილი მესაკუთრე თავისი სახელით, როგორც მესაკუთრე, მართავს ნამდვილი, კანონიერი მესაკუთრის მიერ გადმოცემულ ქონებას.

ჩვენთვის ასევე საინტერესოა სიტყვა „მართვის“ არსის გარკვევა, კერძოდ, გულისხმობს თუ არა იგი ნივთის ფლობას, მის გამოყენებას, აუცილებლობის შემთხვევაში მის გაუმჯობესებას ან თუნდაც გაყიდვას, ანდა გაქირავებას?

ვფიქრობ, რომ მართვა გულისხმობს ყოველივე ზემოთ დასახელებულს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კანონით უნდა იყოს შეზღუდული. მაგალითად, სააქციო საზოგადოების დირექტორი არის როგორც სააქციო საზოგადოების წარმომადგენელი, ასევე მმართველი, რომელიც მართავს საზოგადოების ქონებას. მისი მართვის ფუნქციები შეზღუდულია სამეთვალყურეო საბჭოსა და საერთო კრების მეშვეობით. ეს შეზღუდვები მეწარმეთა შესახებ კანონის 54-ე და 55-ე მუხლებით არის გათვალისწინებული. ეს შეზღუდვები კანონით რომ არ ყოფილიყო დაშვებული, მაშინ ყველა ის უფლებამოსილება დირექტორს დარჩებოდა. ამდენად, მართვა ძალიან ფართო შინაარსის ცნებაა, თუ იგი კანონით ან თუნდაც წესდებით არ არის შეზღუდული.

ამრიგად, მინდობილი მესაკუთრე, ეს არის პირი, რომელიც თავისი სახელით, მაგრამ საკუთრების მიმდობის ხარჯითა და რისკით მართავს მის ქონებას.

სწორედ ამიტომ გაბატონდა ის აზრი, რომ მინდობილ საკუთრებაში წილის გადაცემა უთანაბრდება წილის გასხვისებას. ამიტომაც, თუ პარტნიორი გადაწყვიტავს თავისი წილი მინდობილ საკუთრებაში გადაცეს სხვას, მან ამისათვის უნდა მიიღოს თანხმობა პარტნიორთა კრებიდან, თუ ეს მათი წესდებით არის გათვალისწინებული.

სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლიდან კი ჩანს, რომ რწმუნებული, განსხვავებით მინდობილი მესაკუთრისგან, მოქმედებს არა თავისი, არამედ მარწმუნებლის სახელით, ამასთან, მისი მოქმედების

შედეგად მესამე პირთან წარმოშობილი ურთიერთობის მონაწილე თავად კი არ ხდება, არამედ მარწმუნებელი.

ამრიგად, დავალების ხელშეკრულებაში გვყავს ორი მხარე: მარწმუნებელი და რწმუნებული. ორივე მხრიდან შეიძლება მონაწილეობდეს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი.

მარწმუნებელი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე აძლევს დავალებას რწმუნებულს, რომელიც, თავის მხრივ, ისევ აღნიშნული შეთანხმებიდან გამომდინარე, კისრულობს ვალდებულებას, შეასრულოს მასზე დავალებული მოქმედება.

რა შეიძლება იყოს ამ ხელშეკრულების საგანი? დავალების ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი მართლზომიერი მოქმედება, რომელიც თავსდება იურიდიული და ფაქტობრივი მოქმედებების ფარგლებში. აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ კანონი ზოგჯერ კრძალავს რწმუნებულების ინსტიტუტის გამოყენებას, თუნდაც რომ იგი მართლზომიერი მოქმედება იყოს. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 1112-ე მუხლის 1-ლი წინადადებით „დაქორწინების მსურველ პირთ პირადად შეაქვთ განცხადება მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში“.

ანდა ავიღოთ, ამავე კოდექსის 1346-ე მუხლი, რომელიც მიუთითებს, რომ: „ანდერძი უნდა შეადგინოს პირადად მოანდერძებ. ანდერძის შედგენა წარმომადგენლის მეშვეობით არ დაიშვება“.

ამრიგად, მინდობილ საკუთრებასა და დავალების ხელშეკრულებას შორის დიდი სხვაობაა.

ზემოთ გაკეთებული ანალიზიდან გამომდინარე, ისმის კითხვა: იყო კი მოპასუხეების მიერ გაცემული დოკუმენტი მინდობილი საკუთრების ხელშეკრულება?

თუ კიდევ ერთხელ გადავაგვლებთ თვალს მინდობილობის შინაარსს, დავინახავთ რომ იგი რწმუნებულების ნიმუშს უფრო წარმოადგენს, ვიდრე მინდობილ საკუთრებაში წილების გადაცემას. რას ეყრდნობა ჩემი ასეთი დასკვნა? ჩემი დასკვნა ემყარება რამდენიმე გასათვალისწინებელ ფაქტს:

პირველი – მოპასუხეები აძლევენ სტურუას უფლებას, რომ მან

წარმოადგინოს მესამე პირებთან მათი ინტერესები, ე.ი. რწმუნებულ-მა მესამე პირებთან უნდა ილაპარაკოს მოპასუხეების სახელით და არა საკუთარი სახელით.

როგორც მინდობილი საკუთრების არსმა დაგვანახა, მინდობილი მესაკუთრე მსგავსად ნამდვილი მესაკუთრისა, საკუთარი სახელით ფლობს, სარგებლობს და განკარგავს გადაცემულ ქონებას, ოღონდ, რა თქმა უნდა, საკუთრების მიმდობის ინტერესების გათვალისწინებით.

ამიტომაც, მინდობილ მესაკუთრესთან ურთიერთობისას მესამე პირი თვლის, რომ იგი არის იმ ქონების მესაკუთრე, რომელთანაც მას ანუ მესამე პირს უწევს ურთიერთობა.

მეორე – მინდობილობის შინაარსიდან ჩანს, რომ მოპასუხეები ავალუბენ სტურუას, რომ მან განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც მათი ინტერესების დაცვას ემსახურება.

მინდობილობაში ისიც არის აღნიშნული, რომ სტურუა იცავს მათ ინტერესებს კუთვნილი წილის მართვასთან დაკავშირებით. ის-მის კითხვა: გულისხმობს თუ არა ამ შემთხვევაში სიტყვა „მართვა“ წილის თავისუფლად გაყიდვასაც? – არ გულისხმობს, რადგან საზოგადოების წესდებაში, როგორც გადაწყვეტილების შინაარსიდან ჩანს, არის მუხლები, რომლებიც პარტნიორთა თანხმობის გარეშე კრძალავენ წილის გასხვისებას. ამიტომაც რწმუნებული ვალდებულია წილის გასხვისების ან მასთან გათანაბრებული გადაცემის შემთხვევაში მიიღოს თანხმობა პარტნიორებისგან.

გარდა ამისა, სასამართლო გადაწყვეტილებაში აღნიშნულია: „იქიდან გამომდინარე, რომ მინდობილ საკუთრებაში წილის გადაცემა უთანაბრდება წილის გასხვისებას, ამიტომ პარტნიორებს უნდა გამოეყენებინათ წილის გასხვისებასთან დაკავშირებული ნორმები, მაგრამ მოპასუხეებმა ეს არ გააკეთეს. მათ პარტნიორთა თანხმობის გარეშე კ. სტურუას გადასცეს საზოგადოებაში წილების მართვის უფლება. ამით დაირღვა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 46.4 მუხლის მოთხოვნა“.

მოცემული განცხადება იმის თაობაზე, რომ პარტნიორებმა დაარღვიეს მეწარმეთა შესახებ კანონის 46.4 მუხლი, არასწორია,

რადგანაც ეს მუხლი უფლებას აძლევს პარტნიორებს წესდებით განსაზღვრონ წილის გადაცემის პირობა.

• ამრიგად, არ შეიძლება მივუთითოთ ისეთი მუხლის დარღვევაზე, რომელიც დისპოზიციური ხასიათისაა, ანუ გვთავაზობს გარკვეულ წესს, რომელიც შეიძლება გავითვალისწინოთ ან არ გავითვალისწინოთ წესდებით.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხეები არ იყვნენ ვალდებული მინდობილობით წილის გადაცემისათვის თანხმობა მიეღოთ პარტნიორებისგან. აქედან გამომდინარე კი, მოპასუხეებს არ დაურღვევიათ არც წესდება და არც მეწარმეთა შესახებ კანონი.

მეორე საფუძველი მოპასუხეების გარიცხვისა იყო ის, რომ წილის მიმცემს გადასცეს კონფიდენციალური ინფორმაცია, კერძოდ, ინფორმაცია საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის შესახებ, შემოსავლების, გასავლებისა და კრედიტორების შესახებ, ამასთან, დაავალეს საზოგადოების საფინანსო მდგომარეობის შემოწმება, რითაც ფაქტობრივად გათქვეს საზოგადოების კომერციული საიდუმლოება.

ვფიქრობ, რომ სასამართლომ აქაც დაუშვა შეცდომა, რაც გამოიხატება შემდეგში:

• კონფიდენციალური ინფორმაცია ეს ისეთი გასაიდუმლოებული ინფორმაციაა, რომლის გაცნობა და გამოქვეყნება შეზღუდულია და საჭიროებს სპეციალურ ნებართვას. ასეთ ნებართვას იძლევა სამეთვალყურეო საბჭო, თუკი ასეთი არსებობს, ან პარტნიორთა კრება.

მეწარმეთა შესახებ კანონის მე-18 მუხლის ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ საწარმოს აქვს ორი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

ერთი, ეს არის ისეთი ინფორმაცია, რომელიც თავისუფლად შეიძლება გამოქვეყნდეს, მაგალითად, სამეწარმეო რეესტრის მონაცემები, დასახელებული კანონის 17.2 მუხლის მიხედვით ინფორმაცია წილობრივი მონაწილეობისა და პარტნიორთა კრებების შესახებ.

მეორე სახის ინფორმაცია უკვე კონფიდენციალური ინფორმა-

ციაა, რომელიც უკავშირდება საზოგადოების ორგანოთა სხდომების შინაარსსა და შედეგებს.

მაგრამ შედეგების კონფიდენციალურობა წესდებით უნდა იყოს გათვალისწინებული.

საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს სხვა სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობასაც.

ზემოთ გამოყენებული სიტყვა „აქვეყნებს“ გულისხმობს საზოგადოების მიერ კანონის 18.1 მუხლის 1-ლი წინადადებით გათვალისწინებული ინფორმაციის პრესაში გამოქვეყნებას.

მეწარმეთა შესახებ კანონის 3.9 მუხლი უფლებას აძლევს ყოველ პარტნიორს მიიღოს წლიური ანგარიშის ასლი და საზოგადოების ყველა პუბლიკაცია. მას აგრეთვე უფლება აქვს შეამოწმოს წლიური ანგარიშის სიწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნებს უშუალოდ ან დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით.

საბუღალტრო წიგნების გაცნობა ეს არის ფაქტობრივად ფინანსური მდგომარეობის, შემოსავლებისა და გასავლების, აგრეთვე კრედიტორების შესახებ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა. თუკი ასეთი ინფორმაციის კონფიდენციალურობა წესდებით დაცულია, მაშინ სასამართლოს გადაწყვეტილებაში ეს უნდა აღნიშნულიყო. რადგანაც სასამართლომ არ მიუთითა წესდებაში ასეთი ინფორმაციის გაცემის შემზღვეველ ნორმაზე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ასეთი შეზღუდვა პარტნიორებს წესდებით არ ჰქონიათ. ♪

ამრიგად, კონფიდენციალური ინფორმაცია არ მოიცავს იმ საკითხებს, რაც მოსარჩელემ დააყენა მოპასუხეებისა და წილის მიმღების წინააღმდეგ. ეს კი მიანიშნებს იმაზე, რომ სასამართლომ არასწორად გაიზიარა მოსარჩელის შეხედულება მოპასუხეების მიერ წილის მიმღებისათვის კონფიდენციალური ინფორმაციის გადაცემის შესახებ.

მესამე საფუძველი მოპასუხეების კარიცხვისა იყო მათი მხრიდან კონკურენციის წესების დარღვევა.

ამ მოტივით სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელეების მტკიცე-

ბა, რომ მოპასუხეებმა დაარღვიეს მეწარმეთა შესახებ კანონის 9.6 მუხლი, კერძოდ, პარტნიორების თანხმობის გარეშე დ. ცერცვაძე იყო შპს „ლოგოს“ დირექტორი, ხოლო მირცხულავა კი ამავე საზოგადოების კომერციული დირექტორი.

კანონის 9.6 მუხლი უთითებს, რომ დირექტორებს არ აქვთ უფლება პარტნიორების თანხმობის გარეშე მისდიონ იმავე საქმიანობას, რასაც მისდევს საზოგადოება ან მიიღონ მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით.

როდესაც კანონი აღნიშნავს, რომ ხელმძღვანელს არ აქვს უფლება მსგავსი ტიპის საზოგადოებაში იყოს დირექტორის სახით, გულისხმობს ისეთ დირექტორს, რომელიც წესდებასა და სამეწარმეო რეესტრშია გატარებული. სამწუხაროდ, სასამართლოს არ დაუზუსტებია შპს „ლოგოს“ დირექტორები იყვნენ თუ არა სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულები.

მორეც, რაც ასევე მთავარია, გადაწყვეტილებიდან არ ჩანს, რომ მოპასუხეები იყვნენ შპს „ტრანსპორტის“ დირექტორები. როგორც გადაწყვეტილებიდან ჩანს, ისინი იყვნენ ამ საზოგადოების პარტნიორები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მათ მიმართ არ მოქმედებს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.6 მუხლი. ჩემი ასეთი დასკვნა ეყრდნობა დასახელებული კანონის 9.6 მუხლსა და 9.1 მუხლს, კერძოდ:

მუხლი 9.1 აღნიშნავს: საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლება აქვთ: „სოლიდალური პასუხისმგებლობის საზოგადოებაში – ყველა პარტნიორს, კომანდიტურ საზოგადოებაში – პერსონალურად პასუხისმგებელ პარტნიორებს (კომპლემენტარებს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივში – დირექტორებს“.

ამრიგად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ხელმძღვანელობის უფლების მქონეს ჰქვია დირექტორი.

მუხლი 9.6. აღნიშნავს: „9.1 მუხლში დასახელებულ პირებს არა აქვთ უფლება პარტნიორების თანხმობის გარეშე მისდიონ იმავე საქმიანობას, რასაც მისდევს საზოგადოება ან მიიღონ მონაწილეობა

მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით...”

როგორც აღნიშნული მუხლიდან გამომდინარეობს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორის მიმართ მოქმედებს ის წესები, რომლებიც ზევით, კანონის 9.6-ე მუხლში მოვიხსენიეთ. ამიტომ, სასამართლოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მოპასუხეებს არ ჰქონდათ უფლება პარტნიორების თანხმობის გარეშე ყოფილიყვნენ დირექტორები შპს „ლოგოში“, არასწორია და აბსოლუტურად არ შეესაბამება კანონის 9.1 და 9.6 მუხლების შინაარსსა და მოთხოვნებს.

ამრიგად, ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილება არ მიმაჩნია სწორად და დასაბუთებულად.

სააქციო საზოგადოება

გადაწყვეტილება

საქმე № 2/1104

19 აგვისტო 1999 წ.

მოსარჩელე: გ. აბულაძე და ცირეკიძე

მოპასუხე: მ. მაჭარიშვილი

სარჩელი ეხება ს/ს „საქპროექტის“ რიგგარეშე საერთო კრების 1999 წლის 11 ივნისის დადგენილების გაუქმებას.

საქმის მოკლე შინაარსი

1999 წლის 19 მარტს დიდუბის რაიონის სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით ს/ს „საქტპროექტის“ 1998 წლის 30 სექტემბრის რიგგარეშე საერთო კრების მიერ არჩეულ სამეთვალყურეო საბჭოს გაუუქმა უფლებამოსილება და აღადგინა 1998 წლის 30 სექტემბრამდე მოქმედი სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილება.

1999 წლის 22 მაისს სასამართლოს გადაწყვეტილებით უფლებამოსილებადაკარგულმა საბჭომ, რომელიც ჯერ კიდევ რეესტრში იყო გატარებული, 11 ივნისს მოიწვია საზოგადოების რიგგარეშე საერთო კრება და აირჩია სამეთვალყურეო საბჭო, ამასთან, საზოგადოების წესდებაში შეიტანა ცვლილებები.

1999 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით აღდგენილი სამეთვალყურეო საბჭო და ღირექტორატი სამეწარმეო რეესტრში გატარდა 25 მაისს.

ამ საბჭომ და ღირექტორატმა მიზანშეუწონილად ჩათვალა რა არაუფლებამოსილი საბჭოს მიერ მოწვეული საერთო კრების ჩატარება, 1999 წლის 31 მაისს გაზეთ „რეზონანსში“ განაცხადეს მოწვეული კრების არჩატარების შესახებ იმ მოტივით, რომ იგი მოწვეული იყო არაუფლებამოსილი პირის მიერ.

ამასთან, მოპასუხის მხრიდან არ ყოფილა წერილობითი მოთხოვნა კრების მოწვევის თაობაზე, რითაც დაირღვა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53.3.3 მუხლის 1-ლი პუნქტი.

მიუხედავად ამისა, კრება 11 ივნისს მაინც ჩატარდა. ამ კრებაში მონაწილეობა არ მიუღია ა/წლის 25 მაისს რეგისტრირებულ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატს, რითაც დაირღვა მეწარმეთა შესახებ კანონის 54.4 მუხლი. ვინაიდან ამ კრების თავმჯდომარე და მდივანი გაუქმებული სამეთვალყურეო საბჭოს წევრები იყვნენ, მოსარჩელე მხარე ითხოვს 1999 წლის 11 ივნისის საზოგადოების რიგგარეშე კრების გადაწყვეტილება და მის საფუძველზე მომხდარი სასამართლო რეგისტრაციის გაუქმებას.

მოპასუხემ არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ „ფინანსები“, რომელიც აქციათა 75% ფლობდა, გააკეთა მოთხოვნა კრების ჩატარების თაობაზე.

მოპასუხის აზრით, სააქციო საზოგადოება „საქპროექტის“ სამეთვალყურეო საბჭო, 11 ივნისს, არჩეულ იქნა აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მიერ, რომელსაც ესწრებოდა საზოგადოების საწესდებო კაპიტალის 75% აქციის მფლობელი აქციონერი.

მეწარმეთა შესახებ კანონის 53.3.3 და საზოგადოების წესდების 5.7. და 6.2. მუხლების შესაბამისად, საზოგადოების აქციათა 75%-ის მესაკუთრე აქციონერს ჰქონდა უფლება მოეთხოვა აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ჩატარება.

გადაწყვეტილება, აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის პროცედურა, როგორც ამას თვლის მოპასუხე, დაცულ იქნა და არანაირი საფუძველი არ არსებობს 1999 წლის 11 ივნისის სააქციო საზოგადოების აქციონერთა კრების შედეგების გასაუქმებლად.

ამ საქმეზე სასამართლომ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება

1. მოსარჩელის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან სააქციო საზოგადოების აქციათა 75%-ის მესაკუთრეა შპს „ფინანსები“.

2. საზოგადოების აქციონერთა კრება მოწვეულ იქნა აქციათა 75%-ის შესაკუთრე აქციონერის მოთხოვნის საფუძველზე, რისი უფლებაც მათ ჰქონდათ მეწარმეთა შესახებ კანონის 53.3.3. მუხლით.

3. აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება 1999 წლის 22 მაისს მოიწვია იმ სამეთვალყურეო საბჭომ და დირექტორატმა, რომლებიც რეგისტრირებულები იყვნენ სამეწარმეო რეესტრში. ხოლო 1999 წლის 19 მარტის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე სამეწარმეო რეესტრში ცვლილებები შეტანილ იქნა 1999 წლის 25 მაისს სადავო კრების მოწვევის შემდეგ, ე.ი. კრება მოწვეულ იქნა უფლებამოსილი სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის მიერ მეწარმეთა შესახებ კანონის 4.1 მუხლის თანახმად. ამ მუხლის მიხედვით კი სამართლებრივი მნიშვნელონა ენიჭება იმ ფაქტებს, რაც აღნუსხულია სამეწარმეო რეესტრში.

გადაწყვეტილების კომენტარი

სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის სწორი შემდეგ გარემოებათა გამო:

1. მეწარმეთა შესახებ კანონის 54.4-ე მუხლის თანახმად: „საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას მოადგილე, მოადგილის არყოფნისას – ერთ-ერთი დირექტორი“.

• აღნიშნულ წესში იგულისხმება ის სამეთვალყურეო საბჭო და თავმჯდომარე ან დირექტორი, რომლებიც რეგისტრირებულები არიან სამეწარმეო რეესტრში.

მხოლოდ სამეწარმეო რეესტრი წარმოშობს სამეთვალყურეო საბჭოს კანონით გათვალისწინებულ ფუნქციებსა და დირექტორის სტატუსს.

მეწარმეთა შესახებ კანონის 2.5 მუხლით საწარმოს რეგისტრაცია სავალდებულოა. საწარმო, როგორც ამ კანონით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობათა სუბიექტი, წარმოიშობა მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან“.

როდესაც საწარმოზე ვსაუბრობთ, მასში იგულისხმება აგრეთვე მისი მართვისა და კონტროლის ორგანოებიც. •

2.5-ე მუხლის გარდა, კანონის სხვა მუხლებიც უთითებს სამეთვალყურეო საბჭოს წარმოშობის საფუძვლებზე, კერძოდ, 5.2 მუხლით: „ინდივიდუალური მეწარმე ან პარტნიორები, ისევე, როგორც წარმომადგენლობითა და სამეთვალყურეო ორგანოების შესაძლო წევრები, ვალდებული არიან ხელი მოაწერონ საზოგადოების განცხადებას რეგისტრაციის შესახებ“.

5. 4. მუხლი: განცხადება უნდა შეიცავდეს:

5.4.3. გ). ყოველი დირექტორის, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისას, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს ყოველი წევრის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი;

5.5. მუხლით: საზოგადოების განცხადებას თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები:

„შეზღუდული პასუხისმგებლობისა და სააქციო საზოგადოებებისათვის – დოკუმენტები დირექტორების დანიშვნის შესახებ.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისას, მისი წევრების დანიშვნის შესახებ.“

ამრიგად, სამეთვალყურეო საბჭოს სტატუსი წარმოიშობა სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

როგორც გადაწყვეტილებიდან ჩანს, 1999 წლის 22 მაისს კრება მოიწვია იმ სამეთვალყურეო საბჭომ, რომელიც სასამართლომ არაკანონიერად ცნო 1999 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით. ხოლო 19 მარტის გადაწყვეტილებით აღდგენილი სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა 22 მაისისთვის ჯერ კიდევ არ იყო რეგისტრირებული სამეწარმეო რეესტრში. აღდგენილი საბჭო რეესტრში გატარდა 25 მაისს. ამიტომ მის თავმჯდომარეს ან მის მოადგილეს, ანდა დირექტორს, უნდა ეხელმძღვანელა 1999 წლის 11 ივნისს დანიშნული კრებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რადგანაც 1999 წლის 11 ივნისს კრებას ხელმძღვანელობდა სასამართლოს 19 მარტის გადაწყვეტილებით

ყვეტილებით უფლებადაკარგული სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და არა 25 მაისს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული საბჭოს თავმჯდომარე, ამიტომ, რა თქმა უნდა, 11 ივნისის კრების გადაწყვეტილება არ უნდა ჩაითვალოს კანონიერად.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, განმარტებას საჭიროებს სასამართლოს გადაწყვეტილების ბოლო სამი პუნქტიც, კერძოდ:

პირველ პუნქტში სასამართლო არ აკმაყოფილებს მოსარჩელეს, რადგან საზოგადოების აქციათა 75%-ის მესაკუთრეა შპს „ფინანსები“.

მოცემული ფორმულირება, როგორც ცალკე აღებული, არ წარმოადგენს დასაბუთების საფუძველს, რადგან აქციათა დიდი ნაწილის მფლობელიც შეიძლება საერთო კრებაზე კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებას ღებულობდეს ანდა არღვევდეს კრების მოწვევის წესებს და ა.შ. ამიტომაც ის, რომ „ფინანსები“ 75% აქციათა მესაკუთრეა, ამ შემთვევაში არაფრისმთქმელია.

მეორე პუნქტით სასამართლო თავისი გადაწყვეტილების დასასაბუთებლად ეყრდნობა იმ წესს, რომ კანონის 53.3.3. მუხლიდან გამომდინარე, აქციათა 75%-ის მფლობელ აქციონერს უფლება აქვს მოიწვიოს აქციონერთა საერთო კრება.

სასამართლოს აღნიშნული მითითება საჭიროებს ერთ დაზუსტებას, კერძოდ, კანონის 53.3.3 მუხლით აქციის 5%-ის მფლობელ აქციონერს უფლება აქვს მოითხოვოს მხოლოდ რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ამავე მუხლის ის წესიც, რომ რიგგარეშე კრების მოწვევის მოთხოვნა საწარმოს ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა იყოს დასაბუთებული და აუცილებელი. მოთხოვნა უნდა გაკეთდეს წერილობითი ფორმით და გადაეცეს დირექტორს, რომელიც მოვალეა დანიშნოს კრება მოთხოვნიდან 20 დღეში.

სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ ჩანს აქციის 75%-ის მფლობელმა აქციონერმა წერილობითი ფორმით კრების მოწვევის დას-

აბუთებული მოთხოვნა დირექტორს გადასცა თუ არა. ამიტომ, რადგანაც ეს მნიშვნელოვანი წესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ არის დაფიქსირებული, უნდა ჩავთვალოთ, რომ აქციის 75%-ის მფლობელმა აქციონერმა მხოლოდ ზეპირი ფორმით მოითხოვა კრების მოწვევა.

ამდენად, რიგგარეშე კრების მოწვევის მოთხოვნის უფლება მას ჰქონდა მაგრამ უნდა შეესრულებინა ორი ძირითადი წესი, კერძოდ:

1. წერილობით დაესაბუთებინა კრების მოწვევის აუცილებლობა და
2. წერილობითი მოთხოვნა კრების მოწვევის შესახებ გადაეცა დირექტორისათვის, რომელიც შემდეგ მოიწვევდა კრებას.

ამრიგად, სასამართლო გადაწყვეტილების დასასაბუთებლად მეორე პუნქტსაც არა აქვს რაიმე იურიდიული მნიშვნელობა.

მესამე პუნქტში სასამართლო ეყრდნობა იმას, რომ აქციონერთა საერთო კრება 1999 წლის 22 მაისს მოიწვია სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულმა სამეთვალყურეო საბჭომ და დირექტორმა, ხოლო 19 მარტის სასამართლოს გადაწყვეტილებით აღდგენილი სამეთვალყურეო საბჭო სამეწარმეო რეესტრში გატარდა 25 მაისს, ამიტომ 22 მაისს რეესტრში რეგისტრირებულ სამეთვალყურეო საბჭოს ჰქონდა უფლებათა მოწვევა აქციონერთა კრება.

სამწუხაროდ, მესამე პუნქტიც სასამართლო არასწორ განმარტებას იძლევა.

საქმე იმაშია, რომ 22 მაისს რეგისტრირებულ სამეთვალყურეო საბჭოს, ჰქონდა რიგგარეშე კრების გამოცხადების უფლება თუ აქციონერი — შპს „ფინანსები“ კრების მოწვევას მოითხოვდა დასაბუთებული წერილობითი ფორმით, მაგრამ ეს არ გაკეთებულა.

გარდა ამისა, ჯერ კიდევ 22 მაისს რეგისტრირებულ სამეთვალყურეო საბჭოს ჰქონდა უფლება აქციონერთა რიგგარეშე კრება მოეწვია, თუ შპს „ფინანსები“ (მოწვევის წესებს დაიცავდა, მაგრამ მას 11 ივნისს აღარ ჰქონდა უფლება მის მიერ მოწვეული აქციონერთა რიგგარეშე კრებისთვის ეხელმძღვანელა, რადგან უკვე 25 მაისს სამეწარმეო რეესტრში გატარდა სულ სხვა შემადგენლობის სამეთვალყურეო საბჭო და ამიტომ ამ საბჭოს თავმჯდომარეს კანონის 2.5,

4.1 და 7.2 და 55-ე მუხლებით ჰქონდა უფლება ეხელმძღვანელა აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებისათვის, თუკი მოწვევის წესები ზუსტად იქნებოდა დაცული.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ სასამართლოს მოსარჩელების სარჩელი უნდა დაეკმაყოფილებინა.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქმე № 6/178-2000 წ. ქუთაისი

აპელანტები: ვარლამ ხერხეულიძე და ზურაბ ნემსაძე, ოთარ ჯაველიძე, ნოდარ მერკვილაძე, ბადრი მაისურაძე

განჩინების მოკლე შინაარსი

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა სააპელაციო პალატამ განიხილა აპელანტების სააპელაციო საჩივარი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2000 წლის 19 მარტისა და 16 მარტის დადგენილებების გაუქმების შესახებ.

სასამართლომ გამოარკვია

აპელანტები – ვ. ხერხეულიძე და გ. ნემსაძე მოითხოვენ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2000 წლის 19 მარტის სასამართლო დადგენილების გაუქმებას, ხოლო აქციონერები – ო. ჯაველიძე, ნ. მერკვილაძე და ბ. მაისურაძე შემოტანილი საჩივრის საფუძველზე მოითხოვენ 2000 წლის 16 მარტის სასამართლო დადგენილების გაუქმებას.

სასამართლომ ორივე მხარის საჩივარი ერთ წარმოებად გააერთიანა.

19 მარტის სასამართლოს დადგენილებით აპელანტებს უარი ეთქვათ სააქციო საზოგადოება „ქალაქის ტექნიკასთან“ დაკავშირებით სამეწარმეო რეესტრში ცვლილებათა შეტანაზე.

16 მარტის დადგენილებით საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ნ. ლორიას განცხადება სამეწარმეო რეესტრში ცვლილებათა შეტანის შესახებ და

სააქციო საზოგადოება „ქალაქის ტექნიკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრად ნაცვლად ზ. ნემსაძისა, რეგისტრაციაში გაატარა ბ. კვირია, საწარმოს ახალ დირექტორად კი თ. შუბლაძე.

აპელანტებმა მოითხოვეს დადგენილებების გაუქმება შემდეგ გარემოებათა გამო:

2000 წლის 20 თებერვალს სააქციო საზოგადოებაში მოწვეულ იქნა სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა, რის შესახებაც მათთვის ცნობილი გახდა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოწერილობით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2000 წლის 5 თებერვლის აქციათა რეესტრის ფორმულარით საზოგადოების დირექტორი იყო ბ. კვირია, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე – ნ. ლორია, მოადგილე – ვ. ხერხეულიძე და წევრი – გ. ნემსაძე.

20 თებერვლის სხდომა უნდა გაეხსნა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ლორიას. სხდომის დაწყების წინ ნ. ლორიამ განაცხადა, რომ ოჯახური მდგომარეობის გამო სხდომაზე ვერ გამოცხადდებოდა დირექტორი თ. შუბლაძე და მოითხოვა საბჭოს სხდომის გადადება. სხდომის გადადებას არ დაეთანხმნენ მისი მოადგილე ხერხეულიძე და საბჭოს წევრი გ. ნემსაძე, რადგან შუბლაძე აქციის რეესტრით არ არის დირექტორი და სხდომის გადადებას ამ მიზეზით „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 55.7 მუხლი არ ითვალისწინებს, ხოლო ამავე კანონის 55.7 მუხლის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია წევრთა სულ მცირე ნახევარი.

20 თებერვლის სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანი იყო, რადგან სამივე წევრიდან სამივე გამოცხადდა.

ვინაიდან საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ლორიამ უარი განაცხადა სხდომაში მონაწილეობაზე, სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანად უნდა ჩაითვალოს, რადგან სხდომაზე დარჩა ორი წევრი.

აპელანტების განმარტებით დირექტორის გამოუცხადებლობა ან სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის უარი სხდომაში მონაწილეობაზე არ არის კანონის თანახმად სხდომის გადადების საფუძველი, მეორეც – თ. შუბლაძე არ არის ფორმულარით დირექტორი და მისი

გამოცხადება თუ გამოუცხადებლობა არავითარი იურიდიული საფუძველი არ იყო სხდომის გადადებისათვის.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, შედგა ოქმი, რაც დადასტურებულია საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და საბჭოს წევრის ხელმოწერით და აგრეთვე ნოტარიუსის მიერ 2000 წლის 22 თებერვალს.

მეწარმეთა შესახებ კანონის 55. 8 მუხლით საბჭოს ორ წევრს უფლება ჰქონდათ ჩაეტარებინათ სხდომა და მიელო გადაწყვეტილება. ამასთან, ამავე კანონის 55.5 მუხლის თანახმად „თავმჯდომარე (მისი არყოფნისას მოადგილე) იწვევს სხდომებს, განსაზღვრავს დღის წესრიგს“.

ამიტომ აპელანტები თვლიან, რომ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბჭოს თავმჯდომარისა და დირექტორის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ კანონიერია.

აპელანტები ასევე უკანონოდ თვლიან 2000 წლის 16 მარტის სასამართლო დადგენილებას შემდეგ გარემოებათა გამო:

1998 წლის 12 ივნისს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა არ შემდგარა. 12 ივნისის სხდომის ოქმი ნოტარიულად დამოწმებულია 2000 წლის 23 თებერვალს. ამასთან, ხერხეულიძესა და ნემსაძეს მოწვევა არ მიუღიათ სხდომაზე დასასწრებად. მეწარმეთა შესახებ კანონის 4.1 მუხლის თანახმად, მოსამართლეს არ ჰქონდა უფლება 2000 წლის თებერვალში წარდგენილი 1998 წლის საბჭოს სხდომის ოქმი დოკუმენტად ჩაეთვალა.

სასამართლომ არ გაითვალისწინა ის, რომ მან რეგისტრაციაში გაატარა 2 წლის წინანდელი სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის გადაწყვეტილება.

1998 წლიდან რეესტრის მონაცემებით სააქციო საზოგადოების დირექტორია ბ. კვირია, მაგრამ მის ნაცვლად ფაქტობრივად დირექტორობდა თ. შუბლაძე.

მოპასუხემ არ ცნო აპელანტების საჩივარი და მოითხოვა 16 მარტისა და 19 მარტის სასამართლო დადგენილებების უცვლელად დატოვება შემდეგ გარემოებათა გამო:

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს მაშინ აქვს უფლება მოიწვიოს სხდომა, თუ თავმჯდომარე ადგილზე არ იმყოფება. სხდომის ოქმში კი დაფიქსირებულია, რომ თავმჯდომარე ნ. ლორია გამოცხადდა სხდომაზე დღის 12 სთ-ზე და ითხოვა მისი გადადება. ამიტომ მისი მოადგილის მიერ სხდომის ჩატარება კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაა. ამასთან, მათ შეცვალეს დღის წესრიგი. სხდომაზე დასვეს საკითხი თავმჯდომარის განთავისუფლების შესახებ და მოვალეობის შესრულება დაავალეს მის მოადგილეს ვ. ხერხეულიძეს.

ბ. კვირია არ იყო ღირექტორი, რადგან მან ჯერ კიდევ 1998 წლის აპრილში დაწერა განცხადება ღირექტორობიდან განთავისუფლების შესახებ და საბჭოს სხდომაზე ეს საკითხი დააკმაყოფილეს. ამ სხდომაზე აპელანტი გ. ნემსაძეც მონაწილეობდა და მისი ხელმოწერაც არის სხდომის ოქმზე.

ის, რომ 1998 წლის 12 ივნისის საბჭოს სხდომა არ გამართულა, არასწორია, რადგან მათ აქვთ ოქმი, რომელზეც გ. ნემსაძე აწერს ხელს. სხდომას ვ. ხერხეულიძეც რომ ესწრებოდა, ეს ჩანს იქიდან, რომ მისი წინადადებით იქნა მიღებული ღირექტორის მოადგილის შტატი.

რაც შეეხება იმას, რომ ჩვენ გვიან წარვადგინეთ ოქმი რეესტრში ცვლილებების შეტანისათვის – ეს დაშვებულია, რადგან კანონი არ აწესებს ვადას თუ რამდენ ხანში უნდა იქნეს ოქმი მიტანილი სარეგისტრაციოდ. დაყოვნების მიზეზი იყო სარეგისტრაციო თანხების უქონლობა.

გ. ნემსაძეს რაც შეეხება, ის არც წევრია, არც თანამშრომელი და არც აქციონერი – განაცხადა მოპასუხემ.

სასამართლომ მოუსმინა მხარეებს, შეაფასა წარდგენილი მტკიცებულებები და ჩათვალა, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლო კოლეგიამ არ გაიზიარა აპელანტთა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ 2000 წლის 22 თებერვალს საბჭოს წევრები, როგორც თავად უწოდებენ საკუთარ თავს, გ. ნემსაძე და ვ. ხერხეულიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის 55.6 მუხლის შესაბამისად მოწვეულ იქნენ საბჭოს სხდომაზე.

საქმის მასალებიდან გამომდინარე დასტურდება, რომ 22 თებერვალს სხდომის შესახებ მოწვევა რვა დღით ადრე გაკეთდა, მოწვევა იყო წერილობითი, სავარაუდო დღის წესრიგის მითითებით.

ვ. ხერხეულიძემ დაადასტურა, რომ ის მოიწვია თავმჯდომარემ, ხოლო გ. ნემსაძესათვის სხდომის შესახებ ცნობილი გახდა ვ. ხერხეულიძისგან. ამიტომ კანონის 55.5 მუხლი უხეშად დაირღვა, რადგან იგი არ ყოფილა მოწვეული თავმჯდომარის მიერ.

ამასთან, სასამართლო კოლეგიის აზრით, კანონის 55-ე მუხლი არ აკონკრეტებს თუ რა მიზეზით შეიძლება საბჭოს სხდომის გადადება, მათ შორის არც იმ მიზეზის არასაპატიობაზე (დირექტორ შუბლაძის არყოფნა) ამბობს რამეს – რასაც აპელანტები არასაპატიოდ თვლიან.

კოლეგია მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ თავმჯდომარე გამოცხადდა დანიშნულ დროსა და ადგილას და განუცხადა დანარჩენ ორ წევრს სხდომის გადადების შესახებ.

კოლეგია ადასტურებს იმას, რომ 55.5 მუხლში ნამდვილად არაფერია ნათქვამი თავმჯდომარის უფლებაზე, გადადოს საბჭოს სხდომა, მაგრამ კოლეგიის ღრმა რწმენით, რაკილა კანონმდებელი სწორედ საბჭოს თავმჯდომარის უფლებად მიიჩნევს მოიწვიოს სხდომა, აქვე მოიაზრებს იმ უფლებასაც, რომ გადადოს სხდომა, მით უმეტეს, რომ სხდომის გადადებისათვის საპატიო მიზეზი ჰქონდათ.

კოლეგიამ ჩათვალა, რომ აპელანტთა მხრიდან 22 თებერვლის სხდომის გადაწყვეტილებაუნარიანობაზე მაშინ შეიძლებოდა საუბარი, თუ მოწვეულ სხდომაზე არ გამოცხადებოდა თავმჯდომარე და გადადების შესახებ არ აუწყებდა საბჭოს სხვა წევრებს.

კოლეგიამ არ გაიზიარა აპელანტთა მოსაზრება იმის შესახებ, რომ გ. ნემსაძე 2000 წლის 22 თებერვალს საბჭოს წევრი იყო, რადგან 1999 წლის 10 იანვარს მისივე განცხადებით იგი სთხოვს თავმჯდომარეს უახლოეს აქციონერთა საერთო კრებაზე გაანთავისუფლონ საბჭოს წევრობისგან. ასევე 1999 წლის აპრილის განცხადებით დირექტორ თ. შუბლაძეს სთხოვს გაანთავისუფლოს ბუღალტრის თანამდებობიდან.

თ. შუბლაძის 1999 წლის 25 აპრილის ბრძანებით იგი გაანთავისუფლდა ბუღალტრის თანამდებობიდან.

გ. ნემსაძეს ერთი წლის განმავლობაში, კერძოდ, 2000 წლის 22 თებერვლამდე, არ მიუღია მონაწილეობა საბჭოს სხდომებში. მისი განმარტებით, 22 თებერვლის სხდომამდე ვ. ხერხეულიძემ შეატყობინა, რომ მისი განთავისუფლება საბჭოს წევრობიდან გაუქმებულია და ისევ საბჭოს წევრია. ამიტომ მისი მიწვევა კანონიერად მიიჩნია.

სასამართლოს კოლეგიამ დადასტურებულად ჩათვალა, რომ 1999 წლის 3 აპრილს აქციონერთა საერთო კრებამ იგი გაანთავისუფლა საბჭოს წევრობიდან.

კოლეგია არ დაეთანხმა აპელანტთა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ რაკილა 1999 წლის 3 აპრილის საერთო კრების გადაწყვეტილება ისევ სასამართლო განხილვის პროცესშია – რაც მართლაც ასეა, ამიტომ გ. ნემსაძის განთავისუფლება არ შეიძლება კანონიერად მივიჩნიოთ.

კოლეგია თვლის, რომ მეწარმეთა შესახებ კანონის 55.2 მუხლი უშვებს წევრის გადადგომას და აღარაფერს ამბობს რაიმე სხვა პროცედურაზე. ამიტომ მას შემდეგ, რაც გ. ნემსაძემ წერილობით გამოხატა სურვილი გადადგომის შესახებ, იგი უნდა ჩაითვალოს განთავისუფლებულად. -

კოლეგია არ დაეთანხმა აპელანტთა არგუმენტს, რომ რეესტრის მონაცემებით გ. ნემსაძე ისევ საბჭოს წევრია. მართალია, იგი რეგისტრირებულია რეესტრში როგორც წევრი, მაგრამ მის მიმართ არ გამოიყენება უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, რადგანაც მეწარმეთა შესახებ კანონის 7.1. მუხლიდან გამომდინარე, მესამე პირებმა იცოდნენ, რომ იგი განთავისუფლებული იყო საბჭოს წევრობიდან.

რაც შეეხება თ. შუბლაძის დირექტორობის კანონიერებას, აპელანტებმა იცოდნენ, რომ იგი იყო ფაქტობრივი დირექტორი. თუ ვინმეს პრეტენზია აქვს თ. შუბლაძის მიმართ, კანონის მე-7 მუხლიდან გამომდინარე, მხოლოდ მესამე პირებს. აპელანტები მესამე პირებად ვერ ჩაითვლებიან.

კოლეგიამ არ გაიზიარა აპელენტთა შეხედულება, რომ თითქოს

1998 წლის 12 ივნისს სხდომა არ ჩატარებულა. კოლეგია თავი შეხედულებას შემდეგნაირად ასაბუთებს: სასამართლომ დაათვალი-არა საზოგადოების 1998 წლის 02/05 ბრძანებათა წიგნი, რომლის მე-20 გვერდზე დაფიქსირებულია ბრძანება, რომ თ. შუბლაძე დაინიშნა დირექტორად და მისი საფუძველია სამეთვალყურეო საბჭოს 1998 წლის 12 ივნისის სხდომის ოქმი.

ვ. ხერხეულიძე განთავისუფლდა დირექტორის თანამდებობიდან, ხოლო ბ. კვირიაა განთავისუფლდა დირექტორის მოადგილის თანამდებობიდან და დაინიშნა მოადგილედ მექანიზაციის დარგში. ხელს აწერს დირექტორი თ. შუბლაძე.

აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო კოლეგია თვლის, რომ 1998 წლის 12 ივნისის საბჭოს სხდომა მართლაც შედგა.

სასამართლო აგრეთვე თვლის, რომ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი არ მიეკუთვნება ნოტარიულად დასადასტურებელ დოკუმენტებს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა:

1. არ დაკმაყოფილდეს აპელანტების სააპელაციო საჩივარი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2000 წლის 16 მარტისა და 19 მარტის დადგენილებების უკანონოდ ცნობისა და საზოგადოების სამეწარმეო რეესტრში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

2. არ დაკმაყოფილდეს აპელანტების მიერ წარმოდგენილი განცხადება 2000 წლის 20 თებერვლის სამეთვალყურეო საბჭოს დადგენილებათა შესაბამისად რეგისტრაციაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

3. დარჩეს უცვლელი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2000 წლის 16 მარტისა და 19 მარტის სასამართლოს დადგენილებები.

განჩინების კომენტარი

როგორც განჩინების შინაარსიდან ჩანს, სააპელაციო პალატამ (შეცდომით თავისთვის „კოლეგიად“ მოიხსენიეს) არ დააკმაყოფილა აპელანტების საჩივარი, რომლითაც ისინი ითხოვდნენ 2000 წლის 16 მარტისა და 19 მარტის საქალაქო სასამართლოს დადგენილებების გაუქმებას.

16 მარტის დადგენილებით სასამართლომ რეგისტრაციაში გაატარა 1998 წლის 12 ივნისის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე სასამართლომ, რომელსაც განცხადებით მიმართა საბჭოს თავჯდომარემ, საბჭოს წევრად ნაცვლად გ. ნემსაძისა, რეგისტრაციაში გაატარა ბ. კვირია, ხოლო საწარმოს ახალ დირექტორად – თ. შუბლაძე.

19 მარტის დადგენილებით საქალაქო სასამართლომ აპელანტებს უარი უთხრა სააპელაციო საზოგადოება „ქალაქის ტექნიკასთან“ დაკავშირებით სამეწარმეო რეესტრში ცვლილებების შეტანაზე. ცვლილებები ეხებოდა საბჭოს თავჯდომარის ნ. ლორიასა და თ. შუბლაძის თანამდებობებიდან გადაყენებას.

სასამართლოს არგუმენტები ეყრდნობა შემდეგ მოსაზრებებს:

1. 2000 წლის 22 თებერვალს საბჭოს სხდომა არ შემდგარა, რადგან, მართალია, ვ. ხერხეულიძე მოიწვია საბჭოს თავმჯდომარემ, მაგრამ გ. ნემსაძე მოწვეული იყო არა თავმჯდომარის მიერ, არამედ ვ. ხერხეულიძის მიერ. ამიტომ უხეშად დაირღვა მეწარმეთა შესახებ კანონის 55.5-ე მუხლის მოთხოვნები.

2. მეწარმეთა შესახებ კანონის 55-ე მუხლი არ აკონკრეტებს თუ რა მიზეზით შეიძლება საბჭოს სხდომის გადადება, ამასთან, არც იმ მიზეზის არასაპატიობაზე (დირექტორ თ. შუბლაძის არყოფნა) ამბობს რამეს – რასაც აპელანტები არასაპატიოდ თვლიან.

3. მართალია, რომ მეწარმეთა შესახებ კანონის 55.5-ე მუხლში არაფერია ნათქვამი თავმჯდომარის უფლებაზე, გადადოს საბჭოს სხდომა, მაგრამ რაკილა კანონმდებელი სწორედ საბჭოს თავმჯდომარის უფლებად მიიჩნევს სხდომის მოწვევას, აქვე მოიაზრებს იმ უფლებასაც, რომ გადადოს სხდომა, მით უმეტეს, რომ საპატიო მიზეზი ჰქონდათ.

4. გ. ნემსაძე არ იყო 2000 წლის 22 თებერვალს საბჭოს წევრი, რადგან 1999 წლის 10 იანვარს განცხადებით სთხოვა საბჭოს თავმჯდომარეს უახლოეს აქციონერთა საერთო კრებაზე გაენთავისუფლებინათ საბჭოს წევრობიდან, რაც განხორციელდა კიდეც 1999 წლის 3 აპრილს მოწვეულ აქციონერთა საერთო კრებაზე.

ამასთან, მისივე განცხადებით თ. შუბლაძე 1999 წლის 25 აპრილს გათავისუფლდა ბუღალტრის თანამდებობიდან.

* 4. მართალია, გ. ნემსაძე რეგისტრირებულია რეესტრში როგორც საბჭოს წევრი, მაგრამ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მიუხედავად, მის მიმართ არ გამოიყენება უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, რადგან მესამე პირებმა იცოდნენ, რომ იგი განთავისუფლებული იყო საბჭოს წევრობიდან. ႀ

ამ არგუმენტის განსამტკიცებლად სასამართლო დაეყრდნო მეწარმეთა შესახებ კანონის 7.1 მუხლს.

5. თ. შუბლაძის დირექტორობის საეჭვოობის დაყენების უფლება აქვთ მეწარმეთა შესახებ კანონის მე-7 მუხლიდან გამომდინარე მესამე პირებს და არა აპელანტებს, რადგანაც ისინი არ არიან მესამე პირები.

6. 1998 წლის 12 ივნისს ნამდვილად შედგა სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა და ეს ფაქტი დასტურდება საზოგადოების 1998 წლის 02/02 ბრძანებათა წიგნით. ამ წიგნის მე-20 გვერდზე არის 1998 წლის 12 ივნისით დათარიღებული ბრძანება, რომელსაც ხელს აწერს თ. შუბლაძე. ამ ბრძანებაში წერია, რომ 1998 წლის 12 ივნისის საბჭოს სხდომის ოქმის საფუძველზე ვ. ხერხეულიძე განთავისუფლდა დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან, ხოლო ბ. კვირია დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან და დაინიშნა დირექტორის მოადგილედ მექანიზაციისა და არასაუწყებო მეურნეობის დარგში.

აღნიშნული არგუმენტები არასწორად არის დასაბუთებული შემდეგ გარემოებათა გამო:

პირველ არგუმენტში სასამართლო თვლის, რომ რადგანაც საბ-

ჭოს თავჯდომარემ არ მოიწვია საბჭოს წევრი, თავმჯდომარის მოადგილეს ვ. ხერხეულიძეს არ ჰქონდა უფლება მოეწვია საბჭოს წევრი. ვ. ხერხეულიძის მიერ საბჭოს წევრის მოწვევით დაირღვა მეწარმეთა შესახებ კანონის 55.5. მუხლი.

სწორია თუ არა ასეთი დასაბუთება?

სამეთვალყურეო საბჭო სააქციო საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ორგანოა, რომლის ძირითადი ფუნქციაა, მეთვალყურეობა გაუწიოს დირექტორის საქმიანობას.

საბჭო ერთიანი ორგანოა, რომელიც წყვეტს საზოგადოების საქმიანობისათვის გათვალისწინებულ მნიშვნელოვან საკითხებს. საბჭო თავის შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს.

ა თუ გავანალიზებთ მეწარმეთა შესახებ კანონს, შევძლებთ კონკრეტულად ჩამოვაყალიბოთ თავმჯდომარის ძირითადი ფუნქციები, კერძოდ:

- ა) იწვევს საბჭოს სხდომებს;
- ბ) თუ სხდომაზე მოწვეულ წევრთა ოდენობა არასაკმარისია, ხელმეორედ იწვევს სხდომას;
- გ) განსაზღვრავს სხდომის დღის წესრიგს;
- დ) ადგენს საბჭოს სხდომის ოქმს (ეს ფუნქცია შეიძლება სხდომის მდივანმაც შეასრულოს);
- ე) ხელს აწერს დირექტორთად დადებულ სასამსახურო ხელშეკრულებას;
- ვ) ხელს აწერს სხდომის ოქმს;
- ზ) წარმოადგენს საზოგადოებას დირექტორთან გარიგებების შესრულებისას;
- თ) როდესაც საზოგადოების სახელით საბჭო დირექტორების წინააღმდეგ წარმართავს სამართლებრივ დავას, საზოგადოების სახელით შეიძლება გამოდიოდეს საბჭოს თავმჯდომარე;
- ი) დირექტორების წინააღმდეგ შეტანილ სარჩელზე საზოგადოების სახელით ხელს აწერს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე; ზემოთ აღნიშნულის გარდა მის ფუნქციაში შედის აგრეთვე სხდომაზე ხმის მიცემის უფლებაც.

აღნიშნულ ფუნქციებს ახორციელებს თავმჯდომარის მოადგილეც, თუ თავმჯდომარე ვერ ახერხებს თავისი ფუნქციების შესრულებას. თუმცა ეს ხელს არ უშლის მოადგილს, რომ ზოგიერთი ზემოთ დასახელებული ფუნქცია მანაც შეასრულოს თავმჯდომარის ყოფნის პერიოდში. მაგალითად, შეატყობინოს საბჭოს წევრს სხდომის დაწყების შესახებ, ამ ფუნქციის განხორციელება მას სრულებით არ ეკრძალება, პირიქით, პრაქტიკაში ხშირად არის შემთხვევა, როდესაც საბჭოს თავმჯდომარე გადაწყვიტავს თუ როდის უნდა იქნეს მოწვეული სხდომა, ხოლო მისი მოადგილე ატყობინებს საბჭოს წევრებს სხდომის თარიღსა და დღის წესრიგს.

გარდა ამისა, კანონის 55.4, 55.6, 55.7, 55.9 და ა.შ მუხლები საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ საბჭოს წევრი უნდა ესწრებოდეს სხდომას ან ჰყავდეს წარმომადგენელი. სხდომაზე მონაწილეობა საბჭოს წევრის მოვალეობადაც შეიძლება ჩაითვალოს, რადგანაც წევრის ხმამ შეიძლება გადამწყვეტი გავლენა იქონიოს საზოგადოების განვითარებისათვის, აქციონერთა შემოსავლებზე და ა.შ. ამიტომ, თუ საბჭოს თავმჯდომარე ვერ ახერხებს შეატყობინოს საბჭოს წევრს სხდომის შესახებ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ წევრს უფლება არა აქვს დაესწროს სხდომას. იგი მაინც მოვალეა გამოცხადდეს სხდომაზე თუ რაიმე საპატიო მიზეზი ხელს არ უშლის.*

ამრიგად, სასამართლოს არგუმენტი იმის შესახებ, რომ მხოლოდ საბჭოს თავმჯდომარის უფლებაა, შეატყობინოს თავის წევრს სხდომის შესახებ, არასწორია.

მეორე და მესამე არგუმენტებით საბჭოს სხდომის გადადება მხოლოდ საბჭოს თავმჯდომარის უფლებაა, თუკი სხდომა მის მიერ არის მოწვეული.

• საინტერესო პრაქტიკული საკითხია. ვფიქრობ, რომ სასამართლომ სხდომის გადადების საფუძველთან დაკავშირებით ამჟამად, არასწორი გზა აირჩია. სხვა საფუძველების არსებობისას შეიძლება სხდომის გადადება ისევე მის მომწვევ საბჭოს თავმჯდომარის უფლებად გველიარებია, მაგალითად, სხდომის დღე დაემთხვა ინვესტორებთან შეხვედრის დროს და ა.შ.

მე ვეცდები რომ ეს აზრი უფრო ფართოდ დავასაბუთო.

მეწარმეთა შესახებ კანონის 55.5 და 55.7 მუხლები თავმჯდომარის ორ მნიშვნელოვან ფუნქციაზე უთითებს: ეს არის საბჭოს სხდომის მოწვევა და საბჭოს სხდომის ხელმეორედ მოწვევა. ორივე წესი დეტალურად უთითებს საბჭოს მოწვევის წესსა და საბჭოს ხელმეორედ მოწვევის საფუძველს. ამიტომ დადგა საკითხი, შეუძლია თუ არა თავმჯდომარეს მოწვეულ სხდომის წევრებს განუცხადოს, რომ გარკვეული მიზეზით სხდომა უნდა გადაიდოს? და აქვთ თუ არა საბჭოს წევრებს უფლება არ დაემორჩილონ თავმჯდომარის ასეთ განცხადებას და მაინც ჩაატარონ სხდომა? სასამართლო ამ საკითხს მოკლედ ასაბუთებს, კერძოდ, თუ მას აქვს სხდომის მოწვევის უფლება, მასვე ექნება სხდომის გადადების უფლებაც.

ღიახ, თუ კანონი თავმჯდომარეს ანიჭებს სხდომის მოწვევისა და სხდომის ხელმეორედ მოწვევის ფუნქციას. უნდა ჩავთვალოთ, რომ სხდომის გადადების ფუნქციაც თავმჯდომარეს აკისრია. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია შემდეგი:

სხდომის ხელმეორედ მოწვევა კანონით არის განსაზღვრული, კერძოდ, კანონის 55.7-ე მუხლით, თუ საბჭო არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, თავმჯდომარეს შეუძლია ხელმეორედ მოიწვიოს სხდომა, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება თუ ესწრება წევრთა 25%. მაგრამ თუ ეს ოდენობაც არ შეიკრება, მაშინ თავმჯდომარეს შეუძლია ხელმეორედ მოიწვიოს სხდომა, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება მიუხედავად დამსწრეთა ოდენობისა.

ამრიგად, კონკრეტულად არის მითითებული თუ როდის შეუძლია თავმჯდომარემ ხელმეორედ მოიწვიოს სხდომა, თანაც სხდომის ხელმეორედ მოწვევა თავმჯდომარის უფლებაა და არა მოვალეობა. კანონის აღნიშნული წესი იმაზე მიუთითებს, რომ თუ წესდებაში სხდომის ხელმეორედ მოწვევის შესახებ დამატებით კიდევ სხვა საფუძველი არ არის მითითებული, თავმჯდომარეს უფლება არა აქვს სხვა შემთხვევაში ხელმეორედ მოიწვიოს სხდომა.

ჩვენს შემთხვევაში ორი იურიდიული ტერმინია – „სხდომის გადადება“ და „სხდომის ხელმეორედ მოწვევა“, რომლებიც შინაარსობრივად ძალიან ჰგავს ერთმანეთს, მაგალითად სხდომა გადავდოთ

ანუ ხელმეორედ მოვიწვიოთ. მაგრამ მათ შორის სხვაობა მაინც არის, მაგალითად, კანონის 55.8 მუხლიდან გამომდინარე, სამეთვალყურეო საბჭომ გადაწყვიტა თავის სხდომაზე მოეწვია დირექტორი, რომელიც მოახსენებდა მათ საზოგადოების საქმიანობის ანგარიშს. სხდომის დღეს დირექტორი ავადმყოფობის გამო ვერ გამოცხადდა სხდომაზე, რა თქმა უნდა, დადგება სხდომის გადადების საკითხი იმ დროისათვის, როდესაც დირექტორი გამოძვობინდება და დაუბრუნდება სამსახურს.

სხდომის გადადების საკითხს დააყენებს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას – მოადგილე. ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ მოადგილე, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, მოქმედებს მაშინ როდესაც არ არის თავმჯდომარე.

ამრიგად, სხდომის გადადება თავმჯდომარის ფუნქციაა, მაგრამ გასათვალისწინებელია გადადების საფუძვლებიც, მაგალითად, თუ დგება თავმჯდომარის გადაყენების საკითხი და თავმჯდომარე ითხოვს სხდომის გადადებას, საბჭოს წევრებს შეუძლიათ სხდომა გააგრძელონ მისი გადადების გარეშე. მაგრამ, ვფიქრობ, რომ ეს არის გამონაკლისი შემთხვევა, რაც უკავშირდება თავმჯდომარის მცდელობას, თავიდან აირიდოს საბჭოს წევრთა სხდომა, რომელიც მის თანამდებობიდან გადაყენებას უკავშირდება. •

2000 წლის 22 თებერვალს საბჭოს წევრებს სწორედ თავმჯდომარისა და დირექტორის განთავისუფლების საკითხი უნდა განეხილათ. ამიტომ, ვფიქრობ, რომ თავმჯდომარის მიერ სხდომის გადადების მცდელობა თანამდებობის შენარჩუნებას ისახავდა მიზნად.

სააპელაციო პალატის არგუმენტი, რომ საბჭოს თავმჯდომარეს ჰქონდა საპატიო მიზეზი სხდომის გადადებისა, არასწორია, რადგან დირექტორის დასწრება საბჭოს სხდომაზე საერთოდ არ არის სავალდებულო, მით უმეტეს, რომ თ. შუბლაძე სამეწარმეო რეესტრით არ იყო დირექტორი.

მეოთხე არგუმენტით სააპელაციო პალატა თვლის, რომ გ. ნემსაძე არ იყო საბჭოს წევრი, რადგანაც ის მისივე განცხადების საფუძველზე, აქციონერთა საერთო კრებაზე იქნა განთავისუფლებული.

იურიდიულად სწორია თუ არა ასეთი დასაბუთება?

ა მეწარმეთა შესახებ კანონის 55.2-ე მუხლი ითვალისწინებს საბჭოს წევრის ნებაყოფლობით გასვლას საბჭოდან. წევრი გასვლის შესახებ წერილობითი განცხადებით მიმართავს თავმჯდომარეს. მაგრამ პრაქტიკამ ჩვენს წინაშე დასვა კითხვა – როდიდან ითვლება წევრი გასულად, განცხადების წარდგენის მომენტიდან თუ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა მცირე ანალიზი.

პროფესორი ლ. ჭნტურია რეგისტრაციას კონსტიტუციურ მნიშვნელობას ანიჭებს და აღნიშნავს, რომ სამართლებრივად რაღაც მოვლენა მხოლოდ რეგისტრაციის შედეგად წარმოიშობა (მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. 1998 წ. გვ.33).

მეწარმეთა შესახებ კანონის 5.4 მუხლი მიუთითებს რეგისტრაციისათვის სავალდებულო ფაქტებზე. ამ ფაქტებს შორის არის სამეთვალყურეო საბჭოს ყოველი წევრის სახელის, გვარის, დაბადების თარიღისა და ადგილის, პროფესიისა და საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაცია.

ამავე კანონის 5.6-ე მუხლით: „ 5.4 მუხლით გათვალისწინებული რეგისტრაციისათვის სავალდებულო ფაქტების ყოველი ცვლილება ასევე საჭიროებს რეგისტრაციას“.

აღნიშნული მუხლი ორ მნიშვნელოვან მომენტზე მიუთითებს, კერძოდ, 1). 5.4 მუხლში დასახელებული ფაქტები სავალდებულოა სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციისათვის და 2). თუ აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით მოხდება ცვლილება, ეს შეცვლილი ფაქტებიც უნდა გატარდეს რეგისტრაციაში. *

ამრიგად, 5.4 და 5.6 მუხლებმა გასცეს პასუხი ზემოთ დასმულ კითხვას. რომელიც შემდგეში მდგომარეობს: სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, მაგალითად, გ. ნემსაძე, დაფიქსირებული იყო სამეწარმეო რეესტრში 5.4 მუხლის მოთხოვნის თანახმად.

თუ გ. ნემსაძე დაწერს განცხადებას საბჭოდან გასვლის შესახებ, იგი კვლავ დაფიქსირებული იქნება რეესტრში, რომელსაც კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს. თუ დადგება საბჭოს წევრთა პასუხისმგებლობის საკითხი, იქიდან გამომდინარე, რომ სამართლებრივად

რაღაც მოვლენა ანუ ჩვენს შემთხვევაში – პასუხისმგებლობა, რეგისტრაციის შედეგად წარმოიშობა, გ. ნემსაძეც აგებს პასუხს სხვა წევრებთან ერთად.

პროფესორი ლ. ჭანტურია მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარებში, გვ. 102-ე, აღნიშნავს: „...მესამე პირების მიმართ დასაშვებია მხოლოდ რეგისტრირებული ფაქტების გამოყენება. ცხადია, რომ არა ყოველი ფაქტი და მოვლენა მოითხოვს რეგისტრაციას. ასეთ ფაქტებს კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, მაგალითად, საწესდებო კაპიტალის სიდიდე, დირექტორები, სამეთვალყურეო საბჭო და ა.შ.“⁶

ამრიგად, გ. ნემსაძე არ ჩაითვლება საბჭოდან გასულად მანამ, სანამ იგი დაფიქსირებულია სამეწარმეო რეესტრში. ამიტომ, როდესაც საბჭოს წევრი განცხადებით მიმართავს თავმჯდომარეს გასვლის შესახებ, მან თვალყური უნდა ადევნოს, რომ იგი ამორიცხულ იქნეს რეესტრიდანაც.

არასწორია სასამართლოს მიერ კანონის 7.1 მუხლის დაკავშირება გ. ნემსაძის მიმართ.

მოცემული მუხლი აღნიშნავს: „ვიდრე რეესტრში ჩასაწერი ფაქტები არ იქნება რეგისტრირებული და გამოქვეყნებული, დაუშვებელია მათი გამოყენება მესამე პირის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს მონაცემები მათთვის ცნობილი იყო“.

ამრიგად, მუხლი უთითებს ისეთი ფაქტის გამოყენებაზე, რომელიც არ არის რეგისტრირებული რეესტრში, მაგრამ მესამე პირმა ამ ფაქტის შესახებ უკვე იცის, ამიტომ მას შეუძლია ამ ფაქტს დაეყრდნოს.

გ. ნემსაძე კი რეგისტრირებული იყო სამეწარმეო რეესტრში და, ამდენად, მის მიმართ, ბუნებრივია, არ გამოიყენება კანონის 7.1 მუხლი.

მეხუთე არგუმენტით თ. შუბლაძის დირექტორობის საეჭვოობის დაყენების უფლება აქვს მეწარმეთა შესახებ კანონის მე-7 მუხლიდან გამომდინარე მესამე პირებს და არა აპელანტებს.

არც ასეთი არგუმენტი მიმაჩნია სწორად როგორც თავად გან-

ჩინების შინაარსიდან ჩანს, რომ სასამართლო თ. შუბლაძეს თვლის ღირექტორად, რადგან ის ფაქტობრივად იყო ღირექტორი. ამით სასამართლომ კვლავ უარყო სამეწარმეო რეესტრის მნიშვნელობა.

ჰ როგორც ზევით აღვნიშნე, არის ფაქტები, რომელთა რეგისტრაციაც სავალდებულოა.

ასეთ ფაქტს მიეკუთვნება ღირექტორის თანამადებობაც და ეს დასტურდება კანონის მე-5 მუხლის ანალიზიდანაც. ღირექტორის რეგისტრაცია თუნდაც იმიტომ არის სავალდებულო, რომ იგი იმ ხელმოწერის ნიმუშს ტოვებს სასამართლოში, რომელიც საქმიან ურთიერთობებში უნდა გამოიყენოს. »

ამასთან ერთად, თ. შუბლაძის მიმართაც ვერ გამოვიყენებთ 7. 1 მუხლს, რადგანაც ბ. კვირია უკვე რეგისტრირებულია რეესტრში.

• რაც შეეხება იმ საკითხს, თუ ვის აქვს უფლება პირის ღირექტორობის სტატუსში ეჭვი შეიტანოს, რა თქმა უნდა, ამ საკითხის გარკვევა სამეთვალყურეო საბჭოს წევრების უფლებაშიც შედის, უფრო მეტიც, მათ მოვალეობასაც წარმოადგენს, რადგან მეწარმეთა შესახებ კანონის 55.8 „ვ“ პუნქტის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს ღირექტორს და ფაქტობრივად საზოგადოების ღირექტორის თაობაზე ის არის პასუხისმგებელი აქციონერთა საერთო კრების წინაშე. »

მეექვსე არგუმენტით სასამართლო თვლის, რომ 1998 წლის 12 ივნისს შედგა სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა. აღნიშნულის დასამტკიცებლად სასამართლო ეყრდნობა საზოგადოების 1998 წლის 02/02 ბრძანებათა წინგს, რომელსაც ხელს აწერს თ. შუბლაძე.

როგორც განჩინების შინაარსიდან ირკვევა, 1998 წლიდან რეესტრის მონაცემებით ღირექტორი იყო ბ. კვირია, რომლის მაგივრადაც ფაქტობრივად ღირექტორობდა თ. შუბლაძე.

ამრიგად, ჯერ ერთი, როგორც აღვნიშნე თ. შუბლაძე არ შეიძლებოდა ჩაგვეთვალა ღირექტორად, რადგან არ იყო რეესტრში რეგისტრირებული, აქედან გამომდინარე, არც მის ხელმოწერას ექნება იურიდიული ძალა.

მეორეც, ბრძანებათა წინგში თ. შუბლაძის მიერ ხელმოწერილი

ბრძანება სრულებით არ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ 1998 წლის 12 ივნისს შედგა სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა. აღნიშნული სხდომა არ დასტურდება იმიტომ, რომ თ. შუბლაძეს ნებისმიერ დროს შეეძლო შეედგინა დასახელებული ბრძანება. ამიტომ სასამართლოს უნდა გაერკვია, არსებობდა თუ არა 12 ივნისის სხდომის ოქმი დამსწრე პირთა ხელმოწერებით.

თუ ასეთი ოქმი არ იყო, სასამართლო არ უნდა დაყრდნობოდა თ. შუბლაძის მიერ შედგენილ ბრძანებას.

გარდა ამისა, გაუგებარია ერთი საკითხი, კერძოდ, როგორც განჩინებიდან ჩანს, მოსარჩელე მხარეები აღნიშნავენ, რომ რეესტრის მონაცემებით დირექტორი იყო ბ. კვირია, ხოლო ვ. ხერხეულიძე საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

მოპასუხეც აღნიშნავს, რომ ბ. კვირია არ იყო დირექტორი, რადგან მან ჯერ კიდევ 1998 წლის აპრილში დაწერა განცხადება დირექტორობიდან განთავისუფლების შესახებ.

სასამართლო კი მიუთითებს, რომ დაათვალიერა საზოგადოების ბრძანებათა წიგნი, სადაც ჩანს, რომ ვ. ხერხეულიძე განთავისუფლდა დირექტორის თანამდებობიდან, ხოლო ბ. კვირია განთავისუფლდა დირექტორის მოადგილის თანამდებობიდან. . . ხელს აწერს ამ ბრძანებას თ. შუბლაძე.

ასეთი განცხადება ან ტექნიკურ შეცდომად უნდა ჩაითვალოს ანდა სასამართლოს უნდა გაერკვია რატომ არის ასეთი შეცდომა ბრძანებაში, სადაც ნაცვლად ბ. კვირიასი, დირექტორად მოხსენიებულია ვ. ხერხეულიძე, ხოლო ბ. კვირია კი დირექტორის მოადგილე.

• გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მინდა კიდევ ერთ საინტერესო პრაქტიკულ საკითხს შევებო, კერძოდ, შეიძლება თუ არა სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი ნოტარიულად დადასტურდეს ერთი ან თუნდაც ორი წლის შემდეგ და, საერთოდ, საჭირო არის კი საბჭოს სხდომის ოქმის ნოტარიული დადასტურება?

სასამართლომ სწორად შენიშნა, რომ საბჭოს სხდომის ნოტარიულად დადასტურების შესახებ ხანდაზმულობის ვადა არ არსებობს.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეიძლება სხდომის ოქმი ორი წლის შემდეგაც ნოტარიულად დადასტურდეს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ მეწარმეთა შესახებ კანონი არ მოითხოვს, რომ საბჭოს სხდომის ოქმი დადასტურდეს ნოტარიულად. ამიტომ იგი იურიდიულ ძალას იღებს თავმჯდომარის ხელმოწერის მომენტიდან. მეწარმეთა შესახებ კანონის 55.5 მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ ოქმს ადგენს თავმჯდომარე ან სხდომის მდივანი.

ნოტარიულ დადასტურებას მოითხოვს მხოლოდ სააქციო საზოგადოების საერთო კრების ოქმი, ამას უთითებს დასახელებული კანონის 54.4 მუხლი, კერძოდ, „კრების მიმდინარეობისა და გადაწყვეტილების შესახებ ოქმს ადგენს ნოტარიუსი.“

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმს მაშინ სჭირდება ნოტარიული დადასტურება, თუ ამ ოქმის საფუძველზე ცვლილებები უნდა შევიდეს წესდებაში. ასეთი დასკვნა ეყრდნობა მეწარმეთა შესახებ კანონის 5.2 მუხლის მეორე აბზაცს, კერძოდ: განცხადება რეესტრში რეგისტრაციის შესახებ, სასამართლოში დატოვებული ზუსტი ხელმოწერის ნიმუში, აგრეთვე თანდართული დოკუმენტები ან მათი ასლები წარმოდგენილ უნდა იქნეს სანოტარო წესით დამოწმებული ფორმით.

აღნიშნული წესი მიუთითებს, რომ სასამართლოში წარდგენილი დოკუმენტი, რომლის საფუძველზედაც უნდა მოხდეს ცვლილებები რეესტრში, უნდა იყოს დამოწმებული ნოტარიულად. •

ამრიგად, როგორც განჩინების კომენტარებიდან ირკვევა, ქუთაისის საოლქო სასამართლოს განჩინება არ მიმაჩნია იურიდიულად დასაბუთებულად.

ვფიქრობ, რომ სასამართლომ არასწორად გამოიყენა მეწარმეთა შესახებ კანონის 7.1 მუხლი, მცდარი განმარტება მისცა 55.5 მუხლს, წევრის გადადგომის შესახებ შემოიფარგლა მხოლოდ 55.2 მუხლით, სასამართლოს დასაბუთება არ დაეყრდნო მეწარმეთა შესახებ კანონის 55.4, 55.6, 55.7, 55.8, 55.9 და ა.შ. მუხლებს, აგრეთვე, 5.4 და 5.6 მუხლებს.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქმე №2/1720-99 თბილისი,
3 ნოემბერი, 1999

მოსარჩელე: საფირმო მაღაზია „ჭაშნიკის“ თანამშრომლები
მოპასუხე: სააქციო საზოგადოება „გურჯაანი“

სარჩელი ეხება საფირმო მაღაზია „ჭაშნიკის“ თანამშრომლების მოთხოვნას სააქციო საზოგადოება „გურჯაანის“ მიმართ, რომ გაუქმდეს მაღაზია „ჭაშნიკის“ საზოგადოების ფილიალად რეგისტრაცია. აგრეთვე, საზოგადოების შეგებებულ სარჩელს, მაღაზია „ჭაშნიკის“ თანამშრომლების უკანონო მფლობელობიდან ქონების გამოთხოვის შესახებ.

გადაწყვეტილების მოკლე შინაარსი

1997 წლის 13 ოქტომბერს ისნის რაიონის სასამართლოს დადგენილებით მაღაზია „ჭაშნიკი“ რეგისტრირებულ იქნა როგორც ს/ს „გურჯაანის“ ფილიალი. რეგისტრაციისათვის წარდგენილი მასალები აკმაყოფილებდა რეგისტრაციის პირობებს, რომელიც შემდეგ მოისპო, კერძოდ, ფილიალს არ უმუშავია დამფუძნებელი საზოგადოების ფილიალის სტატუსით, არ განუხორციელებია საზოგადოების ძირითადი საქმიანობა, არ წარუდგენია საბუღალტრო მონაცემები, მას არ მართავდა დამფუძნებლის მიერ დანიშნული პირი, საგადასახადო ინსპექციაში აღრიცხვაზე იმყოფება დამოუკიდებელ გადამხდელად. ამიტომ, სასამართლოს აზრით, დაირღვა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-5 მუხლი და ამაში ბრალი მიუძღვის ფილიალის თანამშრომლებს.

სასამართლო თვლის, რომ მიუხედავად რეგისტრაციის პირობების დარღვევისა, რეგისტრაცია არ უნდა გაუქმდეს დაუყოვნებლივ და საზოგადოებას უნდა მიეცეს სამთვიანი ვადა არსებული ხარვეზების გამოსწორებისათვის. ხარვეზების გამოსწორების შესაძლებლო-

ბა კი მას მიეცემა მას შემდეგ, რაც კანონიერ ძალაში შევა გადაწყვეტილება მაღაზიის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვისა და საზოგადოებისათვის გადაცემის შესახებ.

სასამართლოს აზრით, ფილიალის თანამშრომელთა სტატუსი გაურკვეველია, რადგან ისინი არ წარმოადგენენ სააქციო საზოგადოების აქციონერებს, არც რაიმე ხელშეკრულება აქვთ მასთან გაფორმებული, აგრეთვე, საფირმო მაღაზია „ჭაშნიკი“, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირი, არ არის რეგისტრირებული რეესტრში.

ფაქტობრივად „ჭაშნიკის“ თანამშრომლები უკანონოდ ფლობენ საზოგადოების ქონებას და ასევე უკანონოდ ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას.

აღნიშნულის გათვალისწინებით სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის თანახმად, შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა სასამართლოს მიაჩნია საფუძვლიანად.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა მეწარმეთა შესახებ კანონის 5.8 მუხლითა და სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლით მიიღო შემდეგი სახის გადაწყვეტილება:

სასამართლოს გადაწყვეტილება

1. მაღაზია „ჭაშნიკის“ თანამშრომლების სარჩელი ს/ს „გურჯაანის“ მიმართ მაღაზია „ჭაშნიკის“ ფილიალად რეგისტრაციის გაუქმების შესახებ დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ

— ს/ს „გურჯაანის“ მიეცეს სამი თვის ვადა, რათა ფილიალად რეგისტრაციისათვის საჭირო პირობები აღდგენილ იქნეს. თუ ამ ვადაში ხარვეზები არ აღმოფხვრება, ფილიალის რეგისტრაცია გაუქმდება.

2. ს/ს „გურჯაანის“ შეგებებული სარჩელი მაღაზია „ჭაშნიკის“ თანამშრომლების მიმართ დაკმაყოფილდეს და მაღაზია „ჭაშნიკი“ გამოთხოვილ იქნეს მისი ამჟამინდელი თანამშრომლების უკანონო მფლობელობიდან. მაღაზია გადაეცეს მფლობელობაში ს/ს „გურჯაანს“, მის კანონიერ მესაკუთრეს.

გადაწყვეტილების კომენტარი

როგორც გადაწყვეტილების შინაარსიდან ჩანს, მოსარჩელე მხარეს წარმოადგენს საფირმო მალაზია „ჭაშნიკის“, თანამშრომლები, რომლებიც მოითხოვენ მალაზია „ჭაშნიკის“ სააქციო საზოგადოება „გურჯაანის“ ფილიალად რეგისტრაციის გაუქმებას.

მოპასუხის მიერ სასამართლოში შეტანილია შეგებებული სარჩელი, რომლითაც მოითხოვს ფილიალის თანამშრომლების უკანონო მფლობელობიდან ქონების ანუ მალაზიის გამოთხოვას.

გადაწყვეტილების 1-ლი და მე-2 პუნქტები მიმაჩნია, რომ არასწორად და დაუსაბუთებლად არის ჩამოყალიბებული.

ჩემი ასეთი მოსაზრება ეყრდნობა შემდეგს:

ა) საფირმო სახელწოდების ცნება

ტერმინი – „საფირმო მალაზია „ჭაშნიკი“ არასწორია, რადგან მეწარმეთა შესახებ კანონის ნ.1 მუხლის თანახმად: „საფირმო სახელწოდება ანუ ფირმა, არის სახელი, რომლითაც საქმიანობს საწარმო..“, ე.ი. საწარმოს სახელს მეორენაირად ჰქვია „ფირმა“, მაგალითად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილისი“. ამ შემთხვევაში, შპს არის საწარმო, ხოლო „თბილისი“ არის ფირმა ანუ სახელი, ამიტომ ტერმინი „საფირმო მალაზია“ იურიდიულად არასწორია, რადგან მალაზია არ არის საწარმო. საწარმოში იგულისხმება მეწარმეთა შესახებ კანონის 2.1. მუხლით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, კერძოდ, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი.

ბ) რეგისტრაციის პირობები

სასამართლომ ჩათვალა, რომ თავდაპირველად ფილიალის რეგისტრაცია სწორად განხორციელდა, მაგრამ შემდეგ რეგისტრაციის პირობები მოისპო, რითაც დაირღვა მეწარმეთა შესახებ კანონის მე-5 მუხლის მოთხოვნები.

რეგისტრაციის პირობების დარღვევად სასამართლომ მიიჩნია შემდეგი ფაქტები, კერძოდ:

ა. ფილიალს არ უმუშავია „დამფუძნებელი საზოგადოების“ ფილიალის სტატუსით;

ბ. არ განუხორციელებია საზოგადოების ძირითადი საქმიანობა;

გ. არ წარუდგენია საბუღალტრო მონაცემები;

დ. ფილიალს არ მართავდა „დამფუძნებლის“ მიერ დანიშნული პირი;

ე. ფილიალი საგადასახადო ინსპექციაში აღრიცხვაზე იმყოფება, როგორც დამოუკიდებელი გადამხდელი;

ჩაითვლება თუ არა დასახელებული ფაქტები რეგისტრაციის პირობების დარღვევად?

ამ კითხვას რომ ეუბასუხოთ, ჯერ უნდა გავარკვიოთ თუ რა იგულისხმება „რეგისტრაციის პირობებში“?

• მეწარმეთა შესახებ კანონისა და განსაკუთრებით მე-5 მუხლის ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ რეგისტრაციის პირობებში ძირითადად იგულისხმება შემდეგი მოთხოვნები, კერძოდ:

- რეგისტრაციის შესახებ განცხადება და მასზე ხელის მოწერა,
- საწარმოს ხელმძღვანელის და საზოგადოების სხვა წარმომადგენელი პირების ხელმოწერის ნიმუშის დატოვება სასამართლოში;
- სარეგისტრაციო დოკუმენტების ნოტარიული დადასტურება;
- განცხადების შეტანა სასამართლოში ინდივიდუალური მეწარმის ან საზოგადოების იურიდიული მისამართის მიხედვით.

რეგისტრაციის პირობებში შედის აგრეთვე 5.4. მუხლით გათვალისწინებული განცხადებაში შესატანი შემდეგი საკითხები:

- საფირმო სახელწოდება;
- ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა;

- ადგილსამყოფელი;
 - საქმიანობის საგანი;
 - მონაცემები სამეურნეო წლის დასაწყისისა და დამთავრების შესახებ;
 - ინდივიდუალური მეწარმის ან ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი;
 - დამფუძნებელი იურიდიული პირისათვის, საჭიროა საფირმო სახელწოდება და რეგისტრაციის მონაცემები;
 - წარმომადგენლობის უფლებამოსილება;
 - კომანდიტის შესატანის ოდენობა და საბუთი თუ ვინ რამდენი შეიტანა;
 - საწესდებო კაპიტალის ოდენობა და საბუთი შესრულებული შენატანის შესახებ;
 - ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის შესატანის ოდენობა, შესაბამისად წილი;
 - შპს-ში ყოველი პარტნიორის შესატანის ოდენობის 10-ზე უნაშთოდ გაყოფა;
 - კოოპერატივში ყოველი პაის უნაშთოდ 50-ზე გაყოფა;
 - შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის საზოგადოებებში არაფულადი შესატანის აუდიტორული შეფასება;
 - რეგისტრაციის შესახებ განცხადებაში უნდა დაფიქსირდეს აგრეთვე, დირექტორის, სამეთვალყურეო საბჭოს ყოველი წევრის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი;
 - დოკუმენტები დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს (თუკი ასეთი არსებობს) წევრების დანიშვნის შესახებ;
 - დამფუძნებლების მიერ ხელმოწერილი საზოგადოების წესდება.
- ფილიალის რეგისტრაციისათვის კი საჭიროა:
- საწარმოს მმართველობის ორგანოთა გადაწყვეტილება ფილიალის შექმნის შესახებ;
 - ფილიალის საქმიანობის მოკლე აღწერა;

- საწარმოს წესდების ასლი;
- გადაწყვეტილება ფილიალის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ ან მინდობილობა პირისათვის ხელმძღვანელის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე;
- საწარმოს რეგისტრაციის დამადასტურებელი ცნობა.

ამრიგად, ზემოთ ჩამოთვლილია ის ძირითადი პირობები, რომლის გარეშეც არ შეიძლება განხორციელდეს საწარმოს ან ფილიალის რეგისტრაცია. როგორც ჩამონათვალიდან ჩანს, არც ერთი პირობა არ უკავშირდება იმ საკითხებს, რომლებიც სასამართლომ მიიჩნია მე-5 მუხლის ანუ რეგისტრაციის პირობების დარღვევად. მით უმეტეს, რომ მე-5 მუხლი ძირითადად უკავშირდება არა ფილიალის, არამედ საწარმოს რეგისტრაციის პირობებს, თუმცა ზოგიერთი მოთხოვნა გათვალისწინებულ უნდა იქნეს ფილიალის რეგისტრაციის დროს, მაგალითად, სარეგისტრაციო დოკუმენტების ნოტარიული დადასტურება. •

აღნიშნულიდან გამომდინარე, გაუგებარია, სასამართლოში სამი თვის ვადაში რა უნდა იქნეს გამოსწორებული? თუ ჩვენ გავაანალიზებთ იმ ხუთ შემთხვევას, რაც სასამართლოს მე-5 მუხლის დარღვევად მიაჩნია, დავინახავთ, რომ აღნიშნული შემთხვევები სრულებით არ უკავშირდება მე-5 მუხლს. კერძოდ:

პირველი დარღვევად მიჩნეულია ის, რომ ფილიალს არ უმუშავია დამფუძნებელი საზოგადოების ფილიალის სტატუსით.

• - აღსანიშნავია, რომ, როდესაც საწარმო აარსებს ფილიალს, მასზე არ ამბობენ „დააფუძნა ფილიალი“, რადგანაც დამფუძნება ხდება მხოლოდ საწარმოსი და არა საწარმოო ერთეულის.

ჩემი დასკვნა ეყრდნობა, როგორც მეწარმეთა შესახებ კანონს ასევე ამ კანონის კომენტარებს და სხვა იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებულ შეხედულებებს. მაგალითად, კანონის მე-16 მუხლის უთითებს: „საწარმომ შეიძლება დაარსოს ფილიალები...“ 47.3 მუხლის „დ“ პუნქტით შპს-ს პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებას ფილიალის შექმნისა და ლიკვიდაციის შესახებ და ა.შ.

მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარიც უთითებს ფილიალის შექმნაზე და არა ფილიალის დაფუძნებაზე (გვ. 213).

ამრიგად, საწარმო აარსებს, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქმნის ფილიალს და არა „აფუძნებს“ მას. •

რაც შეეხება იმის აღნიშვნას, რომ ფილიალს არ უმუშავია საზოგადოების ფილიალის სტატუსით, მაშინ გასარკვევია თუ რა სტატუსით მუშაობდა ფილიალი? როგორც გადაწყვეტილების შინაარსიდან ირკვევა, იგი რეესტრში რეგისტრირებული იყო ფილიალის სახით, ამრიგად, მას ჰქონდა „ფილიალის“ იურიდიული სტატუსი. მაგრამ ფილიალი, როგორც საზოგადოების ფილიალი, არ მუშაობდა არა იმიტომ, რომ რეგისტრაციის პირობები შეიცვალა, არამედ ფილიალის თანამშრომლები თავიანთი სურვილისამებრ ამუშავებდნენ მას. იქიდან გამომდინარე, რომ ფილიალის ოფისი და ე.წ. სამუშაო ადგილი მაღაზიაში იყო, რომელშიც ფილიალის თანამშრომლები იყვნენ, ამიტომ მოპასუხე მხარემ შეიტანა შეგებებული სარჩელი და მოითხოვა უკანონო მფლობელობიდან ქონების ანუ მაღაზიის გამოთხოვა სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის თანახმად.

• ამრიგად, უკანონო მფლობელობაში მაღაზიის არსებობა არ ნიშნავს რეგისტრაციის პირობების დარღვევას. •

ვფიქრობ, რომ აქვე საჭიროა ზოგიერთი ტერმინის ანალიზიც, კერძოდ, მოპასუხეცა და სასამართლოც უთითებს „მაღაზიის“, როგორც ქონების უკან გამოთხოვას.

საქმე იმაშია, რომ სამოქალაქო სამართლის ენით „მაღაზია“ ქონება არ არის. ქონების ცნება მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლში. იქ კი ვგებულობთ, რომ ქონება ეს არის მოძრავი და უძრავი ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე – უფლებები და მოთხოვნები.

მაღაზია, ეს არის საწარმოს საქმიანობის დასახელება, ისევე როგორც, მაგალითად, გამომცემლობა, ავეჯის დამამზადებელი საამქრო და ა.შ. მაღაზია შეიძლება გახსნილი იყოს შენობაში ან მანქანის მისამებელ მოძრავ ჯიხურში. ამდენად, „მაღაზია“ ზოგადი ტერმინია, რომლის უკან გამოთხოვაც არ შეიძლება. ჩვენ შეგვიძლია

მოვითხოვოთ მხოლოდ ნივთის გამოთხოვა და არა ფაბრიკის ან გამოძეგმლობის, ანდა სააქროსი. ჩვენთვის გასაგებია, რომ მოპასუხე „მალაზიაში“ გულისხმობს ნაგებობას – უძრავ ნივთს, რომელშიც ეს მალაზია არის გახსნილი და მოძრავ ნივთებს – დახლს, მაცივარს და ა.შ. და ამიტომაც იყენებს 172-ე მუხლს, მაგრამ აქვე ისმის კითხვა, თუ რამდენად სწორად არის მოთხოვნა დაყენებული და 172-ე მუხლი გამოყენებული?

საქმე იმაშია, რომ 172-ე მუხლი ორ შემთხვევას არეგულირებს, კერძოდ, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვას ანუ ნივთის ვინდიცირებას და ხელშეშლის აღკვეთას ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე. სამწუხაროდ, სასამართლო არ უთითებს 172-ე მუხლის რომელ ნაწილს იყენებს. მხოლოდ გადაწყვეტილების არსიდან ვგებულობთ, რომ გამოყენებულია 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილი. რამდენად სწორია ამ ნაწილის გამოყენება?

როგორც გადაწყვეტილებიდან ჩანს, მალაზია ანუ შენობა ეკუთვნის შპს „გურჯაანის“ და მის ფილიალს, ყოველივე ეს კი რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში, ამდენად, ნივთის ანუ შენობის მფლობელი იურიდიულად ისევ ფილიალია. გარდა ამისა, თანამშრომლებიც მოცემულ ფილიალში მუშაობენ, ისინი უბრალოდ არ ასრულებენ იმ სამუშაოს, რაც ფილიალის დირექტორისა და საწარმოს ხელმძღვანელობისაგან ევალებათ, ამით ხელს უშლიან საწარმოსა და ფილიალს საკუთარი მიზნების განხორციელებაში.

აქედან გამომდინარე, არასწორია დავაყენოთ საკითხი ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის შესახებ, რადგანაც მფლობელად ისევ საწარმო რჩება. ეს არ უნდა შევადაროთ ისეთ შემთხვევას, როდესაც პირი შედის უცხო ეზოში, გაჰყავს ტრაქტორი და უკან აღარ აბრუნებს. აქაც იურიდიულ მფლობელად ტრაქტორის პატრონია, მაგრამ ასეთ შემთხვევაში იგი ვერ დააყენებს ხელისშეშლის აღკვეთის მოთხოვნას, რადგანაც სცილდება ამ ფარგლებს. ასეთ დროს მფლობელმა უნდა დააყენოს სხვისი უკანონო მფლობელობიდან ნივთის უკან დაბრუნება.

საჭიროა დავინახოთ ზღვარი ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვისა და საკუთარი ნივთის გამოყენებაში ხელისშეშლას შორის.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ფილიალის საქმიანობის განხორციელებაში ხელს უშლიდნენ მისივე თანამშრომლები, ამიტომ შეგებებული სარჩელის მოთხოვნაცა და გადაწყვეტილებაც უნდა დაკავშირებოდა 172-ე მუხლის მე-2 ნაწილს, რომელიც უთითებს შემდეგს: თუ საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა ხდება ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელისშემშლეს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა.

თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით.

იქიდან გამომდინარე, რომ ნივთი ისევ საზოგადოების ან მისი ფილიალის ბალანსზე იმყოფებოდა, ამიტომ უნდა ჩავთვალოთ, რომ ხელშეშლა ხდებოდა ნივთის ამოღებისა და ჩამორთმევის გარეშე, ამიტომაც სასამართლოს უნდა გამოეყენებინა 172-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

ეს იქნებოდა სწორი და იურიდიულად ზუსტი გადაწყვეტილება.

მეორე დარღვევად მიჩნეულია ის, რომ ფილიალს არ განუხორციელებია საზოგადოების ძირითადი საქმიანობა.

გადაწყვეტილებაში არ ჩანს, თუ რას გულისხმობს სასამართლო აღნიშნულ დარღვევაში. ამიტომ გადაწყვეტილების ეს ფორმულირება სხვადასხვა კითხვას ბადებს, მათ შორის იმასაც, თუ რამდენად სწორად შეაფასა მოსამართლემ ფილიალის საქმიანობა, როდესაც მიუთითა, რომ იგი არ ახორციელებდა საზოგადოების ძირითად საქმიანობას.

ა საერთოდ, ფილიალი არ არის ვალდებული (თუ საწარმოს წესდებით ან ფილიალის დებულებით არ არის გათვალისწინებული) განახორციელოს ის საქმიანობა, რასაც ახორციელებს საწარმო. მაგალითად, თუ საწარმო კერავს ტანსაცმელს, ფილიალს შეუძლია ღვინო ჩამოასხას და გაყიდოს.

ამრიგად, ის, რომ ფილიალს არ განუხორციელებია ის საქმიანობა, რასაც ახორციელებს საწარმო, ეს, რა თქმა უნდა, არ ჩაეთვლება რეგისტრაციის პირობების დარღვევად. ა

მესამე დარღვევად მიჩნეულია ის, რომ ფილიალს არ წარუდგენია საბუღალტრო დოკუმენტები.

თუ ფილიალს არ წარუდგენია საბუღალტრო დოკუმენტები, ეს საკითხი შეიძლება დააყენონ საწარმოს მართვის ორგანოებმა ან საგადასახადო სამსახურმა ან სხვა ადმინისტრაციულმა ორგანომ.

აღნიშნული დარღვევა არ წარმოადგენს ზემოთ მითითებული რეგისტრაციის პირობების დარღვევას.

მეოთხე დარღვევად მიჩნეულია ის, რომ ფილიალს არ მართავდა „დამფუძნებლის“ მიერ დანიშნული პირი.

რა თქმა უნდა, ესეც არ არის რეგისტრაციის პირობების დარღვევა. თუ ფილიალს სხვა პირი მართავდა, ამის აღკვეთა საწარმოს მართვის ორგანოებს შეუძლიათ სასამართლოს მეშვეობით. ♣

მეხუთე დარღვევად მიჩნეულია ის, რომ ფილიალი საგადასახადო ინსპექციაში აღრიცხვაზე იმყოფება როგორც დამოუკიდებელი გადამხდელი.

დასახელებული დარღვევა არ შეიძლება ჩაითვალოს დარღვევად, იმავე მიზეზით, რომ მეწარმეთა შესახებ კანონის მე-5 და მე-16 მუხლები არ ითვალისწინებს საგადასახადო ორგანოებთან საწარმოს – ფილიალის ურთიერთობას.

უკანასკნელ შემთხვევაში, აღნიშნული საკითხი შეიძლებოდა გამხდარიყო საგადასახადო სამსახურსა და საწარმოს შორის დავის განხილვის საგანი.

რაც შეეხება გადაწყვეტილების მეორე პუნქტს, კერძოდ, ქონების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვას, როგორც ზევით აღვნიშნე, მიმაჩნია, რომ სწორად და დასაბუთებულად არ არის ჩამოყალიბებული.

საქმე იმაშია, რომ არ შეიძლება მაღაზია იყოს ფილიალის თანამშრომლების უკანონო მფლობელობაში, რადგანაც ფილიალი რეგისტრირებულია სააქციო საზოგადოების სახელზე და შენობა,

რომელშიც მოთავსებულია მაღაზია, არის ფილიალის ბალანსზე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის სწორად და დასაბუთებულად ჩამოყალიბებული.

სასამართლოს უნდა ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რომელიც ეხებოდა სააქციო საზოგადოების ფილიალად რეგისტრაციის გაუქმებას, ხოლო შეგებებული სარჩელი უნდა დაეკმაყოფილებინა ტერმინებისა და მოთხოვნების დაზუსტების შემდეგ. ამასთან, სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლი, კერძოდ, 172..2 მუხლი.

გარდა აღნიშნულისა, სასამართლომ გამოიყენა ის მუხლი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, მეწარმეთა შესახებ კანონის 5.8 მუხლი.

გ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქმე №2/1513 თბილისი

2001 წ.

მოსარჩელე: გურამ გედენიძე

მოპასუხე: სააქციო საზოგადოება „დიზაინი“

სასარჩელო მოთხოვნა: სააქციო საზოგადოება „დიზაინის“ წესდებაში 2000 წლის 4 მაისის ცვლილებების გაუქმების, ახალი ცვლილებების რეგისტრაციაში გატარების, აქციონერის დარღვეული უფლებების აღსადგენად, ს.ს. „დიზაინის“ 2001 წლის 28 მარტის აქციონერთა საერთო კრების უკანონოდ ცნობისა და ბათილობის შესახებ.

გადაწყვეტილების შინაარსი

სასამართლომ გამოარკვია:

მოსარჩელე უთითებს, რომ 2000 წლის 4 მაისს ჩატარდა სააქციო საზოგადოება „დიზაინის“ აქციონერთა საერთო კრება. დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად განიხილებოდა სააქციო საზოგადოების წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხი, კერძოდ, ძირითადი ცვლილება, რომელიც უნდა შესულიყო წესდებაში, შეეხებოდა აქციათა განკარგვის საკითხს. კრებამ დაადგინა, რომ ყველა აქციონერის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, აქციების განკარგვის რიგითობა დარჩენილიყო უცვლელად, წესდების ძველი რედაქციის შესაბამისად, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი რიგითობა იხსნებოდა. კრების გადაწყვეტილებით წესდებაში შევიდა შემდეგი სახის ცვლილება: „აქციონერს უფლება არ აქვს სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის გარეშე გაყიდოს, გააჩუქოს, გაასხვისოს აქცია“ (მუხ. 4.8)

მოსარჩელის განმარტებით „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად (მუხ. 52.3) სააქციო საზოგადოებაში რომელიმე კლასის აქციათა გადაცემა შეიძლება დამოკიდებული იყოს საზოგადოების თანხმობაზე. ამ თანხმობის აუცილებლობის შესახებ უნდა აღინიშნოს საზოგადოების წესდებასა და აქციათა სერტიფიკატში. წესდებაში ასეთი აღნიშვნის შეტანისათვის ყველა იმ აქციონერის წერილობითი თანხმობაა საჭირო, რომლებიც ამ კლასის აქციებს ფლობენ. ვინაიდან მოსარჩელეს ასეთი თანხმობა არ მიუცია, ის თვლის, რომ წესდებაში ცვლილება შეტანილია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის დარღვევით. აგრეთვე, საზოგადოების საერთო კრების მიერ არ არის დამტკიცებული კანონით გათვალისწინებული კენჭისყრა.

გარდა აღნიშნულისა, მოსარჩელეს 2001 წლის 12 მარტს სააქციო საზოგადოების აქციონერ ტ. საღირაშვილთან ერთად წერილობით მიუმართავს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისათვის, რათა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 3.9 მუხლის შესაბამისად გადაეცათ მათთვის შემდეგი სახის ინფორმაცია:

ა. საზოგადოების წესდების ბოლო რედაქცია;

ბ. 1999 და 2000 წლის მორიგი კრებების ოქმები თავისი დანართებით;

გ. 1998 და 1999 წლების წლიური ანგარიშები (ბალანსი, ბრუნვითი უწყისი და მოგება-ზარალის ანგარიში);

დ. 2000 წლის წლიური ანგარიშები;

ე. 2000 წლის დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის ანგარიში;

ზ. 2001 წლის წლიური ბიუჯეტი, როგორც საგეგმო ბალანსისა და მოგება-ზარალის გეგმა;

თ. 1998 და 1999 წლების აუდიტორის დასკვნები და მის მიერ გაკეთებული შენიშვნების შესაბამისად კონფინდენციალური საკითხების ჩამონათვალი.

აღნიშნული ინფორმაციის მიწოდებაზე სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ უარი განაცხადა და განუმარტა, რომ ყველა საჭირო ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ საერთო კრებაზე, რომელიც იმართებოდა 2001 წლის 23 მარტს.

მოსარჩელეს მიაჩნია, რომ საბჭოს უარით დაირღვა მეწარმეთა შესახებ კანონის 3.9 მუხლი.

2000 წლის 4 მაისს აქციონერთა მორიგ საერთო კრებაზე დღის წესრიგის მე-5 საკითხად განხილულ იქნა საკითხი „წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ და კრებამ დაადგინა აქციების გაყიდვის უფლება ყველა აქციონერის წრილობითი თანხმობის შემთხვევაში, რაც საზოგადოების წესდებაში, რომლის ახალი რედაქცია რეგისტრირებულ იქნა 2000 წლის 7 აგვისტოს, მუხლი 4.8 აისახა შემდეგნაირად: „აქციონერს უფლება არა აქვს სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის გარეშე გაყიდოს, გააჩუქოს, გადასცეს იგი მესამე პირს მართვის უფლებით, ან სხვა წესით გაასხვისოს აქცია“.

სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თანახმად „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 52.3 მუხლისა, ვინაიდან წესდებაში ამგვარი ცვლილებების შეტანაზე ყველა აქციონერის (გ. გედენაძის) თანხმობა არ ყოფილა, ცვლილება განხორციელებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის დარღვევით.

სასამართლოს მიაჩნია, რომ საზოგადოების წესდება, რომელიც „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 5.5. მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად წარმოადგენს 5.4. მუხლით გათვალისწინებული განცხადების ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტს, მასში შეტანილი ცვლილებები განხილულ უნდა იქნეს ამავე კანონის 5.6. მუხლით გათვალისწინებულ იმ სავალდებულო ფაქტებად, რომლის ყოველი ცვლილება საჭიროებს რეგისტრაციას, წესდების ახალი რედაქციის სახით.

სასამართლომ ვერ გაიზიარა, დაუსაბუთებლად ცნო მოსარჩელის მოთხოვნა ს.ს. „დიზაინის“ სამეთვალყურეო საბჭოსგან მათ მიერ 20001 წლის 12 მარტის წერილში ჩამოთვლილი დოკუმენტების გადაცემის შესახებ, რადგან, მართალია, მოსარჩელე სწორად მიუთითებს საზოგადოების პარტნიორების ზოგად უფლებებზე, კანონის 3.9 მუხლის თანახმად, მაგრამ კანონის 53-ე მუხლი ადგენს, რომ აქციონერს თავისი უფლების გამოყენება შეუძლია მხოლოდ საერთო კრებაზე და არა ზოგადად.

სასამართლომ არ გაიზიარა და დაუსაბუთებლად მიიჩნია საზო-

აგადოება „დიზაინის“ 2001 წლის 28 მარტის საერთო კრების უკანონოდ ცნობის, მისი შედეგების ბათილობისა და ხელახალი კრების მოწვევის შესახებ მოთხოვნა, თანახმად უკვე მითითებულ კანონის 53.3. მუხლისა და იმის გამო, რომ მოსარჩელეს არ წარმოუდგენია საზოგადოების 2001 წლის 28 მარტის საერთო კრების ოქმის პირი და არც სასამართლოსთვის უთხოვია ამ მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ.

სასამართლომ ვერ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება იმის თაობაზე, თითქოს იმის გამო, რომ დოკუმენტების გამოთხოვაზე მათი განცხადება უარყოფილ იქნა, მათ არ მიეცათ შესაძლებლობა ესარგებლათ კანონის 53.3.1 მუხლით მინიჭებული უფლებებით, რადგან გამოთხოვილი დოკუმენტების გაცნობის გარეშე ვერ შეძლებდნენ კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე საკითხის დაყენებას.

სასამართლო თვლის, რომ მუხლი 53.3.1-დან გამომდინარე, მოსარჩელეს მისთვის საინტერესო საკითხები წერილობით უნდა დაეყენებინა საერთო კრების წინაშე მის ჩატარებამდე 10 დღით ადრე ან მოეთხოვა განმარტებები კრების მსვლელობისას, ამისათვის კი კანონი საწარმოს საქმიანობის წინასწარ გამოკვლევას არ ითვალისწინებს.

სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. გაუქმებულად ჩაითვალოს საზოგადოება „დიზაინის“ წესდებაში 2000 წლის 4 მაისს №5 კრების ოქმით შეტანილი ცვლილებები და დაევალოს საზოგადოება „დიზაინის“ სასამართლოს დადგენილების მეშვეობით რეგისტრაციაში გაატაროს წესდების ახალი ცვლილებები.

2. უარი ეთქვას მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე „აქციონერის დარღვეული უფლებების აღდგენისა და საზოგადოება „დიზაინის“ 2000 წლის 28 მარტის აქციონერთა კრების უკანონოდ ცნობისა და ბათილობის შესახებ“.

გადაწყვეტილების კომენტარი

ვფიქრობ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებაში ერთ-ერთი საკითხი არასწორად არის დასაბუთებული, რაც ვლინდება ქვემოთ გაკეთებულ კომენტარში.

როგორც გადაწყვეტილების შინაარსიდან ჩანს, მოსარჩელეს 2001 წლის 12 მარტს აქციონერ საღირაშვილთან ერთად წერილობით მიუმართავს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისათვის, რათა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 3.9 მუხლის შესაბამისად გადაეცათ მათთვის შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ა. საზოგადოების წესდების ბოლო რედაქცია;
- ბ. 1999 და 2000 წლის მორიგი კრებების ოქმები თავისი დანართებით;
- გ. 1998 და 1999 წლების წლიური ანგარიშები;
- დ. 2000 წლის წლიური ანგარიშები;
- ე. 2000 წლის დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის ანგარიში;
- ვ. 2001 წლის წლიური ბიუჯეტი, როგორც საგეგმო ბალანსის და მოგება-ზარალის გეგმა;
- ზ. 1998 და 1999 წლების აუდიტორის დასკვნები და მის მიერ გაკეთებული შენიშვნების შესაბამისად კონფინდენციალური საკითხების ჩამონათვალი.

, სამეთვალყურეო საბჭომ უარი განუცხადა მათ აღნიშნული დოკუმენტების მიწოდებაზე და განუმარტა, რომ მათ უფლება ჰქონდათ აღნიშნულ ინფორმაციას გასცნობოდნენ საერთო კრებაზე.

სასამართლომაც ჩათვალა, რომ კანონის 53-ე მუხლი ადგენს, რომ აქციონერს თავისი უფლების გამოყენება შეუძლია მხოლოდ საერთო კრებაზე და არა ზოგადად, როგორც ამას კანონის 3.9 მუხლი უთითებს.

ვფიქრობ, რომ სასამართლოს ასეთი დასაბუთება არ არის სწორი შემდეგ გარემოებათა გამო:

მეწარმეთა შესახებ კანონის 53.3 მუხლი უთითებს: ჩვეულებრივ, აქციონერები თავიანთ უფლებებს (ინფორმაციის მიღების უფლება) ახორციელებენ საერთო კრებაზე.

კითხვა, რომელიც ჩვენს წინაშე დგას, არის: რა იგულისხმება „ინფორმაციის მიღებაში“?

საერთოდ ტერმინი „ინფორმაცია“ ძალიან ფართო შინაარსისაა, მაგრამ ამა თუ იმ საქმიანობიდან გამომდინარე, მისი შინაარსი იზღუდება, მაგალითად, პრესის ინფორმაცია, ტელევიზიის მიერ მოწოდებული ინფორმაცია და ა.შ.

მეწარმეთა შესახებ კანონშიც, როდესაც აქციონერთან დაკავშირებით ვლაპარაკობთ ინფორმაციაზე, უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ განსაზღვრული სახის ცნობების მიღება.

რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს ინფორმაციის მიღება საერთო კრებაზე?

ძირითადი მიზანი ის არის, რომ კრებაზე ინფორმაციის მიწოდებით საზოგადოების დირექტორს ან სამეთვალყურეო საბჭოს აღარ მოუწევს პასუხების გაცემით დახარჯოს დრო საზოგადოების საქმიანობის განხორციელების პროცესში, ამასთან, წარმოვიდგინოთ, რომ საზოგადოებას ჰყავს 500-1000 აქციონერი, ყველას რომ რაიმე შეკითხვა ჰქონდეს დირექტორების ან სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ, ისინი ფიზიკურად ვერ შეძლებდნენ მათ კითხვებზე პასუხების გაცემას.

ამიტომაც კანონის 53.3.1 მუხლი აღნიშნავს: „ აქციონერს უფლება აქვს საერთო კრებაზე დღის წესრიგის თითოეული პუნქტის გამო მოსთხოვოს განმარტებები დირექტორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს და გამოთქვას თავისი აზრი, თუ მოთხოვნა წერილობით იქნა დაყენებული საერთო კრებაზე ათი დღით ადრე, მაშინ იგი უნდა შესრულდეს ან განიხილოს დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად.“

ამრიგად, „ინფორმაციის მიღებაში“ იგულისხმება, რომ დღის წესრიგის თითოეულ პუნქტთან დაკავშირებით აქციონერმა დირექტორს ან სამეთვალყურეო საბჭოს მოსთხოვოს განმარტებები ანუ უფრო დეტალური და ნათლად გამომხატული ინფორმაცია.

დირექტორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს კანონმა უფლება მიანიჭა უარი უთხრან აქციონერს აღნიშნული განმარტებების მიწოდებაზე, თუ ამით ზიანი მიადგება საწარმოს არსებით ინტერესებს. ასეთ შემთხვევაში ისინი ვალდებულნი არიან განმარტებების მიცე-

მაზე უარი დაასაბუთონ წერილობით (მეწარმეთა შესახებ კანონის 53.3.1 მუხლი).

ამრიგად, არ შეიძლება ინფორმაციაში ვიგულისხმოდ წესდება და სხვა ის საკითხები, რაც მოსარჩელემ მოითხოვა სამეთვალყურეო საბჭოსგან.

„ინფორმაციის მიღების უფლების“ არასწორი გაგება ზღუდავს აქციონერის ელემენტალური უფლებებს, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს უწყობს საზოგადოების არაკეთილსინდისიერად მართვას. *

წარმოვიდგინოთ ასეთი შემთხვევა: 5 მარტს შედგა აქციონერთა კრება, 25 მარტს ახალმა აქციონერმა, როგორც მართველობის უმაღლესი ორგანოს წარმომადგენელმა, გადაწყვიტა გასცნობოდა საზოგადოების წესდებებსა და სამეთვალყურეო საბჭოს დებულებას, თუ შემთხვევაში აღნიშნულ უფლებას არასწორად გავიგებთ, მაშინ მან ერთი წელი უნდა ელოდოს მომდევნო საერთო კრებას, რათა გაეცნოს საზოგადოების წესდებებს, მასში ასახულ დირექტორის უფლება-მოვალეობებს, საერთო კრების უფლებებს და ა.შ. ვფიქრობ, რომ ასეთი მიდგომა ზიანს მიაყენებს როგორც საზოგადოებას, ასევე აქციონერსაც.

* წესდებაცა და სამეთვალყურეო საბჭოს დებულებაც ადვილად მისაღები უნდა იყოს ყოველი აქციონერისათვის, მით უმეტეს, რომ წესდებებს იცნობენ იმ ბანკშიც, სადაც საზოგადოებას გახსნილი აქვს ანგარიში, სასამართლოში – სადაც გატარდა რეგისტრაციაში და საგადასახადოში. ამიტომ, რაღა თქმა, უნდა მას უნდა იცნობდეს აქციონერიც, ეს მისი ელემენტარული უფლებაა. *

რაც შეეხება ისეთ საკითხებს, როგორიც არის 1998-2000 წლების წლიური ანგარიშები, არც ესენი უნდა მივიჩნიოთ ინფორმაციის ისეთ სახედ, რომ ღირდეს ერთი წელი ანუ მორიგ საერთო კრებამდე გაჩერება. საქმე იმაშია, რომ ეს წლიური ანგარიშები უკვე ყველასათვის ცნობილი და დამტკიცებულია. მოსარჩელები არ ითხოვდნენ მოცემულ ანგარიშებთან დაკავშირებით დირექტორებისგან რაიმე განმარტებების მიღებას და ამით მათ მოცდენას, ამიტომ უარი მათი ასლების გადაცემაზე (რომელიც შეიძლებოდა გაკეთებულიყო ან საზოგადოების ხარჯით, ანდა აქციონერების ხარჯით) სრულიად აუხსნელი და დაუსაბუთებელია.

უფრო მეტიც, რაც სამწუხაროდ არ გაითვალისწინა სასამართლომაც, კერძოდ, დღეს საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისათვის მოქმედებს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“. ამ კანონის მესამე თავი ეხება სპეციალურად შექმნილი ფასიანი ქაღალდების კომისიის მიმართ ანგარიშვალდებულებების საწარმოების უფლება-მოვალეობებს.

ანგარიშვალდებულ საწარმოდ ითვლება ისეთი საწარმო, რომელსაც გამოშვებული აქვს რომელიმე კლასის საჯარო ფასიანი ქაღალდი (მუხლ. 9.1).

ანგარიშვალდებულ საწარმოდ არ ითვლება საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტარი და ფასიანი ქაღალდის რეგისტრატორი (მუხლ. 9.3)

რას ნიშნავს ტერმინი „საჯარო ფასიანი ქაღალდი“? ეს ტერმინი განმარტებულია ამავე კანონის 3.6 მუხლში, კერძოდ, მასში იგულისხმება ფასიანი ქაღალდები, რომლებიც დაშვებულია სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე ან/და რომლებსაც „ჩანაწერით ფლობს“ 100-ზე მეტი ფასიანი ქაღალდის მფლობელი ამ კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით.

• ამავე კანონის მე-11.1 მუხლი ითვალისწინებს ანგარიშვალდებულ საწარმოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვალეობას, კერძოდ: იგი ვალდებულია მოამზადოს და კომისიას წარუდგინოს, გამოაქვეყნოს ან რეგისტრირებულ მესაკუთრეებს მიაწოდოს წლიური ანგარიში, ნახევარი წლის ანგარიში და მიმდინარე ანგარიში.

მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით წლიური ანგარიშები დგება ყოველი სამეურნეო წლისათვის და შეიცავს ინფორმაციას ემიტენტის, მისი საქმიანობის, მმართველი ორგანოს წევრთა და იმ პირთა შესახებ, რომლებიც აქციონერთა კრებაზე ფლობენ ან აკონტროლებენ ხმების 5%-ზე მეტს; დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადასტურებულ ფინანსურ ანგარიშებს; კომისიის წესებით განსაზღვრული ფორმით მოცემულ სხვა ინფორმაციას.

ამავე მუხლის მე-3 პუნქტით სამეურნეო წლის პირველი ოთხი თვის შესახებ დგება ნახევარწლიური ანგარიშები. იგი უნდა მოიცავდეს ანგარიშვალდებული საწარმოს ფინანსურ ანგარიშებს, ინფორმაციას

საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი არსებითი მოვლენების შესახებ და კომისიის წესებით განსაზღვრული ფორმით მოცემულ სხვა ინფორმაციას.

მე-11 მუხლის მე-4 პუნქტით კი მიმდინარე ანგარიშის წარდგენა აუცილებელია კომისიის წესებით განსაზღვრულ არსებით მოვლენასთან დაკავშირებით, რომელიც მოხდა მას შემდეგ, რაც საწარმო გახდა ანგარიშვალდებული. მიმდინარე ანგარიშის წარდგენა ხდება ანგარიშში ასახული მოვლენის დადგემოდან 15 დღის განმავლობაში და მას უნდა ჰქონდეს ისეთი ფორმა და შეიცავდეს ისეთ ინფორმაციას, როგორსაც მოითხოვს კომისიის წესები.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონის 12.1 მუხლით, ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი კომისიას წარუდგენს ანგარიშს ამ საწარმოს იმ ფასიანი ქაღალდების პროცენტული ოდენობის შესახებ, რომელთა ბენეფიციარი მესაკუთრეც ის არის.

ამრიგად, როგორც ზემოთ მითითებული კანონებიდან და მათი ანალიზიდან ჩანს, სამეთვალყურეო საბჭომაც და სასამართლომაც არასწორად ჩათვალეს, რომ მოსარჩელეს მისთვის საინტერესო დოკუმენტები მიეღო აქციონერთა საერთო კრებაზე.

სამწუხაროდ, მოსარჩელეებმაც არ იცოდნენ აღნიშნული წესები, თორემ ისინი მიმართავდნენ ფასიანი ქაღალდების კომისიას და იქ მიიღებდნენ მათთვის საინტერესო დოკუმენტებს.

შემაჯავებელი ლიტერატურა საქორპორაციო
სამართალში

1. მეწარმეთა შესახებ კანონი, 2002 წლის 1 მარტი.
2. მეწარმეთა შესახებ კანონი, 2001 წლის 10 აპრილი.
3. სამოქალაქო კოდექსი, 2000 წლის 1 ნოემბრი.
4. ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. მეორე გამოცემა. თბ., „სამართალი“, 1998.
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, 1999.
6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, 1999.
7. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მეოთხე, ტომი მეორე. თბ., 2001.
8. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001.
9. ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, 1999.
10. ბ. ზოიძე, სანიუთო სამართალი, 1999.
11. საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში; გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი. 2000 წ. 7-8 მარტი. თბ., 2000.
12. ე. შენგელია, სააქციო საზოგადოების სამართლებრივი მდგომარეობა, 1999.
13. ე. შენგელია, სააქციო საზოგადოების დირექტორთა წარმომადგენლობითი უფლებამოსილებანი. ჟურნალი „სამართალი“, 2001 №3.
14. „კანონი – ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“.
15. პ. სიამაშვილი, კომენტარები ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ. ჟურნალი ფასიანი ქაღალდების შესახებ. 2000-2001 წლები.
16. ზ. როგავა, საგადასახადო სამართლის საფუძვლები, თბ., 2000.
17. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2001 წლის დეკემბრი.
18. Основы немецкого торгового и хозяйственного права – москва 1995.
19. М.И. Кулагин, Предпринимательство и право: Опыт запада. М. 1992.
20. Гранжданское и торговое право капиталистических государств. М.1983.
21. У. Э. Батлер. М. Е. Гаши-Батлер – Корпорации и ценные бумаги в России и США. Москва. 1997.
22. Markesinis, The german law of obligations, Volume 1. oxford. 1997.
23. Enno W. Ercklentz. Modern German Corporation Law – New York. 1979.
24. Martin Peltzer and Jermyn P. Brooks, Comments on the German GMBH – Law. LTD of Germany Koln. 1987.

გამომცემლობის რედაქტორი მ. ჩიკვილაძე
ტექნიკური რედაქტორი ლ. ნინიკაშვილი
კორექტორი მ. კილაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7.03.03
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 12,5
სააღრ.-საგამომც. თაბახი 10,75
ოფსეტური ქაღალდი №1, 60X84 1/16
შეკვეთა №12 ტირაჟი 2000